ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი

№22

29.V–4.VI 2013



გვ.21

ახალი პოზიტიური და ენერგიული დილა „ჟიდიესზე“

გვ.8

„არ მინდა, თბილისში ვიხილო შიშველი მამაკაცების სექსუალური მოძრაობები!“

შეექმნა თუ არა თამარ ივერს ევროპაში პრობლემები „ჰომოფობიის“ გამო



გვ.24

როგორ ემზადება ნინო გაჩეჩილაძე დიდი სიყვარულის შესახვედრად



გვ.26

რატომ დაიმსახურა ინგა გრიგოლიას რისხვა მისმა ქალიშვილმა



გვ.31

ნოდიკო ტატიშვილის დედას რძლად მომღერალი გოგო სურს



გვ.10

„ვნანობ, რომ ნანუკა ჟორჟოლიანსაც არ მოვდე!“

რითი დაემუქრა ლალი მოროშკინა მიხეილ სააკაშვილს



გვ.38

ბექა ონიანი პატრულისგან ორსულმა ცოლმა იხსნა

სარკე + ბრაზილიური ზღაპრები 6 ლარი

ქალის დრამა, რომლის შეყვარებულიც გეი აღმოჩნდა გვ.46

ISSN 1987-9369

# პერსენ ფორტე

კატაბალახა, პიტნა, ბარამბო

## სიმშვიდე თქვენს ხელშია!




1/697/GE/23.04.2013

**პერსენ ფორტე არ იწვევს მიჩვევას და არ ახასიათებს მოხსნის სინდრომი**

**გამოყენების ჩვენება:** გადატვირთული გონებრივი მუშაობა, ნერვული დაძაბულობა, მოუსვენრობა, მომატებული აგზნებადობა, უძილობა

**დოზირება:** *მოზრდილებში და ბავშვებში 12 წლის ზემოთ:* პერსენ ფორტე 2 კაფსულა ერთ მიღებაზე

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

SANDOZ
a Novartis company
გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30; 98 27 50

# ნომერში


## აქტუალური თემა

- თამარ ივერს საქართველოდან ევროპის თეატრებში უჩივლეს 8
- სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაში ადანაშაულებენ 9

## ნაცნობი სახე

ლალი მოროშკინა: „ვნანობ, რომ ნანუკა ჟორჟოლიანსაც არ მოვდე!“ 10

## ტრაგედია

ციხეში შეშლილმა კაცმა ერთი თვის შვილის სიცოცხლე შეიწირა 11

## გულახდილი საუბრები 12-13

## ახალი ამპლუა

გიორგი ლორია კიევში ლამაზმანებთან თამამ სცენებს ასცდა 14

## პოლიტიკა

- კობა დავითაშვილი ჰომოსექსუალიზმის პოპულარიზაციის წინააღმდეგ კანონპროექტზე მუშაობს 16
- სოსო ცინცაძე: „საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ დაიშლება“ 17
- ვანო მერაბიშვილს არ სჯეროდა, რომ დაიჭერდნენ 19

## ეტაპი

ნინო გაჩეჩილაძე: „დიდი სიყვარული ჯერ არ დამიმსახურებია“ 24

## გახსენება

სოფიკოს დღე 25

## დედები და ქალიშვილები

რატომ დაიმსახურა ინგა გრიგოლიას რისხვა მისმა ქალიშვილმა 26

## მოზარდები 28-29

## მეორე ნახევარი

ნინო თარხან-მოურავი: „ჩემი ქმარი რომანტიკული არ არის, მაგრამ რაინდია“ 30

## მათი მშობლები

ნოდიკო ტატიშვილის დედას რძლად მომღერალი გოგო სურს 31

## სამზარეულო

ირინა გუდაძემ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ჭამა შეაყვარა 32

## ამბავი სიყვარულისა

სამი ვარდი საყვარელი ქალისათვის — ჰამლეტ გონაშვილის უკანასკნელი საჩუქარი 34

## ცხოვრების საქმე

- დათუნა სულიკაშვილი: „პოლიტიკური არეულობების მერე დიზაინერები ვიყინებით“ 36
- ცნობილმა ამერიკელმა დიზაინერმა საბალეტო კოსტიუმების დამზადება თამარ ნადირაძეს მიანდო 37

## ცხოვრების საქმე

როგორ იხსნა პატრულისგან ბექა ონიანი ორსულმა ცოლმა 38

## ცხოვრება ჩემოდნებზე

გიორგი ხაბურზანია: „უცხოეთის მაღაზიებში — არა, მაგრამ რესტორნებში სიარული ძალიან მიყვარს“ 43

## მეგზური

ატლანტა — კოკა-კოლას სამშობლოს შუქ-ჩრდილები 45



№ 22 (787) 29 მაისი — 4 ივნისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 27.05.2013, 21.00 სთ-ზე.



## მხოლოდ ქალებისთვის 48

## დედიკოების სკოლა

როგორ დავიცვათ ბავშვები ტკიპებისგან 49

## ჩემი მშვენიერი ლედი

კახა კოჟორიძე: „საქართველოში სამართლიანობის მოთხოვნილება ქალებს უფრო აქვთ, ვიდრე კაცებს“ 50

## სპორტის მიღმა 51

## ადამიანის ინსტიტუტი

- რატომ აითვალწუნეთ სამსახური? 52
- უარყოფითი ემოციები — დარტყმა ღვიძლზე 52

## ცოტ-ცოტა ყველაფერზე 53


## გალღეტილი ვანოდან დიდ ვანომდე

### იყო დრო, როცა მას თავისი ხელფასით მხოლოდ სამი ჭურის ყიდვა შეეძლო...



საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ ქვეყნის ხერხემლად წოდებული ყველაზე ძლიერი შს მინისტრი ახლა კამერაში მარტო ზის და განაჩენს ელოდება.

ვინ არის ვანო მერაბიშვილი და რა გზა გაიარა ციხის საკნამდე? ის გამჭვირვალე შენობაში იჯდა, მაგრამ მაინც უჩინარი იყო, ყველას უსმენდა და ყველას ხედავდა. ინტერვიუს მხოლოდ უცხოელ ჟურნალისტებს აძლევდა. მიუხედავად ამისა, „სარკის“ არქივში ყოფილ ძალოვანზე მრავალი ინფორმაცია ინახება.

გვ.20


## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54-55

## სახალისო 56-57

## იყავით ჯანმრთელი 58-59

## ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-21) 66
- ლელა ცუცქირიძე — „ნდობა“ 68

## წმინდანები

თუ ღმერთი უსმენს ჩვენს თხოვნას, მაშინ აღარაფრის უნდა გვეშინოდეს 72

## კითხვები მოძღვარს

„ლოცვისას უმჯობესია, უფალს ფეხზე წამოვუდგეთ“ 73

## რეპორტაჟი აქციიდან

რატომ გაიხადეს მღვდლებმა ანაფორები 24 მაისის აქციაზე 75

## კულინარიული შედევრები 77

## ხელსაქმე 78



■ ბიძინა ივანიშვილი

## პრემიერის საოცნებო საქართველოს კონტურები

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი ქვეყანაში პომპეზურად აღინიშნა. ღონისძიებები 26 ქალაქში ჩატარდა. მართალია, წვიმის გამო ცოტა დაგვიანდა, მაგრამ დღის განმავლობაში ათობით საზეიმო ღონისძიება მაინც გაიმართა, მათ შორის, სამხედრო და პოლიციის ტექნიკის, ასევე, სამხედრო აღჭურვილობის გამოფენები, ფოლკლორული ანსამბლებისა და გუნდების საკონცერტო გამოსვლები, მხატვართა ნამუშევრების გამოფენები.

პრემიერმა საზეიმო მიღება ბაზალეთის ტურისტულ კომპლექსში გამართა. მიღებას საქართველოს პატრიარქი, მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრები დაესწრნენ. პრემიერის რჩეულ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს მხარს მაკა ჩიჩუა უმშვენებდა.

ივანიშვილმა თავის სიტყვაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, როგორ უნდა გადავიყვანოთ საქართველო თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს ცხოვრების წესზე:

— ეს არის რთული, უდიდესი პასუხისმგებლობით გასავლელი გზა. ჩვენ, ყველა, ხელისუფლებაც და ხალხიც, ახლა ვსწავლობთ დემოკრატიასა და თავისუფლებაში ცხოვრებას. დემოკრატიული ღირებულებები, ადამიანის უფლებები, ევროკავშირსა და ნატო-ში შესვლა, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების მოწესრიგება, დეოკუპაცია, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, თავისუფალი სასამართლო და თავისუფალი მედია — ეს არის ჩვენი უმთავრესი გამოწვევები და ჩვენ ღირსეულად უნდა გავუმკლავდეთ მათ.

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვაკისრია. საქვეყნო საქმეში ცალმხრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს, ამიტომაც მოქალაქეების მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენი მიზანია ისეთი სახელმწიფოს შექმნა, სადაც განსხვავებულ აზრს პატივს სცემენ, სადაც ქსენოფობიასა და ჰომოფობიას გასაქანი არ აქვს, სადაც პატივს სცემენ ადამიანების არჩევანს, სადაც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები საზოგადოების ღირსეული წევრები არიან და სადაც სამართლიანი კანონები მოქმედებს. ჩვენ უნდა გავხდეთ სტაბილური და ეკონომიკურად მიმზიდველი ქვეყანა.

პრემიერმა თბილი მესიჯები ოს და აფხაზ ძმებსაც გაუგზავნა.

— ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ჩვენკენ მოვაბრუნოთ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები და ერთად ავაშენოთ სახელმწიფო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჩვენს ხალხს სიცოცხლის ფასად დაუჯდა და დღეს ჩვენი ყველაზე დიდი ვალდებულებაა, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს.

## ნინო ბურჯანაძე 21 მაისს ვანო მერაბიშვილის დაჭერას სიმბოლურს უწოდებს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე სიმბოლურად მიიჩნევს ფაქტს, რომ ძლევამოსილ ვანო მერაბიშვილს ბორკილები ზუსტად 21 მაისს, 2011 წლის 26 მაისიდან ორი წლისთავზე დაადეს.

— ჩვენმა ბრძოლამ, რომელიც ბევრს უაზრო ეგონა, ბევრი უაზრო მსხვერპლს ეძახდა, მოიტანა შემდეგი შედეგი — 1 ოქტომბრის გამარჯვება და მოიტანა ის, რომ დღეს, როდესაც ჩვენ აქ პოლიციელებს ვუყურებთ, მათი არ გვეშინია. ზუსტად ორი წლისთავზე იმ დღეებისა, როდესაც ძლევამოსილი ვანო მერაბიშვილი ჩვენს მომხრეებს სრულიად უდანაშაულოდ იჭერდა, ვანო მერაბიშვილს თავად დაადეს ბორკილები, — აცხადებს ბურჯანაძე.

## მერაბ კოსტავა დღეს 74 წლის იქნებოდა



■ მერაბ კოსტავა

წელს, 26 მაისს, საქართველოს ეროვნულ გმირს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ მერაბ კოსტავას 74 წელი შეუსრულდებოდა.

მერაბ კოსტავა 1939 წლის 26 მაისს თბილისში, ოლღა დემურიასა და ივანე კოსტავას ოჯახში დაიბადა. ბაბუა, ვლადიმერ დემურია, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მასწავლებელი იყო. მერაბზე დიდი გავლენა მოახდინა ბიძამ, ცნობილმა მსახიობმა და პოლიტპატიმარმა, გრიგოლ კოსტავამ.

საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და მერაბმა ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს. სკოლის პერიოდშივე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა მათი ცხოვრების მიზანი გახდა. ორივე არაერთხელ იყო დაპატიმრებული, გადასახლებული. მერაბ კოსტავა 1987 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ძველ მეგობართან ერთად განაახლა, რასაც საბოლოოდ მოჰყვა კიდეც საქართველოს გათავისუფლება საბჭოთა იმპერიისაგან, თუმცა ამ დღეს თავად ეროვნული გმირი ვერ მოესწრო.

1989 წლის 13 ოქტომბერს ის ავტოავარიაში დაიღუპა, რომელსაც დღემდე ბევრი მიიჩნევს საეჭვო შემთხვევად. მაშინაც დასავლეთ საქართველოში იყო მიტინგის ჩასატარებლად წასული. ქართველი ხალხისთვის ის დარჩა, როგორც იმპერიასთან მებრძოლი რაინდი დიდი გულითა და მოგუგუნე ხმით. მისი ნამღერი „შავლეგო“ დაუვიწყარია, მეხსიერებაში შემონახული წლებმაც ვერ წაშალა!

მერაბ კოსტავა წერდა ლექსებს, ფილოსოფიურ, თეატრალურ, ლიტერატურულ ესეებს, თარგმნიდა ცნობილი მწერლების ფილოსოფიურ ნაწარმოებებს. ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს ორი პრემია — დავით აღმაშენებლისა და მწერალთა კავშირის.

წელს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი დაბადების დღეს — 26 მაისს, მერაბ კოსტავას ზუგდიდში ძეგლი დაუდგეს.



■ ირაკლი კაკაბაძე

## ვინ აღნიშნავდა 1988 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს

მწერალი ირაკლი კაკაბაძე საქართველოს დამოუკიდებლობის 95-ე წლისთავს „ფეისბუქის“ საკუთარი გვერდით ეხმაურება და ამ მნიშვნელოვან თარიღს ყველა იმ ადამიანს ულოცავს, ვისაც კი რაიმე წვლილი შეუტანია ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმეში.

„26 მაისს ვულოცავ ყველას, ვისაც ნამდვილად უბრძოლია დამოუკიდებლობისთვის. მახსოვს, 1988 წლის 26 მაისის აღნიშვნაზე სულ რამდენიმე ასეული სტუდენტი, ლექტორი და დისიდენტი მივიდა. იქ არ იყო არც სააკაშვილი და არც ნაცმოძრაობის ერთი სხვა წევრი. ისინი მაშინ საბჭოთა კგბ-ს სამსახურისათვის ემზადებოდნენ. ამიტომ დამოუკიდებლობის დღე ეკუთვნის მათ, ვისაც მართლა დამოუკიდებლობა უნდა და არც რუსეთის, არც ნატო-ს და არც ვინმე სხვისი მონობა. დამოუკიდებლობა ნამდვილ თავისუფლებას ნიშნავს და არა — ბატონების გამოცვლას. მივესალმები ყველა იმის ხსოვნას, ვინც ნამდვილი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა“, — წერს ირაკლი კაკაბაძე.

სარკე

ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია. სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



Cyan Magenta Yellow Black

## ცეზარ ჩოჩელს ბრალი დაუმძიმდა

მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს ბრალი დაუმძიმდა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს ნათია სუხიაშვილის თქმით, გახსნილია კორუფციული დანაშაული, რა დროსაც მაღალჩინოსნებმა 7 მილიონამდე ლარი მიითვისეს. საქმესთან დაკავშირებით უკვე დაკავებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ვახტანგ ყიფშიძე და სააქციო საზოგადოება საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ყოფილი გენერალური დირექტორი ზურაბ ჯანჯღავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვახტანგ ყიფშიძის დახმარებით ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა — ცეზარ ჩოჩელმა, ლუხუმ კაპანაძემ, მერაბ გუხურიამ და შპს „ნიუ ენერჯის“ დამფუძნებელმა ნიკოლოზ შაქარიშვილმა 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებულ დევნილთა განსახლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 76.140.000 ლარიდან ჩასატარებელი სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის გზით 7.551.657 ლარი მიითვისეს.



■ ცეზარ ჩოჩელი

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემის ასპინძა-ახალქალაქის 30 კილომეტრიან მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ნიუ ენერჯისთან“. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ღირებულება 10 მილიონ ლარს შეადგენდა, სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის გზით, კორპორაციამ „ნიუ ენერჯის“ გადაურიცხა 17.700.000 ლარი, რის შემდეგაც აღნიშნულმა პირებმა 6.380.847 ლარი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ჩიორა თაქთაქიშვილის და სერგო რატიანის ცემისთვის ბრალდებულებს პირობითი მსჯავრი შეეფარდათ

8 თებერვალს მომხდარი ინციდენტის დროს საქართველოს პარლამენტის უმცირესობის წევრების, ჩიორა თაქთაქიშვილისა და სერგო რატიანის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ბრალდებულებს, გელა მამალაძესა და ნიკა არაბულს, წელიწადი და 8 თვით პირობითი მსჯავრი შეეფარდათ.

დაცვის მხარე ბრალდებულებისთვის ჯარიმის დაკისრებას ითხოვდა, მიუხედავად ამისა, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მათთვის მისაღებია. ამ გადაწყვეტილებას ადეკვატურად მიიჩნევენ თავად ბრალდებულებიც. როგორც გელა მამალაძემ განაცხადა, ის აღიარებს დანაშაულს და მისთვის პირობითი მსჯავრი გასაგები გადაწყვეტილებაა.

## რუსებმა საქართველოს პირობითი საზღვარი 300 მეტრით გადმოსწიეს

რუსი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრის გადმოწევას ისევ განაგრძობენ. შიდა ქართლის რამდენიმე სოფელში მათ ე.წ. საზღვრის გასავლებად ბოძები ჩაყარეს და მალე მავთულხლართების გაბმას დაიწყებენ. ადგილობრივების ინფორმაციით, სოფელ დიცსში ე.წ. პირობითი საზღვარი 300 მეტრით უკვე გადმოსწიეს, ახალი საზღვრის დადგენის შემდეგ კი მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწები და სასაფლაო შეიძლება ე.წ. საზღვრის მიღმა აღმოჩნდეს.



■ გოკა გაბაშვილი

— სანამ საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებით, ონიშჩენკოსთან ლაქუცით და ბოდიშების მოხდით არის დაკავებული, რუსები საქმეს აკეთებენ. როგორც ადგილიდან მოდის ინფორმაცია, ოკუპაციის ხაზზე ძალიან აქტიურად ამაგრებენ ე.წ. სასაზღვრო ზოლს. საქართველოს ხელისუფლებას აუცილებლად მართებს რეაგირება. მათი სურვილი, რუსეთთან ურთიერთობა დალაგდეს, არ უნდა იყოს ცალმხრივი. აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა, რომ ერთად დასხდნენ, მოახდინონ რეგირება და დასვან საკითხი ამ მავთულხლართების გაბმასთან დაკავშირებით, — აცხადებს უმცირესობის წევრი გოკა გაბაშვილი.

## საბერძნეთიდან წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილი ჩამოაბრძანეს



■ წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხატი

საქართველოში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილი, ხელის მტევანი, საბერძნეთის კუნძულ კორფუდან მიტროპოლიტმა ნექტარიუსმა ჩამოაბრძანა სასულიერო პირებთან ერთად. მათ თბილისის აეროპორტში საპატრიარქოს წარმომადგენლები, მღვდელმთავრები და მრევლი დახვდნენ.

აეროპორტიდან წმინდა ნაწილი საპატრიარქოში მიაბრძანეს, სადაც მათ უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დახვდათ.

წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხელის მტევანს საბერძნეთში 2 ივნისს წააბრძანებენ, მანამდე კი სამების საკათედრო ტაძარში, თერჯოლის რაიონსა და ბოდბის დედათა მონასტერში დააბრძანებენ.

წმინდა სპირიდონს, რომელიც მე-4 საუკუნეში მოღვაწეობდა, მორწმუნეები სულიერ მხნეობას, წარმატებასა და მატერიალურ შეწევნას ევედრებიან.

## ვერა ქობალიას გოგონამ დაბადება 10 დღით დააგვიანა



■ ვერა ქობალია

14 მაისს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილ მინისტრ ვერა ქობალიას გოგონა შეეძინა. მას საკეისრო კვეთა დასჭირდა, რადგან მშობიარობის ვადა 9 თვეს გადასცდა. ვერასთვის და მისი მეუღლის, ბიზნესმენ დავით კურცხალიასთვის ეს პირველი შვილია. წყვილმა გოგონას სახელი ანასტასია დაბადების შემდეგ შეურჩია.

ბედნიერმა ახალბედა დედამ „სარკესთან“ თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაზე დაწვრილებით ისაუბრა:

„ჩვენი გოგონა 14 მაისს გვეყოლა. 3 კილო და 300 გრამი, 51 სანტიმეტრი დაიბადა. ანასტასია 5 მაისს უნდა დაბადებულიყო, ვადას გადააცილა, ლოდინი აღარ შეიძლებოდა, ამიტომ გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ საკეისრო კვეთა გამეკეთებინა. ანასტასია გაჩნდა თუ არა, მაშინვე დათოს მკერდზე დაუწვინეს, დაახლოებით 5-10 წუთი მამასთან იყო.



■ ანასტასია

საკეისრო კვეთის დროს ნარკოზის ქვეშ არ ვიმყოფებოდი, მთელი ეს პროცესი გონებაზე ვიყავი, ამიტომ, როგორც კი ანასტასია გაჩნდა, დავინახე. თვალები ჯერ ცისფერი აქვს, თუმცა ამბობენ, რომ 6 თვის განმავლობაში შეიძლება შეეცვალოს.

ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ წინასწარ ბევრი არაფერი შემიძენია. სანამ არ დაიბადა, არ ვიცოდით, რას დავარქმევდით. მგონია, რომ სახელიც კი უნდა მოარგო ბავშვს. მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, რომ სახელი ანასტასია მოუხდებოდა ყველაზე მეტად. ჩემი მშობლები ჩამოვიდნენ კანადიდან. ანასტასიასთვის დედაჩემმა ჩამოიტანა ბევრი ტანსაცმელი და ნივთი, რომლებიც, რა თქმა უნდა, პირველ დღეებში ძალიან დაგვჭირდა.

ძიძა არ მყავს. ვფიქრობ, რომ პირველი პერიოდი შვილი დედასთან უნდა იყოს და ძიძა საჭირო არ არის. რძეს ყოველ ორ საათში თვითონ ვაჭმევ, ჩემზეა მოჯაჭვული. როცა წამოიზრდება, სამუშაო რეჟიმს დავუბრუნდები და ძიძაზეც ვიფიქრებ. ჩემი მეუღლეც მაქსიმალურად ცდილობს, დამეხმაროს. მარტო მის მოვლას ვერ შევძლებდი.

საკეისროს შემდეგ პირველი კვირა მაინც რთულია, თუმცა მეორე დღესვე ფეხზე ადგომას შევეცადე. საავადმყოფოდანაც მალე გავეწერე. როგორც ექიმმა მირჩია, სამი კვირის შემდეგ ვარჯიშის დაწყება შემიძლია. ორსულობის განმავლობაში 12-13 კილო მქონდა მომატებული. ვერ ვიტყვი, რომ ჩემს ძველ წონას დავუბრუნდი, მაგრამ ნელ-ნელა დავიკლებ“.



Cyan Magenta Yellow Black

Apifito PHARM

# ბალზამი 100% ნატურალური პროდუქტი !

როცა
თვით
ბუნება კურნავს...

# პრომიოდი



## ბალზამი „პრომიოდი“ — ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

ლეგენდებით მოცული კარპატის მთები, რომელსაც უმღერიან ხალხურ გადმოცემებში, განთქმულია არამხოლოდ მიწისქვეშა განძეულით. ჩვენ არც კი ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორი საოცარი იდუმალი ძალაა ჩამალული მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. კარპატის მთების დიდებული ბუნება ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიის და ნამდვილი ჯანმრთელობის წყაროა, რომელსაც ასე ხშირად უსურვებდნენ ერთმანეთს საბჭოური დროის მისალოც ბარათებში.




ჩვენ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, სხვა ქვეყანაში, მაგრამ ერთი კი უცვლელი დარჩა — ძლიერი ჯანმრთელობის სურვილი თქვენთვის და თქვენი ახლობლებისთვის და ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაემგზავროთ კარპატებში. მთების მკურნალი ძალა ინახება ჯადოსნურ ბალზამში „პრომიოდი“. იგი 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია.

ბალზამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია თავისთავად.

მის შემადგენლობაში შედის: თაფლი, პროპოლისი, კედრის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი. პრაქტიკულად ნებისმიერ მათგანს ხალხში უწოდებენ „ურალის ოქროს ფესვს“.

მხედველობაში აქვთ სამკურნალო თვისებათა უნივერსალობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, დაპატენტებული ტექნოლოგიით ურთულესი დამუშავების გავლის შემდეგ, ისინი იძლევიან კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელიც გამაოგნებელ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ უკვე დაეხმარა ათასობით ადამიანს თავიანთ დაავადებებთან გამკლავებაში.

მისი გამოყენების შედეგები შესამჩნევია უკვე პირველსავე დღეებში, შეინიშნება ჯანმრთელობის მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესება, განსაკუთრებით დაავადებათა მწვავე ფორმების დროს.

ბალზამი „პრომიოდი“ ხელს უწყობს სისხლის კაპილარების გაფართოებას და ავსებას, რაც აძლიერებს ვენოზურ გადიდებას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და შველის ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს, როგორიცაა იშემია, არითმია, სტენოკარდია, ასევე არტერიული წნევის ხტომების დროს. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ამინდის ცვლილებებზე დამოკიდებულება აწუხებთ, ეს შეუცვლელი საშუალებაა. ბალზამი ხსნის თავის ტკივილს, სტაბილურს ხდის წნევას, შველის სახსრებში ტეხვისას და, მაშასადამე, საყრდენ-სამოძრაო აპარატის მრავლობითი დაავადებების დროს (ართრიტი, ართროზი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი, ნევრიტი, მალთაშორისი თიაქარი, ქუსლის დეზი და ა.შ.). გარდა ამისა, „პრომიოდი“ არბილებს სისხლძარღვთა კედლებს. ხდის მათ უფრო ელასტიკურს და ამცირებს თავის ქალის შიდა წნევას. „პრომიოდი“ ხელს უწყობს ორგანიზმის აღდგენას ტრავმების შემდეგ, მათ შორის — თავის ტრავმის, ინსულტების, ინფარქტების შემდეგ. კარგი შედეგებია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, თვალის დაავადებები (კონიუნქტივიტი, გლაუკომა, კატარაქტა, ახლომხედველობა), შაქრიანი დიაბეტი.

„პრომიოდი“ ეფექტურია ნებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადების მოხსნის დროს (გრიპი, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციები, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ჰაიმორიტი, პაროდონტოზი, ყურის და სამწვერა ნერვის ანთებები, ოსტეომიელიტი, დისბაქტერიოზი და ა.შ.), ქრონიკული დაავადებების და ინფექციების რეციდივების (ასთმა, ბრონქიტი, პნევმონია, პროსტატიტი და ა.შ.) დროს.

გამოსცადეთ თქვენს თავზე ჯადოსნური ძალა ბალზამისა, რომელიც თვით ბუნების მიერაა შექმნილი.

მის დამზადებაზე იმუშავა ათასობით ფუტკარმა, რომლებიც დაუღალავად დაფრინავდნენ ყვავილიდან ყვავილზე. მზრუნველმა ხელებმა თაფლის კომპოზიციას დაუმატა სამკურნალო ზეთები იმ მცენარეებისა, რომლებიც დედამიწის წვენებს და სტიქიის ენერგიას შეიწოვენ.

შეიგრძენით „პრომიოდ“-თან ერთად კარპატების მაცოცხლებელი სუნთქვა.

---

მაწუხებდა სახსრები,სიარული მიჭირდა და აუტანელი ტკივილებიც მქონდა და პროსტატაც მაწუხებდა, რის შედეგაც ღამის განმავლობაში რამოდენიმე ჯერ ადგომი მიწევდა. ბალზამ „პრომიოდიტ“ მკურნალობის შემდეგ ტკივილები აღარ მაქვს,სიარული აღარ მიჭირს და ღამეც მშვიდად მძინავს. ახლა თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ და სიტკვები არ მყოფნის რომ გამოვთქვა ჩემი მადლიერება!



ვერძაძე ხასან. 80 წ.ქ. ბათუმი.

---

მაქვს რთული ქრონიკული კანის დაავადება-ფსორიაზი. კანი მექერცლებოდა და მექავებოდა. რომ შევიტყვე ბალზამ „პრომოიდის“ შესახებ მისი მიღება გადავწყვიტე,ვიღებდი შინაგანად და გარეკანზე(დაზიანებულ ადგილებზე) ვისმევდი. მკურნალობის 3 დღის შემდეგ ქავილი მომეხსნა,ორი კვირის შემდეგ კი გამონაყარიც გაქრა. მიღებული შედეგით გაოცებული ვარ.ბალზამის მიღება ახლაც ვაგრძელებ!

მაია კუკულაძე. 43წ.ქ. რუსთავი.

---

ძალიან მაწუხებდა ტკივილები სახსრებში, ამის გამო თითქმის ყოველდღე ტკივილგამაყუჩებელს ვღებულობდი, გარდა ამისა მაღალი წნევა,უძილობა და რინ ( ქრონიკუი სურდო) მაწუხებდა,რის გამო სუნთქვა მიჭირდა. ბალზამ ,,პრომიოდის,, პირველი კურსის შემდეგ ტკივილებმა სახსრებში გამიარა, საერთო მდგომარეობა გამიუმჯობესდა, ხოლო მეორე კურსის მიღების შემდეგ არტერიული წნევა დამირეგულირდა 120/70,ძილი გამიუმჯობესდა და ქრონიკულმა სურდომ გამიარა. მიღებული შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ! უღრმესი მადლობა თქვენ და ბალზამ ,,პრომიოდს,,!



აბურჯანია რუსუდანი 57 წ. ქ.ფოთი.

---

ერთი წლის წინ დამიდგინეს დიაგნოზი-გლაუკომა. პერიოდულად თვალის წნევა მიწევდა ხოლმე.საოპერაციო ვიყავი,მაგრამ არ დავთანხმდი და ჟურნალში წავიკითხე ბალზამ პრომიოდზე, შინაგანად მიღება დავიწყე თვალის ირგვლივ და საფეთქლებზე ვისმევდი.4 ქილის მიღების შემდეგ შევატყვე,რომ თვალის წნევამ დაიწია,ექიმი კი გაოგნებული იყო შედეგით,რადაგნ საოპერაციო ვიყავი,ეხლა კი ოპერაცია არ მესაჭიროება! დიდი მადლობა თქვენ და ბალზამ პრომიოდს!!!



დავიდ ლაფიაშვილი 73წ.თბილისი.



Cyan Magenta Yellow Black

ძალიან შეუძლოდ ვიყავი, მდგომარეობა იმდენად გაუარესებული მქონდა რომ სიცოცხლის ხალისიც კი არ მქონდა.ნერვოზი,გაღიზიანობადობა,სახსრებში ტკივილები მაწუხებდ,ამის გარდა 2010 წელს გადავიტანე 1 ინფარქტი, 3 მიკროინფარქტი და 1 ინსულტი, მქონდა ხშირი, აჩქარებული გულისცემა და საერთო სისუსტე, სახეზე ფერიც კი არ მქონდა იმდენათ დასუსტებული ვიყავი,ძალა არ მქონდა.ერთ თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ, სიარული დავიწყე,სახსრებში ტკივილები მომეხსნა, გაღიზიანობადოდა მომეხსნა,ძალა,ენერგია მომემატა,გულის რითმი დამირეგულირდა, აჩქარებული და ხშირი გულისცემა მომეხსნა,ეს ხომ საოცრებაა,ეხლა კი სიცოცხლის ხალის ვგრძნობ,თქვენმა ბალზამმა ფეხზე დამაყენა და უღრმეს მადლობას მოგიხდით ასეთი სასწაულისათვის!



ნარგიზი როსტიაშვილი 61წ.წეროვანი.

ბალზამ პრომიოდის 4 ქილა შევიძინე, მომეხსნა ტკივილები ხერხემალში, ასთმური შეტევაც კი არ მქონია,რომელიც ხშირად მაწუხებდა. მკურნალობამდე კი ძლიერი ტკივილები ხერხემალში მქონდა,რის გამოც გადაადგილება ძალიან მიჭირდა.ეხლა კი საერთო მდგომარეობა გამიუმჯობესდა და თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ, თქვენი უღრმესი მადლობელი ვარ!

ლეილა ბრეგვაძე.65წ. ქ.თბილისი

ბალზამის მიღების შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა გამიუმჯობესდა.მაქვს ჩიყვი და ქვედა კიდურების ართროზი,ტკივილების გამო სიარული ძალიან მიჭირდა.ახლა ვიღებ ბალზამ პრომიოდს და სულ მივიღე 7 ქილა,შევატყვე რომ სახსრები აღარ მტკივა და ჩიყვი დამიპატარავდა,ეს ხომ ჩემთვის არც ისე უმნიშვნელოა,
გმადლობთ ბალზამი ნამდვილად დამეხმარა!

მაყვალა კვაჭაძე.74წ.თბილისი.

ჩემი მდგომარეობა გამიუმჯობესდა 4 ქილის მიღების შემდეგ.მაქვს შაქრიანი დიაბეტი,ართროზი, ოსტეოქონდროზი,რომელიც 35 წელი მაქვს და ნაღველაც მაწუხებს.ბალზამის წყალობით შაქრის დომენ სისხლში დაიწია,მკურნალობამდე 400 მქონდა ,მთელი ზამთარი ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი,ეხლა კი ვდგები და ნელ-ნელა დავდივარ ,როგორც ადრე,ტკივილები სახსრებში აღარ მაქვს,შაქრის დონემ სისხლში დამირეგულირდა და ნაღველაც არ მაწუხებს. დიდი მადლობა !

ელგუჯა გოგატიშვილი.78წ.საჩხერე.

რამოდენიმე წლის წინ დამიდგინეს დიაგნოზი-ჰიპერტონია.წამლების მიღება დავიწყე.ამის გარდა ვარიკოზიც აღმომიჩნდა,ქვედაკიდურებში სიმძიმის შეგრძნება მქონდა.გაზეთში ამოვიკითხე ინფორმაცია პრომიოდის შესახებ,მისი შემადგენლობა ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე მიღება.ბალზამს ვღებულობდი შინაგანად და გარეკანზე ანუ ვენებზეც ვისმევდი თხლად. რამოდენიმე კვირაში( 8 ქილა მივიღე) სიმსუბუქე ვიგრძენი ქვედაკიდურებში და არტერიული წნევამ დამირეგულირდა.ამის ფონზე წამლების მიღება შევცყვიტე.დიდი მადლობა თქვენ და ყველას ვურჩევ ბალზამის მიღებას,რადგან ის ნამდვილად შედეგიანია!

მურაჩაშვილი ზურაბი. 52წ.ქ.თბილისი.

ყველაზე მთავარია იმ ხალხთა გულწრფელი წერილები, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ბალზამ „პრომიოდ“-ს კეთილისმყოფელი მოქმედება.

ჩემი ახლობლებისგან გავიგე ბალზამის თაობაზე , მეც მირჩიეს ეს პროდუქცია და გადავწყვიტე თქვენს ლეკციაზე მოსვლა და ბალზამის შეძენა.უკვე დიდი ხანია როგორც მაწუხებს ოსტეოონდროზი,ვერ დავდიოდი,კოლიტი ,თირკმელების პრობლემები და ჰაიმოროტი მაქვს,ამის გამო სუნთქვა მიჭირდა და ცხვირიდან გამონადენი მქონდა.2,5 თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ( 10 ქილა) შევატყვე,რომ წელის და ფეხების ტკივილმა გამიარა,თირკმელებიც აღარ მაწუხებს ,კუჭის მოქმედება დამირეგულირდა,ცხვირიდან ჩირქოვანი გამონადენი მქონდა და გამისუფთავდა , სუნთქვაც აღარე მიჭირს,არ მჯერავს,რომ ამის საშველი დადგა! უღრმეს მადლობას მოგიხდით თქვენ ყველას!

თამარი ტყეშელიაძე.

## „პრომიოდი“-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

## ყურადღება!!! განრიგში ცვლილებებია!!!

**თბილისი**

**29, 30, 31 მაისი, 1, 2, 3, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 ივნისი**
მის.: ბახტრიონის 22. 15.00-17.00 სთ.
ვარკეთილი – 3,2 მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის 1. 167-ე მარშრუტკის ბოლო გაჩერება, „ავერსის“ აფთიაქის თავზე. ყოველდღე, 10.00-20.00 სთ.

**1 და 15 ივნისი, თელავი.** მის.: 26 მაისის ქ. 5. ჭადრაკის სახლი. 11.00-12.00 სთ.

**3 და 17 ივნისი, რუსთავი.** მის.: შარტავას 13 მიმდ. ტერ. „ბაო“, 10.00-11.00 სთ.
**კასპი.** მის.: კოსტავას 1. კულტურის სახლი, 13.00-14.00 სთ.
**გორი.** მის.: სტალინის გამზ. 26. სასტუმრო „ჯორჯია“. 16.00-17.00 სთ.

**4 და 18 ივნისი, ბათუმი.** მის.: ზუბალაშვილების 18. სასტუმრო „თიკო“. 10.00-12.00 სთ.
**ოზურგეთი.** მის.: იოანე პეტრიწის 1. რესტორანი „იზაბელა“. 11.00- 12.00 სთ.
**ქობულეთი.** მის.: აღმაშენებლის გამზ. 388. სასტუმრო-კაფე „რივიერა“, 13.00-14.00 სთ.
**ფოთი.** მის. 9 აპრილის 10. „ბალუ“. 15.00-16.00 სთ.
**ზუგდიდი.** მის. გამსახურდიას 26. „ატრიუმი“. 17.00-18.00 სთ.

**5 და 19 ივნისი, სამტრედია.** მის.: შ. რუსთაველის 21. რესტორანი „ჭურტავა“, 10.00-11.00 სთ.
**ქუთაისი.** მის.: კოსტავას 25. სასტუმრო „ლია“. 12.00-13.00 სთ.
**ზესტაფონი.** მის.: სტაროსელსკის 22. სასტუმრო „ალტედე“. 14.00-15.00 სთ.
**ჭიათურა.** მის.: აღმაშენებლის 91. სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“. 16.00-17.00 სთ.

**6 და 20 ივნისი, ახალციხე.** მის.: კოსტავას 4/24. ბარი „სტუმრად ნუკისთან“. 12.00-13.00 სთ.
**ბორჯომი.** მის.: რუსთაველის 101. სასტუმრო „ოლიმპი“. 14.00-15.00 სთ.
**ხაშური.** მის.: კოსტავას 6. აფთიაქი. 16.00-17.00 სთ.

**ერთი შეფუთვის მასა: 120 გრამი**
**მინიმალურ შეკვეთა — 2 შეფუთვა**

**არ წარმოადგენს მედიკამენტს. მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია, საქონელი სერთიფიცირებულია.**

www. apifito.net

**გამოსცადე ბალზამის სამკურნალო თვისება. ბუნების საჩუქარი.**

**საინფორმაციო:**

# 571 22 98 98

# თამარ ივერს საქართველოდან ევროპის თეატრებში უჩივლეს

## „არ მინდა, თბილისში ვიხილო შიშველი მამაკაცების სექსუალური მოძრაობები!"



„ეს წერილი იქნება თარგმნილი და მიწოდებული მსოფლიოს ყველა დიდი თეატრის ადმინისტრაციისთვის. რეაქციის მიხედვით შეგიძლიათ მიხვდეთ, რამდენად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი ბრძანდებით. თქვენმა წერილმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ გონებრივ სიბნელეს და სიქაჯეს ვენა და მილანი ვერ შველის" — ეს და ამგვარი შინაარსის მესიჯები „ფეისბუქში" მსოფლიოში ცნობილი ქართველი სოპრანოს, რომელიც ევროპის თეატრებში მღერის, თამარ ივერის პასუხად მას შემდეგ გავრცელდა, რაც ის იმავე სოციალურ ქსელში მწვავედ და ემოციურად გამოეხმაურა საქართველოში ბოლო დროს ჰომოსექსუალთა თემის გააქტიურებას და მისგან გამომდინარე შედეგებს.

„აბსოლუტურად ამაყი ვიყავი იმ ფაქტით, თუ რა გვარიანად შეაფურთხა ქართულმა საზოგადოებამ თქვენი გუნდის ხელშეწყობით გამართულ აქციას... აქციის ორგანიზატორებს ამჯერადაც კოვზი არა ნაცარში, არამედ სოფლის ტუალეტის ფსკერზე რომ მასაა, იმაში ჩაუვარდათ... გამალებული ნუ ეწევით საქართველოს ხალხის მენტალიტეტში დასავლეთის „ფეკალური მასების" შემოტანა-პროპაგანდას", — სწერდა თამარ ივერი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს 17 მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგ.

მომღერალი ამჟამად საფრანგეთში იმყოფება, სადაც მას „სარკე" დაუკავშირდა და ამ ამბების შესახებ ესაუბრა.

**— ქალბატონო თამარ, სოციალურ ქსელში თქვენს წერილს და მოწოდებებს საქართველოში, ერთი მხრივ, დიდი მხარდაჭერა, მეორე მხრივ, აღშფოთება მოჰყვა. რამ გიბიძგათ, ევროპიდან ეს მიმართვა გამოგეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტისა და ხალხისადმი?**

— რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციებში ყველაზე ადვილია „დუმილი ოქროა"-ს პრინციპით ცხოვრება. საზოგადოებისთვისაც მუდამ ჰოლივუდური ღიმილით მომღიმარი, მხოლოდ შენს შემოქმედებაზე, „აქ ვიმღერე, იქ ვიმღერე"

**„ევროპული კარიერა თითქმის 15 წელია მაქვს. ყველა თეატრმა, აგენტურამ თუ ჩემმა კოლეგებმა იციან, როგორი „ჰომოფობი" ვარ. საოპერო სამყაროში საკმაოდ ბევრი ცნობილი სახეა სექსუალური უმცირესობიდან. ვინ ვინ და, პირველ რიგში, მათ იციან, როგორ ვეპყრობი მათ წარმომადგენლებს. მე იმდენად კარგი კოლეგა და მეგობარი ვარ და ვიყავი მათთვის, რომ ერთი არასწორი კუთხით გაშუქებული სტატუსით ნამდვილად არ შეიცვლიან ჩემზე წარმოდგენას".**

თემებზე მოსაუბრე უფრო „თეთრი" და „ფუმფულა" დარჩები, მაგრამ არის მომენტები, როდესაც მართლა გტკივა და გაწუხებს რაღაც გარკვეული მოვლენა, რაც შენს ქვეყანაში ხდება და ასეთ დროს შენი სპექტაკლი თუ გამოსვლა რაღაცნაირად მეორე პლანზე გადადის, შენში რაღაც პატრიოტული იღვიძებს. მიხარია, რომ მყავს რამდენიმე კოლეგა, რომლებსაც ევროპონორარებით კუჭის გაძღომის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ სამშობლოზე ფიქრი და იქ მიმდინარე მოვლენებისადმი ინტერესი. ჩვენს თუნდაც განსხვავებულ აზრებს საჯაროდ ვაფიქსირებთ. არიან ისეთი გამონაკლისებიც, რომლებსაც, რაც უნდა ხდებოდეს საქართველოში, მაინც საკუთარ წარმატებაზე წერით ურჩევნიათ შემოიფარგლონ. ეს მათი უფლებაა, არავის განვსჯი.

რაც შეეხება ჩემს ამასწინანდელ ყბადაღებულ სტატუსს, რომელმაც ამხელა დადებით-უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია, ვიტყვი ერთს: იმ დღეს მკითხველიც შემატყობდა, რომ ძალიან აჟიტირებული და აბსოლუტურად გულწრფელი ვიყავი ჩემს მოსაზრებებში. სტატუსის ბოლოს ბოდიშიც ვთხოვე მკითხველს, თუ იგი ამ ყოველივეს სითავხედეში ჩამითვლიდა. საერთოდ, არ მახასიათებს ძალადობრივი თუ ფაშისტური აზროვნება, როგორც მავანთ შერაცხეს ჩემი პიროვნება. პირიქით, საოცრად მტკივა ყველანაირი უსამართლობა, ძალადობა ადამიანებზე, ცხოველებზე... ეს თემა, ისევე როგორც მეძავობა, საზოგადოებაში ოდითგანვე არსებობდა და არსებობს. ეს ადამიანები ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები, ხშირად სხვებზე გამორჩეული ინტელექტუალური გონების პატრონები და ჩვენი მეგობრებიც არიან.

**„ჩემთვის ის გოგო-ბიჭები, ვინც 17 მაისს ხმამაღლა თქვეს, მე გეი ვარო, უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ტელეეკრანებთან და „ფეისბუქის" კლავიატურასთან ჩასაფრებული „ელიტური უმცირესობები". ასეთი მხდალი ყურცქვიტები ჩემთვის ანტივაჟკაცობის ნიმუშები არიან. თუ გული შესტკიოდათ, რატომ არ გავიდნენ და დაუდგნენ გვერდით?!".**

ჩემი აჟიტირება გამოწვეული იყო იმ აურზაურით, ალიაქოთით და უნებლიე თუ მიზანმიმართული აგიტაცია-პროპაგანდით, რაც იმ დღეებში გადმოდიოდა მედიის საშუალებით. ახლობლები მირეკავდნენ და აღშფოთებულები მეუბნებოდნენ, აღარ შეგვიძლია, ბავშვები მთელი დღე გეიაღლუმზე ლაპარაკობენ, გვეკითხებიან, რა არის, კონკრეტულად რომ არ ვპასუხობთ, მერე ინტერნეტში იქექებიან, გვთხოვენ, წავიყვანოთ, აინტერესებთო... ზოგი რუსულენოვანი მედიასაშუალება მთელი დღე გახარებული ატრიალებდა ირონიულ ფრაზას „გრუზინსკიე პიდარასტი"...

პრეზიდენტთან და მის მეუღლესთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ალბათ ჩემგან გაუკვირდებოდა კიდეც ეს სტატუსი, მაგრამ იმ მომენტში მეგობრობაზე მაღლა ქვეყნის მორალური ინტერესები დავაყენე. ძალიან ვწუხვარ, თუ ეს ყოველივე ჩასაფრებულმა ადამიანებმა ჩემს ჰომოფობიურ გამოვლინებად ჩათვალეს.

**— 17 მაისის მოვლენების შემდეგ საქართველოში ატყდა ერთი სჯა-ბაასი, ჰომოსექსუალიზმი შეძენილია თუ თანდაყოლილი, ზნედაცემულობაა თუ ნორმა. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— ამერიკელმა ექიმმა და მეცნიერმა, ჩარლზ სოკარიდესმა ბევრ ასეთ „შეძენილ" პაციენტს უმკურნალა. ისინი ჩვეულებრივ ოჯახურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. რაც შეეხება ასეთად დაბადებულ ადამიანებს, ეს უკვე თანდაყოლილი მოვლენაა და ვფიქრობ, არავინ უნდა ეცადოს მათ გადაკეთებას და ჭკუის სწავლებას.

აღარ გვინდა მსჯელობა იმაზე, თუ საიდან მოდის ადამიანში ეს ყოველივე. ვფიქრობ, რომ ეს ისეთივე მოვლენაა, როგორც ადამიანის ცაციად დაბადება. თუ მუცლიდანვე მეყოლება ასეთი შვილი, მას ისეთს მივიღებ, როგორიც იქნება და ყველანაირი მეყვარება. თუმცა ასევე ფაქტია, რომ ბევრს გარკვეულ წრეში შესვლასთან და მოდის აყოლასთან ერთად შეძენილიც აქვს. აბა, რას მივაწეროთ, როცა მამაკაცს მშვენიერი ცოლშვილი ჰყავს და 30-40 წლის ასაკიდან ხდება ასეთი? ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვობაში პატარა ბიჭებზე უძალადიათ და მერე წასულა მათი ცხოვრება ამ მიმართულებით.

ამის პროპაგანდა საქართველოში ნამდვილად არ არის საჭირო. ყველამ კარგად იცის, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მას პროპაგანდა უკეთდება, საოცრად დაცემულია დემოგრაფიული მაჩვენებელი. კი, ბატონო, ჰოლანდია, ბელგია თუ საფრანგეთი აიტანს დემოგრაფიულ პრობლემას, მაგრამ საქართველოს სხვა ტვირთი აწევს მხრებზე, რომ არაფერი ვთქვათ მუდმივ შინაომებსა და დაკარგულ ტერიტორიებზე.

ვხედავთ, რომ ქვეყანაში ასე ძლიერია რელიგიის ფაქტორი, რის გამოც მსგავსი ფაქტები უფრო მეტ აღშფოთებას იწვევს. ევროპაში რელიგია და ეკლესიები უკვე თითქმის მხოლოდ ტურისტების მოსანახულებელ ადგილებად გადაიქცა. ამ ყოველივეს შედეგია ის დაპირისპირებაც, რამაც რომის პაპ ბენედიქტეს პოსტის დატოვებისკენ უბიძგა და გერმანულმა პრესამ ამაზე აშკარად მიანიშნა. ასე რომ, დასავლური ღირებულებების და მისი განურჩევლად ყველაფრის გამალებული აგიტაცია-პროპაგანდის მიუხედავად, მგონი, საქართველოს ორგანიზმისთვის ასეთი მოვლენები მაინც უცხო სხეულად აღიქმება.

განსაკუთრებული გაღიზიანება იმ შეუპოვრობამ გამოიწვია, როდესაც პატრიარქი, ერი და ბერი გთხოვს, აქცია არ ჩაატაროთ ქვეყნისთვის იმ წმინდა ადგილას, სადაც ქაშუეთის ეკლესია არის, სადაც წინა დღეს ეროვნული გმირების პანაშვიდი იყოო... გაქვს ინფორმაცია, რომ ამას შეიძლება დიდი შეხლაშემოხლა მოჰყვეს და ყველას აზრს იგნორირებას უკეთებ, დუელში იწვევ, შემდეგ კი გაკვირვებული ხარ ხალხის უარყოფითი რეაქციით. თუ საკუთარი აზრის დაფიქსირების ასეთი აუცილებლობა იყო, ქალაქგარეთ, ამერიკის საელჩოს წინ მაინც გაეკეთებინათ. მე თუ მკითხავთ, როგორც ევროპის ქვეყნებშია, ჯობია, საქართველოშიც იყოს რაიმე სკვერი, თუნდაც აღნიშნული საელჩოს წინ მდებარე ცარიელი ტერიტორია, სადაც თავიანთი გრძნობების ასეთ საჯაროობას მოწყურებულ ადამიანებს შეეძლებათ აზრის გამოხატვა. ჩემი აზრით, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ბრმა იარაღი იყვნენ მათ უკან მდგომი იმ უხილავი ბობოლებისა, ვინც „მუსიკას უკვეთავენ"...

ჩემთვის ის გოგო-ბიჭები, ვინც 17 მაისს ხმამაღლა თქვეს, მე გეი ვარო, უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ტელეეკრანებთან და „ფეისბუქის" კლავიატურასთან ჩასაფრებული „ელიტური უმცირესობები". ასეთი მხდალი ყურცქვიტები ჩემთვის ანტივაჟკაცობის ნიმუშები არიან. თუ გული შესტკიოდათ, რატომ არ გავიდნენ და დაუდგნენ გვერდით?!

კარგი იქნება, თუ იმას გადმოვიღებთ დასავლეთიდან, რაც აღგვაფრთოვანებს და ნუ გადმოვიღებთ ცუდს, მანკიერს, გარყვნილ აღლუმებს. ნუ გადავაქცევთ ეკლესიებს →74



Cyan Magenta Yellow Black

# სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაში ადანაშაულებენ

## უკრავს თუ არა ხურცილავა გეების სიმბოლოიან გიტარაზე

17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღსანიშნავი აქციის დარბევა კიდევ ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ ქართველები ერთმანეთს გადაჰკიდებოდნენ. ვინც ჰომოსექსუალების, ე.წ. ლგბტ-ებისა და მათი მომხრეების დარბევას არ ეთანხმება, თავის მხრივ, არც იმას ინდობს, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს. მაგალითად, ევროპაში მცხოვრები ქართველი საოპერო მომღერალი, თამარ ივერი, რომელიც სამშობლოში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდით აღშფოთდა და მართლმადიდებლურ ეკლესიას ღიად დაუჭირა მხარი, თანამემამულეებმა ევროპაში „ჩაუშვეს“ — მისი წერილი გადათარგმნეს და გერმანიაში, იმ ოპერაში გააგზავნეს, სადაც თამარ ივერი მღერის. იდეა, რომ თამარ ივერის „ნაბოდვარი“ ეთარგმნათ და ევროპის ოპერის თეატრებისთვის მიეწოდებინათ, საქართველოში ამჟამად ყველაზე პოპულარული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტ ქეთი დევდარიანს ეკუთვნის.

დევდარიანმა სახელდახელოდ ანეკდოტიც მოიფიქრა და „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა — ქართველ ვაჟკაცებს ნორვეგიელები, შვედები და ჰოლანდიელები ეცოდებათო. სერიალში კი ძალის დემონსტრირების იარაღად სწორედ ისეთი „ტაბურეტკა“ გამოჩნდა, როგორიც, გავრცელებული კადრების მიხედვით, ერთ-ერთ მღვდელს აქციაზე ხელში უჭირავს.

ალბათ ამ და სხვა ეპიზოდების გამო სერიალის მიმართ ბრალდებები გაისმა, რომ მასში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა. შესაძლოა ამისთვის სასამართლოშიც უჩივლონ. „სარკე“ ქეთი დევდარიანს ესაუბრა.

**ქეთი დევდარიანი:** ვაპროტესტებ ძალადობას, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს ეს! ამ ქვეყანაში უზენაესი კანონი არის კონსტიტუცია და ნებისმიერი ქმედება, რომელიც სცილდება კონსტიტუციის ფარგლებს, დანაშაულია.



— **ფიქრობთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ლგბტ-ების უფლებები ირღვევა?**

— ჩვენს ქვეყანაში ლგბტ-ების უფლებები რომ დაცული არ არის, ამ აქციებზე გამოჩნდა. ადამიანს აქვს თავისი უფლებები, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლება და ამ ფორმატში იყო აქცია. პოლიციელის დაცვა რომ სჭირდება ადამიანს, მისი უფლებები არ ირღვევა?! ვისაც ურტყამენ, იმას იცავენ, აბა, პოლიცია მოცლილი ხომ არ არის?! რადგან შეიარაღებული ადამიანის დაცვა სჭირდებათ, ესე იგი, ჩაგრავენ. ვისაც როგორ უნდა, ისე რომ ივლის ქუჩაში, აი, მაშინ არის დაცული მისი უფლება. ამ დღეებში გრძელი თმის გამო ბიჭი რომ სცემეს, დაცულია მისი უფლება?!

— **აქამდე რომ არ მასხსენდება, გრძელი თმის გამო ვინმე ეცემათ?**

— შარშანაც სცემეს ლგბტ აქტივისტები. უბრალოდ მანამდე ამხელა მასშტაბებით არ ჩატარებულა აქცია. შარშანაც დასჭირდათ პოლიციის ჩარევა. 17 მაისი ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეა და მთელ მსოფლიოში აღინიშნება. საქართველოს მოქალაქეებსაც აქვთ ამის უფლება. ეს არ არის გეიაღლუმი. ფობია შიშს ნიშნავს ანუ შიში აქვთ სექსუალური უმცირესობების მიმართ.

— **თუ მხოლოდ აქციების დროს სცემენ, გამოდის, რომ თუ აქციას არ მართავენ, არავინ ერჩით.**

— შეიძლება ჯგუფურად არ ერჩიან, მაგრამ ვინ მეზობელს ერჩის და ვინ ვის. ლგბტ-ებს ჰკითხეთ, ჩაგრავენ თუ არა. სტატისტიკა არსებობს. მშობლები სჯიან შვილებს იმის გამო, რომ გაიგეს მათი ორიენტაციის შესახებ... რატომ მალავენ ადამიანები ამას? იმიტომ, რომ ამის გამო არ დაისაჯონ.

— **თქვენს შვილზე რომ გაიგოთ, გეია, როგორ მოიქცევით?**

— მოვკლავ! ასეთ პასუხს ელოდებით, ხომ? ჩემი შვილი რომ 190 სანტიმეტრი გაიზარდოს ან ცაცია იყოს, რა ვუყო? მუსიკალური სმენა რომ არ აქვს, დავსაჯო?! სექსუალური ორიენტაცია არ არის არჩევანი. ჩემი შვილი რომ იყოს ოროსანი, დავსჯი. კაცის მკვლელი რომ იყოს, სამართალდამცავ ორგანოებს მის დაჭერაში დავეხმარები, ვიღაცას რომ სკამით გაეკიდოს, დავსჯი. თუმცა ველარ დავსჯი, რადგან უკვე სრულწლოვანია. თუ ისე მოხდება, რომ ჩემს ორგანიზმში ჩაისახება გეი ადამიანი, ვერაფერს შევცვლი. ჩემი შვილი დამიმალავს, თუ ეცოდინება, რომ როგორც კი ამას გავიგებ, მოვკლავ.

ეგ ცუდი კითხვაა. ანუ სხვისი შვილები ფეხებზე მკიდია და ჩემსაზე განვიცდი? ჩვენს საზოგადოებაში ბიჭი რომ უჩნდებათ, ის უფრო უხარიათ და რა ვქნათ გოგოებმა? გეიპროპაგანდა არ არსებობს, რადგან ტელევიზორში ნანახით ადამიანი გეი არ ხდება, ასეთი უნდა დაიბადო!

— **სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებსაც“ ადანაშაულებენ გეიპროპაგანდაში. ფილმში ერთი პერსონაჟი გეი გყავთ, რომელიც შესანიშნავად იცავს თავის უფლებებს. ერთ-ერთი გმირის, ირაკლი ხურცილავას გიტარას კი ლგბტ-ების სიმბოლოს — ცისარტყელას ფერების საკიდი გაუკეთეთ. სერიალის შემქმნელებს უნდა გვიჩივლოთო, წერდნენ.**

— კი, ვიცი, ამას რომ ამბობენ. 24 სერიაა ხურცილავას ეს საკიდი უკიდია. ცისარტყელა რომ გამოდის ცაზე, ეგეც გეიპროპაგანდაა?! ტილო კიდია ნინას სახლში და იმაზეც თქვეს, ლგბტ-ების ფერებშიაო. ყველანაირად ვეცდები, ჩემი შვილი ისე არ გაიზარდოს, რამდენჯერაც ცისარტყელას დაინახავს, გული გაუსკდეს.

— **ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სერიალმა გეიპროპაგანდაში დიდი გრანტი მიიღო.**

— ჩვენ ავიღეთ დიდი ფული? 4 მილიონი ავიღეთ და 4 მილიონი რა ფულია?! თქვენ გგონიათ, რომ ჰომოსექსუალებს დიდი ფული აქვთ და პროპაგანდაში იხდიან, რომ ყველა გეი გახდეს?! მგონია, რომ ეგ ვიღაც სულელის ნათქვამია. ხურცილავას გიტარის საკიდში 25 ათასი ლარი გადავიხადეთ და გეიპროპაგანდას ვეწევით! გვიჩივლონ და დაინახავენ, რისი პროპაგანდაც ხდება. პროპაგანდაა თუ რეკლამა? თუ ფულია გადახდილი, ეგ პლეისმენტია — ფულს გიხდიან და სერიალში რაც უნდა, გამოაჩენენ. თუ შენ თვითონ აჩენ ამას, ეგ პროპაგანდაა. ჯერ გაერკვიონ, რომელია, პლეისმენტი თუ პროპაგანდა და მზად ვართ, მთელმა კოლექტივმა პასუხი ვაგოთ.

— **ჰომოსექსუალ პერსონაჟზე რას გვეტყვით, როგორ და რატომ გამოჩნდა იგი ფილმში?**

— გვყავს მასწავლებელი, გვყავს დიასახლისი, გვყავს ძაღლი, ავადმყოფი და ასევე გეიც. ყველა პერსონაჟი გვყავს და გეი რატომ არ უნდა იყოს?! მე კი არ მინახავს ნამდვილი ჰომოსექსუალი, მაგრამ ჩემი მეგობრებისგან მსმენია.

**ქეთი დევდარიანი: „გვყავს მასწავლებელი, გვყავს დიასახლისი, გვყავს ძაღლი, ავადმყოფი და ასევე გეიც. ყველა პერსონაჟი გვყავს და გეი რატომ არ უნდა იყოს?!".**

— **თქვენს მეგობრებს შორის არ არიან გეები?**

— შეიძლება არიან, მაგრამ ისე ეშინიათ ამ „ტაბურეტკიანი“ ხალხის, რომ მალავენ. საქართველოში ვინ გაბედავს თქმას, ჰომოსექსუალი ვარო. იმ აქციაზე გეები არ იყვნენ, ეშინიათ გარეთ გამოსვლის.

**ქეთი დევდარიანი: „გადავთარგმნი თამარ ივერის ნაბოდვარს გერმანულად, გავაგზავნი ოსტერიაიხში და მერე იმედია, გამოადეპორტებენ იქიდან და იმღერის სადმე ჯიგრულ, მკაცრად ჰომოფობიური პროფილის რესტორანში პირქონიანი ბონძლი ჯიგრებისთვის".**

— **თქვენი „ფეისბუქის“ პოსტებით თუ ვიმსჯელებთ, თამარ ივერის წერილმა, რომელშიც ღიად ადასტურებს, რომ ლგბტ-ების აქციას ეწინააღმდეგება, ძალიან გაგაბრაზათ. დაემუქრეთ, რომ მის წერილს გადათარგმნიდით და ევროპაში ოპერის თეატრებს გაუგზავნიდით. წერდით: „გადავთარგმნი თამარ ივერის ნაბოდვარს გერმანულად, გავაგზავნი ოსტერიაიხში და მერე იმედია, გამოადეპორტებენ იქიდან და იმღერის სადმე ჯიგრულ, მკაცრად ჰომოფობიური პროფილის რესტორანში პირქონიანი ბონძლი ჯიგრებისთვის“. ასე გაბრაზდით განსხვავებული აზრის გამო?**

— დიახ, თამარ ივერმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომ ჩვენ გავბრაზდით და უნდა გადავთარგმნოთ და გავაგზავნოთ!

— **თამარ ივერმა მითხრა, რომ უკვე გაუგზავნიათ საქართველოდან მის მიერ დაწერილი ტექსტის თარგმანი.**

— ყველა ენაზე გადაითარგმნა. ის ხომ ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრობს, სადაც ასეთი რაღაცეები კანონით აკრძალულია, რადგან იმ ადამიანების შეურაცხყოფაა, ვინც ოპერაში დადის. გაგიკვირდებათ და გეებიც დადიან ოპერაში. შეურაცხყოფას რომ აყენებ ამ ხალხს და თან — ევროპას, რომელიც ფულს გიხდის, რა ჰქვია, არ ვიცი. თვითონვე წაშალა მერე ეს განცხადება. ეტყობა, იქ ვიღაცამ დაარიგა, რომ ასეთი განცხადებების გაკეთება სირცხვილი და თავის მოჭრაა.

— **გაგიგიათ, რომელიმე თუნდაც ევროპული ქვეყნის ცენტრალურ მოედანზე რომ მსგავსი აქცია გამართულიყო?**

— ამ დღეს იქ აღნიშნავენ, სადაც არ არის დაცული ამ ადამიანების უფლებები. ქვეყანაში, სადაც კონსტიტუცია ყველაფერზე მაღლა დგას, არ სჭირდებათ ასეთი აქციის ჩატარება. გეი თუ რამეს დააშავებს, ჩვეულებრივ მოქალაქესავით სჯიან. გავლისთვის როგორ უნდა დასაჯონ?! რუსთაველი არ აქვთ პრივატიზებული ჰეტეროსექსუალებს. მერიისგან თუ აიღებ ნებართვას, სადაც გინდა, იქ გამართე აქცია. მაგალითად, ინგლისში, დედოფლის სასახლესთან არავის აქვს აქციის ჩატარების უფლება, კანონით აკრძალულია. რუსთაველზე კი ეს ყველას შეუძლია.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# „ვნანობ, რომ ნანუკა ჟორჟოლიანსაც არ მოვდე!“

## რითი დაემუქრა ლალი მოროშკინა მიხეილ სააკაშვილს

„ძვირფასო მეგობრებო, არ შემიძლია ერთი ამბავი არ გაგიმხილოთ. დამირეკა ნანუკა ჟორჟოლიანის პროდიუსერმა მაია სტეფნაძემ, რომელმაც შემომთავაზა შოუში მონაწილეობის მიღება!!! ეს ის ხალხია, რომელმაც მე გამიმეტა დაჭერისთვის, განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით აღძრულ საქმეზე ხელი ჰქონდათ მოწერილი!!! ეს ის ადამიანია, ვინც გაიძახოდა, ლალიმ ჩანგალი პირდაპირ არტილერიაში დაუმიზნაო! ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ჩემი შვილები საახალწლოდ უდედოდ დატოვეს! რა ხდება, ხალხნო, ნანუკას ჩაფლავებული რეიტინგის გულისთვის ასეთი უღირსობა უღირთ თუ ასეთი მიმტევებელი ვგონივარ?“ — ამგვარად გამოხატა თავისი აღშფოთება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მრჩეველმა, სკანდალური „ბეგრაუნდის“ მქონე ცნობილმა ქალბატონმა, ლალი მოროშკინამ, „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

ტელეპროდიუსერი მაია სტეფნაძე ადასტურებს, რომ ლალი მოროშკინას გადაცემაში მონაწილეობა მართლაც შესთავაზა. მერე კი მოვლენები ისე განვითარდა, რომ ახლა ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან მას ბოდიშის მოხდას სთხოვს. მიზეზებს ქვემოთ შეიტყობთ.

ლალი მოროშკინა, რომელმაც მთავრობაში პოსტი მას შემდეგ მიიღო, რაც ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილი მოვიდა, დარწმუნებულია, სააკაშვილის რეჟიმი რომ არ შეცვლილიყო, ახლა ციხეში იქნებოდა.

**ლალი მოროშკინა:** უმძიმესი პერიოდი გადავიტანე და როცა ამ ყველაფრის ერთ-ერთი ავტორი და იდეოლოგი კვლავ აპირებს ჩემს მიპატიჟებას იმ ტოქ შოუში, სადაც მე განაჩენად გამომიტანეს 9-დან 15 წლამდე პატიმრობა ადამიანის განზრახ მკვლელობის მუხლით და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია ახალ ყოფასა და მთავრობაში... ყველაფერს აქვს საზღვარი. სენტიმენტალური არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ წინა ახალ წელს ჩემი შვილები ნაძვის ხის გარეშე შეხვდნენ, დედაჩემი კი მოდულის შენობის კართან იდგა. ახლა კი დამირეკა მაია სტეფნაძემ და გადაცემაში მიმიპატიჟა. მე ისეთი შოკისმომგვრელი რეაქცია მქონდა, ვუთხარი, „ღადაობ“, როგორ მიბედავ, კიდევ რომ მეპატიჟები-მეთქი. მიპასუხა, კარგი, კარგი, ბოდიშიო. მერე ჩვენი საერთო ნაცნობებისთვის უთქვამს, ნეტავ, რატომ გაბრაზდა ასე ძალიანო.

— **რა თემაზე იყო გადაცემა?**

— რა მნიშვნელობა აქვს? ჩემთან, ვარცხნილობიდან თუ ფეხსაცმლიდან დაწყებული, ნებისმიერ თემაზე შეიძლება საუბარი და მე ვარ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი თემა აქციოს შოუდ. „ნანუკას შოუს“ ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს. ამიტომ სჭირდება იმიჯის შეცვლა, რომ მასთან მივიდნენ ის ადამიანები, რომლებიც რეჟიმის მსხვერპლნი გახდნენ. მე ღიად ვუპირისპირდებოდი იმ რეჟიმს! ჩემი მისვლა მისი რეაბილიტაცია იქნებოდა, მე კი ასეთი კეთილშობილური ნაბიჯები არ მახასიათებს. მარჯვენაში თუ გამარტყეს, მარცხენაში ისეთი გარტყმა ვიცი, კბილებს ველარ აკრეფენ! კარგია ქრისტიანული მორალი, მაგრამ მე ჩემი მორალით ვცხოვრობ. ყველამ კარგად იცოდეს — მე ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც ვიყავი, ზუსტად ისევ ისე ვაბრუნებ ხურდას!

მაშინ, როცა ნანუკას გადაცემაში ის ცნობილი ინციდენტი მოხდა (შარშან, ტელევიზიით „ნანუკას შოუს“ მიმდინარეობის დროს, შოუში მონაწილე ლალი მოროშკინამ გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ მთავარ რედაქტორ თაკო ფხაკაძეს კისერში ჩანგალი ჩაარტყა. ავტ.), ტელეკომპანია „კავკასიაში“ პირდაპირ იმიტომ წავედი, რომ არ ეთქვათ, ნასვამი იყოო და იქ იურიდიული ენით ვისაუბრე. ნახეს, რომ სრულიად ადეკვატური ვიყავი. თქვენც გესაუბრეთ იმ ღამეს, მაგრამ ისეთი ძლიერი შოკი მქონდა, ბევრი რამ და მათ შორის ეგ საუბარიც არ მახსოვს. როგორც კი განცხადება გავაკეთე იმაზე, რაც მოხდა, მაშინვე მივიდნენ ახლომდებარე პოლიციაში და ჩვენება მისცეს. არადა ჩაფარცხვა უნდოდათ ამ ყველაფრის და ეს იქიდან ჩანს, რომ გადაცემის ბოლოსკენ თაკო ფხაკაძემ კაბა გამოიცვალა და ნუკი კოშკელიშვილსაც (ისიც ამ შოუს მონაწილე იყო. ავტ.) სთხოვეს, ეს ამბავი არ გაეხმაურებინა. თუ ცუდად იყო ფხაკაძე, კაბა როგორ გამოიცვალა?!

ჩაფარცხვის გეგმა რომ ჩაეფუშათ, წავიდნენ პოლიციაში და სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, ითხოვდნენ, 9-დან 15 წლამდე პატიმრობა შეეფარდებინათ ჩემთვის. მაშინ შევუთვალე ქვეყნის პრეზიდენტს, რომ თუ ამ მუხლით გამასამართლებდნენ, თმას გადავიპარსავდი და ყველა იმ ბიჭის სახელის და გვარის ტატუს გავიკეთებდი, ვინც მათი ხელისუფლების პერიოდში მოკლეს თუ დაიკარგა. ვაპირებდი „სიენენი“, „ბიბისი“ და სხვა ტელეკომპანიები შემეკრიბა და ეს ყველაფერი მეჩვენებინა. რეჟიმისთვის ეს სერიოზული დარტყმა იქნებოდა. პირველად მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა — სისხლის სამართლის საქმე ადმინისტრაციული სამართლის საქმედ გადააკეთეს. ზუსტად ვიცი, მაშინ სააკაშვილი ყვიროდა, სახლში გაუშვითო. 100 ლარის დაკისრება და ჩემი გაშვება უნდოდათ. მაშინ ვთქვი, სახლში არ მივდივარ-მეთქი და 15 დღით დამტოვეს პატიმრობაში. მოდულის შენობა დაცალეს ჩემ გამო, რადგან ძუნძგლიან იზოლატორში ვერ შემიყვანდნენ, იცოდნენ, რომ ამის მერე უფრო ბევრს ვიყვირებდი. ჩემთვის სტრესი იყო იქ ყოფნა, რადგან სულ მქონდა მოლოდინი, გაიღებოდა კარი და მეტყოდნენ, რომ 15 წლით მაპატიმრებდნენ.

**„სოზარმა მაშინ, როცა ჩემი მრჩევლად დანიშვნა გადაწყვეტილი ჰქონდა, მითხრა, ყველაზე მეტად რა გინდაო და ვუპასუხე, ნორა კვიციანის გამოყვანა-მეთქი. ნორა კვიციანის გამოშვების დროს განაცხადა, რომ ერთად ვიწყებდით მუშაობას. ეს ლამაზი ჟესტი ყოველთვის მემახსოვრება".**

— **და მაინც, ადამიანს ჩანგალი ჩაარტყით, სცემეთ. ეს რამდენად ჯდება ნორმებში?**

— დიახ, ნორმალურია! ამ დროს შეიძლება არამარტო ჩანგალი, სხვა რამეც მოიქნიო! ჩანგალი იყო პიარის ნაწილი და მოქნეული იყო მუშტი! მუშტის მოქნევაში არაადეკვატურს ვერაფერს ვხედავ. ჩანგალი მეჭირა იმიტომ, რომ ტორტს ვჭამდი. ის, რაც თაკოს ჰქონდა, არ იყო ჩანგლის ნაიარევი, ის იყო ფრჩხილი, რომელიც კისერს მოედო. მე მოფარიკავე ვარ. ასე რომ, თუ ჩანგლის ჩარჭობა მინდა, ვერავინ გამასწრებს! ცივ იარაღს ხუთიანზე ვხმარობ, არ მინდოდა, თორემ... თავისუფლად შემიძლია ადამიანი, რომელიც გამამწარებს, სიცოცხლეს გამოვასალმო!



**„ყველამ კარგად იცოდეს — მე ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც ვიყავი, ზუსტად ისევ ისე ვაბრუნებ ხურდას!".**

— **მეგონა, ნანობდით.**

— არა. გული მწყდება, რომ ნანუკა ჟორჟოლიანსაც არ მოვდე. დავუძახე და არ ჩამოვიდა. ამის გამო მართლა ძალიან მწყდება გული. თაკო ფხაკაძე არ იყო მთავარი ფიგურა, ნანუკა იყო მთავარი იდეოლოგი! ჩემი შვილები აპატიებდნენ 9 წლით დაჭერილ დედას?! რასაც ისინი მიმზადებდნენ, ის რომ მომხდარიყო, ჩემი შვილები კრიმინალებად ჩამოყალიბდებოდნენ და ყველაფერს იზამდნენ, მათი ოჯახებისთვის სამაგიერო გადაეხადათ. მეც იმავეს ვიზამდი, დედაჩემი რომ არაფრის გულისთვის დაეჭირათ. ისინი დანაშაულებრივი სისტემის ნაწილი იყვნენ და ასეთ ადამიანებს არ აქვთ უფლება, შოუ აკეთონ! დღეს კი „განწმენდის“ პერიოდი დაუდგათ.

— **ახლა სასჯელაღსრულების სამინისტროს წარმომადგენელი ხართ. პატიმრების ყოფას კარგად იცნობთ, მათი გესმით?**

— ადამიანს, რომლის წინაშეც არ მიიკეტება ციხის რკინის კარი, ვფიქრობ, უფლება არ აქვს, ილაპარაკოს პატიმრების პრობლემებზე. ერთი ცნობილი ისტორიაა. ერთმა ამერიკელმა მწერალმა ციხის დირექტორს სთხოვა, წიგნს ვწერ და მაინტერესებს სიკვდილმისჯილთა საკანში ჯდომა, შემიშვი იმ საკანში და ეს მარტო მე და შენ გვეცოდინებაო. შეუშვეს. მერე უთხრეს, ციხის დირექტორი გარდაიცვალაო. ეს რომ გაიგო, თქვა, მართლა კი არ ვარ სიკვდილმისჯილიო. რას ამბობ, ამ საკანში ზიხარ და უნდა დაგსაჯოთო, უპასუხეს. გაიყვანეს მოსაკლავად და უთხრეს, ახლა მიხვდი, რას გრძნობს სიკვდილმისჯილიო. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი დადგეს.

ახლაც ყურში მაქვს იქ მდებარე ერთ „ტრუბაში“ საშინელი ხმა. მოდულში მუდამ ბჟუტავს შუქი და ვერ გრძნობ, თენდება თუ ღამდება. ეს ყველაფერი, ფსიქოლოგიურად რომ გაგტეხონ, იმისთვის არის. ბევრი მომენტი იყო მორალურად ჩემს გასატეხად.

— **მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე როგორ მოხვდით?**

— პატიმრებისგან. 1 ოქტომბრამდე შევდიოდი იმ ადამიანებთან, ვინც ნაცებმა დამნაშავეებად გამოაცხადეს. ვინახულე თამაზ თამაზაშვილი და სხვები. სრული შოკი მქონდა, როცა არასრულწლოვანთა ციხე მოვინახულე. პატიმრები მენდობოდნენ, მიყვებოდნენ თავიანთ ამბებს. 4 თვე მე ამ სისტემიდან არ გამოვსულვარ. მე და სოზარ სუბარი დავსხედით სასაუბროდ. ვუთხარი, შენ იქნები მინისტრი, მაგრამ ვერ ირბენ ციხეში ყოველ წუთს და მე გავაკეთებ იმას, რასაც ციხეში შესვლა და პატიმრების მონახულება ჰქვია-მეთქი. სოზარმა მაშინ, როცა ჩემი მრჩევლად დანიშვნა გადაწყვეტილი ჰქონდა, მითხრა, ყველაზე მეტად რა გინდაო და ვუპასუხე, ნორა კვიციანის გამოყვანა-მეთქი. ნორა კვიციანის გამოშვების დროს განაცხადა, რომ ერთად ვიწყებდით მუშაობას. ეს ლამაზი ჟესტი ყოველთვის მემახსოვრება. მეამაყება, რომ პოლიტპატიმრების ციხიდან გა-

→71



Cyan Magenta Yellow Black

ტრაგედია

# ციხეში შეშლილმა კაცმა ერთი თვის შვილის სიცოცხლე შეიწირა

23 მაისს საქართველოს მედიაში საშინელი ინფორმაცია გავრცელდა — მამამ ერთი თვის ჩვილი მეორე სართულის ფანჯრიდან გადააგდო, ბავშვი ადგილზე გარდაიცვალა. ეს შემზარავი ამბავი რუსთავში მოხდა. როგორც შემდეგ გაირკვა, კაცი შიზოფრენიით იყო დაავადებული. 35 წლის გივი ჩიქობავა სამართალდამცავებმა იქვე, კორპუსის უკან მდებარე მინდორზე, პირქვე დამხობილი იპოვეს. ის მათ უსიტყვოდ ჩაბარდა.





ქალბატონი ციალა

■

რუსთავში ნაქირავებ ბინაში გივი ჩიქობავა თავის ცოლთან, ორ შვილთან, პატარა დისშვილებთან და დედასთან, ციალა ჩიქობავასთან ერთად ცხოვრობდა. ტრაგედიამდე რამდენიმე დღე სახლიდან წასული ყოფილა, თუმცა არავის უძებნია, რადგან ეს პირველი შემთხვევა არ იყო. 23 მაისს სახლში გამთენიისას დაბრუნდა. ამ დროს დედას, ქალბატონ ციალას, არ ეძინა, შვილიშვილებს საჭმელს უმზადებდა. საძინებელში კი რძალს, რომელიც ასევე ფსიქიკურად დაავადებულია და ბავშვებს — 1 თვის ლადოს და 2 წლის ქრისტინეს ეძინათ. გივი მძინარე ცოლ-შვილთან შევიდა. რძლის კივილზე დედამთილი საძინებლისკენ გაიქცა და დერეფანში შვილს შეეჯახა. მან გაუგებარი ფრაზა თქვა — მაღალ ღმერთს შევწირეო და გარეთ გაიქცა. ქალბატონმა ციალამ საძინებელში შესვლისას შეიტყო, რაც მოხდა.

გივი ჩიქობავას ცოლი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია გადაყვანილი, ის თითქმის არაფერზე რეაგირებს, ვერც იმას აცნობიერებს, მის თავს რა ტრაგედია დატრიალდა. პატარა ლადო შემთხვევის დღესვე პროზექტურიდან პირდაპირ სასაფლაოზე წაიყვანეს და ბაბუას საფლავზე დაკრძალეს.

ჩიქობავების ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულია. მათთან სახლში მისულებს 2 წლის ულამაზესი ბავშვი, ქრისტინე და ბებიამისი, ქალბატონი ციალა დაგვხვდნენ. როგორც „სარკესთან“ საუბარში ბებია ამბობს, გარდაცვლილი ჩვილიც ძალიან ლამაზი ყოფილა.

— **ქალბატონო ციალა, პირველ რიგში, გისამძიმრებთ ამ უდიდესი ტრაგედიის გამო, რაც თავს დაგატყდათ. როგორ მოხდა ეს საშინელება, წინ რაიმე უძღოდა?**

— ტრაგედიის დღეს ყველანი სახლში ვიყავით. ჩემი ბიჭი 3-4 ღამე გარე-გარე დადიოდა, სახლში არ მოდიოდა. იმ დღეს დაახლოებით დილის 7 საათი იქნებოდა, როცა დაბრუნდა. შვილიშვილებს საჭმელს ვუმზადებდი, ამიტომ არ მეძინა. ამ დროს გივიმ ტელევიზორი ჩართო, გადაცემები არ იყო, მხოლოდ ეკრანი ციმციმებდა. ხელი გადამხვია და მითხრა, შეხედე, ეს მამაჩემს, მამაზეციერს ჰგავსო... ამის შემდეგ უცებ საძინებელში შევარდა. ჩემმა რძალმა იკივლა. ოთახში რომ შევიხედე, რძალი ისევ იწვა, არ ამდგარა. უფროსმა შვილიშვილმა იყვირა, ბებო, ბავშვიო. ლოგინს რომ დავხედე, დედას ბავშვი გვერდით აღარ ეწვა. ფანჯრიდან რომ გადავიხედე, ლადო ძირს ეგდო.

**„ამ შემთხვევის წინა დღეს პატარა გარეთ ასეირნა, შემდეგ მოიყვანა. არ ვიცი, იმ დღეს ტვინი როგორ გადაეკეტა“.**

— **თქვენი ვაჟი ამ დროს სად იყო?**

— რძლის კივილი რომ გავიგონე, ოთახისკენ გავიქეცი, ჩემი შვილი დერეფანში შემხვდა, მაღალ ღმერთს შევწირეო, მითხრა, მეტი არაფერი უთქვამს და გარეთ გაიქცა. მეზობლებმა თქვეს, თურმე ქვემოთ რომ ჩავიდა, ბავშვის ცხედარი ხელში აიღო და, ღმერთს შევწირე, ღმერთს შევწირეო, ყვიროდა. მეზობლის ბიჭი გადამხტარა ფანჯრიდან და იმას გამოურთმევია ბავშვი, ამასობაში მეც ჩავედი. ჩემი კივილის ხმა რომ გაიგონა, ალბათ ცოტა ჭკუაზე მოვიდა, მიხვდა, რაც გააკეთა, მინდორზე დაეცა, ეს რა ჩავიდინეო... იმ ტრაგედიის შემდეგ აღარ მინახავს, პოლიციამ წაიყვანა.

— **თქვენს შვილს ფსიქიკური პრობლემები როდის დაეწყო?**

— 2000 წელს ციხეში აღმოჩნდა, იქიდან კი ფსიქიკურად დაავადებული გამოვიდა, შიზოფრენია ჰქონდა.

— **რისთვის იხდიდა სასჯელს?**

— ქურდობის მცდელობისთვის 5 წელი იჯდა ციხეში. დაპატიმრებიდან ერთ კვირაში ცუდად გახდა. სანამ ციხეში მოხვდებოდა, აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, არანაირი პრობლემა არ ჰქონია. ციხიდან გამოსული კი სულ უფალზე საუბრობდა. ხან ამბობდა, მე მისი შვილი ვარ, მესია ვარო, ხანაც ამბობდა, წმინდანად ვარ შერაცხულიო.

**„დაპატიმრებიდან ერთ კვირაში ცუდად გახდა. სანამ ციხეში მოხვდებოდა, აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, არანაირი პრობლემა არ ჰქონია. ციხიდან გამოსული კი სულ უფალზე საუბრობდა. ხან ამბობდა, მე მისი შვილი ვარ, მესია ვარო, ხანაც ამბობდა, წმინდანად ვარ შერაცხულიო“.**



ქრისტინე

— **მკურნალობდით?**

— ვმკურნალობდით. შარშან, აგვისტოში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა. ამ ბოლო დროს კი მკურნალობის საშუალება არ მქონდა, თან ბავშვების დამტოვებელიც არავინ მყავდა, ჩემი რძალიც ფსიქიკურად დაავადებულია... ისიც დააწვინეს საავადმყოფოში, გათიშულია, ხმას არ იღებს. მამამისმა წაიყვანა იქ. ჩემი რძალი სულ ჩუმად იყო, ამას კიდევ უძილობა სჭირდა და სულ გარე-გარე დადიოდა.მოვიდოდა, დაგვხედავდა და ისევ წავიდოდა. დღე სახლში იყო.

— **როდის დაქორწინდა თქვენი ვაჟი?**

— უკვე 4 წელია.

— **რძალზე თქვით, ისიც ფსიქიკურად არის დაავადებულიაო. სად გაიცნეს ერთმანეთი?**

— ადრე სხვა მიკრორაიონში ვცხოვრობდით ქირით და იქ გაიცნო.

— **ასეთი პრობლემებით როგორ ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი?**

— რა ვიცი, ცხოვრობდნენ... არასდროს კამათობდნენ. ჩემს რძალს სულ იმას ეუბნებოდა, ბავშვს მიხედეო. მე ყველაფერში მეხმარებოდა, ბავშვებს ყურადღებას ყოველთვის გივი აქცევდა. არ მეგონა, ასეთი რაღაც თუ დაემართებოდა... ამ შემთხვევის წინა დღეს პატარა გარეთ ასეირნა, შემდეგ მოიყვანა. არ ვიცი, იმ დღეს რა დაემართა, ტვინი როგორ გადაეკეტა.

— **ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ქორწინების წინააღმდეგი არ იყავით?**

— წინააღმდეგი კი ვიყავი, მაგრამ ჩემი ბიჭი არაფერს მიჯერებდა. ჩემთვის თავიდანვე რომ დაეჯერებინა, ასეთი უბედურება არ მოხდებოდა. სანამ ცოლად მოიყვანდა, ჩვენს სახლში მოდიოდა. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო და ასე დაქორწინდნენ.

— **გივის დედმამიშვილები ჰყავს?**

— ერთი ქალიშვილი მყავს. გათხოვილია, სამი შვილი ჰყავს, მისი შვილებიც ჩემთან არიან, თვითონ ბათუმში მუშაობს. ჩემი მეუღლე 2 წლის წინ გარდაიცვალა, ფილტვის კიბო ჰქონდა. ლადოც მის საფლავზე დავკრძალეთ.

— **გეტყობათ, რომ მატერიალურად გიჭირთ. დიდიხანია ამ პირობებში ცხოვრობთ?**

— 2006 წელს ბინა ვიყიდე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იპოთეკით ყოფილა დატვირთული. მომატყუეს, 9.000 დოლარიც დავკარგე და ბინაც. თან ჩემი ქმარიც ავად გახდა, ვალები დაგვედო და ასე დავრჩით ბინის გარეშე. ახლა ქირით ვცხოვრობთ და მხოლოდ სოციალური დახმარების იმედად ვართ. ჩემი ქალიშვილი ქირის და გადასახადების ფულს ძლივს გვიგზავნის.

— **პატარა ქრისტინე თავს როგორ გრძნობს?**

— ქრისტინე ჯანმრთელი, განვითარებული ბავშვია, საუბარიც თავის დროზე დაიწყო. იმ პატარას შიში მქონდა, სულ იმას ვფიქრობდი, როგორი გაიზრდებოდა. შეიძლებოდა ჯანმრთელი არც ყოფილიყო. ჩემი რძალი ლადოზე ფეხმძიმობის დროს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ორჯერ იწვა, წამლებით იყო გაჟღენთილი. ჩემს შვილს ეს ავადმყოფობა შეძენილი აქვს. მძახალი ამბობს, რომ მისი შვილიც ჯანმრთელი დაიბადა, მაგრამ მერე დაავადდა. მგონი, რაღაცის შეეშინდა და მას შემდეგ გახდა ასეთი... ბავშვის ცხედარი ეზოდან რომ ამოვიყვანე, რძალმა მითხრა, ჩემს ოთახში არ შემოიყვანო, არ დამანახოო და იმის შემდეგ ხმა არც ამოუღია. ამ ტრაგედიამდეც გათიშული იყო, ლოგინში იწვა. ჩემი ბიჭი სულ ეუბნებოდა, ბავშვი არ ატირო, ადექი, გაატარ-გამოატარე, რძე აჭამეო.

ვერაფრით ვხვდები, ჩემს შვილს ეს როგორ დაემართა, სულ ბავშვებზე იყო გადაგებული. უფროსი შვილიც და დისშვილებიც მისი გაზრდილი არიან. არ ვიცი, იმ დღეს რამ მოუარა. ექიმისგან რომ მოვიდოდა, წამლებს ყრიდა, მე ავადმყოფი არ ვარ, თქვენ ყველა მორწმუნე ადამიანი ავადმყოფი გგონიათო, ამბობდა. ყოველდღე ეკლესიაში დადიოდა.

**„ბავშვის ცხედარი ეზოდან რომ ამოვიყვანე, რძალმა მითხრა, ჩემს ოთახში არ შემოიყვანო, არ დამანახოო და იმის შემდეგ ხმა არც ამოუღია“.**

სანამ ცოლს მოიყვანდა, მთელი 8 თვე მარტყოფის ტაძარში იყო... თურმე ციხეში ამბობდა, მზე ჩემი წყალობით ამოვიდა, მიწისძვრა რომ მოხდა, ხომ ვამბობდი, მოხდებაო და ასეთ რაღაცეებს ყვებოდა.

— **ახლა როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— ციხეში საჭმელი შევუგზავნე. გამომძიებელს ვკითხე, როგორ არის-მეთქი და მიპასუხა, ექიმი გვყავდა, წამლები მივეცითო.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black



# „იძულებული ვარ, ექვსი თვის ორსულმა ქმარი მივატოვო"

ჩემი შვილი რომ დაიბადება, მამა მის გვერდით არ იქნება. ეს გადაწყვეტილება უკვე მივიღე. ახლა მთავარია ძალ-ღონე მოვიკრიბო და აქედან წასვლა შევძლო. ამ წერილს რომ გამოაქვეყნებთ, ალბათ ქმრის ოჯახიდან უკვე წამოსული ვიქნები.

ჩემი ოცნება, რომ კარგი ოჯახი მქონოდა, დაიმსხვრა. გეფიცებით მას, ვინც ახლა ჩემი მკერდის ქვეშ ფეთქავს, რომ ამაში მე არ მიმიძღვის წვლილი. მე ის მიყვარდა, მაგრამ იმან, რაც მათ ოჯახში ამ ერთი წლის განმავლობაში გადამხდა, ყველაფერი გადაფარა. სანამ გათხოვებას არ გადავწყვიტე, ჩემი მომავალი ქმარი და დედამთილი ყოველდღე ჩვენთან მოდიოდნენ, მიმტკიცებდნენ, რომ ბედნიერ ქალად მაქცევდნენ. მარტო მე კი არა, ჩემმა მშობლებმაც დაიჯერეს, რომ სიმართლეს ამბობდნენ. დედა მეუბნებოდა, შეიძლება ასე ძალიან აღარავინ შეგიყვაროსო. ჩემი ქმარი რომ მიყურებდა, ცრემლი სდიოდა. ახლაც არ ვიცი, ასეთ დონეზე შეეძლო თამაში თუ მაშინ მართლა გულწრფელი იყო. შემიყვარდა, მისი ყველა სიტყვა დავიჯერე და ცოლადაც გავყევი. ჩემი ქორწილის დღე რომ მახსენდება, ცრემლები თავისით მომდის. უბედნიერესი ვიყავი და მეგონა, ეს სამუდამოდ გაგრძელდებოდა.

ქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ ქმარმა სახეში გამარტყა. ეს კი იმის გამო დავიმსახურე, რომ საჭმლიდან ხახვის ამოკრეფა დავიწყე. ხახვს ბავშვობიდან ვერ ვიტან. ამის გამო დედა ჩემთვის ცალკე აკეთებდა სადილს. პირში მომხვდება თუ არა, საშინელი რეფლექსი მეწყება. ეს ჩემდაუნებურად ხდება, ძალით არ ვაკეთებ. სხვათა შორის, ეს ჩემს ქმარს და დედამისს იმ დღეს არ გაუგიათ. ჩემი სადედამთილო დედაჩემს ხუმრობით ეტყოდა ხოლმე, შენს შვილს გემრიელ ჭამას მე შევაჩვევო. მაშინ რას წარმოვიდგენდი, მათი მეთოდები ასეთი სასტიკი თუ იქნებოდა. მოკლედ, ქმარმა თავისი საქციელი ასე ამიხსნა, რომ დედამისს ამით შეურაცხყოფას ვაყენებდი. თურმე კერძიდან რაღაცეებს რომ იღებ, ეს დიასახლისს ამცირებს. ამაში მხარი დედამისმაც აუბა, მითხრა, რასაც მოგიტანენ, უნდა ჭამოო. მაშინ მივხვდი, რომ კარგ ადამიანებთან არ მოვხვდი და ძალიან ვნანობ, რომ იქიდან მაშინვე არ გამოვიქეცი.

პირველ ცემას მეორეც მოჰყვა, მეორეს — მესამე და ასე გაგრძელდა. ჩემს ქმარს მიზეზი არ ელეოდა, რის გამოც თურმე ჭკუის სწავლება მჭირდებოდა. დედამთილისთვის ყოველთვის მე ვიყავი მტყუანი. ქმრისგან შეურაცხყოფილს დედამთილის ლექციების მოსმენა მიწევდა. მათგან წამოსვლას ვაპირებდი, რომ ორსულად დავრჩი. ამ ამბავმა მთელი ოჯახი ისე გაახარა, დედამთილმა ცეკვა დაიწყო. ქმარმა კი მითხრა, რომ ყველაზე მაგარი მამა იქნებოდა. მათი რეაქცია რომ ვნახე, გამიხარდა, ვიფიქრე, იმ დღიდან ყველაფერი შეიცვლებოდა. ცოტა ხანს მართლა მივლიდნენ, თან მყვებოდნენ, მაგრამ მერე ჩემს ორსულობასაც შეეჩვივნენ, ჯერ ლანძღვა-გინება შემომაპარეს, მერე კი „მსუბუქი" სილაც გამაწნეს.

ცოტა ხნის წინ ქმარმა საშინელება ჩაიდინა — ექვსი თვის ორსული მცემა. მის მიმართ ისეთი სიძულვილი ვიგრძენი, მზად ვიყავი, მომეკლა და ოდნავადაც არ შემეცოდებოდა. ახლაც რომ ვხედავ, ზიზღით მევსება გული. მასთან ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ მათი ოჯახიდან წავიდე. ჩემი მშობლები ხვდებიან, რომ ბედნიერი არ ვარ. ერთხელ მამამ მითხრა, იცოდე, ჩვენი კარი შენთვის ყოველთვის ღიაა, თუ ბედნიერი არ იქნები, შეგიძლია, შენი ბავშვობის სახლში დაბრუნდეო. ვიცი, რომ ჩემები კარგად მიმიღებენ და გამიგებენ. ალბათ მათ ვერასოდეს ვეტყვი, ქმარმა ორსული რომ მცემა, რადგან შეიძლება მამაჩემმა მოკლას, ამას არ აპატიებს. ამიტომ სიმართლეს ვერ გავამხელ, უბრალოდ ვიტყვი, რომ უბედური ვარ.

გული მიკვდება, როცა ვფიქრობ, რომ ჩემი შვილი ჯერ არ დაბადებულა და უკვე იწვნია მოძალადე მამის სისასტიკე. გადავწყვიტე, საკუთარ თავსაც ვუშველო და ჩემს შვილსაც, აქედან უნდა გავიქცე!

**თქვენი ერთგული მკითხველი**

# „ქმარი ჩემს მშობლებს მანქანას სთხოვს"

ჩემი ქმარი ასეთი ანგარებიანი თუ აღმოჩნდებოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი. მეგონა, რომ მხოლოდ ჩემი სიყვარული სურდა. ამიტომაც გავხდი მისი ცოლი, მაგრამ მერე თავისი უარყოფითი მხარეები გამოავლინა. ქორწინების პირველივე დღიდან ჩემგან სულ რაღაცას ითხოვს. იმას კი არ ფიქრობს, რომ იქნებ მეც გამახარებს მისგან თუნდაც მცირე საჩუქარი. მიეჩვია, რომ მხოლოდ მე უნდა ვუყიდო, მე უნდა მივართვა.



ჩემი მშობლები ყველაფერს გვიკეთებენ. საქორწინო მოგზაურობაში გაგვიშვეს, კარგი ავეჯი გვაჩუქეს. ბავშვი რომ გვეყოლა, სახვევებიდან დაწყებული, ყველაფერი მათ იყიდეს. ბიძაჩემმა ჩვენს პატარას ერთი წლის სამყოფი პამპერსები მოუტანა. ამას იმიტომ ვწერ, რომ ჩემს ქმარს ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობა მხრებზე არასოდეს დასწოლია. თვითონ არხეინად არის, არაფერზე ზრუნავს. მუშაობს, მაგრამ ხელფასი თვითონ არ ყოფნის სიგარეტსა და ფეხსაცმელებში — მანია სჭირს, სულ ახალ ფეხსაცმელებს ყიდულობს. ერთი სიტყვით, მშობლები გვინახავენ.

ახლა აიკვიატა, სამსახურში ტრანსპორტით აღარ ვივლი, შენმა მშობლებმა მანქანა უნდა იყიდონ ჩემთვისო. თავიდან მისი ნათქვამი ყურის იქით გავატარე, მაგრამ აღარ ჩერდება. სამსახურში წასვლის წინ ყოველთვის ამბობს, მანქანა მჭირდებაო. ამ ბოლო დროს კი სიდედრ-სიმამრის გინებაზე გადავიდა, ძუნწები არიანო. ჩემმა ძმამ ახალი მანქანა იყიდა და სულ გადაირია, მეც მინდაო. იმან თავისი შრომით იყიდა, სიმამრს კი არ უჩუქებია, მაგრამ ჩემს ქმარს ამის გაგება არ უნდა. ქმრის ჭირვეულობას ველარ ვუძლებ. შევცდი, რომ ცხოვრება მას დავუკავშირე.

**თქვენი მკითხველი**

გამოხმაურება

# „ჩემი შეყვარებული ეჭვიანობით თავისი ღალატის გადაფარვას ცდილობდა"

ვეხმაურები ჟურნალ „სარკეში" გამოქვეყნებულ წერილს — „ქალი, რომელიც სიყვარულს მეფიცებოდა, სხვისი ცოლი გახდა". მეც ანალოგიური რამ შემემთხვა. ქალის ღალატის მსხვერპლი გავხდი. ახლაც არ ვიცი, ისე როგორ თამაშობდა, რომ ვერ მივუხვდი. ტყუილების ოსტატი აღმოჩნდა.

ჩემი შეყვარებული საშინელი ეჭვიანი იყო. სულ რაღაც შარს ეძებდა, რომ ეჩხუბა. თურმე პარალელურად სხვა ბიჭს ხვდებოდა. ეტყობა, მე რომ წამეჩხუბებოდა, მასთან მიდიოდა. მერე მასთან მოუვიდოდა ვითომ კონფლიქტი და ჩემთან გამორბოდა. საბოლოოდ კი ისეთი არჩევანი გააკეთა, როგორიც თვითონ აწყობდა. ორივე კარგად შეგვისწავლა. ალბათ თავის ჭკუაში ქულებსაც გვიწერდა და ვისაც მეტი დაუგროვდა, ცოლად მას გაჰყვა.

უბედური სულაც არ ვარ, პირიქით, ძალიან მიხარია, რომ ჩემი მეუღლე არ გახდა. მის გვერდით როგორ უნდა მეცხოვრა ან ჩემი შვილების აღზრდა მისთვის როგორ უნდა მიმენდო?! თვითონ არის ცოდო, რომ ტყუილებში ცხოვრობს. საბოლოოდ მხოლოდ ის დაზარალდება, სხვებს კი ვერაფერს ავნებს. თუ შეუძლია, იყოს ბედნიერი, მაგრამ არა მგონია, ეს მოახერხოს.

**„სარკის" მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემი ოთხულობა დასაცინი გახდა"

ძალიან გთხოვთ, ეს წერილი დამიბეჭდეთ, რადგან მინდა, ყველას მივაწვდინო ჩემი ხმა, ყველას ვუთხრა ის, რასაც ვფიქრობ. მე და ჩემი ქმარი გაჭირვებაში ვცხოვრობთ. დალხენილი ოჯახიდან არც მე ვარ და არც ის. ჩვენმა მშობლებმაც პატიოსანი შრომით გაგვზარდეს. ერთმანეთი სკოლაში შეგვიყვარდა, ცალ-ცალკე ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა და ამიტომ 7 წლიანი რომანის შემდეგ შევუღლდით. 23 წლის ვიყავი, პირველი შვილი რომ გვეყოლა და ჩვენი ღარიბული სახლი სიხარულით აივსო. ბავშვი დამოუკიდებლად გავზარდეთ, არავინ დაგვხმარებია. მშობლებისთვის არაფერი მოგვითხოვია, რადგან მათ ჩვენთვის ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ.ერთობლივი თანხით სახლი გვიყიდეს.

ჩემი ქმარი ხელოსანია. მართალია, ყოველთვის არ აქვს სამუშაო, მაგრამ როცა ძალიან გვიჭირს, სწორედ მაშინ გამოუჩნდება ხოლმე საქმე, ღმერთი პურის ფულს ყოველთვის გვიჩენს. უფლის მადლიერი ვარ, ეკლესიაში დავდივარ, ვლოცულობ და მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ სამი ჯანმრთელი შვილი მაჩუქა. ახლა მეოთხეზე ვარ ორსულად და უფალს ვეხვეწები, მასაც არაფერი გაუჭირვოს, ჯანმრთელი დაიბადოს.

ახლა იმას დავწერ, რაც მაწუხებს. მეორე შვილზე რომ დავრჩი ფეხმძიმედ, მამიდებმა თუ ბიცოლებმა მაშინვე თავი წამოყვეს და დარიგება დამიწყეს, არ გააჩინო, ამის საშუალება არ გაქვსო. აბორტზე არც მიფიქრია და გავაჩინე. მესამე შვილიც რომ უფლის საჩუქრად ჩავთვალე და გავაჩინე, მერე უკვე მეზობლები ალაპარაკდნენ, ბავშვები შიმშილით უკვდება, ეს კიდევ კურდღელივით ყრის ბავშვებსო. ჯერ ერთი, ჩემი შვილები მშივრები არ არიან. შეიძლება მათი შვილებივით ყოველდღე ნაირ-ნაირებს ვერ ვაჭმევ, მაგრამ წვნიანი მაინც ყოველთვის აქვთ. ძროხა მყავს და რძის ნაწარმიც არ აკლიათ. ქათმებს ვზრდი, თვეში ერთხელ მაინც ვაჭმევ ხორცს. რაიონში ვცხოვრობთ, სოფელში რომ ვიყოთ, იქ უკეთესად მოვუვლიდით შვილებს, მიწას დავამუშავებდით. ახლა კი რისი საშუალებაც გვაქვს, იმას ვაკეთებთ, შრომას არც მე ვთაკილობ და არც ჩემი ქმარი.

მეოთხე შვილზე რომ დამინახეს ფეხმძიმედ, სულ გაგიჟდნენ. ჩემმა თანატოლმა მეზობლის ქალებმა პირდაპირ მითხრეს, შვილების წინაშე დამნაშავე ხარ, ამდენ ბავშვს რომ აჩენ, მათ რამდენი რამე უნდა მოაკლდეთო. ჩამომითვალეს, რომ თურმე განათლებას ვერ მივცემ, მასწავლებლებთან ვერ მოვამზადებ, რასაც მომთხოვენ, ვერ ვუყიდი. კარგად ვხვდები, რომ მართლაც ვერ ავუსრულებ ყველა ოცნებას, რაც მათ ექნებათ. ერთს კი ნამდვილად გავუკეთებ, რომ ერთმანეთი ეყოლებათ ნუგეშად. ჩემს შვილებს ყველაზე მთავარს არ მოვაკლებ — სიყვარულს და სითბოს. არავის საქმე არ არის, რამდენი შვილი მეყოლება! მათთვის არ ვაჩენ, მათთან არ მივდივარ სამათხოვროდ და არ ვეუბნები, შვილებისთვის პური მომეცით-მეთქი. რა უფლება აქვთ, რომ დამცინიან?! იქნებ ყველამ თავის საქმეს მიხედოს და თავიანთი შვილების აღზრდით დაკავდნენ. 24 საათი იმაზე ფიქრობენ, რითი გაერთონ, შვილები კი ქუჩაში ჰყავთ გაგდებული. მეზობლის ბავშვები ჩემს შვილებთან რომ მოდიან სათამაშოდ, ზოგჯერ მთელი დღე ისე გავა, დედები არც მოიკითხავენ. ჩემი ბავშვები კი ასე უყურადღებოდ ნამდვილად არ არიან.

კიდევ ერთხელ ვეუბნები ყველას, სხვის ცხოვრებაში ქექვას და ჭკუის დარიგებას შეეშვით!

**„სარკის" მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა
ირინე მჭედლიძე








Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი ლორია კიევში ლამაზმანებთან თამამ სცენებს ასცდა

## ფეხბურთელმა ფილმში საკუთარი თავი ითამაშა




გასულ წელს საქართველოსა და ესპანეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის თამაშმა თბილისის „დინამოს“ მეკარე გიორგი ლორია ქართული ფეხბურთის გმირად აქცია. ასეთ დროს ამბობენ, საღამოს დაიძინა და დილით პოპულარულმა გაიღვიძაო. გიორგი უცბათ მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში, როგორც სიმპათიური და საინტერესო ახალგაზრდა კაცი. მის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეებმაც არ დააყოვნა. ცოტა ხნის წინ ფეხბურთელი ახალ ამპლუაში მოგვევლინა. ქართველმა რეჟისორმა კომედიურ ფილმში გადაიღო, სახელწოდებით „რა მოხდა კიევში“. მართალია, კინოროლი გიორგი ლორიასთვის სრულიად ახალი ხილია, მაგრამ ფილმში ის თითქმის საკუთარ თავს, ანუ მეკარეს, თამაშობს, ოღონდ განსხვავებული ხასიათით.

მაგრამ მთავარი, რითიც გიორგი ბედნიერია, მაინც ბურთსა და მოედანს უკავშირდება. 22 მაისს, რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ, თბილისის „დინამო“ ჩემპიონი და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მფლობელი გახდა. „სარკემ“ მასთან საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო.

**„ფილმში ჩემი გმირი გაწონასწორებული, ჩამოყალიბებული პიროვნებაა, ჩემგან განსხვავებით. მეკარე და დალაგებული გინახავთ? ფეთქებადი ხასიათის ვარ".**

**— გიორგი, პირველ რიგში, გილოცავთ გამარჯვებას! ამდენი წლის შემდეგ თბილისის „დინამო“ ისევ ჩემპიონი გახდა. როგორი ემოციები ახლდა ამ ყველაფერს?**

— დიახ, ჩემპიონები გავხდით, თასიც მოვიგეთ. ეს თბილისის „დინამოს“ ბოლო ათი წელია არ გაუკეთებია. ამიტომაც ჩვენთვის ორმაგი სიხარულია. სეზონის წინა დავალება, რომ ჩემპიონებიც გავმხდარიყავით და თასიც მოგვეპოვებინა, შევასრულეთ და ძალიან გახარებულები ვართ. გუნდი უკვე დასასვენებლად წავა. მე და ირაკლი ძარია კი ეროვნულ ნაკრებში წავალთ და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოვემზადებით. იქნებ ამ წელს მაინც მოვახერხოთ ჯგუფში გასვლა და გულშემატკივრები გავახაროთ. ერთი სიტყვით, ჩვენი ჩემპიონობით ყველანი გახარებულები ვართ. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, 2 ივნისს ირლანდიის ნაკრებთან გვაქვს ამხანაგური თამაში, 5 ივნისს კი — დანიის ნაკრებთან.

**— კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩზე თუ ითამაშებთ?**

— არა, ნაკრებთან ერთად 29 მაისს ირლანდიაში მივდივარ.

**— ახლა იმაზე მოგვიყევით, როგორ მოხვდით ფილმში, როგორ ითამაშეთ.**

— ფეხბურთელი ვარ და არც ველოდი, რომ ფილმში დამიძახებდნენ, თუმცა დედაჩემს რატომღაც სულ ეგონა, რომ ფილმში ვითამაშებდი და ასეც მოხდა. ადრე მამაჩემს გადაღებებზე, ფილმის გახმოვანებებზე სულ დავყვებოდი, მაშინ „ქართული სტუდია“ ფუნქციონირებდა. ამიტომ ეს სიტუაცია ჩემთვის უცხო არ ყოფილა. ადაპტაცია არ გამჭირვებია. მოკლედ, მამის პროფესია გამომადგა. ჩემი დაც მსახიობია, თან რაღაც რჩევებიც გავითვალისწინე. ფილმის სამუშაო ჯგუფშიც პროფესიონალები არიან.

ბევრი არ მიფიქრია, როგორც კი შემომთავაზეს და იდეა გამაცნეს, მაშინვე დავთანხმდი.

**— ესპანეთთან თამაშმა დიდი პოპულარობა მოგიტანათ. ალბათ ფილმშიც ამის წყალობით მოხვდით.**

— კი, ასე იყო. მანამდე, ესპანეთის თამაშამდე, განსაკუთრებული ყურადღება არ მიგრძვნია. ამ თამაშის შემდეგ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. ხალხისგან სითბოს და ყურადღებას ვგრძნობ.

**— გადაღებების დროს კიევში ცხოვრობდით?**

— იქ მხოლოდ ერთი დღე ვიყავი ჩასული. დილით ჩავფრინდი და უკან საღამოს წამოვედი. ძირითადად თბილისის გადაღებებზე მომიწია ყოფნა.

**— კმაყოფილი ხართ შედეგით?**

— დამონტაჟებული ვარიანტი ჯერ არ მინახავს, მაგრამ, როგორც ვიცი, ძალიან კარგია. მასში ბევრი ქართული ფილმიდან იქნება მონაკვეთები — „არ დაიდარდო“, „მიმინო“... მარტივად რომ ვთქვათ, ქართული „პახმელია“ იქნება, ანუ ბიჭები ქართულად როგორ გამოდიან ნაბახუსევიდან.

**— თქვენი როლის შესახებ უფრო დეტალურად გვიამბეთ.**

— ფილმში ჩემს თავს ვასრულებ. იქაც ფეხბურთელი ვარ, ფეხბურთელობას ვერ ავცდი, თუმცა კარგია, რომ კინოშიც ამის თამაში მომიწია. სცენარის მიხედვით, მეორე დღეს ესპანეთის ეროვნულ ნაკრებთან თამაში მაქვს, წინა დღეს კი ვიკარგები. ფილმში ჩემი ძმა ცოტა დალაგებული ვერ არის, არაადეკვატური პიროვნებაა. გუდაურში წავალთ დასასვენებლად, იქ ის სასმელში თავის მიერ მოგონილ გასაბრუებელ წამალს ჩაგვიყრის. ის საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანია, თავგადასავლები უნდა და ამის გამო აკეთებს ამ ყველაფერს. ამის შემდეგ ვითარდება მოვლენები. მოკლედ, ვიკარგები და მთელი ფილმი მე მეძებენ. სხვათა შორის, ჩემი ძებნის დროს თემურ ქეცბაიაც რეკავს, არ ვიცი, გამოჩნდება თუ არა, მაგრამ რეკავს, მეძებს. ასევე რეკავენ ახლობლები, მეორე დღეს თამაში მაქვს და მეკარე არ ჩანს...

**„რეჟისორი დავღალე, უფრო სწორად, მე მეგონა, რომ დავღალე. ვფიქრობდი, 10 დუბლი ბევრი იყო, სინამდვილეში კი პროფესიონალ მსახიობებს 20 და 30-ც დასჭირვებიათ".**

**— გადასაღებ მოედანზე თამაში ისევე კარგად გამოგივიდათ, როგორც სტადიონზე?**

— რეჟისორს რომ ჰკითხოთ, კარგად ვითამაშე, არ ელოდა, თუ ასე კარგად გამომივიდოდა. უბრალოდ რეჟისორი დავღალე, უფრო სწორად, მე მეგონა, რომ დავღალე. ვფიქრობდი, 10 დუბლი ბევრი იყო, სინამდვილეში კი პროფესიონალ მსახიობებს 20 და 30-ც დასჭირვებიათ. ძალიან კარგ, პროფესიონალ ადამიანებთან მომიწია მუშაობა, ისეთებთან, როგორებიც არიან თორნიკე გოგრიჭიანი, სანდრო გაბილაია, მერაბ ჭიპაშვილი, რომელიც ჩემი ძმის როლს თამაშობს.

**— რა ხდებოდა კადრმიღმა?**

— ბიჭებთან ერთად კიევში ყოფნა, როგორც გითხარით, მე არ მომიწია. ამიტომ მთელი ამბები იმათ გადახდათ, რასაც ასე თავისუფლად ვერ მოვყვები. ისეთი არაფერი გადამხდენია.

**— იმ თამამ სცენებში, სადაც გოგონები თითქმის გახდილები არიან, თქვენ თუ მოგიწიათ თამაში?**

— არა, მე ამ სცენებს, სამწუხაროდ, ვერ დავესწარი, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ჩემს სცენებში მხოლოდ ძმაკაცები და ჩემი ძმა არიან. მოკლედ, გადაღებებით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**— მოგეწონათ თქვენი თავი მსახიობის ამპლუაში?**

— ტექსტი ძალიან ბევრჯერ მავიწყდებოდა. დუბლი ძირითადად იმაზე მიფუჭდებოდა, ძმას რომ ვეჩხუბებოდი, დასვენება არ ჩაეშხამებინა. ვეუბნებოდი, თუ როგორი სულელია, რომ მშობლებიც კი ვერ ენდობიან და ასე შემდეგ. აი, ამ ყველაფრის ახსნაში ძალიან ბევრი დრო და დუბლი წავიდა.

**— ფილმში მეკარე გიორგი ლორია რეალურ გიორგი ლორიას თუ ჰგავს?**

— ფილმში ჩემი გმირი გაცილებით დალაგებული და წყნარია, ვიდრე მე ვარ. გაწონასწორებული, ჩამოყალიბებული პიროვნებაა, ჩემგან განსხვავებით. მეკარე და დალაგებული გინახავთ? ფეთქებადი ხასიათის ვარ. პატარა რაღაცაზე შეიძლება ავფეთქდე და ყვირილი დავიწყო. მოჭარბებულ ემოციებს გამოვუშვებ ხოლმე და მერე 5 წუთში ვწყნარდები.

**— პოპულარული ახალგაზრდა ფეხბურთელის გარშემო, რომელიც ახლა კინოშიც გადაიღეს, ალბათ ბევრი ლამაზმანი ტრიალებს. არის მათ შორის თქვენთვის ვინმე საინტერესო?**

— ეს თემა გამოვტოვოთ, არ მინდა პირადზე საუბარი.

**— გეგმებზე მაინც გვიამბეთ.**

— ეროვნული ნაკრების თამაშისთვის ვემზადები, როცა ჩამოვალ, დასვენება მინდა. თუ მოხერხდება, ჩემს შვილთან ერთად მინდა, დავისვენო.

**— ესპანეთთან ეროვნული ნაკრების თამაშის შემდეგ სერიოზული შემოთავაზებები გქონდათ უცხოეთიდან. ამ კუთხით რა ხდება?**

— კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი, რაღაცეებს ველოდები, ცოტა ხანში ყველაფერი გაირკვევა.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# საუკუნის დაავადებების და მათთან მებრძოლი საიმედო მკურნალის ცოდნა, ღვთისმიერი ძალა და სიყვარული

## 21-ე საუკუნის მკურნალი ექიმი, რომელსაც უნდა ენდოთ

უცხოეთის ქვეყნებიდან უამრავი მოწვევის მიუხედავად, პაციენტების თხოვნით, მან მკურნალობა ისევ საქართველოში გააგრძელა. დილიდან დაღამებამდე თავდაუზოგავად მუშაობს და თავისი ფენომენური შესაძლებლობებით ბევრ ადამიანს ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხალისს უბრუნებს.

თინათინ მაჩაიძის მკურნალობის მეთოდები მრავალფეროვანია, მის შესაძლებლობებზე ლეგენდები დადის. პაციენტებთან გასაუბრების შემდეგ დარწმუნდებით, რომ მის სამკურნალო კაბინეტში მართლაც სასწაულები ხდება. ბევრმა მკურნალობით დაღლილმა და იმედდაკარგულმა ადამიანმა შვება ქალბატონ თინათინთან პოვა.

ღვთისგან დალოცვილი მკურნალი, დღეისთვის მრავალგზის დიპლომირებული ექიმი, თავისი პაციენტების თანამდგომი და გაჭირვების თანაზიარია. გულში ჩამწვდომი, თბილი და დამაჯერებელი საუბრით მკურნალმა მრავალი პაციენტის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. საკმარისია, ქალბატონი თინათინის კაბინეტში ერთხელ შესვლა და მასთან გასაუბრება, რომ მაშინვე დადებითად იმუხტები, სასიამოვნო იმპულსებს იღებ. განტვირთავს, სიმსუბუქეს, სიმშვიდეს გრძნობ. შენში რაღაც სასიამოვნო ხდება — ყველასა და ყველაფრის მიმართ კეთილი განწყობა გეუფლება. მისი გამოხედვა, სასიამოვნო, ხავერდოვანი ხმა და ჯადოსნური ხელების სითბო მის პაციენტებს დიდხანს მიჰყვებათ. თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ თინათინ მაჩაიძის შესაძლებლობებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ყველაზე დიდ გაოცებას იწვევს მისი საოცარი ხედვა და დიაგნოზის დასმის ფენომენური უნარი. ქალბატონი თინათინი ამბობს:

— არ არსებობს დაავადება, რომელიც სწორი დიაგნოზის დასმის შემდეგ არ განიკურნება. ბევრი ავადმყოფი სწორედ ამის გამო იტანჯება. ჩემს ოთახში რომ შემოდის პაციენტი, მისი დიაგნოზი უკვე ვიცი. მიმაჩნია, რომ ეს ღვთისგან ბოძებული ნიჭია.

მკურნალი ტრადიციული მედიცინიდან სხვადასხვა სამკურნალო მეთოდებს იყენებს. ის ბევრ საიდუმლო რეცეპტს ფლობს.

**თინათინ მაჩაიძე:**

— კომპლექსური მკურნალობის მეთოდებს — ბიოენერგო და ფსიქოთერაპიულ, მანუალურ და ფიტოთერაპიულ მეთოდებს ვიყენებ. ასევე, ვმკურნალობ მალამოებით, საფენებით, მასაჟებითა და ასე შემდეგ. სწორედ კომპლექსური მკურნალობა მაძლევს საშუალებას, უამრავ სენს შევებრძოლო. ბედნიერი ვარ, უფალმა განკურნების ნიჭი რომ მიბოძა. ბევრი პაციენტი ქირურგიული ოპერაციისგან მიხსნია.

— *ქალბატონო თინათინ, კონკრეტულად რა დაავადებებს კურნავთ?*

— ნერვული სისტემის მოშლილობებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, თავის ტკივილებს, უძილობას, ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, ნერვის ანთებას, სახსრების დაავადებას, მარილებს, ნაღვლის ბუშტისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, მეჭეჭებსა და ხორცმეტებს უმტკივნეულოდ ვაცილებ, ადამიანებს ვუხსნი ჭარბი წონის პრობლემებს.

• • •

ქალბატონ თინათინს პაციენტის ტკივილი სტანჯავს, ამიტომაც იმაზე მეტს უკეთებს ავადმყოფს, რაც მას სჭირდება. მისი ინდივიდუალური მიდგომა ფსიქოლოგიურ მომენტთან არის დაკავშირებული. ამის შესახებ შთაბეჭდილებათა წიგნში მისი პაციენტი ირმა წიკლაური წერს: „დილიდან დაღამებამდე ვიყავი ცუდად, აბსოლუტურად ყველაფრის მეშინოდა. მქონდა ცუდად გახდომის შიში. ლაპარაკის თავიც არ მქონდა. სიცოცხლე აღარ მინდოდა. ასე, იმედგადაწურული, მოვედი თინიკო ექიმთან... ამ ქალბატონს ღმერთის მოციქულს ვუწოდებ, რომელსაც მოაქვს შვება, ტკივილის დაამება. მან ჩემს პატარა შვილს დედა ხელმეორედ აჩუქა. სიტყვა „მადლობა" არაფერია იმასთან, რასაც მე ვგრძნობ და ვუძღვნი თინიკო მაჩაიძეს".

**ზ. ჩუბინიძე წერს:** „ჩემმა შვილებმა ქალბატონ თინათინთან საშინელ მდგომარეობაში მომიყვანეს. მაწუხებდა გულის არითმია, სისხლძარღვების შევიწროება, შაქრიანი დიაბეტი. არ მქონდა სიცოცხლის ხალისი, სამი სეანსის შემდეგ ვიგრძენი შვება. 15 სეანსის შემდეგ სახლში გამოჯანმრთელებული და ბედნიერი ვბრუნდები. გთხოვთ ყველას, იწამოთ და დაიჯეროთ სასწაულის, რომელსაც ქალბატონი თინათინი უშურველად გასცემს".

**მარიამ დალაქიშვილი კი წერს:** „დიდი ხანია, საშინელი ფორმით მაწუხებდა ნევროზი. აქ თავმოყრილი იყო ყველა უმძიმესი ფორმა, რაც დამახასიათებელია ნევროზისთვის: შიშები, ჰაერის უკმარისობა, შინაგანი კანკალი, სხეულის სიმძიმე, თავის ტკივილები და გაბრუება, ხალხმრავლობის შიში და სულ ცუდის მოლოდინი. ამ ყველა ფორმისაგან გავთავისუფლდი. ქალბატონო თინათინ, ღმერთმა დაგლოცოთ!".

რადგან თინათინ მაჩაიძეს საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს, მის მადლიერ პაციენტებს მოვუსმინოთ:

**თეონა კალანდარიშვილი (40 წლის):** ნევროზის უმძიმესი ფორმით ვიყავი დაავადებული, მაწუხებდა შიშები, ჰაერის უკმარისობა, შინაგანი კანკალი, სხეულის სიმძიმე, თავის ტკივილი, გაბრუება, მუდმივად ცუდის მოლოდინში ვიყავი, ხალმრავლობას ვერ ვიტანდი. ამ სატანჯველისგან ქალბატონი თინათინის წყალობით გავთავისუფლდი. გულით ვლოცავ ამ მართლაცდა ღვთისნიერ მკურნალს და უღრმეს მადლობას ვუხდი!



**ილია კაკურიძე (54 წლის):** ქალბატონ თინათინთან ნაღვლის ბუშტის ანთებამ და კუჭ-ნაწლავის პრობლემებმა მიმიყვანა. მასთან მისვლა ჩემმა მეგობარმა მირჩია. ისე აქებდა და ისეთი მადლიერებით იხსენებდა მას, რომ რწმენა გამიჩნდა, მაგრამ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ სრულიად ჯანმრთელი ვარ!

• • •

**P.S.** თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ და სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, დაუყოვნებლივ მიაკითხეთ ექიმ თინათინ მაჩაიძეს, რომელიც განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური მეთოდებით მკურნალობს. აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ დაავადებებს, რომლებსაც ქალბატონი თინათინი უკვე ათეული წლებია, მის მიერვე დასმული დიაგნოზის შემდეგ, წარმატებით მკურნალობს. ესენია: ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა: ნევროზები, შიშები, აკვიატებული აზრები, თავის ტკივილი, უძილობა, მოთენთილობა, გაბრუება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესია, ღამის უნებლიე შარდვა (ენურეზი), ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ნერვის ანთება, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ალერგიები და, რაც ყველაზე მთავარია, თინა ექიმი წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს, ასევე, გეტყვით, რომ თინა ექიმის მკურნალობის უტყუარმა მეთოდმა პაციენტის ფოტოსურათზეც გაჭრა, მის დაუსწრებლად, რაც სასწაულის ტოლფასია.

**მის.: წერეთლის გამზირი. №71-ის მოპირდაპირედ. გზის მეორე მხარეს. „ბანკი რესპუბლიკის" კორპუსი. მე-2 სად., 1-ლი სართ. ტელ.: 599-58-69-47. 555-12-78-30. 593-38-26-13. 235-18-68 (ოფისი).**

**პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.**



Cyan Magenta Yellow Black

# კობა დავითაშვილი ჰომოსექსუალიზმის პოპულარიზაციის წინააღმდეგ კანონპროექტზე მუშაობს



ერთსქესიანი წყვილების მიერ ბავშვების აყვანის ლეგალიზაციის შემდეგ ევროკავშირი ინცესტის ლეგალიზაციის საკითხს განიხილავს, ანუ სისხლის აღრევის დაკანონებას. ამის შესახებ უცხოური მედია იუწყება. ევროპელი პოლიტიკოსებისთვის უკვე არამხოლოდ ჰომოსექსუალური კავშირებია ნორმა, არამედ სექსუალური კავშირიც მშობელსა და შვილს შორის, დასა და ძმას შორის და ასევე — ყველანაირ სისხლით ნათესავს შორის. აქედან გამომდინარე, თუ ამ ყველაფრის დაკანონება მოხდა, კანონგარეშე მდგომარეობაში თავისთავად აღმოჩნდება ის, ვინც ინცესტის წინააღმდეგ იბრძვის, ანუ ინცესტოფობი, ისე როგორც ჰომოფობი. 2012 წლის დეკემბერში აშშ-ის კონგრესმა ისეთი სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებს, როგორიცაა ზოოფილია, პედოფილია, ნეკროფილია, ინცესტი, ფედერალური და იურიდიული დაცულობის პირობა მისცა.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი კობა დავითაშვილი აპირებს, ევროპულ ზღვარგადასულ ლიბერალობას საქართველოში კანონი დაუპირისპიროს. საქმეს უკვე შეუდგა — ახალ კანონპროექტს ქმნის, რომელიც სექსუალური უმცირესობების ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და არამარტო მის წინააღმდეგ იქნება მიმართული. სანამ ამ თემაზე დეტალურად საუბარს დავიწყებდით, ბატონ კობას 17 მაისის აქციების შეფასება ვთხოვეთ.

**კობა დავითაშვილი:**

— 17 მაისი იყო პროვოკაცია, რომელიც მოაწყო ნაციონალურმა მოძრაობამ, მისმა ლიბერტარიანულმა ფრთამ და, სამწუხაროდ, პროვოკაციას წამოეგო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც უფრო სამწუხაროა, სამღვდელოების ნაწილიც. ისინი გასცდნენ თავიანთი სტატუსის ფარგლებს, რაც ნამდვილად არ იყო მისასალმებელი. როცა ადამიანი ანაფორას იცვამს, მის მიმართ უკვე სხვა სტანდარტი არსებობს და სხვანირად უნდა იქცეოდეს. მესმის, რომ ეს იყო პროვოცირება, მაგრამ მათ შეეძლოთ ამაზე სიმშვიდით ეპასუხათ ან სხვანაირი რეაქცია ჰქონოდათ და არა — ისეთი, როგორიც იყო.

**— მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პატრიარქმა და ეკლესიამ თავისი პოზიცია მკვეთრად დააფიქსირა.**

— არ დაგეთანხმებით, მასშტაბები იყო ამჟამად დიდი, თორემ ლგბტ-ის მხრიდან მსგავსი აქციის ჩატარების მცდელობა შარშანაც იყო და შარშანწინაც, იყო წინააღმდეგობაც. უბრალოდ, მაშინ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ხალხს ეშინოდა გამოსვლის, ახლა კი ამ თავისუფლების სიომ მოიტანა, რომ ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. მაგრამ ეს გამოსვლა იყო ამ იდეის დისკრედიტაცია და ამ მეთოდით ქმედება არასწორია. უნდა ვეცადოთ და მოვახერხოთ, რომ კანონიერების ფარგლებში დავაყენოთ ის მოთხოვნები, რაც სწორია. ის, რაც ჩვენს მომავალს უქმნის საფრთხეს — საზოგადოების მორალის და ზნეობის საკითხები, ყველა ქვეყნის შიდა საქმეა და ევროსასამართლო საერთოდ არ იხილავს ამ კუთხით საკითხებს, რადგან მორალი სხვადასხვაა ყველა ქვეყანაში. ზოგან შიშველი კაცი რომ გამოვარდეს ქუჩაში, თავისუფლების გამოვლინებაა, მაგრამ სხვაგან დააპატიმრებენ და ციხეში მიაბრძანებენ საზოგადოების უპატივცემლობისათვის. ჩვენს ქვეყანას ჰქონდა და აქვს საშუალება, თვითონ დაადგინოს წესები.

მე უკვე ვმუშაობ კანონპროექტზე, რომ დავიცვათ ჩვენი მომავალი თაობა, არასრულწლოვანები მავნე ზეგავლენისგან არამარტო ამ კუთხით, რასაც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ჰქვია. ძალიან ხშირად ჩვენ რეაგირებას ვახდენთ პორნოგრაფიულ და საშინელებათა ფილმებზე, ამ დროს კი თითქოსდა უწყინარი ტელესერიალები უფრო შეიცავენ ამ იდეების ბევრად სერიოზულ პროპაგანდას, ვიდრე ლგბტ-ის გამოსვლაა. ფილმები, სადაც დამკვიდრებულია, რომ თურმე შეიძლება წესად მივიჩნიოთ ოჯახის წევრებს შორის სექსუალური ურთიერთობა, ჩვენი ტრადიციებისთვის მიუღებელია და უნდა შეიზღუდოს. ევროპული

> **„ფილმები, სადაც დამკვიდრებულია, რომ თურმე შეიძლება წესად მივიჩნიოთ ოჯახის წევრებს შორის სექსუალური ურთიერთობა, ჩვენი ტრადიციებისთვის მიუღებელია და უნდა შეიზღუდოს".**

სასამართლო ამაში არ ერევა. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი შესაძლებლობა, ეს გავაკეთოთ ჩვენს ქვეყანაში ისე, როგორც ეს ჩვენს ტრადიციებს შეესაბამება და ამისთვის არ არის საჭირო სკამებით სირბილი და დედის გინება. არც ამსტერდამში მინდა ცხოვრება და არც ირანში, საქართველოში ცხოვრება მსურს!

**— ნაცმოძრაობის პროვოკაციას ხელისუფლებამ ადეკვატურად უპასუხა?**

— მკ კმაყოფილი ვარ ხელისუფლების, რომელიც იმ დღეს მოქმედებდა შსს-ს სახით. 17 მაისს პოლიციის ქმედება იყო სწორი. მათ ტრაგედია აგვარიდეს თავიდან და ის ხალხი იქაურობას გაარიდეს. რაც შეეხება დამნაშავის დასჯას, ვიცი, რომ საქმეები აღძრულია, მათ შორის — სასულიერო პირების მიმართაც და დაუსჯელი არავინ დარჩება.

**— სასულიერო პირებისთვის მუხლების წაყენების გამო მრევლში უკმაყოფილება შეინიშნება... ეს ისევ ხელისუფლებას არ შემოუბრუნდება ცუდად?**

— ვიცი, რომ ეკლესია დადებითად ეკიდება ამ პროცესს და ამის თაობაზე საჯარო განცხადებებიც იყო. მათ საეკლესიო სასჯელებიც დაეკისრებათ, რადგან სასულიერო პირებისთვის შეუფერებლად იქცეოდნენ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ძალადობა, ძალადობისკენ მოწოდება ისჯება.

ხელისუფლებას ასეთ დროს არ აქვს უმოქმედობის უფლება, რადგან შეიძლება ეს უფრო ცუდად შემოუბრუნდეს, ვიდრე ქმედება, რომელიც ბევრს შეიძლება არ მოეწონოს. რაც შეეხება ეკლესიას, მისი როლია, როცა ის საზოგადოების მომავლის, ტრადიციისა და წეს-ჩვეულებების დაცვაზე საუბრობს. როცა ის სვამს ასეთი პროპაგანდის აკრძალვის საკითხს, მისაღები და მხარდასაჭერია, ისევე როგორც, როცა აბორტების, აზარტული თამაშების აკრძალვის საკითხებს აყენებს. მსოფლიოს ყველა ეკლესია აკეთებს ამას, უბრალოდ ამას უნდა კანონმდებლობის ფარგლებში მოქცევა.

**— კანონპროექტი, რომელზედაც ახლა მუშაობთ, როგორი იქნება?**

— აი, აგერ მაქვს ლიტვის მიერ გაკეთებული ანალოგიური კანონპროექტი, რომელიც 2009 წელს აქვთ მიღებული და მას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. პარლამენტმა მიიღო, პრეზიდენტმა ვეტო დაადო, პარლამენტმა დაძლია, მაგრამ შემდეგ მაინც შეაჩერეს ევროკავშირის მოთხოვნით, რადგან ლიტვა ევროკავშირის წევრია. ჩვენ ევროკავშირის წევრი არ ვართ, ეს 20 წელი კიდევ არ „გვემუქრება“. სულ რომ გავიჭაჭოთ, არ გვღებულობენ სხვადასხვა მიზეზის გამო — ეკონომიკური, სოციალური და, მათ შორის, შრომის კოდექსის გამოც. ჰოდა, ერთი ხეირი ჩვენს ევროკავშირის არაწევრობას ის აქვს, რომ თამამად შეგვიძლია მივიღოთ ის კანონი, რაც ლიტვამ ბოლომდე ვერ მიიყვანა.

**— კონკრეტულად რა კანონზეა საუბარი?**

— 2006 წელს, მაშინ კონსერვატორულ პარტიაში ვიყავი, ჩვენ ლიტვაში მიგვიწვიეს და სწორედ იქ იყო ამაზე საუბარი. ამბობდნენ, ევროკავშირში შევედით, მაგრამ სამწუხაროა, რომ ერთსქესიანთა ქორწინება ვერ ავკრძალეთ და შეიძლება ეს დაგვემუქროსო. ეტყობა, ამ კანონპროექტის გაკეთება და მისი დაძლევაც კონსერვატორების ინიციატივა იყო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ევროკავშირი ჩაერია. ჩვენ გვაქვს შანსი, კანონი ისე დავადგინოთ, რომ არავის შიში გვქონდეს.

**— ამ კანონპროექტს რამდენად მოგიწონებენ, არ ვიცი, მაგრამ შრომის კოდექსი ჩაგივარდათ მეორე მოსმენაზე.**

— ეს, იცით, რისი ბრალია? იმის, რომ ჩვენი პარლამენტის ზოგიერთ წევრს პირობითად შეიძლება ეწოდოს დეპუტატი. ისინი უფრო თავიანთ ბიზნესს იცავენ, ვიდრე ამომრჩევლის ინტერესებს. ბიზნესმენობა და პარლამენტის წევრობა შეუთავსებელია ჩვენი კონსტიტუციით და კანონით. მინდა, ყველას შევახსენო, ვისაც კენჭისყრის დროს ავიწყდება, რომ პარლამენტის წევრია და თავის ბიზნესმენობა ახსენდება — ასეთი ქმედება დასჯადია პარლამენტიდან გაძევებით!

**— კოლეგებს ემუქრებით?**

— არავის ვემუქრები, მაგრამ შევახსენებ,



Cyan Magenta Yellow Black

რომ კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, როცა მეწარმე მოქმედებს, როგორც მეწარმე და არა, როგორც პარლამენტის წევრი, მეტი მტკიცებულება არ უნდა, დაისჯება.

დავსვამ საკითხს იმ ადამიანების მიმართ, ვინც ბიზნესმენობენ ან სხვის ინტერესებს ატარებენ. გვარსა და სახელს ახლა არ დავასახელებ, ყველამ საკუთარი თავი ამოიცნოს.

**— ჩავარდნის მიზეზად პრემიერის განცხადებასაც ხომ არ მიიჩნევთ, რომელმაც პირდაპირ თქვა, წინააღმდეგი ვარო.**

— სამწუხაროდ, რაც მთავრობაში მოხდა, არანაირი ლოგიკის ფარგლებში არ ჯდება. სულ არ ვიყავი მოხიბლული იმ ვარიანტით, მაგრამ, რადგან მიღწეული იყო კომპრომისული ვარიანტი, რომელიც სხდომაზე მიიღო მთავრობამ და გამოუგზავნა პარლამენტს, პირველი მოსმენით მივიღეთ. მერე თავს დაესხა კანონპროექტს ვიცეპრემიერი მარგველაშვილი, მას მხარი პრემიერმაც დაუჭირა და მე დიდ გაუგებრობაში აღმოვჩნდი. თუ დამღუპველი კანონპროექტი იყო, რას შემოჰქონდათ და თუ შემოიტანეს, ჩვენ რას გვერჩიან? მერე კი ამბობენ, რომ გუნდურ პრინციპებს არ იცავს დავითაშვილიო...

**— მერე ამას გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება მოჰყვა...**

— ეს მთლად სასწაულია! კიდევ უნდა გავაძლიერო ანტიგუნდური მოქმედება, იქნება და, დამაწინაურონ.

**— დაწინაურების რა მოგახსენოთ, მაგრამ გარიცხვის კანდიდატი კი იყავით, პრემიერს ვიღაცეებისთვის რომ დაეჯერებინა.**

> **„მე დღემდე არ მიმიღია არანაირი წინადადება კოალიციის წევრობის შესახებ და თუ არ მიმიღია ასეთი წინადადება, რატომ უნდა დავუჭირო მხარი მის კანდიდატს, ვინმემ ამიხსნას! კოალიცია არ თვლის „ხალხის პარტიას" თავის წევრად".**

— სხვადასხვა ხალხის მიმართ სხვადასხვა წესებია. თუ კობა დავითაშვილი ამბობს რამეს, ის ისჯება, თუ სხვა ამბობს, ის წინაურდება. სახელი და გვარი შევიცვალო?

**— რამდენად მოგწონთ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი?**

— შეფასებისგან თავს შევიკავებ. არც მხარდაჭერას ვაპირებ და არც გაკრიტიკებას ერთი მარტივი მიზეზის გამო, „ხალხის პარტია“ არ გახლავთ კოალიციის წევრი და ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიმიღია. მე ვარ ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი და ჩემი სამოქმედო დოკუმენტი არის წინასაარჩევნო პროგრამა. იქ ნათლად წერია, რომ სამსახურიდან მოსამსახურის დაუსაბუთებლად გაშვება არ უნდა მოხდეს და ეს ჩვენ უნდა შევცვალოთ.

**— შეიძლება სხვა კანდიდატს დაუჭიროთ მხარი?**

— ჯერჯერობით არც ერთი კანდიდატი მომწონს და არავის ვუჭერ მხარს. ჯერ თავი უნდა მომაწონონ. მე მარგველაშვილის ორი ნაბიჯი მომეწონა, არ დამიმალავს და გვერდით დავუდექი — სახელმძღვანელოებთან და კახა ბენდუქიძესთან დაკავშირებით, მაგრამ მერე ისეთი წინააღმდეგობრივი ნაბიჯები გადადგა... არსებობს მცირერიცხოვანი „ხალხის პარტია“, რომელიც ზოგს მოსწონს, ზოგს — არა, მაგრამ მე ვიტოვებ უფლებას, დამოუკიდებელი პოლიტიკური საქმიანობა განვახორციელო. მე დღემდე არ მიმიღია არანაირი წინადადება კოალიციის წევრობის შესახებ და რატომ უნდა დავუჭირო მხარი მის კანდიდატს, ვინმემ ამიხსნას! კოალიცია არ თვლის „ხალხის პარტიას“ თავის წევრად.

**— მაგრამ გუნდის წევრად აშკარად ითვლებით.**

— გუნდის წევრი ვარ ფრაქციაში. მე მის მოთხოვნებს ვემორჩილები, მათ მხარდაჭერასაც ვგრძნობ. თუ ისინი საჭიროდ არ თვლიან, მხარი დაუჭირონ აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვის კანონპროექტს, რომელიც ყველა წესის დაცვით იქნა დადგენილი, პირველი მოსმენით მიღებული და მეორე მოსმენის დროს ჩამიგდეს, მე რატომ ვარ ვალდებული, მხარი დავუჭირო მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს?

**— ეს არის იმის პასუხიც, რატომ ხართ ყოველთვის ოპოზიციაში?**

— ეს არ არის ოპოზიციაში ყოფნა, ეს არის თამაშის წესების ზუსტი შესრულება, რომელიც მე არ დამიდგენია. თუ თამაშის წესები ისე წარმოუდგენია ვინმეს, რომ მე რასაც მეტყვიან, ყველაფერი გავაკეთო და მე რასაც ვიტყვი, არაფერი უნდა გააკეთონ, ეგეთი თამაშის წესებით მე არასოდეს მითამაშია და არც ვაპირებ. თუ ვინმეს ეჭვი აქვს, რომ ჩემი თვითმიზანია ოპოზიციონერობა, ნებისმიერი სამინისტრო ჩამაბაროს და ნახავს, ვინ უკეთ იმუშავებს. ამაზე მივიღე პასუხი, თურმე შესაძლებელია ასეთი რამ მოხდეს ოდესღაც. ძალიან კარგი, მაგრამ ამის ლოდინს არ ვაპირებ.

**— ვანო მერაბიშვილის დაკავებაზე რას იტყვით?**

— 1 ოქტომბრიდან მოყოლებული ვითხოვ, რომ 7 ნოემბრის საქმეზე იქნეს დაპატიმრებული მერაბიშვილი, რომელმაც გამოიყენა რეზინის ტყვიები, რისი უფლებაც არ ჰქონდა. ამ საქმეს გამოძიება არც უნდა, ზედაპირზე დევს. დღემდე ვერ მოვახერხე, რომ პროკურატურამ ბრალი წაუყენოს ამ საკითხში და მაინტერესებს, რატომ ხდება ასე. თუმცა არ განვეკუთვნები მათ რიცხვს, ვინც ამბობენ, რომ, რაც წაუყენეს, ის უმნიშვნელო ბრალდებაა. როცა ბიუჯეტს ისე ხმარობდა, როგორც საკუთარ ჯიბეს ეს კორუფციასთან მებრძოლი ვანო, არ არის ცუდი, რომ მის მიმართ ასეთი ბრალდება არსებობს.

**— იყო პრეტენზიები, რომ ბრალი მერაბიშვილისთვის უნდა წაეყენებინა იუსტიციის მინისტრს და არა რიგით პროკურორს, რომ ჭიაბერაშვილი დიპლომატია...**

— სისულელეა! პროკურატურის შესახებ კანონი ზეპირად ვიცი. მაგის თაობაზე კანონში ცვლილებები მე მაქვს შეტანილი. იქ არის თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და მასში შედიან პარლამენტის, მთავრობის წევრები და ელჩებიც, რომელთა მიმართ ბრალის წაყენებას მართლა უნდა დაესწროს იუსტიციის მინისტრი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ისინი არიან თანამდებობის პირები. როცა ისინი იმ თანამდებობაზე არ არიან, მათ იმუნიტეტი არ იცავთ. გამონაკლისია პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მის მიმართ საქმის აღძვრა უნდა მოხდეს იუსტიციის მინისტრის მხრიდან, ოღონდ მხოლოდ 4 წლის განმავლობაში. რაც შეეხება ჭიაბერაშვილის შემთხვევას, ეს არის თაღლითობა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, როცა აცხადებენ, რომ ის ელჩია. მას აქვს ელჩის რანგი, მაგრამ ელჩის თანამდებობა სხვა რამეა. ასე რომ, ნაცების განცხადებებს არანაირი საფუძველი არ აქვს.

# სოსო ცინცაძე:

## „საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ დაიშლება“

რას შეცვლის ქართულ პოლიტიკაში ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის, ვანო მერაბიშვილის დაკავება? პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ არც არაფერს, რადგან მერაბიშვილმა თავისი თავი უკვე ამოწურა, ხოლო ნაცმოძრაობის გადარჩენის რესურსი ამ გადასახედიდან მხოლოდ დავით ბაქრაძეს აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ის, როგორც ლიდერი, გუნდმა და პრეზიდენტმა მიიღო.

**სოსო ცინცაძე:**

— ბოლო დროს ჩვენ ხშირად ვაზვიადებთ მერაბიშვილის ფუნქციას არჩევნების შემდგომი პერიოდისათვის. მას ფუნქცია ჰქონდა 2003 წლიდან 2013 წლამდე და მან თავისი როლი უკვე ამოწურა. უკანასკნელი 7 თვე არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მერაბიშვილის ირგვლივ ტრიალებდა მთელი ოპოზიციური ღერძი. ამიტომ არა მგონია, რომ მისი დაკავება იყოს კატასტროფული მოვლენა თვითონ ნაციონალური მოძრაობისათვისაც კი. ეჭვი მეპარება, რომ მერაბიშვილთან ერთად რაღაც ეპოქა სრულდება, რადგან ჯერ კიდევ არ შემდგარა ამ ეპოქის მთავარი აქტი — სასამართლო პროცესი. ჯერ კიდევ არ ვიცით, ამ უამრავი ბრალდებიდან პროკურატურა რის დამტკიცებას მოახერხებს და სასამართლოს რეაგირება როგორი იქნება.

**— მის დაკავებას საზოგადოება ცნობილ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით უფრო ელოდა.**

— შეიძლება ველოდით უფრო მეტ ბრალდებას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბრალდებათა ჩამონათვალი გაიზრდება. გარდა ამისა, ჩვენთვის ისიც არ არის ცნობილი, დაიწყებს თუ არა მერაბიშვილი თანამშრომლობას გამოძიებასთან. რას ნიშნავს ძიებასთან თანამშრომლობა, ჩვენ ვიცით. მერაბიშვილის ხელთ არის ზღვა

> **„მერაბიშვილის ხელთ არის ზღვა ინფორმაცია განვლილ 10 წელზე. ის არის ნაცმოძრაობის ცოცხალი არქივი და რამდენად ფართოდ გახსნის ამ არქივის კარს, ამას სასამართლო პროცესი გვიჩვენებს".**

ინფორმაცია განვლილ 10 წელზე. ამ მხრივ, ის არის ნაცმოძრაობის ცოცხალი არქივი და რამდენად ფართოდ გახსნის ამ არქივის კარს, ამას სასამართლო პროცესი გვიჩვენებს.

**— ბევრმა მისი დაკავება თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას კლანის გამარჯვებასთან გააიგივა.**

— კლანური მომენტი აქ არის, მაგრამ გამარჯვება ცოტა გადამეტებულია. ახალაიას კლანს საზეიმოდ საქმე ნამდვილად არ აქვს, ისიც დამარცხებულია. უბრალოდ შეიძლება გამოძიებამ ისარგებლოს და ახალაიების ინფორმაციები გამოიყენოს მერაბიშვილის საწინააღმდეგოდ. ეს მოსალოდნელია.

**— კახეთის გუბერნატორის, ზურაბ** →18



Cyan Magenta Yellow Black

***ჭიაბერაშვილის ფიგურას როგორ განიხილავთ ამ ამბავში?***

— ჭიაბერაშვილი არის შემსრულებელი, რიგითი, მთავარი საკვანძო ფიგურა მერაბიშვილია. უკვე ნადირობა მიდის გენერლებსა და მარშლებზე და არა — რიგით ჯარისკაცებზე.

***— რამდენადაა შესაძლებელი, მერაბიშვილი საკაშვილის წინააღმდეგ ალაპარაკდეს?***

— რამდენად შესაძლებელია, ვერ გეტყვით, მაგრამ იმას, რომ გამორიცხული არაფერია, ნამდვილად ვადასტურებ.

***— როგორ ხედავთ ნაციონალების პოლიტიკურ გზას მერაბიშვილის გარეშე?***

— ნებისმიერ შემთხვევაში, როცა პარტიის ხისტი ვერტიკალის თავი ფუნქციონირებას წყვეტს, მძიმე დრო დგება. როცა სტრატეგები შორდებიან პარტიას, მის შიგ-

> **„გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილს პრობლემებს არასოდეს შეუქმნის, თუნდაც იმიტომ, რომ მის უკან, თუ ის ივანიშვილს დაუპირისპირდება, სიცარიელეა... ის იქნება მშვიდი, გაწონასწორებული პრეზიდენტი".**

ნით უნდა მოხდეს სათადარიგო ცვლა, ანუ ვიღაცამ თავის თავზე უნდა აიღოს ის ფუნქცია, რასაც მერაბიშვილი ასრულებდა. ჯერჯერობით ასეთი ფიგურა გამოკვეთილი არ არის და არც არავინ იცის, ვინ იქნება ეს — დავით ბაქრაძე თუ სხვა ვინმე. ყველაფერი დამოკიდებულია ნაციონალური მოძრაობის ინტელექტუალურ რესურსზე და იმაზე, რა რესურსი გააჩნია პარტიას ბრძოლისუნარიანობასთან დაკავშირებით. ნახოთ, რა მოხდება.

***— ალბათ მერაბიშვილის შემცვლელად ბაქრაძე უფრო იკვეთება, თან, თუ მის მზარდ რეიტინგსაც გავითვალისწინებთ.***

— შეიძლება თავისუფლად ჩამოყალიბდეს, თუ სხვები მიიღებენ მის ლიდერობას, მაგრამ თვითონ დავით ბაქრაძეს არასოდეს გამოუვლენია მიდრეკილება ლიდერობისადმი. ის ყოველთვის მშვიდი, გაწონასწორებული, არააგრესიული, არაექსტრემისტული პოზიციის მომხრე იყო. პარტიაში არიან უფრო აქტიურები, აგრესიულად განწყობილები. ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, თუ მიიღებს პარტია ბაქრაძეს, როგორც ლიდერს და თუ იქნება პრეზიდენტის თანხმობა.

***— სხვას ლიდერად ვის ხედავთ?***

— მასზე უკეთესს — ვერავის, რადგან საზოგადოებაში ბაქრაძის მიმართ ყველაზე ნაკლები აგრესიაა. ამიტომ პარტიის გადარჩენის ყველაზე დიდი შანსი აქვს ბაქრაძეს, მაგრამ დანარჩენი ლიდერები რას იზამენ? მერაბიშვილის შემდეგ პარტიაში თითქმის ყველა თანასწორი დარჩა და თითოეულ მათგანს შეიძლება ჰქონდეს დასაბუთებული ამბიცია ლიდერობაზე — დაწყებული მიხეილ მაჭავარიანით, დამთავრებული გიგი წერეთლით.

***— ბოლო დროს ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ლიდერობისთვის ბრძოლა მერაბიშვილ-საკაშვილს ჰქონდათ. ამის დასტურად 19 აპრილი სახელდება, როცა პრეზიდენტის გამოსვლისას მერაბიშვილმა ტრიბუნა დატოვა.***

— ეს ჭორებია, ნაცმოძრაობა არასოდეს ყოფილა ისეთი გახსნილი და გამჭვირვალე პოლიტიკური ძალა, რომ საზოგადოებას ჰქონოდა ობიექტური ინფორმაცია. მე კი ჭორის დონეზე მკითხაობები არ მიყვარს.

***— ალბათ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკაშვილის გარემოცვა ძალიან ჭრელია.***

— კი, ჭრელია და ახლა გასარკვევია ისიც, რამდენია მასში საკაშვილის თანამებრძოლი და რამდენი — თანამოაზრე. თანამებრძოლთა და თანამოაზრეთა შორის დიდი განსხვავებაა.

***— მერაბიშვილის დაკავება რამდენად იქნება დამაბრკოლებელი ფაქტორი ქვეყნისათვის საგარეო ურთიერთობებში?***

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ობიექტურად წავა სასამართლო პროცესი, ანუ რამდენად დამაჯერებელი



იქნება პროკურატურის მტკიცებულებები ჩვენი უცხოელი მეგობრებისათვის.

***— ამიტომაც ხომ არ შეხვდა ბიძინა ივანიშვილი დიპლომატებს ამ დღეებში?***

— არ გამოვრიცხავ.

***— როგორ ფიქრობთ, როგორ მივალთ საპრეზიდენტო არჩევნებამდე?***

— მძაფრი წინასაარჩევნო კამპანია არ იქნება. ჩვენ ვერ ვნახავთ ისეთ დაპირისპირებას, თუნდაც შარშან ამ დროს რომ იყო. ეს იქნება მდორე, მშვიდი, წინასწარ კარგად ცნობილი შედეგის საარჩევნო კამპანია.

***— ანუ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს, გიორგი მარგველაშვილს, უკვე პრეზიდენტად მიიჩნევთ?***

— რასაკვირველია. ეს არჩევნები იქნება უფრო პრემიერის არჩევანის იურიდიული გაფორმება.

***— მაგრამ არის მოსაზრება, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია თუ გაერთიანდება, მის საერთო კანდიდატს რეალური შანსი უჩნდება.***

— არა, არავის აქვს რეალური შანსი.

***— შედეგს პირველივე ტურში ელოდებით?***

— რასაკვირველია. ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს იქნება მეორე ტური, მაგრამ მაშინაც გარანტირებულია შედეგი. მაინც ვფიქრობ, რომ დიდი უპირატესობით — არა, მაგრამ ყველაფერი პირველივე ტურში გაირკვევა.

***— შალვა ნათელაშვილი, ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი... ასე უიმედონი არ ჩანან.***

— ზურაბიშვილი უკვე ჩაება ბრძოლაში და მოვისმინე მისი მკვეთრი განცხადებაც, რომ მარგველაშვილი სუსტია და მხოლოდ პარტიის იმედი აქვს. ბურჯანაძის მხრიდან მარგველაშვილის კრიტიკა ჯერ არ მომისმენია. ჩემი აზრით, ის გაცილებით თავშეკავებული იქნება, რადგან ეს გამოვა ივანიშვილის ირიბად კრიტიკა და არა მგონია, ბურჯანაძე ამ ეტაპზე მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობით დაუპირისპირდეს კონკურენტს. ეტყობა, ჯერჯერობით ბურჯანაძე თვლის, რომ მისი დრო არ დამდგარა.

***— რამდენად სწორი გათვლა გააკეთა ივანიშვილმა, მარგველაშვილზე რომ შეაჩერა არჩევანი?***

— სწორია თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ პრაგმატული გათვლა ნამდვილად არის. მარგველაშვილი ივანიშვილს პრობლემებს არასოდეს შეუქმნის, თუნდაც იმიტომ, რომ მის უკან, თუ ის ივანიშვილს დაუპირისპირდება, სიცარიელეა. ირაკლი ალასანიას ზურგს უკან დგას პარტია, ბურჯანაძის ზურგს უკანაც დგას პარტია, მაგრამ „ოცნების“ კანდიდატის უკან სრული სიცარიელეა.

***— მარგველაშვილი ივანიშვილისთვის შეიძლება კარგი პრეზიდენტი იყოს, მაგრამ ქვეყნისთვის როგორი იქნება?***

— ცუდი პრეზიდენტი არ იქნება. მარგველაშვილი არ არის ექსტრემისტი, არ არის პოპულისტი, არ გააჩნია დიდი ამბიციები, კონფლიქტური არ გახლავთ, ინტელექტუალია, ეს ყველაფერი მის წისქვილზე ასხამს წყალს. იქნება მშვიდი, გაწონასწორებული, წყნარი, უპრობლემო პრეზიდენტი, თანაც კონსტიტუციაც სწორედ ასეთს გულისხმობს. ჩვენ ვნახეთ, როგორი იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ახლა უნდა ვნახოთ, როგორი იქნება საპარლამენტო რესპუბლიკა, ამიტომ წინასწარ რამის თქმა ძნელია. თან, ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი.

***— რას გულისხმობთ?***

— საინტერესოა, დაიშლება თუ არა კოალიცია ან როგორი იქნება ივანიშვილის პარტია, რომელიც საქმეში არ გვინახავს. აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიაში არ არიან მაღალი ავტორიტეტის ადამიანები, ჯერჯერობით მხოლოდ ახალი ხალხია, რომელთა ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ მოახერხეს ივანიშვილის გვერდით დადგომა. უფრო სწორად, მოასწრეს და სწორი გათვლა გააკეთეს წინასაარჩევნო პერიოდში. ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი არჩევანი არც ჰქონდათ — ან უნდა მდგარიყვნენ ივანიშვილთან, ან უნდა წასულიყვნენ პოლიტიკიდან. ვინაიდან ბევრი მათგანისთვის პოლიტიკიდან წასვლა, ყველაფერს

> **„მერაბიშვილის შემდეგ პარტიაში თითქმის ყველა თანასწორი დარჩა და თითოეულ მათგანს შეიძლება ჰქონდეს დასაბუთებული ამბიცია ლიდერობაზე — დაწყებული მიხეილ მაჭავარიანით დამთავრებული გიგი წერეთლით".**

რომ თავი დავანებოთ, ყოფითი პირობების კრახი იყო, პროფესიონალიზმი არ აძლევდათ იმის გარანტიას, რომ შეძლებდნენ საზოგადოების ავანგარდში დარჩენას, დადგნენ ივანიშვილთან, მაგრამ პრემიერისთვის რამდენად ეფექტური დასაყრდენი იქნება, ამას მომავალში ვნახავთ, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი.

***— კოალიციის დაშლას როდისთვის ვარაუდობთ?***

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

***— ნაციონალურ მოძრაობასაც იმავეს უწინასწარმეტყველებენ.***

— თუ კოალიცია დაიშალა და ნაციონალურმა მოძრაობამ შეინარჩუნა თავისი ორგანიზაციული ბირთვი, პლუს ფინანსური რესურსი, მაშინ დროთა განმავლობაში აქვს შანსი, ისარგებლოს დანარჩენი პარტიების სისუსტით და გახდეს ერთ-ერთი ძლიერი პარტია.

# ვანო მერაბიშვილს არ სჯეროდა, რომ დაიჭერდნენ

„ყოფილიყავი უდეში, მდგარიყავი ბაზარში და გეხურდავებინა დოლარი. საღამოს დაჯდებოდი და იქვე „კარდონის“ ყუთებზე 1-2 ჭიქა არაყსაც დაგალევინებდნენ, მერე პურს იყიდდი, სახლში თაკო დაგხვდებოდა თავშეხვეული, ცოტას გაგლანძღავდა და წაუწვებოდი იქვე დივანზე, რა შენი საქმე იყო მინისტრობა და პრემიერობა??? არა შეჯდა მწყერი ხესაო!!!.. თან რას გაიხარებს ციხე, შენს მიყვანას რომ გაიგებს???..“ — სანდრო ბრეგაძე, „ფეისბუქი“.

შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს და საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრს, ვანო მერაბიშვილს, ციხე შეძახილების გარეშე შეხვდა. „მატროსოვზე“ მარტო ზის საკანში... არადა სულ ცოტა ხნის წინ პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე აწყობდა, პრეზიდენტობის იმედიც ჰქონდა. დრონი მეფობენ და არა — მეფენიო, ამ ჭეშმარიტების არ სჯეროდა. თურმე არც მაშინ სჯეროდა, როცა ბრალს უყენებდნენ. რაღაც გეშლებათ, ეგ მე უნდა მითხრათ თუ ჭიაბერაშვილსო — უკითხავს. არც მაშინ, როცა გააფრთხილეს, ხვალ დაგიჭერენო — რა სისულელეა, ჩემს დაკავებას ვერ გაბედავენ, თორემ ივანიშვილის მთავრობა თავს აიფეთქებსო, უთქვამს. სიცილით გამოცხადდა დაკითხვაზე, კარგახანს „იღადავა“ კიდეც ივანიშვილის სპეცოპერაციაზეც, მაგრამ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. ამ ეტაპზე კი სასაცილოდ, თუ სიმწრის სიცილს არ ჩავთვლით, საქმე ნამდვილად არ აქვს — წაყენებული ბრალდებებით 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება, ამ ეტაპზე, თორემ მერე კიდევ რა დაემატება, ვინ იცის. „მეწყვილე“ ზურაბ ჭიაბერაშვილი კი სასამართლომ გირაოს, 20.000 ლარის სანაცვლოდ გამოუშვა.

## რას ედავება გამოძიება

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორის, ილია ჯალაღანიას თქმით, უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს პროკურატურა კომპლექსურ ღონისძიებებს საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის, ივანე მერაბიშვილის მიმართ ორ ეპიზოდზე აწარმოებდა. პროკურატურის მტკიცებით, გამოძიების პროცესში უკვე მოპოვებულია დაახლოებით ასეულობით ერთმანეთთან შეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასკვნისათვის, რომ ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებანი.

## პირველი ეპიზოდი

გამოძიების მასალებით, საქართველოს პრემიერმინისტრმა ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე სახელმწიფო სახსრებით დასახელებული პარტიის შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა თვალთმაქცური ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოში უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მლნ ლარი უკანონოდ ჩაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს, თითოეულს — 240 ლარის ოდენობით. მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი.

## მეორე ეპიზოდი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ივანე მერაბიშვილს დასვენებისთვის მოეწონა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კვარიათში ზღვის პირას მდებარე, შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებელური აგარაკი და 2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა იგი და, ოჯახთან ერთად, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით. მან ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და სხვისი აგარაკი, საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით, გაარემონტა შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ივანე მერაბიშვილის მიერ გამოყენებულ იქნა საიდუმლო ხარჯები, რომლებითაც, კანონის თანახმად, უნდა დაფინანსებულიყო დანაშაულთან ბრძოლისათვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები. მისივე განკარგულებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. შედეგად, სახელმწიფოს მიადგა 158 ათასი ლარის ზიანი.

პროკურორ ჯალაღანიას განმარტებით, უახლოეს მომავალში მერაბიშვილს ბრალი 26 მაისის და სანდრო გირგვლიანის საქმეებზეც წარედგინება. პროკურორის მტკიცებით, მერაბიშვილის უშუალო დავალებით მოხდა 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლა გადაჭარბებული ძალის გამოყენებით, რაც ორი ადამიანის სიკვდილით დასრულდა.

რაც შეეხება გირგვლიანის მკვლელობის საქმეს, პროკურორის მტკიცებით, მერაბიშვილმა უზრუნველყო უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება.

— ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე პრაქტიკულად სრული სიზუსტით აღდგენილია შემთხვევის ვითარება, დადგენილია მასში მონაწილე ყველა პირი, გარკვეულია დანაშაულის რეალური მოტივი, მისი ორგანიზატორები და ამსრულებლები. შეგროვებული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ სწორედ ივანე მერაბიშვილმა, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მეუღლის, თამარ (თაკო) სალაყაიას, აგრეთვე სხვა მასთან დაახლოებული პირების მომხდარი დანაშაულისაგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, უზრუნველყო მოცემულ საქმეზე უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება და შეგნებულად შეუშალა ხელი ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას, — აცხადებს ჯალაღანია.

## „პერსპექტივები"

ნაციონალები მერაბიშვილის „მატროსოვის“ ციხეში გაგზავნას, როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირებენ.

— ხელისუფლების კამპანია შენიღბულია სამართლიანობის აღდგენით და სინამდვილეში წარმოადგენს ძალადობის გზით, პოლიტიკური ნიშნით დევნის კლასიკურ ნიმუშს. ეს ნაბიჯი ახალ, მძიმე პოლიტიკურ რეალობას ქმნის ქვეყანაში და დიდ დარტყმას აყენებს საქართველოს, როგორც ცივილიზებული ქვეყნის იმიჯს... ნაცვლად იმისა, რომ ოპოზიციასთან თანამშრომლობის გზით იზრუნოს ქვეყნის განვითარებასა და ხალხის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაზე, მთავრობა ოპოზიციის ღია დევნით არის დაკავებული. მისი მიზანია, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ოპონენტების შევიწროება, კამპანიისთვის ხელისშეშლა, ოპოზიციის დეზორგანიზაცია და დემორალიზაციის სურვილი, — აცხადებს პარლამენტში ნაციონალური უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, — ჩვენ ვაცხადებთ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არათუ შეწყვეტს ან შეასუსტებს ბრძოლას, არამედ უფრო დიდი შემართებით შეებრძოლება მთავრობის უგუნურ და საქართველოსთვის დამღუპველ პოლიტიკას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ!

პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალების ბრალდებას რამდენიმე წინადადებით უპასუხა:

— ისინი საუბრობენ იმიტომ, რომ რაღაც თქვან და რას იტყვიან? იმას ხომ არ იტყვიან, რომ მათი პრემიერი არის კრიმინალი. მე მათზე რეაქციას არ ვაკეთებ, დაველოდოთ გამოძიებას და გამოძიება გადაწყვეტს.

გამოძიების მასალები კი, როგორც ჩანს, მართლაც საინტერესო იქნება. არის მოლოდინები, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ კომპრომატები ხელისუფლებას შესაძლოა კუდის ყოფილმა მაღალჩინოსანმა დათა ახალაიამაც მიაწოდოს — ბაჩო ახალაიას ძმამ, იმ დათამ, რომელიც წლების განმავლობაში მერაბიშვილის მოადგილე და მარჯვენა ხელი იყო. მისი გვარი გირგვლიანის საქმეშიც ფიგურირებს. მაშინ მერაბიშვილს არაფერი ეშველება, თუ ისიც გამოძიებასთან არ „ითანამშრომლებს“. მოსაყოლი კი ნაციონალების ცოცხალ არქივს მართლაც ბევრი ექნება, თუ იგრძნო, რომ ისიც ბაჩანა ახალაიასავით მიატოვეს. ნიშნები კი აშკარად ჩანს, სააკაშვილმა მერაბიშვილის დაკავების დღეს ვანუატუაზე უფრო მეტი ილაპარაკა, ვიდრე პარტიის გენმდივნის დაპატიმრებაზე, იმ გენმდივნის, ცოტა ხნის წინ რომ ქვეყნის ხერხემალს უწოდებდა.

მთავარმა პროკურორმა კბილაშვილმა, დათა ახალაიას ბრალდების შესაძლო მოხსნის შესახებ განცხადება უკვე გააკეთა რუსულ პრესასთან:

— თუ ეს ადამიანი (დათა ახალაია. ავტ.) საქართველოში დაბრუნდება და ჩვენებას მისცემს სამართალდამცავ ორგანოებს და, თუ დადგინდა, რომ ამ განცხადებაში გამოთქმული მოსაზრება რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული, მაშინ სრულიად შესაძლებელია, რომ დათა ახალაიას სტატუსი შეეცვალოს და პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდეს.

„განცხადებაში გამოთქმულ მოსაზრებაში“ „ფეისბუქზე“ დათა ახალაიას ცნობილი მიმართვა იგულისხმა, სადაც მან ციხის კადრების შექმნა, არჩევნებში დამარცხება და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ლაფანყურის ოპერაციის დაგეგმვა ვანო მერაბიშვილს დაუკავშირა. „მყარად მაქვს გადაწყვეტილი, უახლოეს მომავალში ჩემს მეგობრებთან ერთად დავბრუნდე საქართველოში და ყველა კითხვას გავცე პასუხი“, — იტყობინებოდა დათა ახალაია განცხადებაში.

ასე რომ, კინო ჯერ სანახავი გვაქვს!

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა
მანანა გეგიამ



Cyan Magenta Yellow Black

# გაღლეტილი ვანოდან დიდ ვანომდე

## „მროხებით ვირჩენდით თავს. თავისი ხელფასით მხოლოდ სამი პურის ყიდვა შეეძლო...“



2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის სისხლიანი დარბევის ორი წლისთავზე მაშინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი პირი, დღეს ნაციონალური მოძრაობის გენმდივანი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და ყოფილი პრემიერმინისტრი, ძლევამოსილი ვანო (ივანე მერაბიშვილი) ციხეშია. მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე, რომლებიც საზოგადოებამ ალბათ ზეპირად იცის, დაწვრილებით არ შევჩერდებით, ზოგადი სურათი ასეთია — კორუფციული სქემა, სხვისი ქონების მითვისება, რასაც ემატება 26 მაისის აქციის დარბევა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიების ფალსიფიცირება. ბრალდებები მომავალში შეიძლება დამძიმდეს. როცა ქუთაისში სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულები საპროტესტო აქციების ფონზე სკანდირებდნენ, ეს ერთი და სხვა მრავალიო.

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ ქვეყნის ხერხემლად წოდებული ყველაზე ძლიერი შს მინისტრი ახლა კამერაში მარტო ზის და განაჩენს ელოდება.

ვინ არის ვანო მერაბიშვილი და რა გზა გაიარა ციხის საკნამდე?ის გამჭვირვალე შენობაში იჯდა, მაგრამ მაინც უჩინარი იყო, ყველას უსმენდა და ყველას ხედავდა. ინტერვიუს მხოლოდ უცხოელ ჟურნალისტებს აძლევდა. მიუხედავად ამისა, „სარკის“ არქივში ყოფილ ძალოვანზე მრავალი ინფორმაცია ინახება.

■

### პირველი მეამბოხე „მოქალაქეთა კავშირში"

ვანო მერაბიშვილი 1968 წლის 15 აპრილს ადიგენის რაიონის სოფელ უდეში დაიბადა. 6 თვის იყო, როცა მისი ოჯახი საცხოვრებლად ახალციხეში გადავიდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-საინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრა. გასული საუკუნის 90-იან წლებში მიწის მესაკუთრეთა ასოციაცია დააფუძნა ამ მესაკუთრეთა უფლებების დასაცავად. 1999 წელს კი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. იქ „მოქალაქეთა კავშირის“ სიით მოხვდა. მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის რეფორმატორ „ბარტყად“ ითვლებოდა მიშა სააკაშვილთან ერთად.

ვანო მერაბიშვილის სახელი ფართო საზოგადოებისთვის მაშინ გახდა ცნობილი, როცა სკანდალში გაეხვა. 2001 წლის აპრილში დეპუტატი „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტს ესაუბრა. ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც მერაბიშვილი შევარდნაძის შეცდომებზე ლაპარაკობდა. მაშინდელი მოარული ხმები, რომ „მოქალაქეთა კავშირში“ დიდი დაპირისპირება და განხეთქილება იყო, ფაქტობრივად დაადასტურა. მაშინ „სარკისსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტს მეგობრულად ესაუბრა, რაც ბევრ ქართველ ჟურნალისტთანაც გაუკეთებია, უცხოური მასმედიის წარმომადგენელმა კი ვერ გაუგო და ყველაფერი პრესის ფურცლებზე გადაიტანა. ამ საქციელისთვის თანაგუნდელებმა ვანო ჯერ გააკრიტიკეს, მერე კი მისი დაცვა დაიწყეს. „სიალალით მოუვიდა და ეს ისეთი თვისებაა, რომელიც არ უნდა დაისაჯოს“, — ასე გაამართლა იგი მაშინდელმა მეგობარმა და თანაგუნდელმა კობა დავითაშვილმა. ვანო, რომელსაც თავი მანამდე არაფრით გამოუჩენია, უცბათ გახდა პოპულარული. სკანდალის გმირი მაშინ ირწმუნებოდა, შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილს შორის დაპირისპირება არ არსებობს და გარანტიას გაძლევთ, 5 წელი მაინც მათ ერთობას საფრთხე არ ემუქრებაო. მერაბიშვილი ამბობდა, რომ მისი ამ ინტერვიუს გამო ჟვანია შეშფოთდა და მასთან საკმაოდ მძიმე საუბარიც ჰქონდა. სხვათა შორის, „სარკესთან“ საუბარს მაშინდელი მისი უახლოესი მეგობარი, ირაკლი ოქრუაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც ვანოს ჩვენ თვალწინ თავში წაუთაქა და გააფრთხილა, ახლა კიდევ რამე არ წამოგცდესო.

ირაკლი და ვანო წლების განმავლობაში მეგობრობდნენ. ამბობენ, რომ სწორედ ვანოსთან დაპირისპირების გამო მოხდა ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოცილება სამთავრობო გუნდიდან. სააკაშვილმა ოქრუაშვილს მერაბიშვილი ამჯობინა. ვარდების ხელისუფლების პირველ ხანებში მათ ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ამის შესახებ ვანოს დედამ, ქალბატონმა ჟენიამ მაშინ გვიამბო, როცა მისი შვილი უშიშროების საბჭოს მდივანი გახდა.

**ჟენია მერაბიშვილი:**

— ზურა ადეიშვილი, ოქრუაშვილი იყვნენ ჩვენთან. საშობაოდ ღორს ვკლავთ ხოლმე. რომ ჩამოვიდნენ, უკვე დამთავრებული გვქონდა ღორის გასუფთავება და ოქრუაშვილს გული დასწყდა, ჩვენ გვიყვარს ღორის გაკეთებაო. ვანო ადრე არ სვამდა, კუჭი აწუხებდა. ახლა, მადლობა ღმერთს, განიკურნა. ლადო ჭიპაშვილმა (მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი. ავტ. შენ.) ისეთი წამალი მისცა, რომ მის მერე გამოკეთდა და კუჭს აღარ შეუწუხებია. დათრობა არ იცის. ზომიერად სვამს. ტელევიზორში რომ ვხედავ, ვეფერები და ვკოცნი ხოლმე ყველას — მიშას, დავითაშვილს, ოქრუაშვილს, ადეიშვილს.

— **კობა დავითაშვილიც ჩამოდის თქვენთან?**

— არჩევნების დროს ხშირად ჩამოდიოდა. ძალიან კარგი პიროვნებაა.

— **ვინ თამადობს ხოლმე?**

— როცა ჩვენთან არიან, ვანო თამადობს. სანადიროდაც მიდიან. ქალაქგარეთ გავლენ და ნადირობას არქმევენ. რამე ნანადირევი თუ მოიტანეს, თვითონვე აკეთებენ. ვანო კარგი ბუნებისაა. რასაც დააკისრებენ, ვიცი, აუცილებლად შეასრულებს, საკუთარ სიცოცხლესაც გაწირავს. მოვისმინე, მეგობრებთან საუბრობდა და ერთ-ერთმა თქვა, ვილაცას 6 მილიონი აქვსო. ვანომ გაიკვირვა, რად უნდა 6 მილიონი, ცოლ-შვილს აჭამოს და ჩააცვასო. გაიცინეს, ვაი, შე საცოდავოო. საოცრად გულუბრყვილოა.

### ბიჭი ხელმოკლე ოჯახიდან

„ვანო მერაბიშვილი როგორი გაღლეტილიც იყო, როცა გავიცანი, როცა მამამისის „კამაზი“ იყო მთელი მათი შემოსავალი, ეჭვი მაქვს, ისეთივე გაღლეტილია დღეს. ვანო მერაბიშვილის დედა ცხოვრობს იმავე სახლში და იმავე პირობებში, როგორშიც ცხოვრობდნენ მაშინ, როცა ვანო იზრდებოდა“, — ეს ხუმრობა-განაცხადება მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე წლის წინ საჯაროდ გააკეთა.

იყო პერიოდი, როცა „გაღლეტილი ვანოს“ ოჯახი თავს ძროხების მოვლით ირჩენდა. მშობლები, ჟენია და სერგო, ახალციხეში ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ. ჩვენი ხელით, ქვა ქვაზე დავადეთ და ისე ავაშენეთო, გვითხრა წლების წინ ქალბატონმა ჟენიამ. ვანოს დედა პროფესიით პედაგოგია. მაღალ თანამდებობაზე შვილის დანიშვნამდე ახალციხის მეხუთე საშუალო სკოლაში ფიზიკას ასწავლიდა. მერე დირექტორი გახდა. სკოლა გარემონტდა, ახალი ტექნიკითა და საგნებით აღიჭურვა. მინისტრმა მერაბიშვილმა მშობლიურ ქალაქში გზებიც დააგო და მშენებლობებიც წამოიწყო. მისი ყველაზე დიდი და საამაყო პროექტი რაბათის ციხე-სიმაგრეა.

რამდენიმე თვის წინ ქალბატონი ჟენია სკოლიდან გაათავისუფლეს. მისი გათავისუფლების მიზეზად ბავშვის ცემა დასახელდა. მკაცრი მასწავლებელი რომ იყო, წლების წინ თავად გვიამბო, როცა მათ ოჯახს ახალციხეში ვესტუმრეთ.

**ჟენია მერაბიშვილი:**

— ვანო ძალიან მტირალა ბავშვი იყო. სკოლაში ბრწყინვალედ სწავლობდა. ყველა საგანი უყვარდა, მაგრამ მიდრეკილება ტექნიკური საგნებისადმი ჰქონდა. სულ ბიბლიოთეკაში იჯდა. ბიბლიოთეკარებმა აღარ იცოდნენ, რა წიგნი მიეცათ. საცხოვრებლად ახალციხეში რომ გადმოვედით, ვანო 6 თვის იყო. 6 წელი ქირით ვცხოვრობდით. მერე ოროთახიანი ბინის მიღება მოვახერხეთ. მდიდარი მშობლები არცერთს



■ ჟენია მერაბიშვილი

გვყავდა. ეს სახლი კი ჩვენი ხელით ავაშენეთ, ქვა ქვაზე ჩვენ დავადეთ. ამაში ვანოც მონაწილეობდა. ის თავის პაპას, სერგოს მამას ჰგავს და მისი სახელიც ჰქვია. დიდი ვანო ძალიან განათლებული და კეთილსინდისიერი პიროვნება იყო. მამაჩემსაც ჰგავს. მამამისიც განათლებული და ნიჭიერი კაცია.

ვანო რუსულ ბაღში დადიოდა. ენებისადმი მიდრეკილება ბავშვობიდან ჰქონდა. ინგლისურის მასწავლებელი მეუბნებოდა, ასეთი ნიჭიერი მოსწავლე ჯერ არ მყოლია და ცოდოა ტექნიკური საგნებისთვის, ჯობია, საერთაშორისო ფაკულტეტზე ჩააბაროსო, მაგრამ მაინც პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. სკოლის დროს ყველა პირობას ვუქმნიდით. არტეკშიც იყო. მაშინ იქ ბრეჟნევს შეხვედრია. ძალიან მეგობრული ბიჭია. რომ ჩამოდის, ყოველთვის მეგობრები ახლავს თან.

საოჯახო საქმეში მუდამ მეხმარებოდა. სტუმრები რომ გვყავდა, არ დაწვებოდა, სანამ ყველა საქმეს ჩვენთან ერთად არ გააკეთებდა და სახლს არ დაგვალაგებინებდა. ღა-

→22



Cyan Magenta Yellow Black

# ახალი პოზიტიური და ენერგიული დილა „ჯიდიესზე“

გადმოერთე პოზიტიურ განწყობაზე

## მაყურებელს ვაჩვენებთ, როგორია მრავალფეროვანი დილა

სულ მალე ტელეკომპანია „ჯიდიესის“ დილის ეთერში ადგილს ენერგიული და ხალისიანი განწყობა დაიკავებს. რამდენიმეთვიანი მზადება დასრულებულია, „ჯიდიესის“ დილა სხვა დილის გადაცემებისაგან აბსოლუტურად განსხვავებული იქნება თავისი ვიზუალით, წამყვანებით, შინაარსითა და ხასიათით.

„ჯიდიესი“ თავის ტრადიციებს არ ღალატობს. გასართობი და შემეცნებითი არხი ძირითადად 13-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფის ინტერესებს ასახავს. ისინი თავად ქმნიან სატელევიზიო სახეებს და უარს ამბობენ სხვა არხების უკვე პოპულარულ სახეებთან თანამშრომლობაზე. სწორედ ამ ნიშნით დაკომპლექტდნენ დილის გადაცემის წამყვანებიც, რომელთა მთავარი მისიაა, მაყურებელს გადასცენ დადებითი ენერგია, ახალგაზრდული მუხტი, სახალისო განწყობა და პოზიტივი. გაიცანით „ჯიდიესის“ ახალი სახეები: დათო გელაძე, სალომე ნინუა, თეკო ჩუბინიძე, გეგი კიკაბიძე, სოფო კიკვილაშვილი, ლაშა რამაზაშვილი, კახა კინწურაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ანი მამულაშვილი, ნინო კვანტრიშვილი და ნუცა მესტუმრიშვილი.

ყოველ სამუშაო დღეს, დილის 8 საათიდან 2 საათის განმავლობაში „ჯიდიესის“ ახალგაზრდა წამყვანები მაყურებელს მოუყვებიან კულტურის, სპორტისა და შოუბიზნესის სიახლეებს, გააცნობენ მუსიკალურ რეიტინგებს, სოციალური ქსელის სიახლეებს, შესთავაზებენ სხვადასხვა ტიპის კონკურსებსა და თამაშებს, გადაცემის მთავარ თემას და სპეციალურად ამ თემისათვის მოწვეულ სტუმარს. „ჯიდიესის“ დილის გუნდი ირწმუნება, რომ მათი გადაცემა ყველაზე კარგი მაღვიძარა იქნება მათთვისაც კი, ვისაც საშინლად არ უყვარს დილით ადრე ადგომა.

თუ როგორი იქნება „ჯიდიესის“ დილა, ამაზე გადაცემის შემქმნელები და წამყვანები თავად გვეტყვიან.

**მაია მუჭერია, პროდიუსერი:**

— დილა „ჯიდიესზე“ სრულიად განსხვავებული იქნება ამ ფორმატის სხვა გადაცემებისგან. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენი „დილის“ არც ერთი წამყვანი არ არის გამოცდილი ამ სფეროში. სამი მსახიობი გვყავს, ერთიც — ყოფილი ფეხბურთელი. დანარჩენი ის სახეებია, რომლებმაც ჩვენს ტელევიზიაში გაიარეს სკოლა. რეალურად ახალ ველოსიპედს არ ვიგონებთ, ვაკეთებთ დილის გადაცემას, ოღონდ მაქსიმალური ხალისითა და პოზიტიური ენერგიით. ყოველ დილით ოთხი სიუჟეტი გვექნება, რომელშიც თავად წამყვანებიც იქნებიან ჩართულები. გარდა ამისა, მუდმივად გვექნება ახალი ამბები შოუბიზნესიდან, კულტურიდან, ყველაფერი, გარდა პოლიტიკისა. ჩვენი არხის პრიორიტეტია, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი შემოქმედი ადამიანები გავაცნოთ საზოგადოებას. მაყურებელი, რომელიც ჩვენს დილაზე გადმორთავს, მიხვდება, თუ რა არის მრავალფეროვანი დილა.



**სალომე ნინუა, „დილის“ წამყვანი:**

— დიდი ხანია, დილის ეთერისთვის ვემზადებით. რამდენიმე თვეა, გაუჩერებლად ვმუშაობთ, რათა მაყურებელს განსხვავებული დილა და საუკეთესო განწყობა შევთავაზოთ. ჩვენი მიზანია, მაყურებელს რაც შეიძლება მეტი ენერგია გადავცეთ. მთელი გადაცემა სწორედ ამაზე იქნება აგებული — რაც შეიძლება მეტი ტემპი და დადებითი ემოციები. ჩვენ ვაკეთებთ იმ თემებს, რაც ვიცით, რომ ჩვენ და ჩვენს თაობას გვსიამოვნებს.

*— სალომე, თქვენ მსახიობი ხართ, როგორ მოემზადეთ ტელეწამყვანობისთვის?*

— ეს ჩემთვის საინტერესო ამპლუაა. მომწონს ის, რომ ეკრანზე მაქსიმალურად ბუნებრივი უნდა ვიყო და არ უნდა ვითამაშო. ძალიან კარგი მეწყვილე შემხვდა, დათო გელაძე, იგივე ჩელე. ისიც მსახიობია და უფრო მეტი სატელევიზიო გამოცდილება აქვს. ისე შევეჩვიე მასთან მუშაობას, რომ მის გარეშე სტუდიაში ყოფნაც კი მიჭირს.

*— ძნელი არ არის, რომ დილით, გაღვიძებისთანავე, ჯერ თავად მოხვიდეთ კარგ ხასიათზე და შემდეგ ეს მაყურებელს გადასდოთ?*

— ეს იყო ჩემი ოცნება. ყოველთვის მინდოდა, დილის გადაცემის წამყვანი ვყოფილიყავი. ზოგადად, დილით უფრო პროდუქტიული ვარ. არასოდეს მიჭირს დილით ადრე გაღვიძება და სწრაფად გამოფხიზლება. თანაც ისეთ გუნდად ჩამოვყალიბდით, რომ ერთმანეთისთვის განწყობის შექმნა ნამდვილად არ გვიჭირს. ჩვენთან ერთად სტუდიაში იქნება სოფო კიკვილაშვილი, რომელიც „ფეისბუქიდან“ საინტერესო ამბებს მოგვაწვდის. ისეთ სასაცილო ვიდეოებს პოულობს ხოლმე, რომ შეუძლებელია, კარგ განწყობაზე არ დადგე.

***— სტუმრები ვინ გეყოლებათ?***

— ყველა ის ადამიანი, რომელიც თავისი შემოქმედებით საინტერესოა. სხვა დილის გადაცემებისგან განსხვავებით, ჩვენ არ მოვიწვევთ ისეთ სტუმრებს, რომლებიც კვირაში შვიდი დღის განმავლობაში ეკრანზე ჩანან. პირადად მეც შევხვედრივარ უამრავ ადამიანს, რომლებიც ძალიან საინტერესოები არიან და უთქვამთ, ტელევიზიებისთვის საინტერესოები არ ვართო. ჩვენ ბევრ ნიჭიერ ადამიანს მივცემთ საშუალებას, სათქმელი მაყურებლამდე მიიტანოს.



**სოფო კიკვილაშვილი, წამყვანი:**

— მე მაყურებელს ცხელ-ცხელ და ყველაზე საინტერესო ამბებს შევთავაზებ. დღეს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში სოციალური ქსელი ძალიან აქტიურად არის ჩართული. „ფეისბუქზე“ ვიპოვით ძალიან საინტერესო მუსიკებს, ვიდეოებს, სტატუსებს, თანაც საშუალება გვექნება, მაყურებელი ინტერაქტიულად ჩავრთოთ გადაცემაში. მაყურებელს ყოველთვის მიეცემა საშუალება, თავისი აზრი დააფიქსიროს. ყველაფერი სპონტანურ ემოციებზე იქნება აგებული. სტუდიაში წამყვანებსაც არ ეცოდინებათ, რა ვიდეოებს ვუშვებთ და მათი ემოციები ცოცხალი იქნება.

**ჩელე:**

— მე ამ ჯგუფში ვეტერანი ტელეწამყვანი ვარ, თუმცა დიდი პაუზა გამომივიდა. ძალიან მიხარია, რომ ისევ დილის ეთერს დავუბრუნდი. მომწონს, ჩვენი გადაცემის მთავარი სპეციფიკა მეტი ენერგია და ხალისი რომაა. რაც მთავარია, დილის გადაცემის წამყვანები არ ვიქნებით ჩარჩოებში მოქცეული. მომწონს, რომ ეს ტელევიზია მთლიანად ახალგაზრდებისგან არის დაკომპლექტებული. ყველანაირი ხელშეწყობა გვაქვს, რომ ყველაზე მაგარი გადაცემა გავაკეთოთ. შეიძლება ჩვენი ყურების შემდეგ ვილაცამ თქვას, ძალიან ახალგაზრდულიაო, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი შეფასებაც კარგია. თუ მაყურებელი ჩვენი გადაცემის შემდეგ სახლიდან კარგ ხასიათზე გავა, ჩათვალეთ, რომ ჩვენი მისია შესრულებულია.

**გეგი კიკაბიძე, სპორტული ტელეწამყვანი:**



— არ მინდა, ჩემი სპორტის რუბრიკა სხვა ტელევიზიებისას დაემსგავსოს. მე თვითონ ფეხბურთელი ვიყავი. სულ ცოტა ხანია, რაც ამ სპორტს თავი დავანებე და როდესაც სხვა ტელეკომპანიების დილის გადაცემებს ვუყურებდი ხოლმე, მუდმივად უკმარისობის შეგრძნება მქონდა, რადგან ძალიან მწირ ინფორმაციას გვაწვდიდნენ. არ მინდა, სპორტში ზოგადი ინფორმაციებით შემოვიფარგლო. მინდა, ჩვენი სპორტული ბლოკის შემდეგ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა გახდეს ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარული. ბევრი სპორტული გიჟობა გვაქვს ჩაფიქრებული. ფეხბურთელებზეც ვილაპარაკებთ და ფეხბურთელების ცოლებზეც ვიჭორავებთ. ჩემი მთავარი ამოცანაა, ახალი თაობა სპორტისკენ და ჯანსაღი ცხოვრებისკენ გადმოერთოს.



Cyan Magenta Yellow Black

◄20 მის სამ საათზე რომ დაწოლილიყო, მაინც წიგნს იჭერდა ხელში. ფიზიკას განსაკუთრებით მეცადინეობდა. ამბობდა, დედაჩემი ისეთი ქალია, ხუთიანს ტყუილად არ დამიწერსო.

— *თქვენ ასწავლიდით?*

— ჩემს სადამრიგებლო კლასში იყო და მის მიმართ განსაკუთრებით მკაცრი ვიყავი. საერთოდ, კლასში ძალიან მკაცრი მასწავლებლის სახელი მაქვს. დირექტორის ისე არ ეშინიათ, როგორც ჩემი. ყველა მასწავლებელი მეუბნებოდა, შენი შვილი უნიჭიერესია და დიდი მომავალი ელოდებაო. შემნატროდნენ, რა ბედნიერი დედა ხარო. ხშირად დრო არ მქონდა, საქმე მეკეთებინა. თავის დას ეტყოდა ხოლმე, მე ბლინებს გამოვაცხობ, შენ მურაბა მოასხი, დედას არ სცალიაო. ნამცხვრების გაკეთებაც იცის. ტორტის ბისკვიტსაც აცხობდა. თვითონ თქვეფდა კვერცხს. სუპისა და ბორშჩის გაკეთებაც იცის და ჭამაც უყვარს. ერთი სიტყვით, ყველაფრის გაკეთება იცის. თევზზე გიჟდება. კვირაში სამჯერ თევზი თუ არ ჭამა, არ შეუძლია. თვითონ უყვარს გაკეთება. თბილისში რომ ჩავდივარ, ძვირფასი თევზით მიმასპინძლდება. თვითონ აკეთებს. მეუბნება ხოლმე, შენ დაჯექი, დაისვენე, დაღლილი ხარო.

როცა ლექციებს კითხულობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ძროხებით ვირჩენდით თავს. თავისი ხელფასით მხოლოდ სამი პურის ყიდვა შეეძლო, ჩვენ ვინახავდით. ხორცით, ყველით ვამარაგებდით. ჩამოდიოდა და არაფერს თაკილობდა. მამამისთან ერთად თიბავდა, კარტოფილის ამოღებაში ეხმარებოდა, დაგვაბარინებდა, დაგვათესინებდა და მიდიოდა...

სტუდენტობისას მარტო ცხოვრობდა. მე და ჩემი მეუღლე ისეთ დროს ჩავდიოდით, როცა არ გველოდებოდა და ყველაფერი მოწესრიგებული გვხვდებოდა... ქირით ცხოვრობდა. მოგვიანებით ერთოთახიანი ბინის ყიდვა მოვახერხეთ. სოფელში კარგი ბაღი გვაქვს. სათბური ამ სახლის ეზოში ვანომ გააკეთა თავისი ხელით. კიტრი და პომიდორი მოგვყავს და მათ ვუგზავნი. პროდუქტებით ჩვენ ვამარაგებთ. მწნილს, კომპოტს მე ვუკეთებ და ჩამაქვს. ვანო მაღაზიის კვერცხს არ ჭამს, აქედან ჩამაქვს. 10 ტონა ვაშლი მოგვივიდა წელს (ინტერვიუ ჩაწერილია 2004 წლის აპრილში. ავტ.შენ.), კარტოფილი მოგვდის, ხორბალი — ტონობით. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენმა ახალციხეში ჩვენს ნაკვეთზე გაიარა და საკმაო თანხაც ავიღეთ.

ვანო ბავშვობაში ძალიან უჭმელი იყო. ხანდახან მეზობლებში წავიყვანდი ხოლმე, იქნებ რამე შეჭამოს-მეთქი. ყველაფერზე ამბობდა, არ მინდა, ჩვენც ხომ გვაქვსო. სხვისას ახლაც არაფერს შეჭამს.

■

ვარდების ხელისუფლება რომ მოვიდა და ვანო მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა, მასზე ერთი არასასიამოვნო ჭორი გავრცელდა — ახლობელი გოგო გააუპატიურა და ამისთვის ნასამართლევიც არისო. მაშინ ქალბატონმა ჟენიამ გვიპასუხა:

— ვანოს ვფიცავარ, მის შვილს და ჩემს უფროს შვილიშვილს დემეტრეს ვფიცავარ, ასეთი რამ არ ყოფილა! როგორ შეიძლება ვანოს რამე ცუდი გაეკეთებინა?! ახლახან ერთმა გაზეთმა დაწერა, ვანოს თავისი ბიძაშვილი ჰყავს ცოლადო. ისე მეტკინა გული, გაკვეთილზე შესვლა არ მინდოდა.

## აღმასვლა

**ჟენია მერაბიშვილი:**

— უცბათ იცის გულზე მოსვლა, გაბრაზება, შემოგიტევს. მეორე წუთში კი მოგიტრიალდება და გეტყვის, დედა, მაპატიე, შენ ხომ ჩემი დედიკო ხარო. ცუდ დროს მოუწია ჯარში ყოფნა, რამაც მასზე ცუდად იმოქმედა. ჩერნობილის ამბავი რომ მოხდა, იმ პერიოდში უკრაინაში იყო. თითქმის ყოველ კვირას ჩავდიოდით, იქაურ საჭმელს არ ვაჭმევდით, მაგრამ მაინც იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე, ხასიათზე...

ახლა სხვანაირად მექცევიან, ყველა ქალბატონ ჟენიას მეძახის. სკოლაში ბავშვებიც კი სხვანაირად მიყურებენ. აინტერესებთ, ვანო როგორ სწავლობდა. ვეუბნები, იმ მასწავლებლებს ჰკითხეთ, ვინც ასწავლიდნენ-მეთქი. ვანოს ხუთიანს მაშინ ვუწერდი, როცა ორვარსკვლავიან ანუ უძლიერეს ამოცანას დამოუკიდებლად ამოხსნიდა. სკოლაში მასწავლებელს მეძახდა.

მეც ცოტა სხვანაირი გავხდი. ძალიან გაუბედავი ვიყავი. ახლა უფრო გამბედავი ვარ. ბევრი შურის თვალით გვიყურებს. ვანოს ახლა ახალი მანქანა ემსახურება. თავისი „მერსედესი“ კი მამამისს აჩუქა. ჩვენ „ნივა“ გვყავს. ბევრს უხარია, მაგრამ ბევრს შურს. „ნივა“ მთაში სასიარულოდ გვჭირდება. „მერსედესი“, რომელიც ვანომ მამას აჩუქა, 1988 წელს იყო გამოშვებული.

გული მწყდება, რომ პატარა, ოროთახიანი ბინა აქვთ. ახლა ალბათ კრედიტს აიღებენ და ააშენებენ რამეს. მეც მივეხმარები. რაც ფული მაქვს, სულ მაგათ მივცემ. რძალმა მითხრა, ჩემთან ჩამოდიხარ და დასაძინებლად შენს გოგოსთან მიდიხარ, რადგან აქ ადგილი არ არის, გამიხარდება, დედამთილი და მამამთილი ჩემთან რომ დარჩნენო.

■

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, 2001 წელს ვანო მერაბიშვილის საკუთრებაში იყო ერთი ოროთახიანი ბინა 20 ათას ლარად შეფასებული, თემქის დასახლებაში მდებარე ერთოთახიანი ბინა 7 ათას დოლარად შეფასებული და მშობლების სახლი ახალციხეში, რომლის მაშინდელი ფასი დაახლოებით 40 ათასი დოლარი იყო. როცა ვანო მერაბიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანი გახდა, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლოს, მეექვსე კვარტალში, ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა. მაშინ ვანო მერაბიშვილის მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაცია რომ ვნახე, ისეთი ხელით იყო ნაწერი, ძლივს გავარკვიე, რა ეწერა. როცა მისი კალიგრაფია ვახსენე, მიპასუხა:

— ერთადერთი ოთხიანი ქართულ წერაში მყავდა ხოლმე. ეს ტრადიციასავით იყო, მაგრამ ეს სულაც არ არის მთავარი. დაწყებით კლასში ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა, მაგრამ კალიგრაფია მაინც არ მივარგა. აქედან გამომდინარე, ვერც კარგად ვხედავ. საერთოდ არ მიყვარს წერა და არც ვწერ. მხოლოდ დეკლარაციას ვავსებ ხოლმე ჩემი ხელით, დანარჩენ დოკუმენტაციას კომპიუტერზე ვასრულებ.

## ვანოს სიყვარული — პაწო

ვანო მერაბიშვილის ცოლი, თაკო სალაყაია, მისი კუთხიდან არის, ახალციხიდან. ის ქმარზე 13 წლით უმცროსია. ქალბატონი ჟენია „სარკესთან“ ინტერვიუში შვილის დაქორწინებას იხსენებდა:

— პატარა გოგოა ჩემი თაკო, ვანო პაწოს ეძახის. უყვარდა. გამაფრთხილა, ცოლად თაკო სალაყაია უნდა მოვიყვანოო. არ ვიცნობდი, რადგან ის ახალციხის პირველ სკოლაში სწავლობდა, მე — მეხუთეში ვასწავლი. გავიკითხე, როგორი გოგო იყო. ყველამ კარგი მითხრა, მაგრამ, ხომ იცით, დედას უნდა ძალიან კარგი რძალი ჰყავდეს. ვანომ მითხრა, ამას უნდა შევეგუოო.

— *სარძლო არ მოგწონდათ?*

— ნანახი არ მყავდა და როგორ უნდა მომწონებოდა? თაკოს დედა და მამა ერთად არ ცხოვრობენ და... მხოლოდ ბებიამისს ვიცნობდი. ვანომ პირდაპირ სახლში მომიყვანა. ვუთხარი, შენთან უნდა იყოს მთელი ცხოვრება და მთავარია, ერთმანეთი თქვენ გიყვარდეთ-მეთქი. თაკო თბილი გოგოა. მიშიკო ჩამოჰყავს ხოლმე, მაგრამ დედამისის სახლში გარბის. ბავშვს იქ უყვარს ყოფნა. მე ჟენია ვარ, ის ბებოა. თაკოც ჟენიას მეძახის.

■

თაკო 17 წლის იყო, როცა ვანოს ცოლი გახდა. ერთმანეთი თაკოს ბიძაშვილის ქორწილში გაიცნეს, სადაც ვანო ნეფის მეჯვარე გახლდათ. მაშინ თაკო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. მოგვიანებით ვანო გამოუტყდა, როგორც კი დაგინახე, მაშინვე მომეწონეო. მერე გოგონას დიდი, ჰოლანდიური ვარდების თაიგული მიართვა და სიყვარულიც აუხსნა. 6 თვის შემდეგ დაქორწინდნენ. თაიგულები ვანოს სახლში მაშინაც მიჰქონდა, როცა თაკო გაბრაზებული ან გაბუტული იყო. ჩხუბის მიზეზი ქმრის გვიან დაბრუნება იყო.

— ასაკობრივ სხვაობას საერთოდ ვერ ვგრძნობ, იდეალური ქორწინებაა. ხშირად მე უფრო სერიოზული ვარ, ვიდრე ჩემი ვანო. ჩემი ტოლი ხდება ხოლმე...

ამერიკაში მინდოდა სასწავლებლად წასვლა. ეს რომ გაიგო, მითხრა, ჩემთან, სამსახურში მოდი და ინტერნეტიდან ავარჩიოთ, სად შეიძლება წავიდეო... მერე დიდი, ჰოლანდიური ვარდების თაიგული მომართვა და ძალიან დამორცხვებული და გაწითლებული იყო. არც შემოუხედავს, ისე მითხრა, მიყვარხარო. ეს მოხდა მის მანქანაში. ეს ძალიან მძიმე წუთები იყო... მესამე შეხვედრაზე მითხრა და იმდენად მოულოდნელი იყო, მძიმედ აღვიქვი... ექვს თვეში დავქორწინდით. მერეც მოჰქონდა თაიგულები, ამ მხრივ, განებივრებული ვიყავი. ძირითადად მაშინ, როცა ვებუტებოდი. ამ დროს თვითონ კი არ მოჰქონდა, მიგზავნიდა ხოლმე.



■ თაკო სალაყაია

შეყვარებულობის დროს ყოველთვის იცლიდა ჩემთვის, ფიქრობდა, რა საჩუქარი გაეკეთებინა, რა გამიხარდებოდა. ახლა კი საქმეში ისეა ჩართული, რომ ამისთვის აღარ სცალია... მის სამსახურზე უფრო ვეჭვიანობ. იმაზე რომ ვიეჭვიანო, სადღაც ხომ არ დადის-მეთქი, სულელი ვიქნები... თუ სახლში გაბრაზებული მოვიდა, მაშინ არ უნდა დალაპარაკო, სანამ თვითონ არ დამშვიდდება... ვანომ შეიძლება სიმართლე არ თქვას, მაგრამ ტყუილს საერთოდ არ ამბობს. სახეზე აწერია, რომ იტყუება. მაშინვე ვხვდები და ამას, რა თქმა უნდა, დიდი სიცილი მოჰყვება ხოლმე... თუ გაბრაზდა, უნდა გაჩუმდე. თუ დააცდი, 10 წუთში გაუვლის და ისევ ისეთი ვანო გახდება. ძალიან უნდა გამოიყვანო მდგომარეობიდან, რომ აფეთქდეს...

ერთხელ საზღვარგარეთიდან სუნამო ჩამომიტანა და მითხრა, 50 სუნი გავსინჯე და ყველაზე კარგი ეს იყოო. აღმოჩნდა, რომ მამაკაცის სუნამო ჩამომიტანა. ამის მერე ჩემთვის აღარაფერს ყიდულობს... ფულს მაძლევს და მეუბნება, წადი და შენ თვითონ იყიდე, რაც გინდაო... მე ვყიდულობ, მაგრამ ჰქვია, რომ ვანომ მაჩუქა, — წლების წინ ასე ახასიათებდა თაკო სალაყაია ქმარს.

როცა ვანო უშიშროების საბჭოს მდივანი გახდა, მისმა ცოლმა ქმრის ყველაზე „ნერვებისმომშლელი“ თვისებაც გაგვანდო:

— ძალიან ძნელია ვანოს გაღვიძება და ეს არის ყველაზე ნერვებისმომშლელი. მეტყვის, ამა და ამ საათზე გამაღვიძეო და ვერაფრით ვაღვიძებ. ამ ბოლო დროს ცოტა გამოსწორდა, რადგან იცის, რომ აუცილებლად უნდა ადგეს და არ უნდა დააგვიანოს. ადრე მისი გაღვიძება კოშმარი იყო. ხან ჩვენს შვილს ვუშვებდი, რას არ ვაკეთებდი... გეტყვის, 10 წუთი მაცალეო. ეს



Cyan Magenta Yellow Black

10 წუთი საათნახევარი გრძელდება. ერთხელ ვანომ რაღაც შეხვედრაზე დააგვიანა და სააკაშვილმა ჩემს ტელეფონზე დარეკა, ვანოზე საშინლად გაბრაზებული, გაცოფებული იყო და მე გამლანძღა.

### ესტრადაზე ამღერებული ცოლი

ერთი პერიოდი, როცა ქმარი ქვეყნის ძალოვან სტრუქტურას ხელმძღვანელობდა, ცოლი „ქუჩის ბიჭებთან" ერთად ამღერდა. ჯგუფთან რუსა მორჩილაძის მიერ შექმნილი სიმღერა ჩაწერა.

— 15 წლის ვიყავი, როცა „ქუჩის ბიჭების" კონცერტზე მოვხვდი ბორჯომში და მათი იმდროინდელი ფანი ვიყავი. მაშინდელი სიმღერები დღემდე ზეპირად ვიცი. ერთ ზაფხულს ბორჯომში ვისვენებდი და და მაშინ დავუახლოვდი „ქუჩის ბიჭების" წევრებს. მას მერე ერთად მოვდივართ. არასოდეს მიფიქრია, რომ სიმღერას ჩავწერდი და სცენაზე დავდგებოდი. სიმღერა ისე ჩავწერეთ, რომ არც გვიფიქრია, თუ ჩვენი სამეგობროს გარდა ვინმე მოისმენდა. მერე ბიჭებმა თქვეს, ცოდოა, ეს სიმღერა რომ მსმენელამდე არ მივიდესო... ვანომ არ იცოდა, სიმღერა რომ ჩავწერე, სიურპრიზი გავუკეთე. მოისმინა და მოეწონა. ვერ ვიტყვი, რომ დიდი სურვილი აქვს სცენაზე მიხილოს, მაგრამ ეს ერთჯერადი პროექტი მოეწონა, — ყვებოდა თაკო სალაყაია.

### დიდ ტელევიზორზე მეოცნებე ვანო

ვანო მერაბიშვილის ჰობი წლების წინ ტელევიზორის ყურება იყო, ერთი ნატვრაც ჰქონდა — დიდი, მთელი კედლის მოცულობის ტელევიზორი ჰქონოდა. დეპუტატობის დროს იგი „რუსთავი 2"-ის ფანი იყო. „სარკესთან" გატაცებით საუბრობდა თავისი „დიდი სიყვარულის" შესახებ.

— ტელევიზორი არის საშუალება, მიიღო ინფორმაცია, ესთეტიკური სიამოვნება, დაისვენო. ადამიანი ტელევიზორის საშუალებით კავშირს ამყარებს მთელ სამყაროსთან, თავს გრძნობს მსოფლიო ეთერის ნაწილად... ყველაზე კარგად თავს მაშინ ვგრძნობ, როცა ტელევიზორის ყურების დროს ვწევარ. ამ დროს განსაკუთრებით ხილისა და ნაყინის ჭამა მიყვარს... ზოგიერთ ქართულ ფილმზე ვარ შეყვარებული. „ქეთო და კოტეს" შემიძლია ყოველდღე ვუყურო.



„ბედის ირონია" ის ფილმია, რომელიც ალბათ ყველას 50-ჯერ აქვს ნანახი, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, ეს ფილმი 31 დეკემბერს გასულიყო და მეთქვას, აღარ მინდა, შარშან ხომ ვნახემეთქი... მიყვარს „60 წუთი" და „კურიერი". ხანდახან ინგა გრიგოლიასაც ვუსმენ ხოლმე. „მაცნესა" თუ „მოამბისთვის" წლებია არ მიყურებია. კარგად მესმის, რომ ისინი ხელისუფლების, პრეზიდენტისა და მისი ოჯახის დაკვეთას ასრულებენ და, ბუნებრივია, როგორც იქცევიან ჟურნალისტები, ასეც უნდა მოიქცნენ... ვოცნებობ, სულ მცირე, კედლის ნახევარი მოცულობის ტელევიზორი მქონდეს. ჩემს სახლში ეს შეუძლებელია, არ არის იმხელა მანძილი, რომ ასეთ ტელევიზორს ვუყურო. ეს ოცნება ალბათ 10 წელი არ ამიხდება და მერე ვნახოთ, — გვითხრა მაშინ ვანო მერაბიშვილმა.

ინტერვიუ, სადაც ვანო მერაბიშვილი თავის აუხდენელ ნატვრაზე გვესაუბრება, 2002 წლის აპრილშია ჩაწერილი. მალე მის გარშემო ლეგენდები აგორდა. ვანო ყველა ბიზნესს აკონტროლებს და მისი უძრავ-მოძრავი ქონება მილიონამდე ადისო. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ვანო მერაბიშვილს სახლიც არ აქვს და „სამადლოდ" მომღერალ ნინო ჩხეიძის ბინაში ცხოვრობს. სწორედ ამ სახლში ჩატარდა ჩხრეკა, საიდანაც ათასობით ევროს, დოლარისა და ლარის კუპიურები ამოიღეს. ნინო ჩხეიძე ადასტურებს, რომ ვანო მერაბიშვილის ოჯახთან მეგობრობს და როდესაც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მის ოჯახს ბინა უნდა ექირავებინა, მომღერალმა მათ თავისი კუთვნილი დაკეტილი ბინა შესთავაზა.

■

2001 წელს „სარკესთან" საუბრისას, ვანო მერაბიშვილმა ვერ გაიხსენა, კონკრეტულად სად და როდის გაიცნო მიხეილ სააკაშვილი. ჩვენს კითხვაზე, ამბობენ, სააკაშვილის პირით მერაბიშვილი მოქმედებსო, გადაიხარხარა და პასუხი არ გაგვცა. „მიშა სააკაშვილს 3-4 წელია ვიცნობ. უფრო ადრეც შევხვედრივართ, მაგრამ სამი წელია, რაც მეგობრული ურთიერთობა გვაქვს".

ვანო მერაბიშვილმა და თაკო სალაყაიამ მასმედიასთან კონტაქტი მაშინ გაწყვიტეს, რაც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის სკანდალური სასამართლო პროცესი დაიწყო. პროცესზე თაკოც იკითხებოდა. მკვლელობა მას შემდეგ მოხდა, რაც „შარდენ-ბარში" სანდრო გირგვლიანისა და თაკო სალაყაიას თანმხლებ პირებს შორის უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. თაკო სალაყაიას მკვლელობის შემკვეთებს შორის მოიხსენიებდნენ.

ვანო მერაბიშვილს და თაკო სალაყაიას ორი ვაჟი ჰყავთ — 13 წლის მიხეილი და 4 წლის დავითი.

✓ რუსუდან ადვაძე

## როგორ იქმნება „ასკანელი ძმების" საფირმო ღვინო და კონიაკი

ალკოჰოლის მწარმოებელმა ელიტურმა კომპანიამ „ასკანელი ძმები" ჟურნალისტებს თავის საწარმოში გვიმასპინძლა. ჟურნალისტებს საშუალება მოგვეცა თავად დავსწრებოდით ღვინისა და კონიაკის ჩამოსხმის პროცესს, გავცნობოდით ლაბორატორიის მუშაობის სტანდარტებს და თავად დავრწმუნებულიყავით იქ წარმოებული პროდუქციის ხარისხში.



ქარხანა, რომელმაც მასპინძლობა გაგვიწია, 2005 წელს აშენდა და მასში 5 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდო. მისი წარმადობა დღეში 25 ათასი ბოთლია. ქარხანა აღჭურვილია წარმოების უახლესი იტალიური დანადგარებითა და გერმანული ფილტრებით. გააჩნია ბრენდის და ჭაჭის სახდელი თანამედროვე აპარატურა. საკონიაკე სპირტი და სამარკო ღვინოები მუხის კასრებში ინახება. წარმოების პროცესის ყველა ეტაპი მკაცრ კონტროლს გადის. სიცივით დამუშავების ტექნოლოგია უმაღლესი ხარისხის ღვინისა და კონიაკის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. საერთოდ კომპანიაში „ასკანელი ძმები" სტუმრობისას ხარისხზე ორიენტირებულობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. ქარხანაში ფუნქციონირებს უნიკალური და უძველესი სახდელი, რომელშიც კონიაკის გამოხდა ფრანგული მეთოდით მიმდინარეობს.

ქარხნის ლაბორატორიის უფროსი თეა ქიტუაშვილი ხარისხს მუდმივად და საფუძვლიანად აკონტროლებს. „ჩვენი პროდუქციის შემოწმების მეთოდი გოსტირებულია და სასმელი გადის შემოწმებას როგორც ჩვენს ლაბორატორიაში, ასევე ყველა აკრედიტირებულ ლაბორატორიაში. დამოუკიდებელი და სერთიფიცირებული ლაბორატორიებისგან ვღებულობთ შესაბამის სერთიფიკატებს, რაც საშუალებას გვაძლევს, 15 ქვეყანაში ვაწარმოოთ ჩვენი სასმელების ექსპორტი. რაც მთავარია, ვირჩევთ მხოლოდ მაღალხარისხიან წითელ და თეთრ ყურძენს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდან. წარმოების პროცესში ვიყენებთ მხოლოდ იმ პრეპატარებს, რომლებიც მაღალხარისხიანი სასმელების მიღებას უზრუნველყოფს", — აცხადებს **თეა ქიტუაშვილი**.

„ასკანელი ძმების" აღიარებების გრძელ სიას ბოლო დროს კიდევ ერთი შეემატა. ლონდონში დეკანტერის ღვინის საერთაშორისო 2013 წლის ფესტივალზე დაჯილდოვდნენ „ცოლიკაური" — 2012 წლის მოსავლიდან, „როზე" — 2012 წლის მოსავლიდან და „საფერავი" — 2011 წლის მოსავლიდან.

რაც შეეხება კომპანიის გეგმებს, როგორც „ასკანელი ძმების" დამფუძნებელი ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელი აცხადებს, საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის მიზნით, აპირებენ დამატებითი ინვესტიციის ჩადებას. „ახალი საწარმო ამჟამად პროექტირების ეტაპზეა. ეს პროექტი 3 მილიონიან ინვესტიციას მოითხოვს და მთელი პროცესი ISO სტანდარტების სრული დაცვით წარიმართება. ახალი საწარმო გათვლილი იქნება როგორც არსებული ბაზრის მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ასევე ახალ ბაზრებზე შესვლისთვის, ასორტიმენტის გაზრდაზე და ასკანელის სავაჭრო ნიშნის ღირსეული სახელის დამკვიდრებაზე მსოფლიო ბაზარზე", — აცხადებს **ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელი**.



Cyan Magenta Yellow Black

# ნინო გაჩეჩილაძე: „დიდი სიყვარული ჯერ არ დამიმსახურებია“



მსახიობი ნინო გაჩეჩილაძე მშობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრებამ კარგ დიასახლისად აქცია. სახლის დალაგებას, სამზარეულოს საქმეებს მიეჩვია. ახლა მის ცხოვრებას მხოლოდ ის მამაკაცი აკლია, რომელიც ნინოს მეორე ნახევრად უნდა იქცეს. ასე რომ, მომხიბვლელი მსახიობი დიდი სიყვარულის მოლოდინშია.

მანამდე კი თავისი საქმით არის დაკავებული. სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ წამოსვლის შემდეგ გამოთავისუფლებული დრო მთლიანად თეატრს მიუძღვნა, ბოლომდე იხარჯება და შედეგით კმაყოფილია. რამდენიმე ხნის წინ მარჯანიშვილის თეატრში პრემიერა ჰქონდა, რეჟისორ გიზო ჟორდანიას სპექტაკლ „ჰაჯი მურატში“ ითამაშა, მაყურებლისგან აპლოდისმენტები მიიღო. მამისგან, ცნობილი მუსიკოსის გივი გაჩეჩილაძისგანაც, რომელიც ქალიშვილს იშვიათად ანებივრებს მის სპექტაკლებზე დასწრებით, ქება დაიმსახურა.

— **ნინო, პრემიერას გილოცავთ! გვიამბეთ თქვენს ახალ სპექტაკლსა და როლზე.**

— მე ჰაჯი მურატის ცოლს, სოფიას ვთამაშობ. სპექტაკლი რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ დადგა. მასთან მუშაობა მსახიობისთვის დიდი სიამოვნებაა. ბატონ გიზოს ყველაზე კარგად შეუძლია თავის სპექტაკლში სათქმელი ბოლომდე გათქმევინოს. პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა, გულწრფელი მილოცვები დავიმსახურე. მსახიობისთვის იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა მაყურებელთა სიყვარულსა და კეთილგანწყობას გრძნობს.

სხვათა შორის, მამაჩემი წლებია ჩემს სპექტაკლზე არ ყოფილა. ახლა კი პატივი დამდო და „ჰაჯი მურატის“ სანახავად მოვიდა.

— **რატომ არ დადის ბატონი გივი თქვენს სპექტაკლებზე?**

— მგონი, დღემდე აპროტესტებს ჩემს პროფესიულ არჩევანს. თუ ძალიან არ ვთხოვე, თვითონ სურვილი არ უჩნდება, სცენაზე მნახოს. მიხარია, რომ ამაში დედაც არ უბამს მხარს. მას ძალიან აინტერესებს ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება და სტიმულსაც ხშირად მაძლევს.

ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში სიახლეებია. ახალგაზრდა რუსმა რეჟისორმა, დიმა პავლოვმა, გადაწყვიტა, ჩვენს თეატრში სერგეი დოვლატოვის მოთხრობა „ნაკრძალის“ მიხედვით სპექტაკლი დადგას. რეპეტიციები კი დავიწყეთ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ცოტა ხნით შევჩერდით. ახლახან კი ერთ-ერთი პარფიუმერული კომპანიის სახე გავხდი.

— **რამდენიმე თვის წინ მშობლების სახლიდან ცალკე ბინაში გადახვედით და დამოუკიდებლად დაიწყეთ ცხოვრება. მოგწონთ ეს ახალი მდგომარეობა? დიასახლისობა არ გიჭირთ?**

— სახლში ყველაზე დიდი მისაღები ოთახია, თითქმის ყოველდღე მიწევს სახლის დალაგება, რასაც ძალიან დიდი დრო მიაქვს. დღის ბოლოს ბევრი ჭუჭყიანი ჭურჭელი გროვდება, გარეცხვის პროცესი კი მომქანცველია და ცოტა რუტინაში გადადის. ერთი სიტყვით, ოჯახის საქმეები დამღლელია, მაგრამ აუცილებელი. სახლის დალაგება მეზარება, მაგრამ საჭმლის კეთება — არა. გამოგიტყდებით, რომ დედაჩემივით კარგი დიასახლისი არ ვარ. ამ დღეებში პიცის გაკეთებას ვაპირებ, მეგობრები უნდა დავპატიჟო. ასე რომ, მარტო ცხოვრებამ კარგ დიასახლისად მაქცია.

**„მირჩევნია, დავიწყო ისეთი ურთიერთობა, რომელიც ოჯახის შექმნის პერსპექტივაში გადაიზრდება. რაც უნდა დიდი მომავალი „მექყანებოდეს“, მინდა, პირადი ცხოვრება მოწესრიგებული მქონდეს“.**

— **მარტოობას ხომ არ გრძნობთ?**

— სიმარტოვეს დიდად ვერ ვგრძნობ, ყოველდღე სტუმრები მყავს, მეგობრები ყურადღებას არ მაკლებენ. ეს არის ჩემი საკუთარი სივრცე, ჩემს თავს ვპატრონობ. სახლი მამამ მაჩუქა, თუმცა ჩემი სახსრებით გავარემონტე, ჩემი გემოვნებით მოვაწყვე, არც დიზაინერი მყოლია და არც „პრარაბი“, ყველაფერი თავად გავაკეთე. კმაყოფილი ვარ, ძალიან კომფორტული და საყვარელი სახლი გამომივიდა. ყველა აღნიშნავს, რომ კარგი აურა ტრიალებს. ცოტა ხნის წინ ვაკურთხებინე კიდეც. არ ვიცი, როდემდე დავრჩები ამ სახლში და როდემდე მომიწევს მარტო ცხოვრება, მაგრამ ეს პერიოდი ყოველთვის კარგად გამახსენდება.

— **ეს ის სახლია, სადაც ქმართან ერთად იცხოვრებთ?**

— სახლში სულ ორი ოთახია, ორი ადამიანი კი დაეტევა, მაგრამ მეტი — არა. არ მინდა, რომ ქმარი ჩემს სახლში ცხოვრობდეს, მირჩევნია, მე ვიცხოვრო მის სახლში, ყოველ შემთხვევაში, წესი ასეთია.

— **მშობლები შეეგუენ თქვენს დამოუკიდებლობას?**

— ჩემებთან ყოველდღე მივდივარ. ეს იყო ის პირობა, რომელიც დიდი ოჯახიდან გადმობარგების შემდეგ არ უნდა დამერღვია და ამას ვასრულებ კიდეც. ახალ სახლში სადილების კეთება არ დამიწყია. რეპეტიციის შემდეგ მშობლებთან მივდივარ, ერთად ვვახშმობთ და მერე შინ ვბრუნდები.

**„იგივენაირად პოპულარული ვარ, როგორიც რამდენიმე თვის წინ ვიყავი. მირჩევნია, მაყურებელს თავი მოვანატრო, ვიდრე მოვაბეზრო“.**



— **პირად ცხოვრებაში რა ხდება, კვლავ იგვიანებს სიყვარული?**

— სამწუხაროდ, ჩემს პირად ცხოვრებაში ახალი არაფერი ხდება, მარტო ვარ, არავინ მყავს, ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არ დამიმსახურებია.

— **რა არ დაგიმსახურებიათ?**

— დიდი სიყვარული, რომელსაც ველოდები. ეჭვი არ მეპარება, რომ მალე მოვა.

— **ხომ არ დარდობთ, რომ თქვენი გულისსწორი ჯერ ვერ იპოვეთ?**

— ოპტიმისტი ვარ, ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ამის დროც მოვა. რაც უნდა ბნელი იყოს გვირაბი, სადაც მივდივარ, ვიცი, ბოლოში ყოველთვის სინათლეს დავინახავ.

— **ალბათ ბევრს წუნია ჰგონიხართ.**

— ვერ ვიტყოდი, რომ წუნია ვარ. შეიძლება ბევრი ფიქრობს ასე, მაგრამ სიმართლე არ არის. ისეთ ადამიანს ვეძებ, როგორიც მე ვარ. უნდა გვქონდეს საერთო გემოვნება, აზრები, მიზნები... რადგან ჯერ ასეთი ადამიანი არ შემხვედრია, ესე იგი სულიერად უფრო უნდა გავიზარდო, რომ მზად ვიყო ამ სიყვარულის მისაღებად.

**„ოჯახის საქმეები დამღლელია, მაგრამ აუცილებელი. სახლის დალაგება მეზარება, მაგრამ საჭმლის კეთება — არა“.**

— **მამაკაცები არ აქტიურობენ თქვენი გულის დასაპყრობად?**

— ვერ გეტყვით, რომ ჩემ ირგვლივ თაყვანისმცემლები არ არიან, მაგრამ სერიოზული ურთიერთობა ან თუნდაც ფლირტი არავისთან მაქვს. სოციალური ქსელით ხშირად ვიღებ კომპლიმენტებს, სიყვარულს მიხსნიან, რამდენჯერმე „ფეისბუქის“ საშუალებით ხელიც კი მთხოვეს. ეს ყველაფერი არასერიოზულად მიმაჩნია. მამაკაცი როცა პირადად ვერ ბედავს გრძნობებში გამოტყდომას, ეს ცუდი ტონია. ერთხელ ზუზუმ (მსახიობი ზაზა ბეჟაშვილი. ავტ.) მითხრა, როგორი კონსერვატორი ხარო. კონსერვატორი კი არ ვარ, უბრალოდ მიყვარს, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. ზოგს შეუძლია, შეყვარებულიც ჰყავდეს და პარალელურად სხვასთან ფლირტიც გააბას. მე კი ასეთი რამ არც გამიკეთებია და არც შემიძლია. როცა შეყვარებული ვიყავი, იმ ადამიანის იქით არავინ მაინტერესებდა.

— **რეალურად ხელი არავის უთხოვია?**

— ადრე მთხოვეს რამდენჯერმე, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ „ფეისბუქით“ მთხოვენ ხელს.

— **რატომ, უკარება ხართ?**

— არა, პირიქით, ძალიან თბილი და ერთგული ვარ. იდეალური ხასიათი არ მაქვს, მაგრამ არც რთული ვარ. ურთიერთობაში ძალიან გულწრფელი გახლავართ, არასოდეს არავინ მომიტყუებია. თუ მიყვარდა, ვეუბნებოდი, თუ არ მიყვარდა, არც ამას ვუმალავდი. მე მაინც მგონია, რომ ჩემი გულწრფელობის ბევრს ეშინია. საერთოდ, კაცები მშიშრები არიან, ძალიან ეშინიათ ურთიერთობის და პასუხისმგებლობის. ალბათ მათთან უკეთესია თამაში, მოსწონთ, როცა ქალები აწვალებენ. ადვილად ხელში ჩასაგდები არ ვარ, მაგრამ სამაგიეროდ არც ვთვალთმაქცობ.



Cyan Magenta Yellow Black

**— თუ სიყვარული გეწვევათ, ოჯახის შექმნაზეც იფიქრებთ თუ ჯერ არ გინდათ უღელში შებმა?**

— რასაკვირველია, ახლა თუ ვინმესთან ურთიერთობას დავიწყებ, მასთან გასართობად ვერ მოვიცლი. ვინმესთან გართობის სურვილი არც არასდოს მქონია და ახლა, მით უმეტეს, არ მაქვს. მირჩევნია, დავიწყო ისეთი ურთიერთობა, რომელიც ოჯახის შექმნის პერსპექტივაში გადაიზრდება. რაც უნდა წარმატებული ვიყო და რაც უნდა დიდი მომავალი „მეჭყანებოდეს“, მინდა, პირადი ცხოვრება მოწესრიგებული მქონდეს. ადამიანი როცა შეყვარებულია, ყველა საქმეს დიდი ხალისით აკეთებს.

**— სერიალმა „ჩემი ცოლის დაქალები“ პოპულარულ გოგოდ გაქციათ, მაყურებელი თქვენს კატოს ძალიან შეეჩვია, თქვენც გიყვარდათ ეს როლი. ახლა როგორ ცხოვრობთ ამ ყველაფრის გარეშე?**

— ჩემი აზრით, ძალიან დროულად დავტოვე სერიალი, რადგან მალევე თეატრში რეპეტიციები დამეწყო. იმდენად ჩავერთე მუშაობაში, ვერც კი წარმომიდგენია, სხვა რამისთვის დამრჩენოდა დრო. ვილაცეებს შეუძლიათ მოასწრონ რამდენიმე საქმე ერთდროულად, მაგრამ მე მირჩევნია, ერთ კონკრეტულ საქმეზე ვიყო ორიენტირებული. საზოგადოებისგან დღემდე დიდ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ. თვითონ ის ფაქტი, რომ ხალხს ისევ ვუყვარვარ და სერიალიდან ჩემს გაშვებას ვერ შეეგუვნენ, ეს უკვე ძალიან სასიამოვნოა.

**„კაცები მშიშები არიან, ძალიან ეშინიათ ურთიერთობის და პასუხისმგებლობის. ალბათ მათთან უკეთესია თამაში, მოსწონთ, როცა ქალები აწვალებენ. ადვილად ხელში ჩასაგდები არ ვარ, მაგრამ სამაგიეროდ არც ვთვალთმაქცობ".**

**— ის პოპულარობა კატოს როლის შემსრულებელ ლელა მებურიშვილს ხომ არ გადააბარეთ?**

— არ ვიცი, ალბათ ასე გამოვიდა, თუმცა, მინდა გითხრათ, იგივენაირად პოპულარული ვარ, როგორიც რამდენიმე თვის წინ ვიყავი. მირჩევნია, მაყურებელს თავი მოვანატრო, ვიდრე მოვაბეზრო.

**— უყურებთ ამ სერიალს?**

— როცა სახლში ვარ, ყოველთვის ვუყურებ. თუ შინ არ ვარ, მოგვიანებით ინტერნეტის საშუალებით ვნახულობ.

**— თუ პოპულარობა — არა, მაშინ რა დაგაკლდათ სერიალიდან წამოსვლით?**

— დამატებითი ხელფასი. პოპულარობა და ხალხის სიყვარული კი არ დამაკლდა, მაყურებელი უფრო გააქტიურდა. ერთი პერიოდი განსაკუთრებით მიტევდნენ და მეუბნებოდნენ, რომ დავბრუნებულიყავი.

**— თუმცა მაყურებელი ახალ კატოსაც შეეჩვია.**

— ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ალბათ ახალ კატოსაც შეეჩვივნენ.

**— თქვენს უახლოეს გეგმებში რა შედის?**

— კინოროლი შემომთავაზეს, მაგრამ ჯერ ვერ დავაკონკრეტებ. ერთ-ერთი ტელეარხიდან რამდენიმე შემოთავაზება მქონდა, მაგრამ უარი ვთქვი.

**— ახალ სერიალებზე იყო საუბარი?**

— არამარტო სერიალში, ტელეწამყვანობაზეც მქონდა შემოთავაზება, თუმცა უარი ვთქვი, რადგან იმ პროექტებში საკუთარი თავი ვერ დავინახე.

✓ ლანა კიკნაძე

# სოფიკოს დღე



ქართული კინოსა და თეატრის ლეგენდარულ მსახიობს, სოფიკო ჭიაურელს, წელს, 21 მაისს, 76 წელი შეუსრულდებოდა. მისი დაბადების დღე საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში განსაკუთრებულად აღნიშნეს. ხელოვნების სასახლედ წოდებულ მუზეუმში მისი ფილმებიდან, სპექტაკლებიდან და პირადი ცხოვრებიდან 76 ფოტო გამოიფინა. შედგა წიგნისა და დოკუმენტური ფილმის „სოფიკოს“ პრეზენტაცია. მუზეუმის უკვდავთა ბაღში მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის მიერ შესრულებული გორელიეფი გაიხსნა.

მსახიობის დაბადების დღეს მეგობრები, ოჯახის წევრები და საზოგადოების ცნობილი სახეები ესწრებოდნენ. საქართველოს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი ცოლთან, ეკატერინე ხვედელიძესთან ერთად იყო მისული, სტუმართა შორის იყო პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც.



■ მარცხნიდან: კახი კავსაძე, ეკა ხვედელიძე და ბიძინა ივანიშვილი

ვარსკვლავის ღვაწლი პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა „სარკესთან“ ამგვარად შეაფასა:

— მთელ საქართველოს ვულოცავ სოფიკოს დაბადების დღეს. ეს არის ჩვენი ისტორია. საუბედუროდ, ძალიან ბევრი ცნობილი პირი წავიდა ამქვეყნიდან. დღევანდელი საღამო გენიალურია, უნდა მოვახერხოთ და ჩვენს სახელოვან ადამიანებს ყოველთვის პატივი მივაგოთ.

**— ბატონო ბიძინა, პირადად თუ იცნობდით სოფიკო ჭიაურელს?**

— ძალიან კარგად ვიცნობდი. ქალბატონი სოფიკო წლების წინ სტუმრადაც იყო ჩემს სახლში მოსული.



■ მარცხნიდან: მურაზ მურვანიძე, მანანა და გივი ბერიკაშვილები

მსახიობის ვაჟმა ნიკუშა შენგელაიამ გაიხსენა, როგორ აღინიშნებოდა სოფიკოს დაბადების დღე მის სიცოცხლეში:

— სოფიკოს თავისი დაბადების დღე ძალიან უყვარდა, მეგობრებს ეძახდა და ქეიფობდა. ყოველი წლის 21 მაისი ასეთი იყო ჩვენს სახლში. დედა დღეს 76 წლის გახდებოდა. სამწუხაროდ, ის აღარ არის ჩვენთან, მაგრამ დატოვა თავისი შემოქმედება, თავისი ცხოვრება... მის გარეშე რთულია არსებობა.

დიდმა მსახიობმა მეგობრები კიდევ ერთხელ შეკრიბა, მაგრამ ამჯერად მათ სოფიკოზე წარსულ დროში მოუხდათ ლაპარაკი.

— მიხარია, რომ სოფიკოს დაბადების დღის ერთ-ერთი მასპინძელი მე და ჩემი კულტურის სამინისტრო ვართ. ის ძალიან დააკლდა ჩვენს ოჯახს, მამაჩემს. სოფიკო ნიჭს და ენერგიას ასხივებდა, ყოველ მის დაბადების დღეზე იყო ფეიერვერკები, ის უკეთესი მასპინძელი გახლდათ, ვიდრე დღეს ჩვენ ვმასპინძლობთ მას, — გვითხრა საქართველოს კულტურის მინისტრის მრჩეველმა მანანა ბერიკაშვილმა.



■ მურმან ჯინორია

— სოფიკო ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. ის იყო 8 წლის, მე — 10-ის, როცა ერთმანეთი გავიცანით. ერთად არაჩვეულებრივი წლები გავიარეთ. მერე ისე მოხდა, რომ კოლეგები გავხდით. სოფიკო ჩემთვის ძალიან ახლობელი და ძვირფასი იყო. თავისი დაბადების დღის აღნიშვნა ძალიან უყვარდა. სუფრასაც თვითონ გაშლიდა, იცეკვებდა, იმღერებდა. ხომ არ გგონიათ, ვინმე ითამადებდა მის დაბადების დღეზე? არა, ბატონო, თვითონვე თამადობდა! ყოველ 21 მაისს მისი საპატიო სტუმარი გახლდით და ეს დღე ნამდვილი დღესასწაული იყო. მინდა, მადლობა გადავუხადო ნიკუშა შენგელაიას, რომ დედის დაბადების დღეზე მის მეგობრებს მოუყარა თავი, — გვითხრა მსახიობმა კახი კავსაძემ.

— სოფიკო მეგობრის გამო სიცოცხლეს გასწირავდა. ეს ადამიანი, მასთან ერთად გატარებული ყოველი დღე და წელი ძალიან მენატრება. სანამ პირში სული მიდგას, სოფიკო არასოდეს დამავიწყდება. გასახსენებელი მართლაც ბევრია, მაგრამ მისი მოგონება ყოველთვის მიმძიმს, — გაგვიზიარა თავისი განცდები მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა.

✓ ლანა კიკნაძე

ნათელმხილველი
ლელინა
მკითხაობს ტაროს კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58



Cyan Magenta Yellow Black

# რატომ დაიმსახურა ინგა გრიგოლიას რისხვა მისმა ქალიშვილმა

„დიდხანს ვფიქრობდი, დამეწერა თუ არა პასუხი იმ მორიგ ცილისმწამებლურ კამპანიაზე, რომელიც ამ დღეებში დედაჩემის წინააღმდეგ ააგორეს ამჯერად ჩემზე შეტევით და გადავწყვიტე, მაინც დავწერო... მათ გასაგონად, ვინც ამ დღეებში ისტერიკა მოაწყვეს, თითქოს ინგა გრიგოლიას შვილი, ანუ მე, რაიმე თანამდებობაზე დავინიშნე შსს-ში, ვიტყვი: დამშვიდდით, დაწყნარდით, არსად დავნიშნულვარ და ტყუილად ნუ ცდილობთ, კიდევ ერთხელ იერიში ინგაზე მიიტანოთ!!! პირველ რიგში, მე ვარ ზრდასრული და დამოუკიდებელი მარიამ ჭითანავა და არ ვთვლი, რომ ჩემი ერთადერთი პლუსი მხოლოდ ინგა გრიგოლიას შვილობაა. დამთავრებული მაქვს საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი, კავკასიის სამართლის სკოლა და ჩემი სპეციალობით ნამდვილად მინდოდა სამსახურის დაწყება ერთ-ერთი ყველაზე დაბალი პოზიციიდან, თანაშემწეობიდან. გასაუბრების შემდეგ პასუხს ველოდი, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ წუთამდეც არავის არსად დავუნიშნივარ...

ვინაიდან ჩემ მიერ სამსახურის დაწყების მცდელობის გამო ისევ დედაჩემზე დაიწყო შეტევა, საერთოდ აღარ ვაპირებ, სამსახური ვეძებო ჩემი საყვარელი სპეციალობით. არავის მივცემ უფლებას, დედაჩემი დააყენონ ჩემ გამო დარტყმის და ცილისწამების ქვეშ... არ მეგონა, თანაშემწეობის მცდელობა ჩემი ოჯახის შეურაცხყოფის მიზეზი თუ გახდებოდა... გული მეტკინა... ძალიან მეტკინა და სამსახურის დაწყების სურვილიც გამიქრა. როდემდე გასტანს ჩემი ეს მდგომარეობა, არ ვიცი, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემს გეგმებზე ხელი ჩავიქნიე. ჩემს დედიკოს კი ძალიან დიდ წარმატებას ვუსურვებ ახალი გადაცემის დაწყებაში. ინგა, მიყვარხარ!“.

პოლიტიკიდან ჟურნალისტიკაში დაბრუნებული ტელეწამყვანის, ინგა გრიგოლიას შვილმა, მარიამ ჭითანავამ სოციალურ ქსელში ეს წერილი მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც დიდი აჟიოტაჟი ატყდა შს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში თანაშემწედ მისი დანიშვნის გამო. არადა, როგორც შევიტყვეთ, მარიამი მხოლოდ გასაუბრებაზე იყო მისული და ჯერ პასუხი მიღებულიც არ ჰქონდა. რა გადაწყვეტილება მიიღო საზოგადოებისგან ასეთი რეაქციის გამო ცნობილი ჟურნალისტის შვილმა და რა კალაპოტით მიედინება ამ ეტაპზე დედა-შვილის ცხოვრება, დედა და ქალიშვილი „სარკეს“ გულახდილად უამბობენ.

**მარიამი: „ინგას დილა ადრე იწყება, აუზზე ირუჯება, სულ იპრანჭება, ახალ ტანსაცმელს ყიდულობს. თუ საინტერესო მამაკაცია მის გვერდით, მისი ცხოვრება ფერადია“.**

**— მარიამ, სოციალურ ქსელში თქვენი სტატუსიდან ჩანს, რომ საზოგადოების მხრიდან დიდი აგრესია იგრძენით. რაში გადანაშაულებდნენ?**

**მარიამი**: ისეთ კომენტარებს წერდნენ, გული მართლა ძალიან დამწყდა. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ემოციური იყო. იცით, მთავარი პრობლემა რა ყოფილა? მე რომ ინგა გრიგოლიას შვილი ვარ! თურმე ამის გამო სამსახურის დაწყების უფლება არ მაქვს. კავკასიის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ჩემი თითქმის ყველა ჯგუფელი შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს და მხოლოდ ჩემზე ატყდა ეს ამბავი იმიტომ, რომ ინგა გრიგოლიას შვილი ვარ. მთელი ეს პერიოდი ძალიან ცუდად ვიყავი, ის სტატუსიც ამიტომ დავწერე. მაშინ ინგა ჩემ გვერდით არ იყო, რომ წაიკითხა, კინაღამ მომკლა.

**მარიამი: „მუშაობა 30 წლის ასაკშიც რომ დავიწყო, მაინც იმას იტყვიან, ინგა გრიგოლიას შვილია და სამსახური ამიტომ დააწყებინესო. არავინ უყურებს ჩემს განათლებას, სად ვსწავლობდი და ასე შემდეგ“.**

**— ინგა, რატომ გაუწყრით შვილს? რა არ მოგეწონათ?**

**ინგა**: ემოციურად მარიამს გავუგე, მაგრამ მაინც ძალიან გავბრაზდი. ვუთხარი კიდეც, არ მეგონა, თუ ასეთი მხდალი იყავი-მეთქი. მისი ეს საქციელი ჩემთვის რაღაცნაირი სიმხდალეა. არ შეიძლება შენს საყვარელ საქმესა და სამსახურზე უარი თქვა საზოგადოების ერთი ნაწილის გამო, რომელსაც საქმე არ აქვს და ძირითადად „ფეისბუქში“ სხვაზე ცუდის დაწერით, ლანძღვითაა დაკავებული. ისე, კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რადგან თავის დროზე, როცა მარიამს ჟურნალისტიკაზე ჩაბარება უნდოდა, წინ გადავუდექი, თავი გავიგიჟე, ჟურნალისტიკაზე არ ჩავაბარებინე, სულ იმას გეტყვიან, რომ ინგა გრიგოლიას შვილი ხარ-მეთქი. ამიტომ სწორედ ასეთი სპეციალობა აირჩია... იმედი მაქვს, მარიამს ძალიან მალე ისევ გაუჩნდება საქმის კეთების სურვილი.

კომენტარებში საშინლად შეურაცხმყოფელი შეფასებები იყო, რაც ადამიანის მორალს, კორექტულობას სცდება. ჩემთვის საოცარი ის იყო, რომ ეს კომენტარები ერთ-ერთ საიტზე იდო და მისი ადმინისტრაცია ამ სიბინძურეს აქვეყნებდა. უარყოფით შეფასებებში ხაზგასმული იყო, რომ მარიამი ინგა გრიგოლიას შვილია. რადგან ჩემი შვილია, სამსახური ვერ უნდა დაიწყოს?! ძალიან კარგი და აქტიური სტუდენტი იყო, სტუდკავშირის თავმჯდომარეც. ერთია, როცა შეურაცხყოფას გაყენებენ, ცილს გწამებენ, მაგრამ მეორეა, როცა ამ კომენტარებით ცდილობენ, 23 წლის კარგ გოგოს თავის საქმეზე უარი ათქმევინონ. კარიერის დასაწყისიდან დღემდე ჩემზე იმდენი ცუდი წამიკითხავს, ამისთვის ყურადღება რომ მიმექცია, ქუდი უნდა დამეხურა და საერთოდ გავმქრალიყავი.



■ მარიამი და ინგა

**— პოლიტიკაში ყოფნისას სწორედ ასეთ ზეწოლას ვერ გაუძელით, ამიტომ მარიამის ეს რეაქცია არ უნდა გაგკვირვებოდათ.**

**ინგა**: მისი არ მესმის, რადგან მარიამს ჩემი და ბევრი ჩემი წარმატებული მეგობრის მაგალითი აქვს, რომლებიც მუდმივად იყვნენ ასეთი ტიპის თავდასხმების ობიექტები. ამის გამო საყვარელ საქმეზე უარის თქმა წარმოუდგენლად მიმაჩნია.

**ინგა: „ამას წინათ ვხუმრობდი, იმ ჭკუაზე დავდექი, ლამის დედობაზე უარი ვთქვა-მეთქი“.**

**მარიამი**: მუშაობა 30 წლის ასაკშიც რომ დავიწყო, მაინც იმას იტყვიან, ინგა გრიგოლიას შვილია და სამსახური ამიტომ დააწყებინესო. არავინ უყურებს ჩემს განათლებას, სად ვსწავლობდი და ასე შემდეგ. ბევრი იმასაც კი წერდა, საერთოდ უნივერსიტეტი არ აქვს დამთავრებული და პირდაპირ აწყებინებენ სამსახურსო.

**ინგა**: თავიდანვე არასწორად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მარიამი ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილედ ინიშნებოდა. მარიამს უნდა, გამომძიებელი იყოს, სისხლის სამართლის სპეციალისტია. ვისაც არ მოსწონს, რომ ინგა გრიგოლიას შეიძლება ძალიან კარგი შვილი ჰყავდეს, ვურჩევ, თავისი ღვარძლი და ბოღმა უკან გადასწიოს. ამას წინათ ვხუმრობდი, იმ ჭკუაზე დავდექი, ლამის დედობაზე უარი ვთქვა-მეთქი. ერთი პერიოდი სულ ამბობდნენ, რომ ნაციონალებმა გამიკეთეს რაღაცა, ახლა დაიწყეს, „ოცნებამ“ გრიგოლიას ოცნება აუსრულაო. ეს ადამიანები საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდნენ, ოცნებებს ვინ მისრულებს. მარიამის სამსახური არავისთვის მითხოვია. ყველაფერს გავაკეთებ და ჩემს შვილს დავარწმუნებ, უარი არ თქვას თავის ოცნებებზე. 23 წლის მინისტრები გვყავდა და ამ ასაკში საუკეთესო უნივერსიტეტდამთავრებული გოგო თუ თანაშემწედ დაიწყებს მუშაობას, ან ნებისმიერ დაბალ პოზიციაზე, ასეთი ამბების ატეხა სიბოროტეა.

**მარიამი**: დედაჩემზე საშინელებები დაწერეს და მეც გადმომწვდნენ. ინგა ასეთ რაღაცეებს მიეჩვია. რაც უნდათ, ის წერონო, ამბობს, მაგრამ მე ეს ვერ შევძელი. ყველაზე მეტად იმაზე ვინერვიულე, ინგას რამე დაბრკოლება არ შექმნოდა.

**ინგა: „ემოციურად მარიამს გავუგე, მაგრამ მაინც ძალიან გავბრაზდი. ვუთხარი კიდეც, არ მეგონა, თუ ასეთი მხდალი იყავი-მეთქი. მისი ეს საქციელი ჩემთვის რაღაცნაირი სიმხდალეა“.**

**ინგა**: იმ ბოროტ ადამიანებს ვეტყვი, რომ ენას ტყუილად ნუ დაიღლიან, მსგავსი ცილისწამებისას ნერვი არ მიტოკდება. მხოლოდ ერთი დღე გავბრაზდი, როცა ჩემი შვილი განერვიულებული ვნახე. ხალხის მოთხოვნას არჩევნების წინ გავუწიე ანგარიში, როცა ჩემზე დიდი თავდასხმა იყო. ჩემს, ჩემი ოჯახის და შვილის ცხოვრებაში ვერავინ ვერასოდეს შეიტანს კორექტივს, რადგან ეს ჩემი ცხოვრებაა და იმიტომაც, რომ ძალიან მაგარი შვილი მყავს.

**— მარიამ, სტატუსზე გეწერათ, რომ გეგმებზე ხელი ჩაიქნიეთ. ახლაც ასე ფიქრობთ?**

**მარიამი**: იმ დღეს ძალიან ცუდად ვიყავი. არ ვიცი, ეს ყველაფერი რამდენ ხანს გაგრძელდება. ძალიან ბევრი მეუბნება და მათ შორის დედაჩემიც, რომ ხელი არ უნდა ჩავიქნიო.

**ინგა**: იმ დღეს ქვეყნიდან წასვლაზე დაიწყო ფიქრი. მირჩევნია, სწავლა სხვაგან გავაგრძელო, სხვა ქვეყანაში ვიშოვო სამსახურიო, ამბობდა. დავარწმუნე, რომ ეს სისულელე იყო. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩემი ოცნება ჩემი შვილის ვინმეს თანაშემწეობაა, ძალიან ცდება. ჩემი მიზნები ცოტა უფრო ფართო და შორსმიმავა-



Cyan Magenta Yellow Black

ლია.

**— მარიამ, მართლა იწყებდით მუშაობას თუ ეს ჭორია?**

**მარიამი**: შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაუბრება გავიარე. არავითარი კონკურსი არ ყოფილა გამოცხადებული. არ ვიცი, საიდან მოიტანეს, რომ ამ თანამდებობაზე დავინიშნე. გასაუბრების შედეგების პასუხი ჯერ არც მოსულა, მაგრამ რომც მომივიდეს, აღარ მინდა.

**ინგა**: გინდა!

**— ინგა, მართალია, შვილი დამოუკიდებელ ადამიანად გაზარდეთ, მაგრამ, ეტყობა, მასზე მაინც დიდი გავლენა გაქვთ. მისი ცხოვრების ყველა ასპექტში ხართ აქტიურად ჩართული?**

**მარიამი**: რა თქმა უნდა, ყველა თემა გახსნილი გვაქვს. დედაჩემს ყველაფერს ვუყვები, ინგაც ასევეა. საუკეთესო მეგობრები ვართ.

**ინგა**: მე და მარიამი ღიად და მკვეთრადაც ვერევით ერთმანეთის ცხოვრებაში, ჩაცმულობაში, სხვადასხვა პროცესებისადმი დამოკიდებულებაში. ყველაზე კრიტიკულები მაინც წონასთან მიმართებაში ვართ. ბოლო დროს საშინლად მოვიმატე, ახლა დიეტაზე ვარ და ცოტა დავიკელი. მარიამი ყოველდღე მაძლიერებს, დიეტის სტიმულს მაძლევს. საჭმელი ჩემს სახლში ისედაც არ იყო ხოლმე და ახლა საერთოდ არ არის.

**— ასეთი „ღია ჩარევების“ დროს „შეტაკებებიც“ ხდება დედა-შვილს შორის?**

**ინგა**: მარიამი ძირითადად ჩემს ხასიათს აპროტესტებს. ფეთქებადი ვარ. თუ რამე ცოტა უხეშად ვუთხარი ან უხეშად დაველაპარაკე, ვერ იტანს. სხვაზე არაფერზე ვჩხუბობთ. ყოველთვის ვიცი, ჩემი შვილი სად იმყოფება, სახლში სულ გამთენიისას რომ დაბრუნდეს, ყოველ წუთს და წამს ვიცი, სად არის.

**მარიამი**: შემიძლია ვთქვა, რომ ინგა იდეალური დედაა. არაფერში მზღუდავს, მენდობა. ყველაფერს ვუყვები, არაფერი დამიმალავს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, რამე არ მოსწონებოდა, ან ჩემთვის სადმე წასვლა დაეშალა.

**ინგა**: ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა მარიამს მოუწერია, ინგა, იქნებ მომიკითხოო.

**— მარიამ, ერთი შვილი ჰყავხართ და დედა ალბათ ძალიან გათამამებთ.**

**მარიამი**: გათამამებული იქნები, როცა თავზე გყვება, აბა რა!

**ინგა**: ძალიან ვნანობ, რომ კიდევ არ გავაჩინე შვილი. ეს ალბათ მთელი ცხოვრება გამყვება სინანულად.

**— რატომ? ახლაც არ არის გვიან.**

**ინგა**: აწი ამაზე აღარ ვიფიქრებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამას ძალიან ვნანობ. ოჯახური პრობლემებით იმდენად ვიყავიდატვირთული, ამისთვის ვერასდროს მოვიცალე. მარიამისნაირი კიდევ ერთი-ორი რომ გამეჩინა, ალბათ ასი პროცენტით ბედნიერი ვიქნებოდი.

**— მამაკაცებთან მიმართებაში ემთხვევა თქვენი შეხედულებები ერთმანეთს?**

**ინგა**: ამ მხრივ ჩვენი გემოვნება აბსოლუტურად აცდენილია, რადიკალურად სხვადასხვა ტიპის მამაკაცები მოგვწონს. რაც მთავარია, ერთმანეთის პირად ცხოვრებაზე აბსოლუტურად ყველაფერი ვიცით. მარიამს ერთი თვისება აქვს — შეგიძლია ბევრი ელაპარაკო, მაგრამ გადაწყვეტილებას მაინც ისეთს იღებს, როგორიც მას უნდა.

> **ინგა: „ვერც ერთმა კაცმა მოახერხა ჩემი დიეტაზე დასმა. ვერც სიყვარულმა, ვერც ბედნიერებამ, ვერც პირადმა ცხოვრებამ მაიძულა, სანამ იმ რეალობის წინაშე არ დავდექი, რომ ეკრანზე უნდა გავიდე“.**

**მარიამი**: თვითონაც ასეა.

**— როგორც ვიცი, ამჟამად ორივე შეყვარებული ხართ.**

**მარიამი**: არა, მე არ ვარ შეყვარებული.

**— თქვენ გვერდით ერთ-ერთ ქართველ ფეხბურთელს ასახელებდნენ.**

**მარიამი**: ეს ჭორიც საიდან მოიტანეს, არ ვიცი. ის ადამიანი ჩემი მეგობარია.

**— ინგა კი ნამდვილად შეყვარებულია. თვითონ თქვა, რომ მისი რჩეული ექიმია, ქირურგია. როგორია ინგა, როცა შეყვარებულია?**

**მარიამი**: ახლა ინგას დილა ადრე იწყება, აუზზე ირუჯება, სულ იპრანჭება, ახალ ტანსაცმელს ყიდულობს. საერთოდ სხვანაირია. თუ საინტერესო მამაკაცია მის გვერდით, მისი ცხოვრება ფერადია.

**ინგა**: ახალი რეჟიმი მაქვს. მანამდე ვინმეს რომ ეთქვა, დილის 8 საათზე ადგები, 9 საათზე აუზზე წახვალ, მერე კუს ტბაზე და ასე შემდეგო, არ დავიჯერებდი. ახლა უმძიმეს დიეტაზე ვარ. ეს ეკრანის მოტივაციაა და არა — მამაკაცის. როცა წონაში ვიკლებ, პარალელურად ხალისიც მეკარგება, მაგრამ ჩემს წონას ხელი არასოდეს შეუშლია, სიყვარულში ბედნიერი, ხალისიანი და წარმატებული ვყოფილიყავი. ვერც ერთმა კაცმა მოახერხა ჩემი დიეტაზე დასმა. ვერც სიყვარულმა, ვერც ბედნიერებამ, ვერც პირადმა ცხოვრებამ მაიძულა, სანამ იმ რეალობის წინაშე არ დავდექი, რომ ეკრანზე უნდა გავიდე. კაცზე და ყველაფერზე მეტად ჩემი საქმე მიყვარს, რომლის გამოც შემიძლია არ ვჭამო, არ დავლიო.

სხვათა შორის, 42 წლის ასაკში ვისწავლე ცურვა. მარიამს ვეუბნები, ადამიანმა ყველაფერს შეიძლება მიაღწიო, თუ მიზანდასახული და ბრძოლისუნარიანი ხარ-მეთქი. აქამდე მაგალითად მომყავდა, მე რომ მანქანის ტარება ვისწავლე, ეს იმას ნიშნავს, ადამიანს ფრენაც შეუძლია-მეთქი. ახლა კი ვეუბნები, 42 წლის ასაკში ცურვა რომ ვისწავლე, ეს სენსაციაა, ასეთი ბრძოლისუნარიანობა კარიერაშიც გამოგადგება-მეთქი.

**— მარიამმა გაიცნო თქვენი შეყვარებული?**

**ინგა**: რა თქმა უნდა, იცნობს.

**მარიამი**: რომ შევამჩნიო, რამეს მიმალავს, მოვკვდები!

**ინგა**: მე და დედაჩემსაც ასეთი ურთიერთობა გვქონდა, ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით. 18 წლის ვიყავი, მარიამი რომ მეყოლა, 18 წლის იყო დედაჩემიც, მე რომ გავჩნდი. შეიძლება ასაკმაც მოიტანა ასეთი ურთიერთობა. ძალიან მეწყინება, ჩემმა შვილმა რამე რომ დამიმალოს. ადამიანმა შეცდომაც

> **მარიამი: „დღეებს ვითვლი, ინგა ეთერში როდის გავა. ჯერ ერთი, იმიტომ მინდა, ვუყურო, რომ მაგარი ჟურნალისტია და მეორეც, ის ძალიან ბედნიერი იქნება“.**

უნდა დაუშვა, წარმატებასაც მიაღწიო, ჩავარდნაც გქონდეს, მაგრამ გვერდით შვილის და მშობლის დგომა მნიშვნელოვანია. ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი მარიამია.

**— ქალებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხსაც, როგორიც სამოსის არჩევა და ყიდვაა, დედა-შვილი ერთად წყვეტთ?**

**მარიამი**: შოპინგზე სიარული ინგას უყვარს, მე მეზარება. ამაზე სულ ვჩხუბობთ. მეხვეწება, წამოდი, რამეს გიყიდიო, მე კიდევ მეზარება. ინგას ძალიან მაგარი გემოვნება აქვს და ვენდობი. შეიძლება უფრო მაგარი რაღაც იყიდოს ჩემთვის, ვიდრე მე ავარჩიო.

**ინგა**: არ შემხვედრია მდედრობითი სქესის არსება, რომელსაც ისე არ უყვარდეს შოპინგი და ეზარებოდეს, როგორც მარიამს. როცა ეტყვი, მაღაზიაში წავიდეთ-თქო, ცუდ ხასიათზე დგება. როცა შარვალი, კაბა, ფეხსაცმელი უნდა, მე მავალებს, იყიდეო. როცა რამეს მოვუტან და ვთხოვ, გაისინჯოს, მიაგდებს, მეზარებაო. ამ დროს ვჩხუბობ, ვკლავ! თუმცა რაც აცვია, ჩემი ნაყიდია. მისი მომავალი ქმარი ბედნიერი იქნება, ბევრი ფული დაეზოგება.

**მარიამი**: არა, რატომ? იქნებ შენ გიფრთხილდები?

**— მარიამ, ინგა ისევ იწყებს გადაცემას. რა მოლოდინი გაქვთ?**

**მარიამი**: ინგას სამ წელზე მეტია გადაცემა არ ჰქონია და რომ ახლა ბედნიერია. კამერას როცა ხედავს, საერთოდ სხვა ადამიანი ხდება. ამ ყველაფერზე გიჟდება. ჩემთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ბედნიერებაა. დღეებს ვითვლი, ეთერში როდის გავა. ჯერ ერთი, იმიტომ მინდა, ვუყურო, რომ მაგარი ჟურნალისტია და მეორეც, ის ძალიან ბედნიერი იქნება.

**ინგა**: ალბათ სიკვდილამდე ვიტყვი, რომ ყველზე დიდი შეცდომა, რაც ჩამიდენია, ტელევიზიიდან წამოსვლა იყო. ეს პერიოდი ყველაზე მძიმედ გადავიტანე. სტუდიაში რომ შევდივარ და კამერა ინთება, ბედნიერი ვარ!

**— დედა-შვილი გარეგნობით ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს.**

**მარიამი**: ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ვგავარ, მაგრამ ხანდახან სარკეში რომ ჩამიხედავს, მითქვამს, ინგა, ახლა შენი თავი დავინახე-მეთქი. ინგა თმას რომ შეიღებავს, მეც იმ ფერზე ვიღებავ. ეს კიდევ მეჩხუბება, სხვა ფერზე შეიღებეო. განა იმიტომ ვიღებავ, რომ დავემსგავსო, უბრალოდ მომწონს და მეც მინდება ხოლმე.

**ინგა**: მარიამს საკუთარ თავს ხანდახან მეც ვამსგავსებ, მაგრამ ჩემზე ბევრად გაუმჯობესებული ვარიანტია გარეგნულადაც და ბუნებითაც. ორივეს საკმაოდ მძიმე ხასიათი გვაქვს. მარტივები და

> **ინგა: „ორივეს საკმაოდ მძიმე ხასიათი გვაქვს. მარტივები და მხიარულები არ ვართ, მაგრამ მარიამი ჩემზე ბევრად უფრო ადამიანური და ტკბილია, ჩემი სიუხეშე და ბრძოლის უნარი არ აქვს“.**

მხიარულები არ ვართ, მაგრამ მარიამი ჩემზე ბევრად უფრო ადამიანური და ტკბილია, ჩემი სიუხეშე და ბრძოლის უნარი არ აქვს. ამას მაშინ მივხვდი, პირველივე პატარა, სასაცილო წინააღმდეგობაზე ისეთი მძიმე რეაქცია რომ ჰქონდა. მასში ეს თვისება ახლა აღმოვაჩინე და არ მომეწონა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მისი ეს მდგომარეობა დროებითი იყოს.

✓ ეკა ლემონჯავა

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge



Cyan Magenta Yellow Black

# „მეზობლის გოგო ჩემი ოჯახის პრობლემებს სკოლაში ყვება“



ჩემი მეზობლის გოგოს საქციელი ყველა ზღვარს სცილდება. დაქალები ვართ, მაგრამ მისი ატანა უკვე აღარ შემიძლია. ათასჯერ ვუთხარი, რომ არის რაღაცეები, რაზეც არ მსიამოვნებს ლაპარაკი, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. უცოდველი კრავივით შემომხედავს ხოლმე და თითქოს ვერაფერს იგებს. რამდენიმე დღის შემდეგ იმავეს იმეორებს.

მთელი ბავშვობა ერთად გვაქვს გატარებული. 15 წლის ვართ, ერთ კლასში ვსწავლობთ, საერთო სამეგობრო გვყავს. ჩვენი დედები ამბობენ, რომ ერთმანეთისთვის ძუძუმტეებიც ვართ. მე რომ დავიბადე, მალე დედაჩემი ძალიან ავად გახდა, საავადმყოფოში დააწვინეს და მკურნალობდა. მე ბებო მზრდიდა. თურმე ჩემი მეგობრის დედა ყოველდღე ჩამოდიოდა ჩვენთან და დღეში ერთხელ ძუძუს მაწოვებდა. მას ძალიან ვუყვარვარ, ჩემი ნათლიაც არის. მეც უზომოდ მიყვარს ჩემი ნათლია, მაგრამ მის შვილს ველარ ვუგებ და არც ის ვიცი, როგორ მოვიქცე.

ამ ბოლო დროს მამას და დედას ურთიერთობა ძალიან დაეძაბათ. დედამ აღმოაჩინა, რომ მამა სხვა ქალთან ერთობა და ამის გამო ხშირი კონფლიქტები აქვთ. ჩემი და ჩემი ძმის ხვეწნა, რომ მათი გაძლება უკვე აღარ შეიძლება, არ ესმით. თითქმის ყოველ საღამოს ჩხუბობენ, ზოგჯერ კი დედაჩემის კივილზე მეზობლებიც შემორბიან ხოლმე. მე ამ დროს სირცხვილით ვიწვი, არ მინდა, ჩემი ოჯახი საჭორაო გახდეს. არ მსიამოვნებს, მთელი სამეზობლო ამ მდგომარეობაში რომ გვხედავს.

ჩემმა ნათლიამ რომ ყველაფერი იცის, ეს არ მაღელვებს, რადგან ჩვენი ოჯახის წევრია. ჩემი მშობლები რომ ჯერ კიდევ ერთად არიან, მისი დამსახურებაა. ის ჩვენს ოჯახში ურთიერთობებს ისე აგვარებს, გარეთ არაფერი გააქვს. მეზობლებსაც ეუბნება, ზედმეტად ნუ ყოფთ ცხვირს, თქვენი საქმე არ არისო. მისი შვილი კი სწორედ მეზობლებისგან იღებს მაგალითს. მთელ კლასს გააგებინა, რომ მამაჩემს საყვარელი ჰყავს, უფრო მეტიც, დამრიგებელსაც კი უთხრა.

ერთხელ საკონტროლო წერა გავაცდინე, არადა მასწავლებელმა გამაფრთხილა, რომ აუცილებლად უნდა დამეწერა, ამიტომ მისი ძალიან მეშინოდა. მეგობარს ჩემთვის არც უკითხავს, ისე ჩაუკაკლა მასწავლებელს ყველაფერი. სამასწავლებლოსთან დახვდა და უთხრა, არ უსაყვედუროთ, ისედაც განერვიულებულია, მისმა მშობლებმა გუშინწინ ძალიან იჩხუბესო. დამრიგებელმა მართლაც არაფერი მითხრა, რამაც ძალიან გამაკვირვა. მერე გავიგე, რომ ეს ჩემი მეგობრის „დამსახურება“ იყო. გადავირიე! მერჩია, მასწავლებელს ჩემთვის ეყვირა, ვიდრე ის გაეგო, რაც ჩემს ოჯახში ხდება.

კლასელებმა რომ ყველაფერი იციან და მათგან სიბრალულს ვგრძნობ (რომელიც მართლა არაფერში მჭირდება), ამას შევეჩვიე, მაგრამ მეგობრის ენის ტლიკინზე მაინც საშინლად ვბრაზდები. იცით, როგორ იქცევა? მაგალითად, ჩემი მშობლები რომ იჩხუბებენ, მეორე დღეს კლასში ძალიან მიამიტი სახით მეკითხება: „როგორ ხარ? კარგი, დაწყნარდი, ყველაფერი კარგად იქნება“. ამ დროს კი ბავშვები უკვე ხვდებიან, რომ ჩემმა დედ-მამამ ერთმანეთი ლამის დახოცეს.

არ მინდა მისგან შებრალება და ასეთი ნუგეშისცემა. ეს ათასჯერ ვუთხარი, მაგრამ მაინც მიამიტი თვალებით მიყურებს და მეუბნება, ძალიან მიყვარხარ, ემოციას ვერ ვმალავ, შენ გამო ვნერვიულობო. ეს შეუძლია ჩუმადაც გააკეთოს, ისე, რომ კლასელებს არ გააგებინოს, მაგრამ მას სწორედ ეს სიამოვნებს — ბავშვებმა გაიგონ, რა ცუდი ოჯახი მყავს.

ერთი სიტყვით, რადგან ლაპარაკით ვერაფერი შევასმინე, თქვენი ჟურნალით მივმართავ, რომ ყელში ამომივიდა მისი „მზრუნველობა“! აღარ მინდა, კლასელებთან მამაჩემის საყვარლის ამბები არჩიოს! იმედია, ახლა მაინც მიხვდება, როგორ უნდა მოიქცეს.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

# „მეგობარს მხოლოდ მაშინ ვახსენდები, როცა მარტო რჩება“



„სარკეს“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ წერილის გამოქვეყნება არასოდეს მიცდია. ახლა კი ერთმა რაღაცამ მიბიძგა, რომ თქვენთვის მომეწერა. ჩვენს ეზოში გოგოები ხშირად ვიკრიბებით. ჩვენთან ერთად არის ხოლმე ერთი გოგო, რომელსაც ყველა თავზე ეხვევა, პატივს სცემს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავხედია. ის 11 წლისაა, მაგრამ ყველას ეუფროსება, თავზე აჯდება.

თავიდან მეგობრად ვთვლიდი, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა — სხვას დაუმეგობრდა და სულ მასთან ერთად ატარებს დროს. როდესაც ეზოში მარტო მე და ის ვართ, თითქოს ჩემი მეგობარი იყოს, ჩემთან ერთად სეირნობს და ერთობა, მაგრამ ის გოგო გამოჩნდება თუ არა, ძალიან აუტანელი ხდება, გვერდით აღარ მიკარებს.

ეს ყველაფერი ძალიან არ მომწონს, მაგრამ სიმართლეს რომ ვეუბნები, თავს იმართლებს, თითქოს უდანაშაულო იყოს. სიმართლე კი ის არის, რომ მას მხოლოდ მაშინ ვახსენდები, როცა მარტო რჩება. იქნებ მირჩიოთ, როგორ გავაგებინო, რომ ჩემთან ურთიერთობაში ძალიან ცდება.

**მკითხველი, 12 წლის**



# „ინტერნეტით გაცნობილ ბიჭს ვერ ვუმხელ, რომ მომწონს“

მე თქვენი მკითხველი ვარ, 14 წლის გოგო და წერილს პირველად გწერთ. ერთი რამ მაწუხებს და არ ვიცი, რა ვქნა. ერთ-ერთ სოციალურ ქსელში ბიჭი მომეწონა. მასთან კარგად ვარ, მიმოწერა ახლაც გვაქვს, მაგრამ სიმართლის თქმას ვერ ვუბედავ. ვერ ვეუბნები, რომ ძალიან მომწონს.

მეტი აღარ შემიძლია! მირჩიეთ, როგორ მოვიქცე. თავი დავანებო და ტანჯვით მოვკვდე თუ სიმართლე ვუთხრა?

**თქვენი მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია



Cyan Magenta Yellow Black

გამოხმაურება

## „დედაჩემის გამო ბავშვები დამცინიან“

დედაჩემს ვერაფერი შევასმინე. 15 წლის გოგოს სახლიდან ფეხს არ მადგმევინებს, სადაც მივდივარ, ყველგან მომყვება. ვეხვეწები, რომ არაფერს დავაშავებ, ოღონდ მარტო გამიშვას, მაგრამ თავს იგიჟებს. მამაჩემიც მხარს უბამს, მეუბნება, ჯერ ჩვენ უნდა დაგვემორჩილოო.

ყველაფერში ვემორჩილები, კარგად ვსწავლობ, იმ მასწავლებლებთან დავდივარ მოსამზადებლად, რომლებიც არ მომწონს, იმ ცეკვებზე, რომლებიც არ მხიბლავს. ვეხვეწები, სამეჯლისო ცეკვებზე მიმიყვანეთ-მეთქი, მაგრამ თურმე იქ ქალები ძალიან უშნოდ დგამენ ფეხებს, ქართული ცეკვები კი ნამდვილი მანდილოსნის შესაფერისი ყოფილა. ისიც კარგია, მაგრამ მე სამეჯლისო მირჩევნია.

დედა ცეკვაზეც მომყვება, სარეპეტიციო დარბაზის წინ დგას და მელოდება. ბავშვები დამცინიან, დედაშენი კარაქიანი პურით დაგსდევსო. ერთი პერიოდი მართლაც გამიყვანდა ხოლმე გვერდზე და ხან ხაჭაპურის ჭამას მაიძულებდა და ხან „პონჩიკის“. სანამ მასწავლებელმა არ უყვირა, ვარჯიშის წინ და შემდეგ ნურაფერს აჭმევო, არ შემეშვა. ახლაც დგას და უაზრო ლაპარაკით მარცხვენს. წყალს თუ ვსვამ, დამეტაკება, არ დალიოო. ტუალეტში თუ მივდივარ, მომყვება, ვითომ იმის შიშით, რომ იქ ვინმე უცხო ბიჭი არ შემოვიდეს. ტანსაცმელსაც კი თვითონ მირჩევს.

უკვე აღარ შემიძლია. დედის კონტროლი უფრო და უფრო აუტანელი ხდება. ოჯახში ვერავის შევასმინე, რომ ასე არ უნდა მომექცნენ.

**მკითხველი**

## „ოჯახის წევრებმა მეგობრები არ დამაპატიჟებინეს“

ბებიამ და დედამ ერთი თვის წინ მითხრეს, მარწყვი რომ შემოვა, მისგან ტორტს გაგიკეთებთ და შენი დაქალები დაპატიჟეო. ბებომ მართლაც არაჩვეულებრივი მარწყვის ტორტი იცის. მეზობლები და ნათესავები მის ნახელავზე გიჟდებიან. ჩემს მეგობრებს არაერთხელ უთქვამთ, ტორტზე როდის უნდა დაგვპატიჟოო. მეც ერთი თვის წინ მოვიპატიჟე, რადგან ოჯახისგან თანხმობა მქონდა. ახლა პირობა რომ შევახსენე, უარყვეს, შენი მეგობრების თავი არ გვაქვსო. მაშინ რაღატომ დამაპატიჟებინეს?!



ერთმა მეგობარმა „ფეისბუქის“ სტატუსად დაწერა, მალე უგემრიელეს მარწყვის ტორტს შევჭამო. მას ჩემი სხვა მეგობრებიც გამოეპასუხნენ და ყველამ ერთად მკითხა, შენთან როდის მოვდივართო. მე კი ხან რა მიზეზს ვამბობ, ხან — რას, მაგრამ ასე როდემდე იქნება?! ვერ ვხვდები, რატომ მომატყუეს. საერთოდ არ ეთქვათ და მეც გული არ დამწყდებოდა. ახლა რა ვუპასუხო ბავშვებს?!

**მკითხველი, 15 წლის**

## „დაქალმა ერთი ზომით დიდი კაბა იყიდა, რომ მეც მომრგებოდა“



ჟურნალ „სარკის“ 21-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „დაქალს ჩემი ტანსაცმელი სდომებია და არა — მეგობრობა“. ტანსაცმელზე გადარეული მეგობარი მეც მყავს, სულ ცდილობს, ახალ-ახალი რაღაცეები ჩაიცვას. შეიძლება სახლში უკეთესი ჰქონდეს, მაგრამ ჭკუა ეკეტება, როცა დაქალების გარდერობს ათვალიერებს. ამაზე ყველა გულიანად ვიცინით ხოლმე. თვითონაც უზომოდ კეთილია. რომ სთხოვო, მთელ გარდერობს გამოგატანს, შენთვის არაფერს დაინანებს.

შარშან ქორწილში მივდიოდი და არ ვიცოდი, რა ჩამეცვა. არადა ძალიან მინდოდა, ლამაზად მცმოდა, რადგან იქ ჩემი შეყვარებულის მშობლებიც იქნებოდნენ. ჩემს ოჯახს იმდენი საშუალება არ ჰქონდა, ახალი კაბა ეყიდა. ერთ მაღაზიაში კაბა მომეწონა და ძალიანაც მომიხდა, მაგრამ მშობლებმა ფული არ მომცეს.

ქორწილის წინა დღეს, როცა უკვე სხვა კაბა მქონდა გამზადებული, მეგობარმა ჩემთან მოირბინა. ისეთი გაბრწყინებული თვალები ჰქონდა, მივხვდი, რაღაც სასწაულის ჩადენას აპირებდა. პარკი გახსნა და იქიდან კაბა ამოიღო. მითხრა, მშობლებს ვუთხარი, რომ ძალიან მომეწონა, ფული მომცეს და ვიყიდეო. მომერიდა, ვუთხარი, პირველად მე როგორ ჩავიცვა-მეთქი. ახლავე დავგლეჯ, თუ არ ჩაიცვამო, მიპასუხა. თვითონ გამომაწყო, ფეხსაცმელებიც კი თავისი ჩამაცვა და ამას, იცით, როგორ აკეთებდა? უბედნიერესი იყო, სიხარულით სულ ხტოდა! ყველაზე საოცარი ის არის, რომ ის კაბა ერთი ზომით პატარა უკეთესად ექნებოდა, რადგან მე მასზე მსუქანი ვარ. მან კი ჩემ გამო ერთი ზომით დიდი იყიდა. ეს რომ ვუთხარი, მიპასუხა, დიდს ჩავაკერვინებ და პატარა შენ არ ჩაგეტეოდაო.

აი, ასეთი კარგი მეგობარი მყავს. მართალია, ჩაცმაზეა გადარეული და მეგობრები ვაშაყირებთ, ბარემ შენთან დავტოვებთ ტანსაცმელს, მაინც მიგაქვს-თქო, მაგრამ ამას ისე საყვარლად აკეთებს, არავინ ვუბრაზდებით. იქნებ შენი მეგობარიც ასეთია. დაფიქრდი, შეიძლება გვერდით უზომოდ კეთილი დაქალი გყავს, შენ კი ვერ ამჩნევ და სხვა თვალით უყურებ.

**კეთილი სურვილებით, „სარკის“ ერთგული მკითხველი**

## „მასწავლებლებს ჰგონიათ, რომ დავალებებს ჩემი და მაწერინებს“

13 წლის ბიჭი ვარ. დედაჩემს „სარკე“ ყოველ კვირას მოაქვს და მეც ვკითხულობ. 21-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „კლასელებმა მითხრეს, ტურში დედაშენის ხათრით გაგამარჯვებინესო“. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ჩემი ამბის მოყოლაც მომინდა.

უფროსი და მყავს, რომელიც ძალიან მაგრად სწავლობს. მასწავლებლები ამბობენ, ასეთი მოსწავლე არ გვყოლიაო. მეც კი ვმეცადინეობ, მაგრამ ისეთი მაინც არ ვარ, როგორიც ჩემი დაა. საშინაო დავალებებს ყოველთვის ვწერ, გაკვეთილებსაც ვსწავლობ, მაგრამ მასწავლებლები რატომღაც სულ ჩემს დას მადარებენ. ამბობენ, შენი და სულ სხვანაირიაო. თუ მოხდა და გაკვეთილი არ ვიცი, მაშინვე წამომაძახებენ, შენს დას სულ არ ჰგავხარო. რატომ უნდა ვგავდე?! ის ის არის, მე — მე! ყველა ერთნაირი ხომ ვერ ვიქნებით?!

ახლა კი მასწავლებლებმა თითქოს პირი შეკრესო, გაიძახიან, საშინაო დავალებებს შენი და გაწერინებსო. არადა დაფიცება შემიძლია, რომ ასე არ არის. ქართულსაც თვითონ ვწერ და მათემატიკასაც. თავიდან და მეხმარებოდა, რაღაცეებს მიხსნიდა, მაგრამ ახლა თავადაც კარგად ვხვდები, რა და როგორ უნდა დავწერო. დამოუკიდებლად ვმეცადინეობ, მაგრამ პედაგოგებს მაინც ვერ ვაჯერებ, რომ დავალებებს მე ვაკეთებ. იმ გოგოს ამბავი ამიტომაც მივიტანე გულთან ახლოს. კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა შენი არ სჯერათ.

**„სარკის“ მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


Cyan Magenta Yellow Black



# ნინო თარხან-მოურავი: „ჩემი ქმარი რომანტიკული არ არის, მაგრამ რაინდია“

## თემიკო ჭიჭინაძის ცოლი სერიალებს არ უყურებს

რუსთაველის თეატრის მსახიობს, ნინო თარხან-მოურავს არაერთი სახასიათო როლი აქვს შესრულებული. თეატრი მისთვის მეორე სახლია, სადაც მრავალი წელია თავს კომფორტულად გრძნობს, თუმცა ოცნების სახლი მან და მისმა მეორე ნახევარმა, მსახიობმა თემიკო ჭიჭინაძემ, შეუღლებიდან 14 წლის შემდეგ იყიდეს. ორი ხელოვანი ერთ ჭერქვეშ უკვე 22 წელია ცხოვრობს. ერთმანეთს ბევრი რამით ჰგვანან, არასოდეს ეჭვიანობენ და კონფლიქტებს ერიდებიან. თვლიან, რომ დემოკრატიული ოჯახი აქვთ, რომელსაც მათი ერთადერთი ქალიშვილი ალამაზებს — 21 წლის ელისაბედი.

**— ქალბატონო ნინო, რას ნიშნავს, იყო არტისტი და გყავდეს შენივე პროფესიის მეორე ნახევარი?**

— ამბობენ, რომ მსახიობის ცოლობაც და ქმრობაც რთულია. ვინაიდან მე და თემიკოს ერთი პროფესია გვაქვს, ჩვენთვის ურთიერთობა ადვილია, მეც დავდივარ გასტროლებზე, მეც ვთამაშობ სპექტაკლებში, სახლში მისვლას რეპეტიციების გამო მეც ვაგვიანებ. სხვა პროფესიის კაცი ამას ვერ გაიგებდა, თემიკოსთვის კი ეს ყოველივე ძალიან ნაცნობია. გაგიკვირდებათ და, მიუხედავად იმისა, რომ წლებია ამ სფეროში ვარ, საკუთარ დედასაც კი არ ესმის ჩემი... ხანდახან, ღამის 3 საათზე რომ დამირეკავს და კვლავ ვეუბნები, რეპეტიციაზე ვარ-მეთქი, მაინც უკვირს.

**— რეპეტიციები, პრემიერები, ყოველდღიური სამუშაო, ოჯახი... — როგორია თქვენი დღის განრიგი?**

— სულ მალე დავიწყებთ მუშაობას სპექტაკლზე „სამი ასული“. როგორც რობერტ სტურუამ თქვა, აპირებს, „ვეფხისტყაოსნის“ და შექსპირის დადგმას. სექტემბრიდან სეზონი ახალი რეპერტუარით დაიწყება. წინ არდადეგები გვაქვს და ეს იმას ნიშნავს, რომ გვექნება სამუშაო პერიოდი — რეპეტიციები.

**— თქვენ და თქვენი ქმარი სცენაზე ხშირად ხართ პარტნიორები?**

— იშვიათად. წლების წინ „ანა ფრანკის დღიურში“ მე ვთამაშობდი ანას, თემიკო — პიტერს. ძალიან სასიამოვნო იყო სცენაზე მასთან ერთად თამაში.

**— სახლში თქვენი როლები როგორ არის განაწილებული?**

— ვისაც რა შეგვიძლია და ვისაც რა გვეხერხება, იმ როლს ვირგებთ. მივესალმები იმ ოჯახებს, სადაც მამაკაცი არის უფროსი, მე ეს პოზიცია უფრო მაწყობს. სადილ-ვახშმების კეთებაში დიდი დამხმარე მყავს დედაჩემის სახით, ჩემი ქალიშვილიც გიჟდება კულინარიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ჩქარი რიტმია, მაინც ყველაფრისთვის გვრჩება დრო, სტუმრების მისაღებადაც და ერთმანეთთან ურთიერთობისთვისაც.

**— რა საფეხურები გამოიარა თქვენმა ოჯახმა დღემდე?**

— ამ 22 წელიწადმა ძალიან მალე გაირბინა, ამიტომ პერიოდებად ვერ დავყოფ. სულ ერთად ვართ და ამისთვის დიდი ძალისხმევა არც ერთს დაგვიხარჯავს. გავიზარდეთ, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ ისევ პატარები ვართ. ჩვენი თანაცხოვრების ხანგრძლივობის საიდუმლოს არანაირი რეცეპტი არ აქვს. იმედი მაქვს, ცხოვრების ბოლომდე ასე იქნება.

**— თემიკო სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ძალიან დადებით გმირს, ლაშიკოს თამაშობს. საინტერესოა, თქვენ როგორ შეაფასებდით მის როლს ცოლის თვალით?**

— თემიკო ამ სერიალში თავის გმირს კარგად თამაშობს. მიხარია, რომ მუშაობს და იხარჯება. მსახიობმა თუ საკუთარ თავში დაიგროვა ის ენერგია, რაც მაყურებელს უნდა გადასცეს, ცოდოა, გაუჭირდება.

**— ლაშიკოსა და თქვენს ქმარს შორის საერთო თვისებებს ხედავთ?**

— მათ შორის მსგავსებას ვერ ვპოულობ, ისინი მხოლოდ გარეგნობით ჰგვანან ერთმანეთს... (იცინის).

**— სერიალში ამ გმირმა დიდი რომანტიზმი გამოავლინა, სატრფოს ვახშამიც კი მოუმზადა. თემიკოს თუ გაუკეთებია მსგავსი რამ რეალურ ცხოვრებაში?**

— თემიკო ყოფით ცხოვრებაში რომანტიკული არ არის. ხანდახან თუ მომიმზადებს საჭმელს, თუმცა ის ნამდვილად რაინდია.

**„სანამ ცოლ-ქმარი გავხდებოდით, ყოველ დილით, რომელ საათზეც უნდა გამეღო სახლის კარი, ვარდების თაიგული მხვდებოდა“.**

**— სერიალის აქტიური მაყურებელი ხართ?**

— ცხოვრებაში იმდენი სერიალი მაქვს გახმოვანებული, რომ ყურება არ შემიძლია. მეტწილად კომპიუტერის საშუალებით ვნახულობ და საბოლოოდ უყურადღებოდ არც ერთი სერია მრჩება. თემიკოს გმირი ჯერ კიდევ ვითარდება, დაველოდოთ კულმინაციას.

**— გულშემატკივრობთ მისი და თინას რომანს?**



**„თემიკო ისეთივე ხუჭუჭა, გამხდარი და ცისფერთვალება ბიჭი იყო, როგორიც დღეს არის, უბრალოდ ახლა დაკაცდა... ის ჩემთვის მეორე ნახევარი კი არ არის, ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ“.**

— რატომაც არა?! გასათხოვარ გოგოს კარგი ბიჭი შეხვდა.

**— ქმრის პარტნიორ ქალებზე არასოდეს გიეჭვიანიათ?**

— არა და არ ვიცი, ეს რისი ბრალია — ზედმეტი თავდაჯერებულობის თუ ზედმეტი სისულელის. ეჭვიანი არც თემიკოა. ამდენი წლის განმავლობაში მისგან მსგავსი რამ არ მიგრძვნია, მით უმეტეს, ეჭვიანობის ნიადაგზე კონფლიქტი არ გვქონია.

**— ყოფით თემებზე ცოლქმრულ კონფლიქტებს როგორ აგვარებთ?**

— ადამიანის ცხოვრებაში სიძნელეების პერიოდი სულ არის — ცოლქმრულ ურთიერთობაში, მეგობრობაში, დედაშვილობაში. თანაცხოვრებისას გაუგებრობა კი ხდება,მაგრამ მერე ვრიგდებით, ვაანალიზებთ ყველაფერს. უამისოდ ცხოვრება უინტერესო იქნებოდა. კონფლიქტური არც მე ვარ და არც თემიკო ან რა აზრი აქვს ჩხუბს?გაბუტვის ასაკიდან უკვე გამოვედით, დიდი ხანია, აღარ ვიბუტებით. თუ რაღაც არ მოგვწონს, ერთმანეთს ვუხსნით და ვაგებინებთ.

**— თქვენი შვილი ელისაბედი რომელთან უფრო პოულობს საერთო ენას — დედასთან თუ მამასთან?**

— გაგანია სამოქალაქო ომის დროს, ტყვიების ზუზუნში, ჩვენს ოჯახს შეემატა პატარა გოგონა და ეს იყო ძალიან ბედნიერი პერიოდი. ელისაბედი ახლა 21 წლისაა, სამხატვრო აკადემიაში, დიზაინის ფაკულტეტზე სწავლობს. ძალიან კომუნიკაბელურია. როგორც შეგვეძლო, ისე ვზრდიდით,



Cyan Magenta Yellow Black

მისი მშობლებიც ვართ, მეგობრებიც და ზოგჯერ სიმკაცრესაც ვიჩენთ. ვცდილობთ, ყველაფერი საუკეთესო მისთვის შევქმნათ. მეც და თემიკოც მასთან ერთად ვიზრდებით. ძალიან უხარია ჩვენთან ერთად ყოფნა. როცა შვილთან დისტანციას იჭერ, შემდეგ ურთიერთობა რთული ხდება. ასე რომ, ელისაბედს ჩვენთან საერთო ენის პოვნა არასოდეს გასჭირვებია. თავიდანვე ვეცადეთ, რომ დემოკრატიული ოჯახი გვქონოდა.

— **მეორე შვილზე აღარ გიფიქრიათ?**

— ერთადერთი, რასაც ვნანობ, არის ის, რომ მეორე შვილი არ გავაჩინე. ამაში მხოლოდ საკუთარ თავს ვადანაშაულებ. ყველა ადამიანი საკუთარ ბედს თვითონ ქმნის. რაც იყო, იყო, ახლა ვერაფერს შევცვლით.

— **ელისაბედი როგორი მაყურებელია?**

— საკმაოდ კრიტიკული. მოგატყუებთ,

**„გაგანია სამოქალაქო ომის დროს, ტყვიების ზუზუნში, ჩვენს ოჯახს შეემატა პატარა გოგონა და ეს იყო ძალიან ბედნიერი პერიოდი. როგორც შევძელი, ისე ვზრდიდით, მისი მშობლებიც ვართ, მეგობრებიც და ზოგჯერ სიმკაცრესაც ვიჩენთ. მეც და თემიკოც მასთან ერთად ვიზრდებით".**

რომ გითხრათ, თეატრზე გიჟდება-მეთქი. პრემიერებზე საგანგებოდ ვეპატიჟებით, თეატრში მოსვლის სურვილს თავად ნაკლებად გამოთქვამს.

— **თქვენ და თემიკოს ისევ ისე გიყვართ ერთმანეთი, როგორც 22 წლის წინ თუ წლებმა თქვენს ურთიერთობას სხვა ფერები შემატა?**

— დიახ, ისევ ისე გვიყვარს, როგორც 22 წლის წინ.

— **როგორები იყავით მაშინ, როცა ერთად იწყებდით ცხოვრებას?**

— თემიკო ისეთივე ხუჭუჭა, გამხდარი და ცისფერთვალება ბიჭი იყო, როგორიც დღეს არის, უბრალოდ ახლა დაკაცდა. სანამ ცოლ-ქმარი გავხდებოდით, ყოველ დილით, რომელ საათზეც უნდა გამეღო სახლის კარი, ვარდების თაიგული მხვდებოდა. სანამ შევუღლდებოდით, 9 წელი ვიცნობდით ერთმანეთს, მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება ერთად გავატარეთ. თავიდან ვმეგობრობდით, მერე კი ერთად გავუყევით ცხოვრების გზას.

შეუღლებიდან 14 წლის განმავლობაში სახლი არ გვქონდა, ხან ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდით, ხან — თემიკოს დედ-მამასთან, ზოგჯერ ბინას ვქირაობდით, ზოგჯერ ნათესავებთან ვბინავდებოდით. მომთაბარე ტომივით ვიყავით. ვოცნებობდით, რომ ჩვენი სახლი გვქონოდა და ეს ოცნება ავიხდინეთ. თემიკო ჩემთვის მეორე ნახევარი კი არ არის, ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ.

— **ყვავილებს ახლაც გჩუქნით?**

— ახლა — უკვე იშვიათად.

— **როგორი მეოჯახე დადგა ცისფერთვალა ხუჭუჭა ბიჭისგან?**

— ძალიან კარგი, ბაზარში დადის, პროდუქტებს არჩევს. მე ეს რიტუალი არ გამომდის, ბაზარში ჩემი გაშვება ნიშნავს ფულის გადაყრას. თემიკოს სიამოვნებს და უყვარს ოჯახზე ზრუნვა.

✓ ლანა კიკნაძე

# ნოდიკო ტატიშვილის დედას რძლად მომღერალი გოგო სურს

## „დიდი ხანია ჩემი ბიჭი შეყვარებული აღარ მინახავს"



დედა-შვილი

ცუტკუნა და მოუსვენარი — ასეთი იყო მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი ბავშვობაში. მისი ონავრობით მთელი ოჯახი აწრიალებული იყო. ყველა ნივთს, რასაც ხელში ჩაიგდებდა, ანადგურებდა. ხუთი წლით უფროს დას, ხატიას, ახლაც მწარედ ახსოვს პატარა ძმის ეშმაკობები. ოჯახში ამ ყველაფერს ხშირად იხსენებენ იუმორით, განსაკუთრებით დედა, მაია ურიგაშვილი. თავიდანვე მისი სურვილი იყო, რომ შვილებს მუსიკალური განათლება მიეღოთ და, მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, მათთვის არაფერი დაუკლია. და-ძმა მღერიან, ხატიამ სხვადასხვა ქვეყანა მოიარა სიმღერით, მაგრამ ამ მხრივ გამორჩეული ნოდიკო აღმოჩნდა. ბავშვობიდან მოყოლებული, სხვადასხვა პროექტსა თუ კონკურსში მონაწილეობდა და წარმატებასაც აღწევდა. მის კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ევროვიზიაში მონაწილეობა იყო, სადაც სოფო გელოვანთან დუეტში გამოვიდა. სამწუხაროდ, ქართველი მომღერლები შვედეთიდან დაუმსახურებლად იმედგაცრუებული დაბრუნდნენ.

ნოდიკოს დედასთან ინტერვიუ ევროვიზიის კონკურსის შთაბეჭდილებებით დავიწყეთ.

— **ქალბატონო მაია, ნოდიკოსთვის კონკურსები უცხო არ არის და ამის გამო ნერვიულობა არაერთხელ მოგიწევდათ, თუმცა ევროვიზიას ალბათ სხვა ემოცია ახლდა თან.**

— ნოდიკოს საკონკურსო გამოსვლებს მართლაც იმდენად ვართ შეჩვეული, სიმართლე გითხრათ, თავიდან არც ვნერვიულობდით. ჩვენი ემოციები მაშინ გამძაფრდა, როცა ქულების გამოცხადება დაიწყეს. ოჯახის წევრები და ახლობლები ერთად ვისხედით და კონკურსს თვალყურს ვადევნებდით. ქულების გამოცხადებიდან ბოლო წუთამდე ჩვენი სუნთქვის ხმაც კი არ ისმოდა. შედეგებით დაშოკილები დავრჩით, ერთმანეთს გაოგნებული სახეებით ვუყურებდით, ვერ გავერკვიეთ, რა მოხდა. სულ სხვა შედეგს ველოდით და სულ სხვა რაღაც გამოვიდა. ეს ყველაფერი ძალიან ემოციური იყო.



ნოდიკო ბავშვობაში

საერთოდ, ნოდიკო როცა სადმე გამოდის, ყოველთვის ისე ვუყურებ, როგორც უცხოს და არა — შვილს. ამიტომაც საკმაოდ ობიექტური შემფასებელი ვარ. პირდაპირ ვეუბნები ხოლმე, რა მომწონს, რა — არა. ჩემი მეუღლე ასეთ დროს უფრო ემოციურია, მე კი თავს ვიკავებ. ჩემი ქმარი არ მღერის, მაგრამ კარგი შემფასებელია.

**„ჩემი ბიჭი 8 თვიანი, 2 კილო და 450 გრამი დაიბადა. 8 დღეში 350 გრამი მოიმატა, ექიმები გვეუბნებოდნენ, დროზე წაიყვანეთ, ვერ ვანაყრებთო. ჭამაზე ჭკუა ეკეტებოდა. ბოთლს რომ ხედავდა, კანკალებდა".**

— **რამდენადაც ვიცი, შვედეთში ნოდიკოსთან ერთად საგულშემატკივროდ თქვენი ქალიშვილიც იყო წასული.**

— კი, ჩემი ქალიშვილი, ხატია, თავის მეგობრებთან, დეიდაშვილებთან ერთად იყო წასული. ნოდიკოს იქ გულშემატკივრობდნენ და ახალ ამბებს ყოველ წამს ვიგებდით. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ასეთი შედეგით დასრულდა, თუმცა, ვამაყობ, რომ სოფო და ნოდიკო ასე კარგად გამოვიდნენ.

— **მუსიკალური ნიჭი თქვენს შვილებს ვისგან გამოჰყვათ?**

— თვითონაც ვმღერი, მამაჩემიც კარგად მღეროდა. ბავშვებს მუსიკის სიყვარული გენეტიკურად გამოჰყვათ. რადგან ჩემი ნიჭის რეალიზება ვერ მოვახერხე და ეს უნარი ჩემს შვილებში აღმოვაჩინე, ვიზრუნე, რომ ორივეს მუსიკალური განათლება ჰქონოდა. ხატია ანსამბლ „ნერგებში" მღეროდა, პარალელურად მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა. ერთი პერიოდი ფინანსურად გაგვიჭირდა და „ნერგებიდან" გამოვიყვანე. საბჭოთა კავშირის იმდროინდელი რესპუბლიკები შემოვლილი გვაქვს.

— **კედელზე ნოდიკოს ბევრი დიპლომი, სიგელი გაქვთ გაკრული, ოთახში პრიზები ალაგია. როგორც ჩანს, ბავშვობიდან აქტიური იყო.**

— ნოდიკო შესანიშნავ კომპოზიტორ ნანა დაუშვილთან დამყავდა. ჩემი შვილი ფაქტობრივად მან გაზარდა. 2 წლისამ დაიწყო მღერა. 5 წლის იყო, როცა მუსიკაზე მივიყვანე, 6 წლის ასაკში უკვე ფილარმონიის დიდ სცენაზე იდგა. ხატიაც ასე იყო. ის ახლაც უკრავს და მღერის თავის ძმასთან ერთად.

— **და-ძმა სიმღერის პარალელურად სწავლაში ხომ არ მოიკოჭლებდნენ?**

— ამ საკითხში სამდურავი ნამდვილად არ მქონდა. ორივე მიზანდასახული იყო, იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ. მათთვის არასდროს მითქვამს, დასხედით და იმეცადინეთ-მეთქი. ქება გამომივა, მაგრამ ნოდიკო ძალიან მშრომელი ბავშვი იყო. ხუთბალიანი სისტემით თუ ვიმსჯელებთ, არ არსებობდა, რამე სამიანზე, ან ოთხიანზე გაეკეთებინა, ყველაფერს მაქსიმალურად აკეთებდა. ხატიაც ასეთია დღემდე. საერთო ჯამში, ორივე ისეთი შვილია, როგორიც მინდოდა, მყოლოდა.

— **ნოდიკო მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბავშვობაში როგორი იყო?**

— პატარაობისას ნოდიკო ძალიან →32





Cyan Magenta Yellow Black

მხიარული იყო, ხატია — დინჯი და სერიოზული. ნოდიკოს პატარაობიდანვე ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა. ზაფხულობით ეზოში ბავშვებს შეკრებდა და კონცერტებს მართავდა. მერე მეზობლებს დასვამდა და აყურებინებდა. დასასვენებლად სადაც უნდა წავსულიყავით, ყველგან იმას აკეთებდა. ცელქი კი არა, უცელქესი და მავნებელი ბავშვი იყო, რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს ამტვრევდა და ამსხვრევდა. სადმე სტუმრად რომ მიმყავდა, მეც და მასპინძლებიც უკან დავდევდით, რომ არაფერი გაეფუჭებინა. ყველაფრისთვის ხელი უნდა წაევლო და თუ მოგვასწრებდა და აიღებდა, ის უკვე აღარ ვარგოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ თავხედი არ ყოფილა.



■ ნოდიკოს დედ-მამა

**— შვილებს არ ათამამებდით?**

— მე — არა, ჩემი რიდი ჰქონდათ, აი, ჩემი ქმარი, კორნელი, შედარებით ათამამებდა. ნეტავ, იცოდეთ, ნოდიკო ბავშვობისას ხატიას რეებს უკეთებდა! მასთან გოგონები სტუმრად რომ მოვიდოდნენ და ოთახში საუბრობდნენ, ეს ყურს უგდებდა, წერილებს უწერდა და ოთახში უყრიდა. რა თქმა უნდა, ბარათები დადებითი შინაარსის არ იყო.

ერთ წელს ოპერაციის გაკეთება დამჭირდა, ამიტომ დასასვენებლად ვერ წავედი. ხატია მაშინ პირველი კურსის სტუდენტი იყო. ის, მისი მეგობარი და ნოდიკო ჩემს მეგობართან ერთად ბათუმში დასასვენებლად გავამგზავრე. ნოდიკომ იქ მათ თავბედი აწყევლინა. თურმე ყოველი დღე იმით თენდებოდა, რომ ისინი ლეიბებზე დაკერილები ან „გაპასტულები“ იღვიძებდნენ.



■ და-ძმა

**„ნოდიკო ცელქი კი არა, უცელქესი და მავნებელი ბავშვი იყო, რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს ამტვრევდა და ამსხვრევდა“.**

თბილისში რომ ჩამოვიდნენ, ხატიამ მითხრა, ნოდიკო პირველად და უკანასკნელად წავიყვანე, შენ შვილს თვითონ მიხედეო. ასეთი მოუსვენარი ბავშვი იყო. ხატია ნოდიკოზე 5 წლით და 8 თვითაა უფროსი. რაც ხდებოდა, ყოველთვის ყველაფერი ნოდიკოს ბრალი იყო. დას ძალიან აწვალებდა.

**— ახლაც ეხერხება ასეთი ოინები?**

— ოინებს აღარ გვიწყობს, ზედმეტად სერიოზულიცაა, მაგრამ ხუმრობა უყვარს, იუმორის გრძნობა აქვს. ძალიან თბილი, ერთგული და მოსიყვარულეა. ახლა ხატიას და ნოდიკოს ურთიერთობას რომ ვუყურებ, სიხარულისგან ვგიჟდები. მშობელს მეტი რა უნდა!

**— ბავშვობის ფოტოსურათებში ნოდიკო კარგად ჩაპუტკუნებულია. ვერც წარმოვიდგენდი, ასეთი თუ იყო.**

— ნოდიკო 8 თვიანი გაჩნდა, მუცელშიც მოუსვენარი იყო. 2 კილო და 450 გრამი დაიბადა. 8 დღეში 350 გრამი მოიმატა. ექიმები გვეუბნებოდნენ, დროზე წაიყვანეთ, ვერ ვანაყრებთო. იქიდან მოყოლებული, ჭამაზე ჭკუა ეკეტებოდა. საჭმლის ბოთლს რომ ხედავდა, კანკალებდა. 4 თვის უკვე ცხრაკილონახევარი იყო, ხელში ვეღარ ვიჭერდი. 9 თვისა კი 16 თუ 17 კილო იყო.

არ უყვარდა, როცა ლექსს ვასწავლიდი. განვიცდიდი, 3-4 წლის ბავშვმა ერთი ლექსი მაინც როგორ არ უნდა იცოდეს-მეთქი. სიმღერა, იცოცხლეთ, იცოდა! ბოლოს საბავშვო ბაღის მასწავლებელს შევჩივლე, ძალიან ვნერვიულობ, ერთი ლექსიც ვერ ვასწავლე, ხან რითი დავაინტერესე, ხან — რითი, მაგრამ მაინც ვერაფერი გავაწყე-მეთქი. პედაგოგმა მითხრა, ერთ კვირაში ზეიმი გვაქვს და აუცილებლად მოდიო. მივედი და რა ვნახე! ნოდიკო წამყვანი იყო. ცოტა ამოვისუნთქე.

სკოლა ფრიადებზე დაამთავრა. სხვათა შორის, პედაგოგებთან მომზადების გარეშე პირველივე წელს მოეწყო ტექნიკურ უნივერსიტეტში სახელმწიფო მართვის ფაკულტეტზე, წარჩინებული სტუდენტი იყო. მეორე მუსიკალური სასწავლებელიც დაამთავრა. შემდეგ ლონდონში მისივე დაგროვილი ჰონორარით თანამედროვე მუსიკის შემსრულებელთა ინსტიტუტშიც გაიარა მასტერკლასები, ბარლინგტონის სკოლაშიც სწავლობდა. დღემდე სიახლეების ძიებაშია, ცდილობს, მეტი რამ ისწავლოს და ეს ძალიან მახარებს.

ხატიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, ფილოლოგია. რაღაც პერიოდი ერთ-ერთ ჟურნალში მუშაობდა, შემდეგ ერთ-ერთ რადიოში საინფორმაციოს წამყვანი იყო. ისიც ორწელიწადნახევარი ლონდონში სწავლობდა, ერთი წელია, რაც ჩამოვიდა.

**— როგორ სასიძოსა და სარძლოზე გიჭირავთ თვალი?**

— რა თქმა უნდა, მათ შესაფერისზე. ჩვენ ძალიან დადებითი და პოზიტიური ოჯახი გვაქვს. სტუმარი, იუმორი ძალიან გვიყვარს. ვამბობ, სიძეც და რძალიც აუცილებლად უნდა მღეროდნენ-მეთქი. მე რომ ვმღერი და ჩემი ქმარი — არა, თითქოს რაღაც მაკლია. თუ არ იმღერებენ, არც ამით დავიწუნებ, მაგრამ სასურველია.

მთავარია, ჩემი შვილები უყვარდეთ. ამ წუთას ვიცი, რომ ნოდიკო სერიოზულად შეყვარებული არ არის. იმედია, რამე არ გამომრჩა. როცა ვინმეთია მოხიბლული, ეტყობა. დიდი ხანია ნოდიკო შეყვარებული აღარ მინახავს. სხვათა შორის, მამამისი ეხუმრება ხოლმე, საქმეს მიხედეთ, თორემ იცოდეთ, პატარა და-ძმა გეყოლებათო. ნოდიკო სახლიდან რომ გადის და მე და მამამისი მარტო ვრჩებით, გვიბარებს, გაითვალისწინეთ, და-ძმა აღარ მინდაო. შვილიშვილები გვინდა, პატარებს რომ ვხედავთ, ვგიჟდებით.

**— თქვენ როგორ შექმენით ოჯახი?**

— როცა დავქორწინდით, მე 18 წლის ვიყავი, კორნელი — 21 წლის, მოსკოვში სწავლობდა, პირველი კურსის სტუდენტი იყო. სკოლა დავამთავრე თუ არა, გავთხოვდი. უბნელები ვიყავით. მეც მოსკოვში ჩავაბარე, ერთი ინსტიტუტი დავამთავრეთ, ოღონდ სხვადასხვა ფაკულტეტი. მე ინჟინერ-ტექნოლოგი, პოლიგრაფისტი ვარ, მეუღლეც პოლიგრაფისტია, მაგრამ ინჟინერ-მექანიკოსი. ასპირანტურაც იქვე დავამთავრეთ. საქართველოში რომ დავბრუნდით, დახელოვნების ინსტიტუტში გადამზადების კურსები გავიარე და აგერ უკვე 19 წელია, პედაგოგი ვარ, დაწყებით კლასებს ვასწავლი. მეუღლე კი რამდენიმე წელია უმუშევარია.

✓ მაკა ლემონჯავა

# ირინა გუდაძემ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ჭამა შეაყვარა

მსახიობ ირინა გუდაძეს სუფრასთან თამადად თუ ნახავთ, არ გაგიკვირდეთ, ეს მისთვის ჩვეული ამპლუაა თავისი „გოგოების“ წრეში. მას ერთი ტრადიციაც აქვს, რომელსაც არასოდეს ღალატობს. ყოველ წელს, 2 იანვარს, მთელ ოჯახს ვახშამზე იწვევს, ყველას გემოვნებას ითვალისწინებს და მათ საყვარელ კერძებს ამზადებს. უყვარს კულინარიული ექსპერიმენტებიც, ახალ-ახალ რეცეპტებზე პირდაპირ ჩასაფრებულია. თავისი ოსტატობა მსახიობმა ჩვენს მკითხველებსაც გაუზიარა.

**— ქალბატონო ირინა, ქართული სუფრა გემრიელი კი არის, მაგრამ დიასახლისებს დიდი შრომის ფასად უჯდებათ. თქვენთვის ეს როგორი პროცესია — დამღლელი თუ სასიამოვნო?**

— ქართულ სამზარეულოს ძალიან დიდ პატივს ვცემ. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი კულტურის კარგი მაჩვენებელია. მომწონს სტუმრების ლოდინის პროცესი, მათ დასახვედრად მზადება, ფიქრი იმაზე, თუ ვის რა ესიამოვნება. ხშირად ექსპერიმენტებსაც ვატარებ, ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც ჩემთან მოულოდნელად მოდიან. ჩემი მეგობარი ამბობს ხოლმე, ირინამ აგურიც რომ დადოს სუფრაზე, ისიც გემრიელად იჭმებაო.

**— თამადობის ტრადიციაც მოგწონთ და ქართული „სართულიანი“ სუფრებიც?**

— კი, ძალიან მომწონს. ერთი ისაა, რომ ამდენი საჭმელი რომ ფუჭდება, გადასაყრელად მენანება. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მეუღლესთან ერთად ახლობელთან ვიყავი სტუმრად, ისეთი სუფრა გაშალა, ძველი დრო გამახსენდა. იყო გოჭი, ფხალეული... იმდენი კერძი იდო, გული დამწყდა, რომ ყველაფერი ვერ დავაგემოვნე. აი, ის იყო „სართულიანი“ სუფრა. მომწონს მაგიდაზე კერძების მრავალსახეობა, ცოტას იმას გასინჯავ, ცოტას სხვას მიირთმევ. მასპინძელი კი არის ცოდო, ბევრს წვალობს, იხარჯება... როდესაც ლამაზად გაშლილი სუფრა მხვდება, მგონია, რომ სტუმარზე ფიქრობდნენ, ელოდებოდნენ. ეს სასიამოვნოა.

სადღეგრძელოებიც მიყვარს თავისი სიმღერებით, ლექსებით. ვგიჟდები თამადობაზე! რაც დრო გადის, მით უფრო ვხვდები ამ ტრადიციის ფასს. თამადა რომ მოგეფერება, კარგ სადღეგრძელოს შემოგთავაზებს... ყველაზე მეტად ინდივიდუალური სადღეგრძელოები მიყვარს, როდესაც მეფერებიან. სხვათა შორის, მეც მიყვარს სადღეგრძელოებით ჩემი დამოკიდებულების გამოხატვა. ძალიან ხშირად, როდესაც მეგობარი გოგოები ვიკრიბებით, თამადა მე ვარ. რომ მეტყვიან, შენ უნდა იყო თამადაო, ცოტას კი გავიპრანჭები ხოლმე, მაგრამ უარს არასოდეს ვამბობ.

**— სუფრასთან ოჯახურ შეკრებებს ხშირად აწყობთ?**

— წელიწადში ერთ დღეს, ტრადიციულად 2 იანვარს, მთელი ოჯახი ვიკრიბებით



Cyan Magenta Yellow Black



— შვილები, სიძეები, შვილიშვილები, ჩემი და, დისშვილები, საბოლოოდ ალბათ 40 ადამიანი მაინც ვიყრით თავს. მათ მთელი წლის განმავლობაში ვხვდები, მაგრამ წელიწადში ერთხელ მინდა, ოჯახის წევრებს განსაკუთრებული პატივი ვცე. ამიტომ ყველა მოუთმენლად ველოდებით ამ დღეს. საშუალება მაქვს თუ არა, მაინც აუცილებლად ვშლი სუფრას, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, ვის რა უყვარს. ვცდილობ, ყველას გემოვნება დავაკმაყოფილო. ამ დღეს ყოველთვის კარგ დროს ვატარებ. ჩემს მეუღლეს კახეთიდან მეგობარი კარგ ღვინოს უგზავნის. არ ვიცი, რამდენად კარგი მზარეული ვარ, მაგრამ, როდესაც ჩემს ნახელავს სინჯავენ, ნასიამოვნები ვიშვიშებენ.

განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი. ის ჩემი მძახალი, მულიშვილის მამამთილი იყო. რა თქმა უნდა, ყოველ 2 იანვარს ჩვენთან მოდიოდა, ძალიან უყვარდა აქ მოსვლა. როცა ამ დღისთვის სამზადისში ვარ, მას ყოველთვის ვიხსენებ და ბატონი შოთას საყვარელ ვაზის ფოთლის ტოლმას ვაკეთებ ხოლმე.

სახლში კერძო საბავშვო ბაღი მაქვს და მშობლები გახარებულები არიან, როგორც იქნა, ჩვენმა შვილებმა ჭამა ისწავლესო. მათთვისაც მე ვამზადებ კერძებს და ძალიან მოსწონთ.

— **თქვენი გემრიელი კერძების რეცეპტებს „სარკის“ მკითხველებისთვის გაიმეტებთ?**

— სიამოვნებით! ხის სოკოს წამოადუღებთ. დაზღვეული რომ იყოთ, აუცილებლად ჩააგდეთ ვერცხლის კოვზი. თუ სოკო შხამიანია, კოვზი გაშავდება. სოკო რომ წამოდუღდება, თუშფალანგზე გადმოიღებთ, გაწურავთ და ხახვთან ერთად მოშუშავთ. პარალელურად მოხარშავთ ბრინჯს, შემდეგ გაწურავთ და ამ ყველაფერს ერთმანეთში აურევთ. მთავარია მწვანილი. უზამთ წიწმატს, ტარხუნას, ქინძს, ნიორს, შავ პილპილს და წყალში გათხელებულ მაიონეზს.

— **ქალები ძირითადად სალათებს ვეტანებით. თქვენც მსუბუქად დანაყრება გირჩევნიათ თუ კალორიებს არ ითვლით?**

— ძირითადად მსუბუქად ვიკვებები, მით უმეტეს, უკვე ასაკში ვარ. არ მიყვარს დიეტა, რადგან ამ დროს სულ საჭმელზე ვფიქრობ და ნერვები მეშლება, ცუდ ხასიათზე ვდგები. ამიტომ ჯობს, საკუთარ თავს ყველაფრის უფლება მივცეთ და ცოტ-ცოტა ვჭამოთ ის, რაც გვინდა.

— **რა კერძი ან პროდუქტი გიყვართ ყველაზე მეტად?**

— თევზეული ახლა შემიყვარდა, თითქოს ჩემი ორგანიზმი ითხოვს. განსაკუთრებულად მიყვარს ქინძსა და ძმარში გაკეთებული სკუმბრია. ეს თევზი ძალიან გემრიელია. ნიგვზის ბაჟეში ჩადებული თევზიც მიყვარს და შებოლილიც. გამოყვანილ ქაშაყთან ერთად ძალიან კარგია კარტოფილი. უმ კარტოფილს გავრეცხავ, შუაზე ვჭრი, მარილს ვაყრი და ღუმელში

**„ჩემი მეგობარი ამბობს ხოლმე, ირინამ აგურიც რომ დადოს სუფრაზე, ისიც გემრიელად იჭმებაო".**

ვწვავ. რომ გავარდისფერდება, შიგნით კარაქს ვდებ და უგემრიელესია. ასე გაკეთებული კარტოფილი და ქაშაყი ზამთარში ძალიან კარგია. თან თუ არაყსაც მივაყოლებთ, ხომ საერთოდ!

— **ცხობაც გეხერხებათ?**

— ტორტებს — არა, მაგრამ ხაჭაპურს, ლობიანს, ღვეზელს ვაცხობ. ყველაზე მეტად მიყვარს, როდესაც ვიღაცისთვის ვაკეთებ. როცა სახლში მარტო ვარ, არაფრის მომზადების სურვილი არ მაქვს. ხშირად მინდა, რომ ვიღაც მომემსახუროს, ამაზე ვგიჟდები.



— **მაშინ კაფე-ბარებში სიარულიც გეყვარებათ.**

— კი, მიყვარს კაფეებში სიარული. როდესაც ამის ხასიათზე ვარ და მატერიალური საშუალებაც მაქვს. ხშირად მე და ჩემი მეუღლე გავდივართ, ვსხდებით, ვსვამთ წვენს, ყავას, გვემსახურებიან, მუსიკას ვუსმენთ.

— **ნახევარფაბრიკატების, მზა კერძების მომხმარებელი თუ ხართ?**

— არ ვენდობი, თორემ სიამოვნებით ვიყიდდი. მასპინძელი დიასახლისის კი ყოველთვის მჯერა. მე ძალიან სუფთად, კეთილსინდისიერად, ახალი პროდუქტებით ვამზადებ საჭმელებს და ამიტომ მგონია, რომ ყველა დიასახლისი ასე პატიოსნად ამზადებს კერძებს.

— **ქართული სამზარეულოს მსგავსი რომელიმე ქვეყანაში შეგხვედრიათ?**

— ჩვენს ნაციონალურ კერძებს ძალიან ჰგავს მექსიკური. მათაც აქვთ ლობიო, საცივი, უყვართ ცხარე საჭმელები, მაგრამ საკმაზებშია განსხვავება და ამიტომ იქაურ კერძებს სხვა გემო აქვთ. იქ მაწონიც კი ვნახე.

— **რა გასაკვირია, რომ სხვა გემო ჰქონდეს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც კი განსხვავებულად ამზადებენ.**

— კი, ასეა. ძალიან მიყვარს იმერული ფხალი, რაღაც სხვანაირად კმაზავენ და, სხვათა შორის, ზოგჯერ მეც მათნაირი გამომდის, ოღონდ ძმრის ნაცვლად ლიმონს ვუშვრები. საერთოდ, ნიგვზიან კერძებში ძმრის მაგივრად ყოველთვის ლიმონის წვენს ვხმარობ. ჩიხირთმას კი აუცილებლად ძმრით ვაკეთებ.

— **დაბოლოს, ინტერვიუ კიდევ ერთი მარტივი და გემრიელი კერძის რეცეპტით დავასრულოთ.**

— სიამოვნებით გასწავლით ცომის მომზადებას, რომელიც ძალიან მალე კეთდება და თან უგემრიელესია. ეს რეცეპტიც ახლახან აღმოვაჩინე. 200 გრამ კარაქს ჯამში ჩადებთ და ცეცხლზე გაადნობთ. ჩაახლით 3 კვერცხს და ჩქარა ათქვეფთ, რომ არ აიჭრას. უზამთ ცოტა მარილს, შაქარს, ნახევარ ლიტრ მაწონს და ამ ყველაფერს აურევთ. ბოლოს ჩაყრით იმდენ ფქვილს, რომ ცომი რბილი იყოს. გააბრტყელებთ, სოდას მოაყრით და გადაკეცავთ, მერე ისევ გადაკეცავთ და ისევ სოდას მოაყრით. ასე სამჯერ გაიმეორებთ. ერთი ჩაის კოვზი სოდა უნდა გაანაწილოთ. ამ ცომით ხაჭაპურიც კარგი კეთდება, ლობიანიც და კარტოფილიანი ღვეზელიც. მარტივად მოსამზადებელი, ფუმფულა და გემრიელია.

✓ **ქეთი დინოშვილი**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

გრძელდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების მკურნალობა პარასამკურნალო საშუალება **იბერიკუმით** (სამკურნალო მცენარეთა ნაყენი, 200 მლ) ***ახალ მისამართზე:*** ქ. თბილისი, იოსებიძის 53, ფიტოთერაპიული კაბინეტი „ლუიზოლი“. ტელ.: **237-38-13.** მიღება დილის 8 სთ-დან 12 სთ-მდე, კვირის გარდა. უფასო კონსულტაცია პრეპარატის ავტორთან და ფარმაცევტ გიორგი ქუთათელაძესთან **–551-70-80-15, 599-900-350.**

**იბერიკუმი** მკურნალობს კუჭის ეროზიებსა და მაღალ მჟავიანობას, გასტრიტს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, კუჭის შეკრულობას, ნაწლავების დისფუნქციას (კოლიტებს).**იბერიკუმი** ძალიან ეფექტურია პროსტატიტის და დიაბეტის წინააღმდეგ.



Cyan Magenta Yellow Black

ამბავი სიყვარულისა

# სამი ვარდი საყვარელი ქალისათვის — ჰამლეტ გონაშვილის უკანასკნელი საჩუქარი

## ლამარა ცინცაბაძე: „ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ისევ ერთად ვართ“



■ ჰამლეტ გონაშვილი

13 წელი მასთან და 28 წელი მის გარეშე — გენიალური ქართველი მომღერლის, ჰამლეტ გონაშვილის გარდაცვალების მერე ასე გაიყო ცხოვრება მისი ქვრივისთვის, ლამარა ცინცაბაძისთვის. ის დღემდე იმ მოგონებებით საზრდოობს, რაც მეუღლესთან ერთად დაუგროვდა. ისინი საკმაოდ მოწიფულ ასაკში დაქორწინდნენ და ღრმა, გააზრებული, სერიოზული გრძნობა აკავშირებდათ. თითქოს გრძნობდნენ, რომ ერთად დაბერება არ ეწერათ, ამიტომ თითოეულ დღეს ალამაზებდნენ, უფრთხილდებოდნენ, ორ ბიჭს ზრდიდნენ და ბედნიერები იყვნენ. იმ საბედისწერო დღესაც ცოლი განსაკუთრებულად მოემზადა, რომ კახეთიდან დაბრუნებულ ქმარს შეგებებოდა...

ჰამლეტ გონაშვილი 57 წლის ასაკში მოულოდნელად, ბრმა შემთხვევის გამო დაიღუპა. მისი უნიკალური ხმა ლეგენდად იქცა. არადა საკუთარი თავით კმაყოფილი არასოდეს იყო. თავის განუმეორებელ ჩანაწერებს, კონცერტებს ასე აფასებდა: „ისე, რა“.

ლამარა ცინცაბაძე „სარკესთან“ თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ და ყველაზე ტრაგიკულ პერიოდებს იხსენებს.

### ლამპის შუქზე ჩასახული სიყვარული

— ერთმანეთი დაბადების დღეზე გავიცანით ჩემი თანამშრომლის ოჯახში, რომელიც ჰამლეტის ნათესავი იყო. ეს მოხდა 1971 წელს. ჩვენ შორის პირველი სიმპათიები სწორედ ამ სუფრიდან გაჩნდა. მაგიდები ორ მწკრივად იყო, მეორე მაგიდაზე შესთავაზეს დაჯდომა, ის კი წამოვიდა და ჩემ პირდაპირ დაჯდა. იმ დღეს ჩემ მიმართ ყურადღება გამოიჩინა. მოულოდნელად სინათლე ჩაქრა და ლამპები აანთეს. ერთი ლამპა ჩემ წინ დადგეს. სინათლეს რომ არ შევეწუხებინე, ჰამლეტმა ქაღალდის ხელსაწმენდი გამოჭრა და ლამპას ჩამოაფარა. შემდეგ მან, მისმა დამ, სიძემ და დისშვილებმა, კოლექტიურად მიმაცილეს სახლამდე. ამას მოჰყვა შეხვედრები, ურთიერთობები და ჩვენი სიყვარულის ისტორიაც ნელ-ნელა დაიწყო. დაახლოებით 2 წლის შემდეგ კი მე და ჰამლეტმა ვიქორწინეთ.

### ჯერ იყო ხმა

— ჩვენ შეხვედრამდე ჰამლეტის ნამღერი ანსამბლთან ერთად მქონდა მოსმენილი, ინდივიდუალურად კი არა. დაბადების დღის სუფრასთანაც მეგობრებთან ერთად იმღერა. ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ქობულეთში წავედი დასასვენებლად. რადიოში მისი სიმღერა „დაიგვიანეს“ მოვისმინე. ჩემი ბინა ზღვის ნაპირზე იყო. ამ ხმამ ჩემზე ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ სახლში ვერ გავჩერდი. ზღვის ნაპირზე გავედი, კარგახანს დავდიოდი და თან ჰამლეტის საოცარი ხმა ჩამესმოდა. მის მიმართ სიმპათიები კიდევ უფრო გამიმძაფრდა. ქობულეთიდან ჩამოსვლის შემდეგ რომ შევხვდი, უკვე სხვა გრძნობებით ვიყავი ავსებული.

როცა დავქორწინდით, მე 38 წლის ვიყავი, ჰამლეტი კი — 44-ის. დაქორწინებამდე ერთმანეთს ხშირად ვნახულობდით. ჰამლეტი მუდამ გასტროლებზე მიდიოდა, მაგრამ ისე არ წავიდოდა, რომ მე არ ვენახე. ჩემი მუშაობის განრიგი თავისი ნათესავისგან იცოდა და სამსახურში მაკითხავდა. 1972 წლის 27 ივლისს ხელი მოვაწერეთ და მეჯვარეებთან და ჰამლეტის დასთან ერთად ფუნიკულიორზე, რესტორანში ავედით. ქორწილი კი სექტემბერში ჩემმა მშობლებმა გადაგვიხადეს.

იმ დროს გემით მოგზაურობა იყო მოდაში და ჩვენც წავედით სამოგზაუროდ. ჯერ ბათუმში ჩავედით. იქ ჩემმა ძმამ გემის ბილეთები დაგვახვედრა. მან სიძე პირველად ნახა. როცა გაიგო, რომ ცოლად მომღერალს გავყევი, ძალიან ნერვიულობდა. შემდეგ კი უთქვამს, როდესაც ჰამლეტს პირველად შევხვდი საზღვაო პორტში და ხელი ჩამოვართვი, იმ წამსვე მივხვდი, რომ ვაჟკაცი იყო და არა — ქალაჩუნა მომღერალიო.

### შვილების დაბადება

— პირველი შვილის დაბადება ორივესთვის დიდი სიხარული იყო. 1973 წლის 14 აგვისტოს ვიმშობიარე. ჰამლეტი ქუთაისში იყო, როცა საავადმყოფოში დამაწვინეს. იქ ყოფნა დიდხანს მომიწია. ჰამლეტი თბილისში რომ დაბრუნდა, ანზორ ერქომაიშვილთან ერთად ჩემ სანახავად მოვიდა. ანზორმა მითხრა, რა ამბავია, ამდენი ხანი რომ ველარ იმშობიარეო. ვუპასუხე, ჩემი შვილი კახელია, დინჯია და ჯერ ფიქრობს, გაჩნდეს თუ არა-მეთქი.

მეორე შვილს რომ ვაჩენდი, ჰამლეტს ფილარმონიაში კონცერტი ჰქონდა. საღამოს გაიგო, რომ სამშობიაროში ვიყავი. მთელი ანსამბლი „რუსთავი“ საავადმყოფოს ეზოში ყოფილა თავმოყრილი, კონცერტიდან პირდაპირ იქ მოვიდნენ. ექიმმა ჩემს ქმარს ვაჟის შეძენა ახარა:

— გილოცავთ, ვაჟი შეგეძინათ!

— ნამდვილად? რამე შეცდომა ხომ არ არის? მე გოგოს ველოდებოდი, — უთქვამს გაკვირვებულ ჰამლეტს.

— არა, შვილო, ნამდვილად ბიჭია. თანაც

**„რადიოში მისი სიმღერა „დაიგვიანეს" მოვისმინე. ჩემი ბინა ზღვის ნაპირზე იყო. ამ ხმამ ჩემზე ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ სახლში ვერ გავჩერდი. ზღვის ნაპირზე გავედი, კარგახანს დავდიოდი და თან ჰამლეტის საოცარი ხმა ჩამესმოდა. ქობულეთიდან ჩამოსვლის შემდეგ რომ შევხვდი, უკვე სხვა გრძნობებით ვიყავი ავსებული".**

დღეს მხოლოდ ორი მშობიარე გვყავს და ორივემ ბიჭი გააჩინა. ასე რომ, არავითარი შეცდომა არ არის, — უპასუხა ექიმმა.

მართალია, ჰამლეტს გოგოს მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ ბიჭის დაბადებამაც ძალიან გაახარა. შვილებისთვის არაჩვეულებრივი მამა იყო, ძალიან თბილი და მოსიყვარულე. მათთან ერთად სეირნობა უყვარდა, წიგნებს უკითხავდა, ლექსებს ასწავლიდა. ბევრი დრო არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ახერხებდა ოჯახთან ყოფნას. როდესაც ბავშვებთან ერთად მანქანით სადმე მიდიოდა, გზაში სულ მღეროდნენ. ჩემს შვილებს მუსიკალური მონაცემები ჰქონდათ, ანსამბლ „მართვეშიც“ დადიოდნენ, მაგრამ მამის კვალს არ გაჰყვნენ. უფროსმა შვილმა თქვა, იმდენი სინდისი მაქვს, რომ მამაჩემის შემდეგ არ ვიმღეროო.



■ ცოლ-ქმარი ახალგაზრდობაში

**„ჩვენ შორის პირველი სიმპათიები სწორედ ამ სუფრიდან გაჩნდა. მაგიდები ორ მწკრივად იყო, მეორე მაგიდაზე შესთავაზეს დაჯდომა, ის კი წამოვიდა და ჩემ პირდაპირ დაჯდა".**

### ერთმანეთის ნახევრები

— ჩემს მეუღლეს ოჯახის მომარაგება უყვარდა. სახლში ისე არ დაბრუნდებოდა, ხელში რამე არ სჭეროდა. საერთოდ, ძალიან უპრეტენზიო იყო და არც მკითხავდა, წინა დღეს მოტანილი პროდუქტები სად წაიღე ან რა მოამზადეო. მხოლოდ იმაზე გაბრაზდებოდა, თუ მის მიერ მოტანილ რაიმე პროდუქტს გადაგდებულს ნახავდა. არადა იმდენად ბევრი მოჰქონდა, რომ აღარ ვიცოდი, სად წამეღო. სხვა მხრივ, არასოდეს არაფერზე მიბრაზდებოდა. არ მახსოვს, ჩემი გაკეთებული სადილი დაეწუნებინა, ჩემს ჩაცმულობაში რამე არ მოსწონებოდა ან ვინმესთან ურთიერთობა დაეშალა, თუმცა, როცა სახლში არ ვიყავი, მოუსვენრად იყო. ზამთრობით დედაჩემიც ჩემთან ცხოვრობდა. ერთხელ დედამ მითხრა, შენს ქმარს სახლში დახვდი ხოლმე, თორემ ადგილს ვერ პოულობსო. სულ მე მკითხულობდა.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება საინტერესო იყო, ერთმანეთს ვუგებდით. ყოველ საღამოს, როცა სახლში ბრუნდებოდა, ერთად ვახშმობდით და თან ერთ ჭიქა ღვინოს ვაყოლებდით. როცა ყველას ეძინა, მე და ჰამლეტი სამზარეულოში დავსხდებოდით, სუფრას გავშლიდით და ვლაპარაკობდით. ერთმანეთს მთელი დღის ამბებს ვუყვებოდით, სად ვიყავით, რა გავაკეთეთ. ამასობაში დრო ისე გავიდოდა, რომ ვერც ვიგებდით. ჟურნალ-გაზეთებს ვუკითხავდი. ვიცოდი, რომ ჰამლეტს ამის დრო არ ჰქონდა, თუმცა ახალი ამბები აინტერესებდა... ერთმანეთის ცხოვრებას ვავსებდით.

გასტროლებზე არ დავყვებოდი, ორი პატარა შვილის პატრონი ვიყავი და მათ სხვასთან ვერ

ვტოვებდით. რომ იტყვიან, გიჟი დედ-მამა ვიყავით. ნიგვზის, თაფლის ნამცხვრებს ვუცხობდი, რომლებიც დიდხანს ინახება და გასტროლებზე თან ვატანდი. როდესაც ანსამბლი უკან დაბრუნდებოდა და აეროპორტში დავხვდებოდი, ყველანი გარს შემომეხვეოდნენ და ნამცხვრებისთვის დიდ მადლობას მიხდიდნენ. ბოლო დღეებში, როდესაც ფული შემოელეოდათ და აღარც საჭმელი ჰქონდათ, თურმე ჰამლეტი ამ ჩემს ნამცხვრებს გამოიღებდა ხოლმე. მას ყოველთვის წინ გახედვა უყვარდა და სასმელ-საჭმელს ბოლო წუთებისთვის ინახავდა, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.

ჰამლეტს ბუნება ძალიან უყვარდა. მე და ბავშვები ისტორიულ ადგილებში დავყავდით და თან დიდი სიამოვნებით გვიყვებოდა ისტორიებს. ძალიან განათლებული კაცი იყო. სპეციალობით ბიოლოგი გახლდათ. არ არსებობდა დარგი, რომელიც მან არ იცოდა. მასთან საუბარი ყველას სიამოვნებდა. განსაკუთრებით გეოგრაფია უყვარდა. სამზარეულოში დიდი რუკა გვქონდა. ტელევიზორში რომელიმე ქვეყანაზე რამეს თუ გამოაცხადებდნენ, მაშინვე თავის რუკასთან მივიდოდა, იმ ქვეყანას მონახავდა და კალმით მონიშნავდა. ამ ყველაფრის წყალობით, გეოგრაფია ჩვენმა შვილებმაც კარგად იცოდნენ. მე პროფესიით ჩაის სპეციალისტი ვარ. ერთხელ დედაჩემს ვუთხარი, კიდევ კარგი, რომ ჰამლეტმა ჩაიზე ბევრი არაფერი იცის, თორემ ისეთ შეკითხვებს მომცემდა, რომ ჩამჭრიდა-მეთქი.

ჰამლეტის ყველა დაბადების დღეს აღვნიშნავდით, თუმცა ეს თავად წესად არ ჰქონდა. წინა დღეს, სახლში რომ დაბრუნდებოდა, ვეტყოდი: „ხვალ შენი დაბადების დღეა და რაღაცეებს გავამზადებ“. სტუმრებსაც მე დავუპატიჟებდი ხოლმე. თუ ვინმე გამომრჩებოდა, თავად ურეკავდა და ეუბნებოდა: „დღეს ჩემი დაბადების დღე ყოფილა. ლამარამ სუფრა გაშალა და აუცილებლად მოდი“.

საერთოდ სტუმრის მოსვლა ძალიან უყვარდა. ზარის ხმას რომ გაიგონებდა, ერთი ლუკმა საჭმელიც თუ ჰქონდა, არ შეჭამდა და სტუმრისთვის შეინახავდა. საღამოს სახლში რომ დაბრუნდებოდა, იცით, როგორ ვხვდებოდი,



■ ოჯახი

რომ სტუმართან ერთად იყო? კარს გასაღებითაც გააღებდა და თან ზარსაც დარეკავდა. ამით ვიგებდი, რომ ვიღაც ახლდა. ამბობდა, დარწმუნებული ვარ, ლამარას სტუმრისთვის რაღაც ყოველთვის ექნებაო.

ერთხელ ჰამლეტი გასტროლზე კახეთში იყო წასული. იმ დროს ჩემი თანამშრომლის ძმა დაიღუპა, რომლის გასვენებაც თელავში იყო. ვიფიქრე, თან გასვენებაში წავალ და თან ჩემს ქმარს ვნახავ-მეთქი. გზაში კი დავინახე, რომ ჰამლეტმა მანქანით ჩაგვიქროლა. სახლში რომ მისულა, შემთხვევით ორპირი ქარის გამო ფანჯრის მინა გაუტეხია. როცა დავბრუნდი, თიხის ორი სასტვენი და წერილი დამხვდა: „ლამარა, შუშა გამიტყდა და რომ ჩამოვალ, თვითონ ჩავსვამ, შენ არ ინერვიულო. ეს სასტვენები ბიჭებს ვუყიდე და სანამ მე ჩამოვალ, მაგითი შეგიძლია შენც გაერთო“.

საკუთარი თავის მიმართ ყოველთვის მომთხოვნი იყო. ჩაწერიდან რომ დაბრუნდებოდა, მეტყოდა, კი ჩავწერეთ, მაგრამ რაღაც არ მომწონს და თავიდან უნდა ჩავწეროთო. ამ დროს ანზორ ერქომაიშვილი დამირეკავდა, ჩაწერამ ბრწყინვალედ ჩაიარაო. ჰამლეტს ყოველთვის მეტის გაკეთების სურვილი ჰქონდა. კონცერტზე რომ ვკითხავდი, როგორ ჩაიარა-მეთქი, მიპასუხებდა: „ისე რა“. კოსტიუმს გაიხსნიდა და ჯიბიდან ერთ ყვავილს ამოიღებდა. არ არსებობდა, კონცერტიდან დაბრუნებულიყო და ჩემთვის ყვავილი არ მოეტანა.



■ ლამარა ცინცაბაძე

„ყველანი ჩუმად იყვნენ, მე კი უცებ ვიკითხე, ნეტავ, ახლა ანაგაში რა ხილია, ალბათ ჰამლეტი ხეზე ავიდა, რომ ჩემთვის მოეკრიფა და ჩამოვარდა-მეთქი. პასუხი არავინ გამცა. მათ უკვე იცოდნენ, რომ ჩემი ქმარი ცოცხალი აღარ იყო“.

გასტროლებიდან ჩემთვის აუცილებლად ჩამოჰქონდა საჩუქრები. იცით, კიდევ რა თვისება ჰქონდა? გასტროლიდან რამდენიმე საჩუქარი ჩამოჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ერთად არ მაძლევდა. რაღაცეებს შეინახავდა ხოლმე. გარკვეული დროის მერე საყურეებს, ბეჭდებს და სხვა სამკაულებს მჩუქნიდა. მეც არ ვიცი, მთელი ეს დრო ამ ყველაფრის დამალვას როგორ ახერხებდა. სადმე ჭრელი ფოთოლიც რომ ენახა, ისიც კი სახლში მოჰქონდა, რომ ჩემთვის ენახვებინა.

ერთხელ მთაში საბაობაზე იყო წასული. რომ დაბრუნდა და კარი გავუღე, თავად არ ჩანდა, ხელში მინდვრის ყვავილების და ხის ტოტების უზარმაზარი თაიგული ეჭირა. მახარა, ლამარა, ნახე, სამხრეთ საქართველოს მთელი ფლორა ჩამოგიტანეო.

## თბილი ბუდე

ჰამლეტი ისეთ დროს გარდაიცვალა, როდესაც სიცოცხლე უხაროდა, ბედნიერი ვარო, ამბობდა. მას მძიმე ცხოვრება ჰქონდა, ომის პერიოდიც გამოიარა. თბილისში სხვენის ტიპის ბინაში ცხოვრობდა. შემდეგ, კარგახანი, ყიფშიძის ქუჩაზე ბინას იშენებდა. როცა აშენდა და გადავედით, ერთი შვილი უკვე გვყავდა. მერე რემონტიც გავაკეთეთ, ჰამლეტი ძალიან ბედნიერი იყო. საკუთარი ჭერი გვქონდა ჩვენს გემოზე მოწყობილი და ეს უხაროდა.

გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე უკრაინაში გასტროლებზე წავიდა. გადავწყვიტე, მის ჩამოსვლამდე რემონტი გამეკეთებინა. ამაში ჩემი ძმაც მეხმარებოდა. სამწუხაროდ, ზუსტად იმ პერიოდში ჩემი ძმა მოულოდნელად გარდაიცვალა. ჰამლეტი გასტროლიდან პირდაპირ ლანჩხუთში ჩამოვიდა. დასაფლავების შემდეგ თბილისში რომ დავბრუნდით, სახლი სულ აყრილ-დაყრილი დახვდა და რემონტის გაკეთება თვითონ გააგრძელა. მერე კი ამ სახლში თავის ოჯახთან ერთად ბედნიერად ცხოვრება არ დასცალდა.

## საბედისწერო გასტროლი

— მის გარდაცვალებამდე ცოტახნით ადრე მთელი ოჯახი თვენახევრით ლენინგრადში ვიყავით. ანსამბლს გასტროლი ჰქონდა და მე და ჩემი შვილებიც წავედით. ეს იყო დაუვიწყარი დასვენება და უკანასკნელიც. იქიდან დაბრუნების შემდეგ იტალიაში უნდა წასულიყვნენ, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო გადაიდო და ამიტომ კახეთში დაგეგმეს გასტროლები. იმ პერიოდში ჰამლეტს ბრმანაწლავის შეტევა ჰქონდა, საოპერაციო იყო, მაგრამ უარს ამბობდა, ჯერ კახეთში უნდა წავიდე, ანსამბლი „რუსთავი“ მთლიანად იქ იქნება და მე ვერ დავაკლდებიო. ქირურგი ჩემი ახლობელი იყო და მან მითხრა, გაუშვი, თუ იქ დაეწყება შეტევა, ჩავალ და ოპერაციას გავუკეთებო. ჩემი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჰამლეტი მაინც წავიდა.

კახეთში წასვლამდე სახლში მარტო ვიყავით. შვილები დედაჩემთან ერთად ლანჩხუთში იყვნენ. საღამოს სავახშმოდ რომ დავსხედით, ცივი შამპანური ვინატრე. გული დასწყდა, ჩემს ცოლს შამპანური მოუნდა, მე კიდევ არ მაქვსო... მეორე დღეს წავიდა. მისი ჩამოსვლისთვის ვემზადებოდი. წესად მქონდა, განსაკუთრებული სადილი უნდა დამეხვედრებინა. მაშინაც ასე გავამზადე კერძები, შამპანური ვიყიდე და ყველაფერი მაცივარში შევინახე, მე კი პარტიულ კრებაზე წავედი.

სახლში რომ დავბრუნდი, ჰამლეტი არ დამხვდა. აივანზე ვიდექი და მანქანებს ვაკვირდებოდი, მაგრამ არსად ჩანდა. მის მეგობარ ტარიელ ონაშვილთან გადავრეკე და მან მითხრა, ანსამბლი დაბრუნდა, შენი ქმარი კი ანაგაში გაჩერდა ნათესავებთანო. შემდეგ დამირეკეს და გამაგებინეს, რომ ჰამლეტი ცუდად იყო. ამ დროს ის უკვე დაღუპული ყოფილა, მე კი არაფერი ვიცოდი...

თურმე მეზობელს ხე ეზოს უჩრდილავდა და ჩემი ქმრისთვის უთხოვია ტოტების მოჭრა. ის ხის კუნძზე ავიდა, ფეხი დაუცურდა და რკინის სოლზე დაეცა...

ტარიელ ონაშვილმა მე, ჩემი მული, ჩემი მეზობელი და ჩემი ქმრის მამიდაშვილი ანაგაში წაგვიყვანა. ყველანი ჩუმად იყვნენ, მე კი უცებ ვიკითხე, ნეტავ, ახლა ანაგაში რა ხილია, ალბათ ჰამლეტი ხეზე ავიდა, რომ ჩემთვის მოეკრიფა და ჩამოვარდა-მეთქი. პასუხი არავინ გამცა. მათ უკვე იცოდნენ, რომ ჩემი ქმარი ცოცხალი აღარ იყო. თავში აზრადაც არ გამივლია, რომ შეიძლებოდა ცოცხალი აღარ ყოფილიყო, უფრო მეგონა, რომ ბრმანაწლავის შეტევა ჰქონდა. რომ ჩავედით, ჭიშკარი ღია დამხვდა, ეზოში კი უამრავი ხალხი იყო. ვიფიქრე, ალბათ ძალიან ცუდად არის და ამდენი ხალხი იმიტომ მოგროვდა-მეთქი. ოთახში შესულმა ტახტზე დასვენებული ჰამლეტი დავინახე და ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს...

იმ დღეს კონცერტზე ჰამლეტისთვის სამი ვარდი მიურთმევიათ და ჩემთვის შეუნახავს. იქაურ ბაზარში კაკალი უყიდია და უთქვამს, რომ ჩავალ, ლამარა კაკლის მურაბას გამიკეთებსო. ამის შემდეგ კაკლის მურაბას აღარც ვჭამ და აღარც ვაკეთებ...

## 13 წელი მასთან და 28 წელი მის გარეშე

— ჰამლეტის გარდაცვალებიდან 28 წელი გავიდა. ის უბედური შემთხვევა 1985 წლის 25 ივლისს მოხდა. ერთად 13 წელი გავატარეთ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ისევ ერთად ვართ.

ცხოვრება თავისი გზით მიდის, შვილები, შვილიშვილები იზრდებიან. ორი ვაჟი მყავს. უფროსი დაოჯახებულია და მასაც ორი ბიჭი ჰყავს. ჩემი შვილიშვილი ჰამლეტის მოსახელეა, ახლა უკვე 15 წლის არის. გულდასაწყვეტია, რომ შვილიშვილებს ვერ მოესწრო. როცა გარდაიცვალა, ბავშვები 10-12 წლისანი იყვნენ. სულ იმაზე ოცნებობდა, ნეტა, იმ დღეს მომასწრო, შვილები მხარში ამომიდგნენო.

✓ თეონა კენჭიაშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# დათუნა სულიკაშვილი: „პოლიტიკური არეულობების მერე დიზაინერები ვიყინებით“

„საქართველოში რთულია, მოდა ბიზნესად აქციო“, — ამბობს დიზაინერი დათუნა სულიკაშვილი და ამ სფეროში მხოლოდ ორ წარმატებულ ადამიანს ასახელებს — ავთანდილს და თამუნა ინგოროყვას. თავად ყოველთვის ორიგინალურ ჩვენებებს აწყობს, პოდიუმის ადგილს კი კოლექციის თემის მიხედვით ირჩევს. ბოლო ჩვენება იპოდრომზე გამართა.

მოდის ბიზნესში უფრო დიდ წარმატებას რომ ვერ მიაღწია, სიზარმაცეს აბრალებს. მალე ბედის საძიებლად უცხოეთში წავა, სადაც შოურუმებში მიიღებს მონაწილეობას. მის პირად ცხოვრებაზე ბევრს ლაპარაკობენ. ბოლოს მოდელ კრისტი ყიფშიძესთან დააწყვილეს. რამდენად არის ეს სიმართლე, ამ და სხვა თემებზე დათუნა სულიკაშვილი „სარკეს“ ესაუბრება.



**— დათუნა, ცოტა ხნის წინ თბილისის მოდის კვირეული თქვენი კოლექციის ჩვენებით დაიხურა იპოდრომზე. კმაყოფილი დარჩით შედეგებით?**

— კი, თუმცა ტექნიკური პრობლემების გამო ჩვენება ბოლომდე არ იყო ისეთი, როგორიც მინდოდა, მაგრამ სტუმრებს ეს არ შეუმჩნევიათ. საბოლოო ჯამში, მაინც ვფიქრობ, რომ ლამაზი გამოვიდა.

**— თქვენი ჩვენებები ორიგინალური შინაარსით გამოირჩევა. საიდან იღებთ იდეებს?**

— როცა კოლექციას ვქმნი, ადგილსაც ვარჩევ. მაყურებელს კოლექცია სწორად და სრულყოფილად უნდა მიაწოდო. რა თქმა უნდა, მეგობრებიც მეხმარებიან, იდეებს მაწვდიან და მათ აზრსაც ვითვალისწინებ.

**— გახსენდებათ წარუმატებელი ჩვენება?**

— არა. ყოველი ჩვენება მორიგი წარმატების საწინდარია. ძალიან ზარმაცი ვარ და ეს რომ არ იყოს, ბევრად წინ ვიქნებოდი.

**„იმას, რაც საქართველოში ხდება, ალბათ არსად აქვს ანალოგი. დიზაინერები ვმეგობრობთ და ერთმანეთს ვეხმარებით. მე, მაგალითად, კოლექცია შემიკერავს სხვა დიზაინერის სახლში. ეს საზღვარგარეთ წარმოუდგენელია“.**

**— ვის მიიჩნევთ საქართველოს ბაზარზე წარმატებულ და კომერციულ დიზაინერად?**

— ჩემი აზრით, საქართველოში დიზაინერები, რომელთაც აქვთ ბიზნესი, არიან ავთანდილი და თამუნა ინგოროყვა. მათ შრომას ძალიან ვაფასებ. საქართველოში რთულია, მოდა ბიზნესად აქციო. ყველა დიზაინერს აქვს გარკვეული კულმინაცია, რომლის მერე ჩერდებიან, მიდიან მიღწეულ გზაზე და სიმაღლის შენარჩუნებას ცდილობენ.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი, რის გამოც საქართველოში წარმატებული დიზაინერები საზღვარგარეთ პოპულარულები ვერ ხდებიან?**

— ისინი, ვინც წარმატებას საზღვარგარეთ მიაღწიეს, ადრე წავიდნენ აქედან. იქ გაიარეს ყველანაირი განათლება. ჩვენი და მათი ცოდნა ამ სფეროში განსხვავებულია. ბევრ რამეს აკეთებენ, რაც საქართველოში არ შეგვიძლია. აქ თუნდაც კარგი ხარისხის ქსოვილს მხოლოდ ერთ მაღაზიაში თუ იყიდი.

**„ჩემგან შეიძლება ეს უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ არ მიყვარს მოდას ძალიან აყოლილი ადამიანი“.**

**— თქვენ თუ ფიქრობთ უცხოეთში წასვლაზე?**

— დიახ. მივხვდი, რომ აქ სივრცე არ მყოფნის. სექტემბრიდან შოურუმებში მივიღებ მონაწილეობას. მერე მივხვდები, სად მირჩევნია ყოფნა და იქ წავალ.

**— რომელიმე ცნობილი უცხოელი დიზაინერის გავლენის ქვეშ ხართ?**

— გავლენის ქვეშ არ ვარ, მაგრამ ბევრი დიზაინერი მომწონს. მათი სამოსიც მაქვს გარდეროში. არ შეიძლება, რომელიმე დიზაინერს გავლენით შექმნა კოლექცია. ეს ნიშნავს, პირდაპირ გადმოიღო მისი შემოქმედება. შენი ხელწერა უნდა გქონდეს.

**— საქართველოში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეთ. რა ან ვინ დაგეხმარათ?**

— პირველ რიგში, შრომა და მერე ჩემი გარემოცვა. მნიშვნელობა აქვს, როგორი მეგობრები გყავს. ჩემი მეგობრები ყოველთვის მოდის სფეროში ტრიალებდნენ. ფინანსებიც აუცილებელია.

**— არსებობს საქართველოში დიზაინერებს შორის კონკურენცია?**

— კონკურენცია არ არის და ეს ძალიან ცუდია. თუ მაინც ვისაუბრებთ ამ თემაზე, დიზაინერებს ბოროტი კონკურენცია უფრო გვაქვს, ვიდრე ჯანსაღი. ეს ყველა ქვეყანაშია. დიზაინერი დიზაინერს როცა აფასებს, შეუძლებელია ობიექტური იყოს. ამავდროულად, იმას, რაც საქართველოში ხდება, ალბათ არსად აქვს ანალოგი. დიზაინერები ვმეგობრობთ და ერთმანეთს ვეხმარებით. მე, მაგალითად, კოლექცია შემიკერავს სხვა დიზაინერის სახლში. ეს საზღვარგარეთ წარმოუდგენელია.

**— სულ ცოტა ხნის წინ ახალი სახე გამოჩნდა, დიზაინერი რამაზო რომა, რომელმაც საზღვაო სამოსის ჩვენება მოაწყო. მას თუ აღიქვამთ კონკურენტად?**

— რამაზო რომა ქართველი დიზაინერების კონკურენტი ვერ იქნება იმიტომ, რომ ის ერთადერთია, რომელიც მხოლოდ საზღვაო სამოსსა და აქსესუარებზე მუშაობს. ამიტომაც კონკურენტები არ ვართ. ძალიან კარგია, რომ ეს ნიშა დაიკავა. ყოველ წელს ჩნდება ვიღაც ახალი სახე, რომელსაც თავიდან კრიტიკულად უყურებენ. მეც, როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ამ სფეროში, ძალიან ვნერვიულობდი. ქართველებს ძალიან უჭირთ კარგის აღიარება.

**— გიჭირთ კრიტიკის მიღება?**

— გააჩნია, ვინ მაკრიტიკებს. კომპეტენტური ადამიანისგან კრიტიკას სიამოვნებით ვიღებ და აზრს ვითვალისწინებ. ბოროტ კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევ.

**— კოლექციის შექმნისთვის მუზა აუცილებლად გჭირდებათ?**

— შეიძლება, დავინახო ქალი და ეს გახდეს შთაგონების წყარო. შემოქმედისთვის ინსპირაციის მიზეზი უბრალო ნივთიც შეიძლება იყოს. მთავარია, ის მომენტი დაიჭირო, როცა თავში იდეა მოდის. მიყვარს ღამე მუშაობა.

**— ყოფილა შემთხვევა, როცა მთელი ღამის ნამუშევარი ესკიზები გადაგიყრიათ?**

— ესკიზებს ვინახავ, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც 3 წლის წინ შენახული ნამუშევრები ვიპოვე, რომლებიც თავის დროზე არ მომეწონა და გადაყრა მინდოდა. 3 წლის მერე კი ჩემი ახალი, წარმატებული კოლექციის საწინდარი გახდა.

**— როგორ იცვამენ თბილისში?**

— თბილისში მიბაძვა უყვართ. ამ ბოლო დროს უფრო ცდილობენ, იყვნენ ინდივიდუ-

**„ესკიზებს ვინახავ, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც 3 წლის წინ შენახული ნამუშევრები ვიპოვე, რომლებიც თავის დროზე არ მომეწონა და გადაყრა მინდოდა. 3 წლის მერე კი ჩემი ახალი, წარმატებული კოლექციის საწინდარი გახდა“.**

ალურები. ჩემგან შეიძლება ეს უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ არ მიყვარს მოდას ძალიან აყოლილი ადამიანი.

**— რას ნიშნავს „მოდას ძალიან აყოლილი“ ადამიანი?**

— რომელიც ყველა სიახლეს იღებს, ეს კი აუცილებელი არ არის. საქართველოში ზოგადად უჭირთ სიახლეების მიღება. მაგალითად, თუ დაბალწელიან ჯინსს ეჩვევიან, უჭირთ მაღალწელიანზე გადასვლა და ა.შ. აქ ყოველთვის არსებობს ვიღაც, ვისაც მთელი ქალაქი ბაძავს ჩაცმულობაში.



Cyan Magenta Yellow Black

**— სწორად ჩაცმას ფიგურაზე ზრუნვაც სჭირდება. უვლიან სხეულს ქართველები?**

— ამ ბოლო დროს უფრო ვხედავ, რომ აღნაგობაზე ზრუნავენ. თუ ჭარბწონიანი იცვამს ვულგარულად, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ, საერთო ჯამში, ქართველები გემოვნებიანი ერი ვართ.

**— რა არის ამ სეზონის ჰიტი?**

— ზაფხული იმდენად მრავალფეროვანია, რომ ვფიქრობ, ტენდენცია და ჰიტი მას არ ახასიათებს. მთავარია თავისუფლად და ისე გვეცვას, რაც კომფორტს გვაგრძნობინებს. ზაფხულის ჰიტი ნიშნავს, გეცვას ის, რაც არ შეგზღუდავს.

**— თქვენ გვერდით ამჟამად არის ვინმე, ვისაც შეიძლება საყვარელი ადამიანი დავარქვათ?**

— ერთ ადამიანთან ვიყავი დიდხანს. მერე მეორე რომანი მქონდა. ამ ეტაპზე არაფერი

**„მომწონს სიმარტოვე. როცა შეყვარებული ვარ, ეს მუშაობაში ხელს მიშლის".**

ხდება. მომწონს სიმარტოვე. როცა შეყვარებული ვარ, ეს მუშაობაში ხელს მიშლის.

**— თქვენ შესახებ გავრცელებულ რომელ ჭორზე იცინეთ ბოლოს?**

— საკუთარ თავზე ბევრ ჭორს ვიგებ. ბოლოს კრისტი ყიფშიძესთან დამაწყვილეს, რომელიც ჩემი მეგობარია.

**— რამ შეიძლება გამოგიყვანოთ წყობიდან?**

— სიმშვიდეს ნებისმიერ სიტუაციაში ვინარჩუნებ, რაც ბევრს უკვირს. ასეთი ვარ ბუნებრივად.

**— შოუბიზნესის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ხელისუფლების ცვლილება მათ სამუშაოზე ყოველთვის აისახება. საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები თქვენი, დიზაინერების საქმიანობასაც შეეხო?**

— რა თქმა უნდა, შეგვეხო, პოლიტიკოსებთან გვიწევს ურთიერთობა, მათგან შეკვეთები გვაქვს, არეულობების მერე კი ვიყინებით. ვისურვებდი, რომ საქართველოში პოლიტიკა ხელოვნებას და შემოქმედებას არასდროს შეეხოს.

**— ლგბტ პირებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ატეხილ აჟიოტაჟს, 17 მაისის აქციები ამბებს როგორ აფასებთ?**

— იმან, რაც მოხდა აქციაზე, შემაშფოთა. აგრესია მიუღებელია ჩემთვის.

✓ მანანა ნოდია

# ცნობილმა ამერიკელმა დიზაინერმა საბალეტო კოსტიუმების დამზადება თამარ ნადირაძეს მიანდო

დიზაინერი თამარ ნადირაძე, რომელიც თავისი საქორწილო კაბებით არის ცნობილი, ახლა საბალეტო კოსტიუმებზე მუშაობს. შემოდგომაზე თბილისში ახალი საბალეტო სპექტაკლის, „ანარეკლის“ პრემიერა იგეგმება. კოსტიუმების ესკიზებისთვის ამ სფეროში ცნობილი დიზაინერი, ამერიკელი სანდრა ვუდავი მოიწვიეს. მისი დიზაინით შექმნილი და მის მიერ შეკერილი სასცენო სამოსი სპექტაკლის ბიუჯეტს დიდ ხარჯად უჯდებოდა. 6 თვიანი მოლაპარაკებების შემდეგ ამერიკელმა დიზაინერმა გაითვალისწინა ქართველი პრიმა ბალერინას, საქართველოს საბალეტო დასის ხელმძღვანელის, ნინო ანანიაშვილის თხოვნა, გამონაკლისი დაუშვა და საკუთარი ესკიზები ქართველ დიზაინერს, თამარ ნადირაძეს გადასცა.



■ სანდრა ვუდავი და თამარ ნადირაძე

— თქვენმა ქვეყანამ ძალიან მომხიბლა და ამანაც იმოქმედა ჩემზე, რომ პირველად დავუშვი გამონაკლისი და ჩემი დიზაინის საბალეტო კოსტიუმების დამზადების ლიცენზია გავეცი. აქამდე ჩემი მუშაობის სტილი იყო, რომ სპექტაკლებისთვის სასცენო სამოსის შექმნაში უშუალო მონაწილე ვყოფილიყავი. ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა მთხოვა, იქნება გამეცა ნებართვა, სპექტაკლ „ანარეკლის“ კოსტიუმები საქართველოში შეკერილიყო. 6 თვე ვფიქრობდი და გადაწყვეტილება მანამდე არ მივიღე, სანამ თბილისში არ ჩამოვედი და არ ვნახე კომპანია „მარიგოლდი“.



დიზაინერ თამარ ნადირაძის ნამუშევრები საგულდაგულოდ დავათვალიერე. როცა ქალბატონმა თამარმა ერთი საბალეტო კაბა დაამზადა, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. გაოცებული დავრჩი — მათ ჩემი ესკიზით კოსტიუმი ისე შექმნეს, რომ კონსტრუქციის საიდუმლო არ გავანდე. მასტერკლასების ჩატარების შემდეგ ერთი დიდი ოჯახის ნაწილად ვიგრძენი თავი. თამამად შემიძლია, საზღვარგარეთ დადგმული სპექტაკლები საქართველოში დამზადებული კოსტიუმებით მოვამარაგო. ვერასდროს წარმოვიდგენდით, ჩემს კოსტიუმებს თუ ვინმეს ვანდობდი, — გვითხრა სანდრა ვუდავიმ.

თამარ ნადირაძისთვის კი ეს სერიოზული გამოწვევაა, მაგრამ, როგორც „სარკესთან“ განაცხადა, არ ეშინია, პირიქით, იმედი აქვს, რომ უცხოეთის წამყვანი სცენების ვარსკვლავებს მომავალში სწორედ საქართველოში დამზადებულ კოსტიუმებს ჩააცმევს:

— თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან პირველად რამდენიმე წლის წინ ვითანამშრომლეთ. ჰოლანდიაში სპექტაკლ „ფიროსმანისთვის“ კოსტიუმები შევქმენით, შემდეგ კი — „ოლივერისთვის“. ამჯერად ვთანამშრომლობთ სპექტაკლ „ანარეკლზე“, მისთვის 40-მდე სასცენო სამოსი უნდა შევკეროთ. სანდრა ვუდავის მიერ შექმნილი კოსტიუმები ძალიან ძვირი ჯდებოდა. ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით გაჩნდა იდეა, რომ საქართველოში შეკერილიყო. არასდროს დამავიწყდება დათო საყვარელიძის სიტყვები, რატომ უნდა შევკეროთ კოსტიუმები იტალიაში, როცა საქართველოში „მარიგოლდი“ არსებობსო.

რთული იყო სანდრა ვუდავის ესკიზზე მუშაობა, რადგან მისი საბალეტო კოსტიუმები სულ სხვანაირი ტექნოლოგიებით იქმნება. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, ქალბატონი სანდრა დარწმუნებულიყო, რომ საქართველოშიც შეიძლება შეიკეროს ისეთი ხარისხის სასცენო სამოსი, რაც მსოფლიო საბალეტო სცენას სჭირდება. ის გაკვირვებული დარჩა, როდესაც მზა საბალეტო კაბა დავახვედრეთ. გვეკითხებოდა, რა ტექნოლოგიებით გააკეთეთ, მე თვითონ მიჭირს ამ შედეგის მიღწევაო. სამომავლოდ ვაპირებთ, უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ. ქვეყნის პრესტიჟი იქნება, რომ მსოფლიოს წამყვან სცენებზე ბალეტის ვარსკვლავები საქართველოში დამზადებული კოსტიუმებით იცეკვებენ.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ იხსნა პატრულისგან ბექა ონიანი ორსულმა ცოლმა



„კომედი შოუს“ მსახიობი ბექა ონიანი ერთხანს ფურგონ „ოპელის“ საჭეს უჯდა და ძალიანაც კმაყოფილი იყო, მაგრამ მშობლიურ სვანეთში სასიარულოდ მაინც ჯიპის ყიდვა დასჭირდა. ახლა ცოლ-შვილთან ერთად სოფელ მელეში დამშვიდებული მიდის, რადგან იცის, რთულ გზაზე ავტომობილი პრობლემებს არ შეუქმნის.

მანქანის მართვა მერვე კლასში ბიძამ ასწავლა, 18 წლისას კი უკვე მართვის მოწმობაც ჰქონდა და მამის ნაჩუქარი „ჟიგულიც“. ასე რომ, შეიძლება ითქვას, გამოცდილი მძღოლია, თუმცა მის გვერდით მჯდომ ცოლს რატომღაც მაინც ეშინია ხოლმე. ამიტომ ბექამ გადაწყვიტა, მანქანის მართვა მასაც ასწავლოს და ამით ზოგიერთი ვალდებულებისგან გათავისუფლდეს. საერთოდ ქალი მძღოლების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ერთმა მათგანმა ავარიული სიტუაცია შეუქმნა. იმ ქალბატონს რაინდულად მოექცა და დაზიანებული მანქანის საზღაური არც გამოართვა.

— **ბექა, გილოცავთ ახალი მანქანის შეძენას. გაამართლა თქვენმა არჩევანმა?**

— ეს ავტომობილი სამი თვის წინ შევიძინე. „ჰონდა ცეერვე“ მხოლოდ იმიტომ ვიყიდე, რომ მაღალი გამავლობისაა და ოჯახისთვის კომფორტულია. მხოლოდ თბილისში ხომ არ ვმოძრაობ, სვანი ვარ და სვანეთში ხშირად მიწევს ჩასვლა, ჩემი მანქანა კი ამ გზებისთვის მისწრებაა. მანამდე ფურგონი „ოპელი“ მყავდა, რომელიც ოჯახისთვის ასევე ძალიან მოხერხებული იყო. სოფელში რომ მივდიოდით, როგორც გვინდოდა, ისე ვძეძგავდით ტვირთით, ყველაფერი ეტეოდა. ახლახან კიკეთთან ახლოს, ორბეთში, მიწა შევიძინე და ჩემი ახალი მანქანა იქაც კარგად მადგება, „ოპელზე“ კომფორტულია. სალონშიც დიდ თავისუფლებას ვგრძნობ, ზაფხულში არ მცხელა და ზამთარში არ მცივა.

— **რა ხდება თქვენი ავტომობილის სალონში, წესრიგს რამდენად აქცევთ დიდ ყურადღებას?**

— სიმართლე გითხრათ, დიდი წესრიგით არ გამოვირჩევი, მანქანას კვირაში ერთხელ ვარეცხვინებ. სალონში რას აღარ ნახავთ — მზესუმზირას, ბატიბუტს, სალეჭი რეზინის ქაღალდებს... ეს ჩემი შვილების დამსახურებაა. ორი გოგო მყავს, უფროსი 7 წლის ხდება და პატარა 4-ის არის.

— **სვანეთში როგორი გზებია, ხომ არ გიჭირთ სიარული?**

— ლენტეხამდე გადასარევი გზაა, იქიდან კი ჩემს სოფლამდე, მელემდე, 35 კილომეტრი ძალიან რთულად გასავლელია. ლენტეხიდან დაახლოებით ორსაათნახევარი მჭირდება სახლამდე. ამ დროს მანქანის მართვა შეიძლება ექსტრემალურ სიტუაციაშიც მომიხდეს, რადგან ჩემს სოფელში რომ მოხვდე, მდინარისპირა გზა უნდა გაიარო. არავინ იცის, ის მდინარე როდის ადიდდება, გზა არაერთხელ დაუტბორავს.

— **ღმერთმა დაგიფაროთ და, ექსტრემალურ სიტუაციაში მანქანა რომ გაგიფუჭდეთ, შეკეთებას შეძლებთ, ნაწილებში ერკვევით?**

— ვერ დავიკვეხნი, რომ მანქანის ნაწილებში კარგად ვერკვევი. „ოპელი“ რომ მყავდა, კარგად ვიცოდი, რა სად იყიდებოდა, რადგან ფუჭდებოდა ხოლმე. თვალი არ ეცეს და ჩემი ახალი ავტომობილი ამას არც საჭიროებს. ისე, პროფილაქტიკაში რომ მივდივარ, ისევე როგორც ყველგან, იქაც დადებით განწყობას ვგრძნობ და შეღავათებსაც მიკეთებენ, რაც დიდ უხერხულობას მიქმნის. ყოველთვის მირჩევნია, ნებისმიერ მომსახურებაში იგივე გადავიხადო, რასაც სხვები იხდიან.

ერთხელ, აღდგომის მეორე დღეს, ოჯახი ჩავისვი მანქანაში და კასპში წავედი, ბებიაჩემის საფლავზე რომ გავსულიყავით. შუა გზაში მანქანაზე „რემენი“ გამიწყდა. არც ერთი პროფილაქტიკა არ მუშაობდა. გამახსენდა, რომ ჩემს პარალელურ კლასელს მანქანის ნაწილების მაღაზია ჰქონდა, დავურეკე და ჩამომიტანა, ხელოსანს კი სახლში მივაკითხე. გზაში 3 საათი მაინც დავკარგე.

— **წლებმა კარგ მძღოლად გაქციათ?**

— მაგარი მძღოლი არასოდეს ვყოფილვარ. მოძრაობის წესებს მეც ჩვეულებრივად ვარღვევდი.

— **ახლა აღარ არღვევთ?**

— ახლა უკვე ალბათ ასაკის ბრალია, რომ აღარ ვარღვევ და კიდევ იმის, რომ ქალაქში სათვალთვალო კამერები დგას და წითელ შუქნიშანზე გავლა ფიქსირდება.

— **ასეთ გადატვირთულ მოძრაობაში არ გიჭირთ წესების დაცვა?**

— რაღაც დონეზე მაინც მიწევს დარღვევა, მაგრამ მთავარია, სასწაულები არ ვაკეთო. მოძრაობის წესებს ძირითადად დილით ვარღვევ, როცა სამსახურში მეჩქარება.

— **ეს პატრულისთვის შეუმჩნეველი რჩება?**

— თუ პატრული შევნიშნე, ამ შემთხვევაში წესებს ვიცავ. სიმართლე გითხრათ, ბოლო პერიოდში პატრული ნაკლებად მაჩერებს, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა უბრალოდ შესამოწმებლად გავუჩერებივარ. ჯარიმების გადახდა მხოლოდ არასწორი პარკირებისა და ტელეფონზე საუბრისთვის მიწევს. ყოფილა დღე, როცა ტელეფონზე ლაპარაკის გამო ორჯერ მიმიღია ჯარიმა.

ყველაზე მეტად ახლა ვერიდები პატრულთან ურთიერთობას. არ მინდა, მათ ვაფიქრებინო, რომ ჩემი ცნობადობით ვსარგებლობ. პატრულისთვის შეიძლება „კომედი შოუში“ გამოჩენამდე უფრო მეთხოვა, არ დამაჯარიმოთ-მეთქი, ახლა კი ამას ვერიდები. კანონი ყველასთვის კანონია და საჭიროების შემთხვევაში ჯარიმა მეც უნდა გამომიწერონ.

— **„სითი პარკს“ წაუყვანია თქვენი მანქანა?**

— კი, თან ძალიან ცუდ სიტუაციაში. მე და ჩემმა ცოლმა ბავშვები თეატრში წავიყვანეთ. იქ მანქანის გასაჩერებელი ადგილი ვერ ვნახე და მარჯვენა, აკრძალულ მხარეს დავაყენე. არ ვიცოდი, რომ იქ გაჩერება არ შეიძლებოდა. გამოვედი და მანქანა არ დამხვდა. კი მივხვდი, რაშიც იყო

**„ყველაზე მეტად ახლა ვერიდები პატრულთან ურთიერთობას. არ მინდა, მათ ვაფიქრებინო, რომ ჩემი ცნობადობით ვსარგებლობ".**

საქმე, მაგრამ, იცით, რამ დამაეჭვა? ჩემ გარდა ყველა ავტომობილი ადგილზე იყო. ბოლოს პატრულმა მითხრა, „სითი პარკმა“ წაიყვანაო. ცოლ-შვილთან ერთად ღამით ასეთ ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ტაქსით წავედი და ჩემი მანქანა დავიბრუნე. ბოლო დროს პარკირების ჯარიმას აღარც ვიხდი, რადგან სულ სამსახურში ვარ და ავტომობილის სხვა ადგილებში დაყენება არ მიწევს.

— **ქალ მძღოლებთან გზებზე როგორი „ურთიერთობა“ გაქვთ?**

— არ ვარ ისეთი მძღოლი, რომ ვინმეს მოვუწოდო, საჭესთან ქალია და ერიდეთ-მეთქი. მანდილოსნების მიმართ არასოდეს მაქვს აგდებული დამოკიდებულება. ბევრი კაცი ქალზე უარესად არღვევს წესებს. უბრალოდ ალბათ გამოუცდელი ქალი მძღოლების რიცხვმა იმატა და ხშირ

**„არ ვარ ისეთი მძღოლი, რომ ვინმეს მოვუწოდო, საჭესთან ქალია და ერიდეთ-მეთქი. მანდილოსნების მიმართ არასოდეს მაქვს აგდებული დამოკიდებულება. ბევრი კაცი ქალზე უარესად არღვევს წესებს".**

შემთხვევაში ამიტომაც ქმნიან ავარიულ სიტუაციებს. ქალები კაცებთან შედარებით მანქანას დაძაბულები მართავენ და ამას ისიც ემატება, რომ ძირითადად მარჯვენასაჭიან ავტომობილებს ატარებენ. ვფიქრობ, მათი ტარება უფრო უჭირთ. ჩემი აზრით, 2-3 წელიწადში „ქალი მძღოლების“ პრობლემა გაქრება, სტაჟს შეიძენენ და საფრთხეც ნაკლებად შეგვექმნება.

„ოპელი“ რომ მყავდა, იმ პერიოდში აღმართზე ქალს მანქანა დაუგორდა და დამარტყა. დიდი არაფერი მოუხდენია, ჩემი მანქანა სულ ცოტათი დაზიანდა, მაგრამ, რაც მთავარია, თავი დამნაშავედ იგრძნო და აღარაფერი მითქვამს, არც ავანაზღაურებინე.

— **მანქანას თქვენი ცოლიც მართავს?**

— არა, მაგრამ ორივეს გვაქვს ამის დიდი სურვილი. საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში ჯდომას ან ბავშვების გამო სამსახურიდან გასვლას მირჩევნია, ჩემმა ცოლმა იცოდეს მართვა.

— **საჭესთან ნასვამი ჯდებით?**

— ნასვამი ნამდვილად ვმჯდარვარ საჭესთან. ერთხელ ამის გამო დამაჯარიმეს კიდეც. ჩემი ცოლისძმის დაბადების დღეზე წავედი. როგორც ხდება ხოლმე, ბევრს მეხვეწნენ, დალიეო, მეც ხათრი ვეღარ გავუტეხე და... ქართველი კაცი, ხომ იცით, ერთ ჭიქას შესვამს, მერე თავს ვეღარ აკონტროლებს და ქეიფს აგრძელებს. ჩემს სახლამდე დიდი მანძილი არ იყო, მაგრამ იქამდე მივედი თუ არა, გადააყენეო, პატრულის ხმა მომესმა. აპარატი მომცეს, ჩაბერეო. გაგონილი მქონდა, კი არ ჩაბერო, ამობერე და წითელს არ აანთებსო. ასე მოვიქეცი, მაგრამ პატრულს რას გამოვაპარებდი. ჩემი ცოლი 8 თვის ორსული იყო მეორე ბავშვზე, მან ივაჟკაცა, მუცელი მტკივა, გაგვიშვითო, უთხრა და ასე გადამარჩინა. მას შემდეგ ჭკუა ვისწავლე და ნასვამი საჭესთან აღარ ვჯდები, ტაქსით წასვლას ვამჯობინებ.

— **მეუღლე როგორ გაფასებთ, როგორც მძღოლს?**

— ჩემს ცოლს მანქანაში ჩემ გვერდით ჯდომა ძალიან უჭირს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სულ დაძაბულია. სისწრაფის მოყვარული არ ვარ, მაგრამ გამუდმებით სიჩქარეზე მაძლევს შენიშვნებს. ერთხელ სამსახურში მიმყავდა, თან ძალიან აგვიანდებოდა და ვჩქარობდი. ვაშლიჯვრის ასახვევთან შუქნიშანთან გავჩერდი, გზაზე წყალი იყო დაღვრილი, ერთ-ერთმა მანქანამ დაამუხრუჭა, მოცურდა და რამდენიმე ავტომობილი ერთმანეთს დავეჯახეთ. საბედნიეროდ, არ დავშავებულვართ და არც შემშინებია. ისევ იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემს ცოლს სამსახურში აგვიანდებოდა, ტაქსი გავუჩერე, სამსახურში ვუშვებდი, მაგრამ ისეთი შეშინებული იყო, აღარ წავიდა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

# იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

# კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ნინა რიჩის სიმსუბუქე









ნინა რიჩის მოდის სახლის კრეატიულმა დირექტორმა პიტერ კოპინგმა განაცხადა, რომ დროა, მოდაში ახალი ტერიტორიები აითვისოს და ამის გათვალისწინებით შექმნა 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია. პოდიუმზე ნინა რიჩიმ წარადგინა ქალი, რომელშიც გაერთიანებული იყო სიმდიდრე, ელეგანტურობა, წარსული და თანამედროვეობა. საინტერესო იყო ფერთა გამა, ძირითადად პასტელური ფერები ჭარბობდა, ასევე იყო ხასხასა მწვანე, შავი ფერები. კოსტიუმები რთული კონსტრუქციით, მაგრამ საოცარი სიმსუბუქით გამოირჩეოდა.


















ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03
წინასწარი ჩაწერით

კბილები ერთ დღეში

www.margvelani.ge

რესტავრაციამდე



ერთ დღეში



რესტავრაციის შემდეგ

რესტავრაციამდე



ერთ დღეში



რესტავრაციის შემდეგ

რესტავრაციამდე



ორ სეანსში



რესტავრაციის შემდეგ






ვარსკვლავთსიახლენი

## შერონ სტოუნის ნამდვილი სახე



კანის კინოფესტივალს წელს ჰოლივუდის 55 წლის ვარსკვლავი, შერონ სტოუნიც სტუმრობს. ის პრემიერებისა და წვეულებების მთავარ სტუმრად იქცა, ხოლო ვარსკვლავის ერთმა ფოტომ ლამის თავად ფესტივალიც კი დაჩრდილა. ერთ მშვენიერ დღეს ჰოლივუდის ვარსკვლავი, რომელიც ასაკზე გამარჯვების სიმბოლოდ ითვლება, საზოგადოებამ სრულიად უმაკიაჟოდ ნახა. მას სახე დასიებული და დანაოჭებული ჰქონდა, თმა — დაუვარცხნელი და იმ შერონისაგან, რომელიც მაყურებელს მოსწონს, თითქმის არაფერი იყო დარჩენილი. ფრანგულმა პრესამ ამ ფოტოს „ჰოლივუდის ბებერი ალქაჯი“ უწოდა.

შერონ სტოუნი წითელ ხალიჩაზე ბევრ მასზე ახალგაზრდა კოლეგაზე ეფექტურად გამოიყურება ხოლმე. იშვიათად, რომ მოდის კრიტიკოსების რისხვის ობიექტი გამხდარიყო. რობერტო კავალის იახტაზე სტუმრობისას კი სრულ რელაქსაციას მიეცა. ფოტოგრაფებმა ვარსკვლავს ფოტო მეორე იახტიდან გადაუღეს, საღამოს კი, ბრილიანტების სამკაულების ჩვენებაზე, შერონი ჩვეულებისამებრ ბრწყინავდა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იმ საღამოს შერონს უთხრა, რომ გავრცელდა მისი ფოტო მაკიაჟის გარეშე, რაზეც ვარსკვლავს ბუნებრივი რეაქცია ჰქონდა: „ქალი სხვადასხვანაირი უნდა იყოს დილას და საღამოს; მე თავს ვუვლი და ვფიქრობ, ბევრი ჩემი თაობის ქალისათვის ეს მისაბაძია. მერე რა, თუ თქვენ ჩემი ნაოჭები ნახეთ. მე ამითაც ვამაყობ“.

## ნადია მიხალკოვამ რეზო გიგინეიშვილს ვანიჩკა გაუჩინა

რუსული კინოს ყველაზე გავლენიან ოჯახში, მიხალკოვებთან მატებაა. ნიკიტა მიხალკოვის უმცროსმა გოგონამ, 26 წლის ნადიამ, ქმარს, ქართველ რეჟისორს, რეზო გიგინეიშვილს მეორე შვილი, ამჯერად ბიჭი, სახელად ვანო, გაუჩინა. ბიჭი 21 მაისს დაიბადა, ზუსტად იმ დღეს, როდესაც მათი პირველი ქალიშვილი, ნინო, დაიბადა. დაძმა ნინო და ვანო გიგინეიშვილები ერთ დღეს არიან დაბადებული და მათ შორის ორი წელია სხვაობა.



■ ნადია და რეზო

რეზო გიგინეიშვილს პირველი ქორწინებიდან მომღერალ ანასტასია კოჩეტკოვასთან 6 წლის გოგონა მაშა ჰყავს. თავდაპირველად რეზო მიხალკოვების ოჯახს სიძედ არ უნდოდა, თუმცა სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა. ბოლო კვლევებით, ქართველი სიძე სახელოვან სიმამრზე შემოსავლიანი რეჟისორია თანამედროვე რუსულ კინოში.

## ლეონარდო დიკაპრიო ლამაზმანმა ასაკის გამო დაიწუნა

20 წლის ბრიტანელი მოდელი კარა დელვინი ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, როდესაც ჰოლივუდის ვარსკვლავს, 38 წლის ლეონარდო დიკაპრიოს სასიყვარულო ურთიერთობაზე უარი უთხრა. ლამაზმანმა მექალთანე ვარსკვლავს პირდაპირ მიახალა: „თქვენი ასაკის გოგო ეძებეთ, მე თავი დამანებეთ!“.



■ კარა და ლეო

ლეონარდო გრძელფეხება და თანაც ქერა მოდელების სიყვარულით გამოირჩევა. მის სასიყვარულო გატაცებებს შორის იყვნენ, მოდელები: ჟიზელ ბანდჩენი, ერინ ჰეზერტონი, ანა ვიალიჩინა და ბარ რაფაელი. ბოლო ჭორებს თუ დავუჯერებთ, მსახიობის გატაცება ოსკაროსანი მსახიობი ჯენიფერ ლოურენსია, მაგრამ კანის კინოფესტივალზე სტუმრობისას ლეონარდოს გონება 20 წლის გრძელფეხება მოდელით დაკავდა. მსახიობი არც მალავდა, რომ კარათი სერიოზულად დაინტერესდა. წვეულებებზე ლეონარდო ყველანაირად ცდილობდა, გოგონას ყურადღება მიექცია.

„მთელი საღამო ამ გოგოს დევნაში იყო. ერთი პერიოდი მათ შორის საუბარიც შედგა. ლეომ ლამაზმანი თავის აპარტამენტებში წვეულებაზე დაპატიჟა, მან კი ყველას გასაგონად უარი უთხრა“, — ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

გოგონას უარზე ლეონარდოს დიდად არ უნერვიულია. მის აპარტამენტებში წვეულება მაინც შედგა, რომელსაც ლამაზმანები არ აკლდნენ.

## ბრედ პიტი: „ჩემს ოჯახში ქაოსია“



■ ბრედ პიტი

საზოგადოება ჯერ კიდევ ანჯელინა ჯოლის აღიარების ემოციებშია, რომელმაც თქვა, რომ კიბოს რისკის გამო მკერდის ამპუტაციაზე თანხმობა განაცხადა, მერე პრესაში ანჯელინას ქმრის, ბრედ პიტის გულახდილი ინტერვიუც გამოჩნდა.

49 წლის ბრედმა აღიარა, რომ მის ოჯახში სრული ქაოსია. „ყოველთვის ვამბობდი, რომ, თუ ოდესმე მეყოლებოდა ოჯახი, მინდოდა, აუცილებლად დიდი ყოფილიყო. ჩემი ოცნება იყო, ჩემს ოჯახში ყოფილიყო ქაოსი და ამას მივაღწიე. ჩვენს სახლში ერთდროულად ისმის საუბრის, სიცილის, ყვირილის, ტირილის და კაკუნის ხმები. ეს ჩემთვის იდილიაა. ვერ ვიტან, როდესაც ოჯახის გარეშე სრულ სიჩუმეში ვარ. შეიძლება ერთი დღე მესიამოვნოს სასტუმროში მარტო ყოფნა, მაგრამ მეორე დღესვე ჩემი ქაოსი მენატრება“, — ამბობს ბრედ პიტი, რომელიც ანჯელინა ჯოლისთან ერთად 6 შვილს ზრდის.

ბრედ პიტი იმასაც აღიარებს, რომ ოჯახური ქაოსი ცუდად სულაც არ აისახება მათ ინტიმურ ცხოვრებაზე: „ბავშვებმა კარგად იციან, რომ მე და ენჯის ერთმანეთი გვიყვარს. ერთხელ ოთახში შევედი და ანჯელინას ზახარა ჰყავდა კალთაში. ამ დროს ზახარამ შემომხედა და მითხრა, მამა, ახლა ალბათ დედას ბევრი უნდა აკოცო და მე გავალო. შვილები ჩვენი სიყვარულის გულშემატკივრები არიან“.



■ ანჯელინა შვილებთან ერთად

სხვათა შორის, ბრედ პიტი მას შემდეგ, რაც ანჯელინა ჯოლისთან ერთად ცხოვრობს, ეკრანზე სხვა ქალთან სექსუალურ სცენებს თავს არიდებს. მის მოთხოვნებში უკვე გაჩნდა პუნქტი, სექსუალური სცენები ან ანჯელინა ჯოლისთან, ან — არავისთან.

*ვარსკვლავთსიახლენი*

## ვინ არის ყველაზე სასურველი გოგონა ამერიკელებისთვის?

ამერიკული მამაკაცური ჟურნალის „მაქსიმის“ მკითხველთა გამოკითხვით, 20 წლის მსახიობი და მომღერალი, თინეიჯერების კერპი მაილი საირუსი, ყველაზე სექსუალურ გოგონად დასახელდა. ის ამგვარ გამოკითხვაში პირველად მოხვდა და მაშინვე მის სათავეში მოექცა. „მაგარია, იყო პირველი. მიხარია, რომ ამდენი ადამიანი ხედავს ჩემში სექსუალურ ქალს. ყველა ქალის ოცნებაა, მასში სექსუალური ქალი დაინახო“, — ამბობს მაილი.



■ მაილი საირუსი

მეორე ადგილზე მომღერალი სელენა გომესი გავიდა, სამეული კი რიანამ დაასრულა. სამჯერ აღიარებული და ტიტულოვანი სექსუალური კინოვარსკვლავი მილა კუნისი ამჯერად მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.



■ ბიონსე

## ბიონსე ათწლეულის ყველაზე კარგად დავარცხნილი ქალია

მომღერალ ბიონსეს აღიარება და ჯილდოები ნამდვილად არ აკლია. მსოფლიოს წამყვანი სტილისტების გამოკითხვების შედეგად კი აღმოჩნდა, რომ პოპმომღერალი ბოლო ათწლეულის ყველაზე კარგად დავარცხნილი ქალია. ამ წლების განმავლობაში მომღერალმა უამრავი ვარცხნილობა მოსინჯა საკუთარ თავზე, თითოეული მათგანი მოწონებას იწვევდა და მოდური ტენდენციაც ხდებოდა.



■ კრისტინა აგილერა

ბიონსეს აფროამერიკული ხვეული თმა აქვს, თუმცა ის მას ხშირად ისწორებს და სწორი თმისათვის დამახასიათებელ ვარცხნილობებს იკეთებს. „წლებია ბიონსეს ვარცხნილობა ამ სფეროში ყველაზე პოპულარულია. მას კარგი სტილისტები ჰყავს, ყოველთვის კარგად ირჩევს, თუ ვის ანდოს თმა“, — ამბობენ სტილისტები.



■ დევიდ ბექჰემი

გამოკითხვაში მეორე ადგილი დევიდ ბექჰემის ვარცხნილობამ დაიკავა. ფეხბურთელს ფეხდაფეხ მიჰყვნენ მომღერალი შერილ კოული და კრისტინა აგილერა.

ათწლეულის ყველაზე კარგად დავარცხნილ ქალებს შორის მოხვდნენ გარდაცვლილი ემი ვაინჰაუსი, ლონდონის მერი ბორის ჯონსონი, პრინცესა კეიტ მიდლტონი და მოდელი კეიტ მოსი. ათეულის ბოლო წევრი კი, რა თქმა უნდა, ლედი გაგა აღმოჩნდა.




# გიორგი ხაბურზანია: „უცხოეთის მაღაზიებში — არა, მაგრამ რესტორნებში სიარული ძალიან მიყვარს“

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პროდიუსერ გიორგი ხაბურზანიას პირველი შეხება უცხოეთთან 15 წლის ასაკში ჰქონდა, თანაც ისეთ ქვეყანასთან, როგორიც ამერიკაა და ისეთი შოკი მიიღო, თითქოს უცხო პლანეტაზე იმყოფებოდა. რა გასაკვირია, მაშინ ხომ საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დეპრესიის პერიოდი იდგა. მერე და მერე კი, სამსახურიდან თუ უბრალოდ დასასვენებლად, ევროპაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გიორგი ისეთ ეგზოტიკურ სამყაროებში მოხვდა, როგორიც მალაიზია და ტაილანდია. რა თქმა უნდა, შთაბეჭდილებების მდიდარი „კოლექციაც“ დააგროვა, რომელსაც „სარკეს“ უზიარებს.

— **გიორგი, გიყვართ მოგზაურობა?**

— რა თქმა უნდა. მოგზაურობა ერთ-ერთი უმთავრესია, რაც შეიძლება ცხოვრების განმავლობაში გააკეთო. ეს გახლავთ უდიდესი ბედნიერება, რაც შეიძლება ადამიანმა განიცადოს. ყოველთვის, როცა სადმე გამგზავრების შანსი მაქვს, უარს არასოდეს ვამბობ. სამსახურიდან ბევრს ვმოგზაურობ, მაგრამ ჩემი ინიციატივითაც გავდივარ ხოლმე ქვეყნიდან. ამას ხშირად ვერ ვახერხებ, თუმცა 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც გამომდის.

— **რითი განსხვავდება საქმიანი და საკუთარი სიამოვნებისთვის მოწყობილი მოგზაურობები?**

— როცა ჩემი სურვილით მივემგზავრები, თავისუფალი დროც მაქვს და რასაც მინდა, იმას ვაკეთებ, მეგობრებთან ერთად ვერთობი. მოგზაურობა ყველაზე კარგი მაშინაა, როცა ჩადიხარ და იქ მეგობარი გხვდება. ამ შემთხვევაში ქვეყანას მასპინძელი უკეთ გაცნობს. ამერიკაში წლების განმავლობაში ვიცხოვრე და განცდამ, რომ ტურისტი კი არა, იქ მცხოვრები ვიყავი, ბევრ რამეზე შემიცვალა შეხედულება.

— **ცხოვრების რა ეტაპი გაატარეთ ამერიკაში?**

— ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი, როცა ადამიანად ყალიბდები. 15 წლის ვიყავი, როცა ამერიკაში მოვხვდი და 6 წელი იქ გავატარე, ვსწავლობდი. ის პერიოდი კარგად მახსენდება. ამერიკაში ბევრი რამ ვისწავლე. არჩევნის თავისუფლება, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა ქვეყანას აკლდა, ამერიკელებს ბუნებრივად აქვთ. ისინი არჩევნის თავისუფლებას კბილებით იცავენ და არასოდეს თმობენ. ეს ყველაფერი კარგად გავითავისე.ტეხასის შტატში ამერიკულ ოჯახში ვცხოვრობდი, რაც იმით იყო საინტერესო, რომ უცებ სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. შემდეგ იყო კულტურული შოკი. პირველი 6 თვე ძალიან გამიჭირდა. მეცადინეობაში ამერიკელ ბავშვებს ვერ ვეწეოდი, თან ძალიან კარგ, კერძო სკოლაში მოვხვდი. იმის გამო, რომ უცხოელი ვიყავი, არანაირ ანგარიშს არ მიწევდნენ. ეს ჩემთვის კარგიც იყო, რადგან უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ჩვეულებრივად, სტუდენტურად ვცხოვრობდი.

— **სტუდენტური წლები საქართველოსა და ამერიკაში ალბათ ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.**

— იქ გასული საუკუნის 90-იან წლებში ვსწავლობდი და ამერიკა და საქართველო ერთმანეთისაგან ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ომი და უბედურება იყო. მერე ცოტა ხნით ჩამოსვლა მომიხდა, უცხო ენათა ინსტიტუტში ვსწავლობდი, თუმცა სტუდენტობა ისეთი პერიოდია, სამყაროს მაინც ბედნიერი უყურებ.



**„სიქსტის კაპელაში“ რომ შევაღწიეთ, ისე გაგვიხარდა, აღარაფერი გვახსოვდა. ჭერს რომ ახედავ, ისეთი შედევრია, ვერაფერს შეადარებ. ზებუნებრივ ძალასთან გაქვს შეხება. იმდენ ხანს ვუყურებდით, გარშემო ხალხი შემოგვეცალა და მარტონი აღმოვჩნდით. ბოლოს დაცვა დაგვადგა, წადით...“.**

— **ამერიკელ ხალხს ადვილად შეეგუეთ?**

— ვინც ამბობს, ამერიკელები ცივი ხალხიაო, ალბათ მათთან მხოლოდ ეპიზოდური შეხება ჰქონია. ამერიკა მულტიკულტურული ქვეყანაა, სადაც ათასნაირი წარმომავლობის, გაგების, კულტურისა და ტრადიციის ადამიანი ცხოვრობს. შეუძლებელია, ამხელა ერს ერთი იარლიყი მიაკრა. სასაცილოა, როცა ამბობენ, ქართველებს შვილები სხვანაირად უყვართ, ამერიკელებს კი არ უყვართო. ეს აბსურდია. როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ სხვა ერის წარმომადგენლებს შვილები ჩვენზე ნაკლებად უყვარდეთ?! ოჯახის სიწმინდე და ტრადიცია ამერიკელებს ისეთი ძლიერი აქვთ, ალბათ მათი ბევრ სხვა ქვეყანას უნდა შეშურდეს. ოჯახი მათთვის პირველ ადგილზე დგას, მაგრამ ამ საკითხს ჰოლივუდის ფილმებით თუ განსჯით, რასაკვირველია, სხვა სურათს მიიღებთ.

— **ამერიკის ბევრი შტატი მოიარეთ?**

— სტუდენტი ვიყავი და ეს ყველაფერი თანხებთან იყო დაკავშირებული, თუმცა სადაც შევძელი, ყველგან წავედი. კალიფორნია, ლუიზიანა, ნიუ ორლეანი და ნიუ იორკიც მოვინახულე.

— **იოლად დათმეთ ამერიკა?**

— რასაკვირველია. როცა ადამიანი ცხოვრებაში რაღაც ეტაპს დაასრულებს, სამშობლოში უნდა დაბრუნდეს.

— **ამერიკელ და ქართველ გოგონებს შორის რა შედარებას გააკეთებდით?**

— იქ ქალებს დამოუკიდებლობის უფრო მეტი ხარისხი აქვთ. კაცებზე ისე არ არიან დამოკიდებული, როგორც სხვა პატრიარქალურ საზოგადოებაში.

— **ამერიკის მერე, შთაბეჭდილებების მიხედვით, რომელ ქვეყანას დააყენებდით?**

— ბოლო პერიოდში გადაცემა „უკანასკნელ გმირს“ რომ ვაკეთებდით, 2 თვის განმავლობაში მალაიზიაში, კუნძულზე ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში მოგვიხდა ცხოვრება!.. ასეთი განცდა არასდროს მქონია. პირველყოფილ წყობას ვერ ვუწოდებ, მაგრამ ტერიტორია, სადაც ვცხოვრობდით, ცივილიზაციას საერთოდ მოწყვეტილი იყო. იქაურობა სამოთხეს ჰგავდა. დიდ ოკეანეში პატარა კუნძულზე ცხოვრება რაღაც განსხვავებულ განცდებს ტოვებს. ათასი შხამიანი ქვეწარმავალი დაცურავდა. იქ კიდევ დიდხანს რომ ვყოფილიყავით, ალბათ მოგვბეზრდებოდა, მაგრამ იმ პერიოდით ძალიან ვისიამოვნეთ და ბედნიერადაც გვახსენდება.

— **ყველაზე ინტენსიურად რა პერიოდში მოგზაურობდით?**

— ეს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში მუშაობის დაწყების პერიოდია. საერთაშორისო პროექტებს რომ ვაკეთებთ, სხვადასხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით ევროპაში ჩასვლა ხშირად გვიწევს, რადგან ბევრ პროდუქციას იქიდან ვყიდულობთ.

→44



ბერლინში



ბრანდენბურგის კარიბჭესთან



Cyan Magenta Yellow Black

საქმიანი ვიზიტით 2-3 დღით მაინც მივდივართ ხოლმე. ვცდილობთ, ზედმეტად არ დავრჩეთ და ის დღეები საქმეს მოვახმაროთ, მაგრამ ხშირად ხდება, როცა განსაზღვრულ ვადას რამდენიმე დღეს ვამატებთ.

— **ანუ საქმიანი ვიზიტის დროსაც ახერხებთ დასვენებას?**

— დასვენების რა გითხრათ, მაგრამ ერთ დღეს მაინც ვპოულობთ იმისათვის, რომ ქალაქი დავათვალიეროთ. არსებობს ქალაქები, რომლებიც ამოუწურავია და ერთ-ორ დღეში ვერ დაათვალიერებ. ბერლინი, რომი, სტოკჰოლმი უცებ დავათვალიერე, მაგრამ არასდროს დამავიწყდება.

— **რომშიც საქმიანი ვიზიტით იყავით?**

— რამდენიმე დღით გადაცემის გადაღებებზე გახლდით. რაც მთავარია, „სიქსტის კაპელას“ მონახულება მოვასწარით. კოლეგასთან, დემნა ჯაფარიძესთან ერთად ვიყავი. მახსოვს, უკვე გვიანი იყო და ვატიკანის მუზეუმი იკეტებოდა. უმდიდრესი მუზეუმია თავისი სართულებითა და პავილიონებით, სანამ „სიქსტის კაპელამდე“ მიხვალ, ეს ყველაფერი უნდა გაიარო, მაგრამ ისე გავირბინეთ, სხვა დანარჩენი ღირსშესანიშნაობები გამოვტოვეთ. „სიქსტის კაპელაში“ რომ შევაღწიეთ, ისე გაგვიხარდა, აღარაფერი გვახსოვდა. ჭერს რომ ახედავ, ისეთი შედევრია, ვერაფერს შეადარებ. ზებუნებრივ ძალასთან გაქვს შეხება. იმდენ ხანს ვუყურებდით, გარშემო ხალხი შემოგვეცალა და მარტონი აღმოვჩნდით. ბოლოს დაცვა დაგვადგა, წადითო, ჩვენ კი თვალს ვერ ვწყვეტდით.

**„პირველყოფილ წყობას ვერ ვუწოდებ, მაგრამ ტერიტორია, სადაც ვცხოვრობდით, ცივილიზაციას საერთოდ მოწყვეტილი იყო. იქაურობა სამოთხეს ჰგავდა. დიდ ოკეანეში პატარა კუნძულზე ცხოვრება რაღაც განსხვავებულ განცდებს ტოვებს".**

— **მარტოს გიმოგზაურიათ?**

— კი, ავსტრიაში ვიყავი, მაგრამ ძალიან რთულია, როცა გვერდით არავინ გყავს და შთაბეჭდილებებს ვერავის უზიარებ. ვენა ულამაზესი ქალაქია. როცა საქმე მუსიკას, ხელოვნებასა და მუზეუმებს ეხება, უკვე მსოფლიოს ცენტრია.

— **უცხო ადგილებში გზას ადვილად იგნებთ?**

— საზღვარგარეთ ძირითადად რუკით ვსარგებლობ და არსად არასდროს დავკარგულვარ. ბერლინში მე და ჩემს მეგობარს რა მარშრუტიც უნდა აგვეღო, მაინც ბრანდენბურგის კარიბჭესთან ვხვდებოდით. ბერლინი ალბათ ევროპის მთავარი კულტურული ცენტრია. იქ ყოფნის პერიოდში მეგობრებს იმაზეც გვქონდა საუბარი, თუ რატომ ითვლება რომი, პარიზი ან თუნდაც ლონდონი უფრო მაგარ ქალაქებად, ვიდრე ბერლინი. ჩემი გადმოსახედიდან, ბერლინი სხვა ევროპულ ქალაქებს არაფრით ჩამოუვარდება, პირიქით, შეიძლება ბევრ რამეში უფრო მაგარიც არის. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინი ერთ დროს დაინგრა, წესიერმა და მშრომელმა გერმანელებმა ისე ააშენეს და გაალამაზეს, ქალაქს არც ეტყობა, რომ ოდესღაც მიწასთან იყო გასწორებული. ბერლინის ცენტრში ულამაზესი ანგელოზის ქანდაკებაა, სადაც უშველებელი ტყე-პარკია გაშენებული. ჩვენს ქვეყანაში სადაც თავისუფალ ადგილს დაინახავენ, ხეებს ჩეხენ და მშენებლობას იწყებენ. ბერლინის ამ პარკს კი, ისევე როგორც ნიუ იორკის ცენტრალურ პარკსა და ლონდონის ჰაიდ პარკს, ხელს არავინ ახლებს. ბერლინში ანგელოზის ქანდაკებიდან რაიხსტაგამდე ფეხით გავლა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.





ტაილანდში

— **როგორც ვიცი, ტაილანდშიც იმოგზაურეთ. იქიდან რა შთაბეჭდილებით დაბრუნდით?**

— ტაილანდი სამოთხეა. იქ 3 წლის წინ მეგობრებთან ერთად დასასვენებლად გახლდით. ჩვენ კი ვართ ტურისტული ქვეყანა, მაგრამ ჩვენთან შედარებით არაევროპულ ქვეყნებში ყველგან ბევრად უფრო სიიაფეა. სასტუმრო შეღავათიან ფასად დავჯავშნეთ. ბანგკოკი უშველებელია. აზიაში სხვა ცენტრებიც არის, მაგრამ ბანგკოკი და ტაილანდი მაინც ცენტრად ითვლება. ულამაზესი საზღვაო ზოლი აქვს, მთელი მსოფლიო იქ ჩადის. სპილოებით გასეირნება, ჯუნგლებში კვადროციკლებით ხეტიალი... ყველაფერი ისე აქვთ მოწყობილი, ტურისტი არ მოიწყენს, თან ყველაფერი ხელმისაწვდომ ფასადაა. ტაილანდელები გადასარევი ხალხია, სულ გიღიმიან, რაც მიგანიშნებს, რომ შენი იქ ყოფნა ყველას უხარია.

— **ყველაზე ადვილად რომელი ქვეყნის ცხოვრების რიტმს აჰყევით?**

— ალბათ — ამერიკას. შრომისმოყვარეობა დასვენებასთან და გართობასთან კარგად აქვთ შეთავსებული. მუშაობის ფასიც იციან და უიკენდისაც. ის ორი დღე ტელევიზორთან არავინ ზის. წინასწარ აქვთ დაგეგმილი, როგორ გაატარებენ. მათი აქტიურობა ძალიან მომწონს.

— **საზღვარგარეთ მაღაზიების „დალაშქვრა“ შედის ხოლმე თქვენს გეგმებში?**

— ადრე კომპაქტდისკებს ვყიდულობდი ხოლმე, როცა აქ არ იშოვებოდა. საზღვარგარეთ ძალიან მიყვარს დიდ მუსიკალურ მაღაზიებში ბოდიალი. ევროპაში ტანსაცმლის ყიდვა მხოლოდ იმიტომაა ადვილი, რომ დიდი არჩევანია და, რაც მთავარია, იაფია, რასაც საქართველოზე ვერ ვიტყვი. სუვენირების ყიდვა მიყვარს, საჩუქრები მეგობრებისთვისაც ხშირად ჩამომაქვს. მაღაზიებში იმდენად — არა, მაგრამ რესტორნებში სიარული ძალიან მიყვარს.

— **რომელი ქვეყნის სამზარეულოს გამოარჩევდით?**

— სადაც ჩავდივარ, იქაური სამზარეულო აუცილებლად უნდა დავაგემოვნო. იტალიაში ისეთ მაგარ რესტორანში ვიყავით, ვერაფერს შევადარებ. უბრალო სპაგეტი, ყავა და ყველი ისეთი ხარისხის იყო, აქაურ მხოლოდ სოფლის ნატურალურ პროდუქტს თუ შევადარებდი. ტაილანდის სამზარეულო ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესია. ასეთი გემოები თუ არსებობდა, აქამდე არც ვიცოდი. ცხარე საჭმელები იციან. სხვანაირი წიწაკა აქვთ და მას საჭმელში ბლომად ურევენ. მეგრული სამზარეულო ტაილანდურს რომ შევადარო, რომელი უფრო ცხარეა, ვერ გიპასუხებთ, შეიძლება საკამათო თემაც გახდეს, რადგან ქართულ სამზარეულოზეც ვგიჟდები.

არც მექსიკური სამზარეულოა ურიგო, იქაც ცხარე და ბევრი გემო იციან. ამერიკული სტეიკი შეუდარებელია. იქ სხვანაირი ძროხები ჰყავთ, რომლებიც არ იწველებიან, სპეციალურად სასტეიკეებად ზრდიან.

— **გადაფრენა-გადმოფრენა დისკომფორტს ხომ არ გიქმნით?**

— თვითმფრინავისადმი გადასარევი დამოკიდებულება მაქვს, უბრალოდ გაფრენამდე გასავლელი პროცედურები არ მიყვარს და ალბათ ყველა ასეა. სტატისტიკის მიხედვით, თვითმფრინავი ყველაზე უსაფრთხო სამგზავრო საშუალებაა. ადამიანი ლატარიას უფრო მოიგებს, ვიდრე ავიაკატასტროფაში მოყოლას. როცა დიდხანს ფრენა მიწევს, რაღაც ეტაპზე უნდა დავიძინო აუცილებლად. წიგნის კითხვა და ფილმების ყურება თვითმფრინავში ძალიან მიყვარს.

**„ტაილანდის სამზარეულო ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესია. ასეთი გემოები თუ არსებობდა, აქამდე არც ვიცოდი. ცხარე საჭმელები იციან. სხვანაირი წიწაკა აქვთ და მას საჭმელში ბლომად ურევენ. მეგრული სამზარეულო ტაილანდურს რომ შევადარო, რომელი უფრო ცხარეა, ვერ გიპასუხებთ".**

— **უახლოეს მომავალში აპირებთ სადმე გამგზავრებას?**

— კი, ამ ზაფხულს აუცილებლად წავალ რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ ჯერ არ ვიცი — სად. ტაილანდის მერე არსად დამისვენია. მე კი ისეთი დასვენება მჭირდება, სადაც მაქსიმალურად შევძლებ განმუხტვას.

✓ სოფიო ბოჭორიძე





Cyan Magenta Yellow Black

# ატლანტა – კოკა-კოლას სამშობლოს შუქ-ჩრდილები




ატლანტა ამერიკის შტატის ჯორჯიის დედაქალაქია. მას ყოველწლიურად 40 მილიონი უცხოელი და ამერიკელი ტურისტი სტუმრობს. მილიონობით იმიგრანტის წყალობით, ატლანტაში ნებისმიერი ქვეყნის კულტურას საფუძვლიანად გაეცნობით. 1917 წლის 21 მაისს ქალაქში დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელმაც 1 938 შენობა გაანადგურა და დაახლოებით 10 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დატოვა. შენობები მალე აღადგინეს და ქალაქი ძველებურად გაბრწყინდა.

ატლანტა აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სატრანსპორტო ცენტრია (როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო). მას ბიზნესქალაქსაც უწოდებენ და, რაც ყველაზე მთავარია, კოკა-კოლას სამშობლოდ ითვლება.

## კლიმატი

ატლანტა ნესტიანი, სუბტროპიკული კლიმატით გამოირჩევა. ზამთარი ცივი, მაგრამ შედარებით ზომიერია. დღისით 6 გრადუსზე დაბლა ტემპერატურა იშვიათად ეცემა. შუაგულ ზამთარში ღამით ხშირია ყინვები. ზამთარში ნალექის სახით წვიმა უფრო მოდის, ვიდრე თოვლი.

გაზაფხული ატლანტაში თბილი და სასიამოვნოა, ხოლო ზაფხული — საკმაოდ ცხელი. ზაფხულის თვეებში მინიმალური ტემპერატურა 32 გრადუსია. ატლანტაში სამოგზაუროდ საუკეთესო პერიოდად აგვისტოს დასაწყისი ითვლება.

## ენა

ატლანტას, ისევე როგორც მთელი შტატების, სახელმწიფო ენად ინგლისურია გამოცხადებული. სახელმწიფო ენას ნებისმიერი იმიგრანტი კარგად ფლობს. მოსახლეობის 81% ინგლისურად ლაპარაკობს, ხოლო დანარჩენი 19% — ფრანგულად. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფრანგული მეორად ენად ისწავლება.

თუ არც ინგლისური იცით და არც ფრანგული, არ იდარდოთ, ენობრივი ბარიერი მაინც არ შეგექმნებათ, რადგან ატლანტა სავსეა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ჩასული ბედის მაძიებლებით.

## ფული

ამერიკული დოლარი ოფიციალური ვალუტაა. როგორც ცნობილია, ამერიკული დოლარით არამარტო შტატებში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ისარგებლებთ თავისუფლად. ტურისტებს სხვა სახის ვალუტა იშვიათად ჩააქვთ. რომც ჰქონდეთ, პრობლემა არაა, რადგან ვალუტის გადაცვლა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შეგიძლიათ.

ატლანტა არცთუ ძვირი ქალაქია. იქ ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე ტურისტს ადვილად დააკმაყოფილებენ. ამ ქალაქში განსაკუთრებით იაფია საკვები, მით უმეტეს, თუ სწრაფი კვების ობიექტებს მიაკითხავთ.

## რელიგია

ამერიკაში სახელმწიფო რელიგია გამოცხადებული არ არის, მით უფრო, რომ ქვეყანა სხვადასხვა რჯულის ადამიანებითაა სავსე. ატლანტაში მოსახლეობის 76% ქრისტიანია. დარჩენილი რაოდენობა სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელია და ყველა მათგანი აბსოლუტური თავისუფლებით სარგებლობს.

## გადაადგილება

ატლანტას სატრანსპორტო სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და თანამედროვეა. აქედან გამომდინარე, იქ მოხვედრა პრობლემას არ წარმოადგენს. ჯექსტონ-ატლანტას სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ქალაქიდან 8 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და 1998 წლიდან მოყოლებული ყველაზე გადატვირთულია მსოფლიო მასშტაბით. მას ორი ტერმინალი აქვს, 2012 წლის მონაცემებით, წელიწადში 90 მილიონამდე ადამიანი გადაჰყავს და 717.001 თვითმფრინავის აფრენა-დაფრენა ხორციელდება. აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე ტაქსის ფასი 30-45 დოლარამდე მერყეობს.

ატლანტის მიმართულებით შტატებიდან ავტობუსები ყოველდღიურად გადიან. მატარებლით მგზავრობას რაც შეეხება, კომფორტულთან ერთად უსაფრთხოცაა. ქალაქში გადაადგილებისათვის მეტრო პირველ ადგილზეა. ატლანტაში მოსახლეობის ნახევარზე მეტს საკუთარი მანქანა არ ჰყავს. მანქანის დაქირავების შემთხვევაში პარკირებისათვის თვეში 125 დოლარის გადახდა მოგიწევთ.

ყველაზე იაფ ტრანსპორტს ავტობუსი და მეტრო წარმოადგენს. მათი ღირებულება ნებისმიერ ადგილამდე 2,5 დოლარია. მეტროთი მგზავრობის შემთხვევაში თანხა სპეციალურ ბარათზე უნდა ჩარიცხოთ, რომლის შეძენა მხოლოდ ერთხელ მოგიწევთ და მისი ღირებულება 1 დოლარია, ხოლო ავტობუსში შეგიძლიათ მძღოლსაც გადაუხადოთ მგზავრობის საფასური. ტაქსით მგზავრობის ღირებულება კილომეტრობით განისაზღვრება და 1 კმ-ის ფასი 2,5 დოლარია.

ატლანტაში წლის ნებისმიერ სეზონზე სააგენტოები გაცილებით მეტ ველოსიპედს აქირავებენ, ვიდრე მანქანას. გირჩევთ, ამ ქალაქში გადაადგილებისთვის სპეციალური რუკა შეიძინოთ, რომლის ყიდვასაც ნებისმიერ სადგურში შეძლებთ.

## სამზარეულო

რთულია რამდენიმე წინადადებით დაახასიათო ისეთი ფართო და მრავალფეროვანი ქვეყნის სამზარეულო, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. საუკუნეების განმავლობაში ამერიკული სამზარეულო ივსებოდა და მდიდრდებოდა ჩინელი, ფრანგი, იტალიელი, აფრიკელი თუ ებრაელი იმიგრანტების კერძებით. არსებობს რამდენიმე ძირითადი ინგრედიენტი, რომელიც საფუძვლად უდევს ამერიკულ სამზარეულო ტრადიციებს და ესენი ამერიკული წარმომავლობის მცენარეებია: სიმინდი, გოგრა და ლობიო — სამეული, რომელსაც მკვიდრი ამერიკელები „სამი დის“ სახელით მოიხსენიებენ და ფართოდ მოიხმარენ.

იმიგრანტთა წყალობით, ატლანტაში ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ კერძს დააგემოვნებთ. ებრაელმა და იტალიელმა იმიგრანტებმა ქალაქს სახელი ბლითებით, ჩიზქეიქითა და პიცით გაუთქვეს. დარწმუნებულები იყავით, ატლანტაში გასინჯული პიცის გემო დიდხანს გაგყვებათ. მექსიკელების დამსახურებაა ტრადიციული ბარიტო (ლობიოს, ბრინჯს, პომიდორს და გახეხილ ყველს პურის თხელ ფენაში ახვევენ და სწრაფი კვების ობიექტებში უხვად ყიდიან).

ადგილობრივებს ძალიან უყვართ გაზიანი სასმელები, ამიტომ, იმის მიუხედავად, მოითხოვთ თუ არა, მომსახურე პერსონალი მაინც მოგიტანთ. ბარიტოს შემდეგ პოპულარობით ჰოთ დოგი სარგებლობს. ამ ქალაქის მცხოვრებთ ძალიან უყვართ ჭამა, ამიტომ ქუჩაშიც კი ჰოთ დოგებითა და ბარიტოებით ხელში დადიან. ატლანტაში 24 საათის განმავლობაში 400-მდე სწრაფი კვების ობიექტი ფუნქციონირებს. ყველგან შემოგთავაზებენ აღმოსავლურ კერძებს — ფალაფელს და ქაბაბს.

შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი ვეგეტარიანელებისათვის სამოთხეა. მათზე გათვლილი რესტორნები თუ არა, კერძები მაინც მრავალადაა. რაც შეხება სასმელს, ყავა და ჩაი ერთნაირად მოთხოვნადია. ალკოჰოლიდან კი უპირატესობა რომს ენიჭება.

## ღირსშესანიშნაობები

ატლანტა მდიდარია თავისი კულტურული ღირებულებებით, ისტორიითა და მრავალფეროვნებით. იქ ბევრია სანახავი: მუზეუმები, ღირსშესანიშნავი და გასართობი ადგილები. თუ ატლანტას ზაფხულში ესტუმრებით, არ გამოტოვოთ ლაზერ შოუ სთოუნ მაუნთინში. ასევე აუცილებლად ნახეთ ფერნბერკის მუზეუმში ფართო ეკრანზე გაშვებული ფილმები.

რაც ყველაზე მთავარია, ატლანტაში შეძლებთ, გაეცნოთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასმელის — კოკა-კოლას შექმნის ისტორიას. ჯონ პებერტონის მოედანზე კოკა-კოლას მუზეუმი მდებარეობს. ჯონ პებერტონი კი სწორედ ის პიროვნებაა, რომელმაც ეს რევოლუციური სასმელი გამოიგონა.

წარსული, აწყმო და მომავალი შენობის სხვადასხვა ოთახებშია განაწილებული. იქ შემსვლელი მაქსიმალურ ინფორმაციას მიიღებს. მუზეუმის კინოთეატრში კომპანიის განვითარების დოკუმენტურ მასალას აჩვენებენ. ასევე არის ოთახი, სადაც გამოფენილია ყველა ის ნაწარმი, რაც ამ ბრენდმა თავისი არსებობის განმავლობაში გამოუშვა. წარმოდგენილია ყველანაირი რეკლამა, რომელიც 206 ქვეყანაშია გაშვებული. ბავშვებისთვის შესვლა უფასოა, ხოლო დიდებმა 15 დოლარი უნდა გადაიხადონ. მუზეუმის მთავარი დეტალი თეთრი დათვია, რომელსაც ბავშვების გართობა ევალება. მუზეუმში საუკუნის წინანდელი სხვადასხვა ძველმანიც ინახება.

არანაკლებ გაგაოცებთ ატლანტას ბოტანიკური ბაღის ეგზოტიკური მცენარეების კოლექცია და ზოოპარკის ბინადარი ცხოველები. ქალაქის ისტორიულ ცენტრში წარმოდგენილ პანორამაზე ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომის სცენაა გამოსახული. ხოლო ვისაც დაწვრილებით აინტერესებს ატლანტიის ისტორია, „როსველის ბულოკის“ დარბაზსა და გასართობ პარკ „სიქს ფლეგს“ უნდა ეწვიოს.

უზარმაზარ სავაჭრო ცენტრ „ანდერგრაუნდ ატლანტაში“ შეგიძლიათ შოპინგით შეიქციოთ თავი.

## უსაფრთხოების წესები

ატლანტა ამჟამად კრიმინალის დაბალი დონით გამოირჩევა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიფრთხილის გამოჩენა არ გმართებთ. ჩანთებისა და ძვირფასი ნივთების გატაცების შემთხვევები ხალხმრავალ ადგილებში ყოველდღიურად ფიქსირდება.

საგზაო წესების დარღვევის გამო ჯარიმებია დაწესებული. არ გაბედოთ საჭესთან მობილურზე ლაპარაკი, აგრეთვე ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვა. ნებისმიერ შემთხვევაში დასახმარებლად პოლიციას მიმართეთ.

## უბის წიგნაკი

**ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები;**
**ქალაქი — ატლანტა;**
**მოსახლეობა — 486.411;**
**ფართობი — 343 კვ.კმ;**
**ვალუტა — ამერიკული დოლარი.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ქალის დრამა, რომლის შეყვარებულიც გეი აღმოჩნდა

**„მისი ხსნისთვის ვლოცულობ, თუმცა, როგორც ქალს, გული მისკენ არასოდეს მომიბრუნდება“**



**„მიხსნიდა, ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავია და ქეტის გარდა ყველა გაიგებსო. რა ვქნა, ქეტი გამოვდექი, ვერანაირად გავუგე! რა უნდა ყოფილიყო, გიგასთვის რომ ვერ გამეგო, მაგრამ ამას ვერაფრით ვპატიობ“.**

რთული ბავშვობა, გაწბილებული სიყვარული, ოჯახიდან წასული მამა, საზოგადოებისადმი გაუცხოება — ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განცდილმა დარტყმებმა, რომლებსაც პიროვნული სისუსტეც დაემატა, ახალგაზრდა კაცი სექსუალური ორიენტაციის შეცვლამდე მიიყვანა. არადა მის გვერდით იყო გოგონა, რომელსაც ის მთელი გულით უყვარდა. ეს ამბავი მისთვის უდიდეს ტკივილად იქცა. გრძნობა გაცამტვერდა, მის ადგილზე კი სიბრალული, იმედგაცრუება და ბავშვობისდროინდელი უმანკო სიყვარულის შეურაცხყოფის შეგრძნება გაჩნდა...

**თამთა:**

— გიგა ჩემი ბავშვობის მეგობარია, ერთ უბანში ვიზრდებოდით. მის დასთან, ნინოსთან ვდაქალობდი. გიგა ძალიან მგრძნობიარე, თავმდაბალი, დაფიქრებული და მელანქოლიური ბავშვი იყო, ნინო კი ხალისიანი, თამამი და მამაცი, ყველაფერში პირველობისკენ ისწრაფოდა, უკან არაფერზე დაიხევდა.

გიგას მიმართ სხვა დამოკიდებულება მქონდა, ვუგებდი, თითქმის უსიტყვოდაც კი. თანდათანობით მივხვდი, რომ ის, მომწონდა, შეიძლება მიყვარდა კიდეც. 30 წელს გადავცილდი და ასეთი განცდა არავის მიმართ გამჩენია.

**— თავად გიგას დამოკიდებულება თქვენ მიმართ როგორი იყო?**

— მას ჩემი თანაკლასელი, ნატა უყვარდა, თანაც სიგიჟემდე, არ ვაჭარბებ. სიყმაწვილის ასაკში მსგავსი სიყვარული იშვიათია. ეს ხელს უშლიდა, ჩემი გრძნობა დაენახა, მით უფრო, რომ ამ საკითხში მორიდებული ვიყავი და თავს არ ვამჟღავნებდი. ნატა მთელ სკოლაში გამორჩეული გოგო იყო, ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული სილამაზით ან სხვებზე უკეთ სწავლით, უბრალოდ, თავისი თავდაჯერებულობითა და თავმომწონეობით შეეძლო თავი ისე მოეწოდებინა, რომ არამარტო იმ გარემოცვაში, შეიძლება მთელ ქვეყნიერებაზეც ყველაზე ლამაზ და საინტერესო გოგოდ მოგჩვენებოდა. ეს ქალისთვის განსაკუთრებული ნიჭია, შეიძლება ითქვას, თავისებური ხელოვნებაც კი.

**— ნატა გიგას სიყვარულით პასუხობდა?**

— ცინიკოსი იყო, გიგას მხოლოდ მახსრად იგდებდა, თანატოლების თანდასწრებით დასცინოდა. შეიძლება, როგორც მოზარდს, სიყვარულისთვის თანაგრძნობა არ მოეთხოვებოდა, მაგრამ ადამიანური კუთხით ნატას ბევრი რამ ეშლებოდა. გიგა ძალიან ნიჭიერი იყო, ნატას ლექსებს და სიმღერებს უძღვნიდა, მის პორტრეტებსაც ხატავდა. დაბადების დღეზე ულამაზესი ალბომიც გაუკეთა — თავისი ლექსებით და ნახატებით გააფორმა. ისეთი საყვარელი და თვალწარმტაცი იყო, დათვალიერებით ვერ გაძღებოდი. ნატამ კი ეს ვერ დააფასა, პირიქით, ბიჭების წინაშე გამოიტანა და გააშარჟა.

ბიჭებმა გიგას პიერო შეარქვეს („ბურატინოს თავგადასავლის“ გმირის სახელი) და მისი გრძნობის გამო დასცინოდნენ. გიგა დეპრესიაში ჩავარდა და სკოლაში ველარ დადიოდა. ამის გამო ნინო ნატას მიუვარდა და თანაკლასელების თანდასწრებით თმით ითრია, მუშტები ურტყა, სახეც ჩამოაკაწრა. არავის უცდია დაზარალებული ნატას დაცვა, არც იმ ბიჭებს, ვინც მასთან ერთად სეირობდნენ გიგას გრძნობებზე. გულის სიღრმეში ყველა ხვდებოდა, რომ სიმართლე ნინოს მხარეს იყო. მხოლოდ ნატას მშობლებმა ატეხეს ერთი ამბავი. დასახიჩრებული შვილი რომ მიუვიდათ, გაგიჟდნენ, დირექტორს მიუვარდნენ და თავდამსხმელის მიმართ ადეკვატური ზომების მიღება მოსთხოვეს. ისინიც იძულებული გახდნენ, და-ძმა სკოლიდან გაეძევებინათ.

**— რამ აიძულათ ასეთი რადიკალური ნაბიჯი გადაედგათ?**

— ნატას მამა თანამდებობაზე მუშაობდა, გავლენიანი პირი იყო. დირექტორმა მას გაუწია ანგარიში, მასწავლებლებმა — დირექტორს. ჩათვალეს, რომ ორი მოწაფის გაწირვით ბევრი არაფერი დაშავდებოდა.

**— ახალ სკოლას და გარემოს და-ძმა როგორ შეეწყო?**

— ნინოას ახალ გარემოსთან შეგუება არ გასჭირვებია — საკმაოდ კომუნიკაბელური და აქტიური იყო. თანაც თავის სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა და თავს დაჩაგრულად არ გრძნობდა იმის გამო, რომ სკოლიდან დაითხოვეს. გიგა კი უფრო დაითრგუნა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. ახალი თანაკლასელი ბიჭები მას ამრეზით უყურებდნენ, ხოლო გოგონები მისი იდუმალებისა და რომანტიკის მიმართ ინტერესს იჩენდნენ. გიგა ყველასთან კონტაქტს გაურბოდა, მარტოსულად იქცა.

**— მშობლები ამ ყველაფერში რა როლს ასრულებდნენ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ გიგას თავისებურებებისადმი?**

— გიგას და ნინოს მშობლები კარგი ადამიანები იყვნენ. მათი მამა, ინტელიგენტი, განათლებული ადამიანი, მატერიალური სიდუხჭირის გამო იძულებული გახდა ევროპაში წასულიყო სამუშაოდ. წლების განმავლობაში იქიდან ეხმარებოდა ოჯახს, მერე, როგორც ხდება ხოლმე, იქ ვიღაც ქალი გაიჩინა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ჩაიჭირა და კაცს ოჯახში დაბრუნება გადააფიქრებინა. გიგას დედამ კი ქმრის ღალატი ისე განიცადა, რომ ნევროზისგან ლოგინად ჩავარდა. ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ნატასთან ინციდენტის გამო და-ძმა სკოლიდან გააძევეს.

**— ბავშვებმა მამის ღალატი მძიმედ განიცადეს?**

— შვილებზე ყოველთვის მოქმედებს მამის ღალატი. გიგასთვის ეს დიდი დარტყმა იყო. მისთვის ისედაც დანაკლისად ითვლებოდა, მამა რომ არ ჰყავდა გვერდში. მასთან რომ გაზრდილიყო, ალბათ გიგას ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა, ბევრად უფრო პოზიტიური იქნებოდა და საბედისწერო შეცდომებსაც ასცდებოდა. რომ იცოდნენ მშობლებმა, მასწავლებლებმა და საერთოდ უფროსმა ადამიანებმა, რამდენ შეცდომას უშვებენ მოზარდებთან ურთიერთობაში, ბევრ რამეზე დაფიქრდებოდნენ, სანამ მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამდნენ ცხოვრებაში.

**— გიგას, როგორც ჩანს, მეგობრები არ ჰყავდა. თანატოლებს მასთან მეგობრობის სურვილი არ ჰქონდათ თუ თავად ვერ ახერხებდა მათთან დაახლოებას?**

— გიგა თავისი ნიჭით, აზროვნებით და ბუნებით სხვებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, გარდა ამისა, თავისი ოჯახისა და უიღბლო სიყვარულის გამო დაკომპლექსებული იყო. ეს ყველაფერი თანატოლებს მისგან განიზიდავდა. როგორც უცხო სხეულს, ისე უყურებდნენ. მასთან მხოლოდ მე ვმეგობრობდი, მაგრამ ჩემი გრძნობა მისდამი ხელს მიშლიდა, ეს სიახლოვე შემენარჩუნებინა. გიგას სხვა უყვარდა, მე დად აღმიქვამდა. ძალიან მიჭირდა მისი ლექსების და ჩანაწერების კითხვა, რომლებიც სხვა გოგოს ეძღვნებოდა. მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვინც მას უგებდა, ჩემთან ძალიან გულწრფელი იყო, მაგრამ მისი ყოველი აღსარების მოსმენისას ცუდად ვხდებოდი, მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა. ასეთი ურთიერთობა კი დიდხანს არ გასტანს.

დროთა განმავლობაში თავისთავად დავშორდით. ამას დაემატა ისიც, რომ გიგას დედამ ვალების გამო ბინა გაყიდა და გარეუბანში გადასახლდნენ. მათ ამბებს საერთო ნაცნობებისგან თუ ვიგებდი. ნინო გათხოვდა და ქმართან ერთად სხვა ქალაქში



Cyan Magenta Yellow Black

გადავიდა საცხოვრებლად. მისი წასვლის შემდეგ დედამისმაც შეცვალა ცხოვრება, მეზობელ კაცს გაჰყვა ცოლად. გიგა მაშინ სტუდენტი იყო, დედის საქციელი შეურაცხყოფად მიიღო და პროტესტის ნიშნად შინიდან წავიდა, ხან ვისთან ათენებდა, ხან — ვისთან. სწავლაც მიატოვა. და ეხვეწებოდა, რაიონში ჩამოდი და ჩემი ქმარი დაგასაქმებსო, მაგრამ არ ისურვა.

**— გამოდის, რომ მამის ღალატმა მთელი ოჯახი თავდაყირა დააყენა.**

— დიახ, ასე გამოვიდა. მერე, როგორც გავიგე, გიგა კურსელის ბიძამ ევროპაში წაიყვანა. იქ მუშაობა დაიწყო, თან კოლეჯშიც სწავლობდა. მერე სოციალურ ქსელებშიც გამოჩნდა და დავეკონტაქტე. ფოტოების მიხედვით, შეცვლილი და კიდევ უფრო დამშვენებულიყო. ევროპული გარეგნობის ბიჭს ჩვენი ქვეყნის გარეთ ცხოვრებამ ქართული კვალი მთლად წაუშალა. როგორც ჩანს, ხასიათიც შეეცვალა, უფრო გახსნილი და ლაღი გახდა. მელანქოლიური გიგა სიცოცხლისმოყვარე ადამიანად გარდაიქმნა. თითქოს ევროპაში საკუთარი თავი იპოვა. ერთი სული მქონდა, როდის შევხვდებოდი პირადად, მისი ცხოვრების გაცნობის სურვილი მკლავდა. მის მიმართ გრძნობაც ხელახლა ამეშალა.

**— შეხვდით ერთმანეთს?**

— გიგა ევროპელ მეგობრებთან ერთად ერთი კვირით ჩამოვიდა თბილისში და სასტუმროში დაბინავდა. მხოლოდ წასვლის წინა დღით მოახერხა ჩემთან შეხვედრა. თავის მეგობრებთან ერთად ვახშმობდა სასტუმროს კაფეში. იმდენად იყო შეცვლილი, მისი ბოლო ფოტოები რომ არ მენახა, ალბათ ვერც ვიცნობდი. სულ სხვანაირი იყო, მხოლოდ თვალები შერჩენოდა ბავშვობისდროინდელი.

**— შეხვედრით კმაყოფილი დარჩით?**

— აბა, რა გითხრათ... შეხვედრამ მხიარულად ჩაიარა. უკან რომ ვბრუნდებოდი, ჩემი ახლო ნაცნობი შემხვდა, რომელიც თურმე იმავე სასტუმროში მუშაობდა და გაოცებით მკითხა, მაგ „სასტავთან“ ერთად რა გინდოდაო. ვუთხარი, გიგა ჩემი ბავშვობის მეგობარია და ასე რატომ გაგიკვირდა-მეთქი. მაშინ მითხრა, გეები არიანო. შეიძლება მის მეგობრებს შორის მასეთებიც არიან, მაგრამ გიგასგან ეგ გამორიცხულია-მეთქი, შევიცხადე. თავს ნურავისთვის დადებ, ზუსტად ვიციო და ბლანჟეიან კაცზე მიმითითა, ამასთან ცხოვრობსო. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა! ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება გულში მყავდა, სხვა ორიენტაციის აღმოჩნდა. მე კი ჩემს ოცნებაში გეგმებიც დავალაგე, რომ ფული მომეგროვებინა, გიგასთან სტუმრად ჩავსულიყავი და ჩვენი ურთიერთობაც რაღაცნაირად დამელაგებინა.

> **„იქნებ თავის დროზე შეიძლებოდა რაღაცის შეცვლა, ამ გზაზე რომ არ დამდგარიყო? ამას წინათ ერთმა ახლობელმა მითხრა, თვითონ გიგა თავს ბედნიერად გრძნობს და მის მაგივრად შენ რა გადარდებსო. როგორ შეიძლება ცოდვილ მდგომარეობაში ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობდეს?! ეს მხოლოდ ხიბლია, რომელიც პიროვნებას დაღუპვისკენ მიაქანებს".**

**— როგორ მოიქეცით ამ „სიახლის“ გაგების მერე, გიგას ისევ შეხვდით?**

— არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მეშინოდა და ვფიქრობდი, გიგას რომ ვკითხო, შეურაცხყოფად მიიღებს და დამკარგავს-მეთქი. ბოლოს მაინც ველარ მოვითმინე და მივწერე.

**— რა გიპასუხათ?**

— დამიდასტურა, თან მიხსნიდა, ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავია და ქაჯის გარდა ყველა გაიგებსო. რა ვქნა, ქაჯი გამოვდექი, ვერანაირად გავუგე! რა უნდა ყოფილიყო, გიგასთვის რომ ვერ გამეგო, მაგრამ ამას ვერაფრით ვპატიობ. თან მეცოდება და გასაკიცხადაც ვერ ვიმეტებ.

მთელი მისი ცხოვრება თვალწინ მიდგას. იქნებ თავის დროზე შეიძლებოდა რაღაცის შეცვლა, ამ გზაზე რომ არ დამდგარიყო? ამას წინათ ერთმა ახლობელმა მითხრა, თვითონ გიგა თავს ბედნიერად გრძნობს და მის მაგივრად შენ რა გადარდებსო. როგორ შეიძლება ცოდვილ მდგომარეობაში ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობდეს?! ეს მხოლოდ ხიბლია, რომელიც პიროვნებას დაღუპვისკენ მიაქანებს. როცა ტაძარში შევდივარ, მისი ხსნისთვის ვლოცულობ. ღმერთს ვთხოვ, თვალი აუხილოს და მართალ გზაზე დააყენოს, თუმცა, როგორც ქალს, გული მისკენ არასოდეს მომიბრუნდება.

✔ **ნანა კობახიძე**

## ეს იცოდით?

❖ ყოველწლიურად მსოფლიოში 300 მილიარდ ბოთლზე მეტ ღვინოს მოიხმარენ. აქედან ერთ ევროპელზე 25-30 ლიტრი მოდის.

❖ ყურძენში შაქრის შემცველობა 17% უნდა იყოს, რომ მისგან 7 გრადუსიანი ღვინო დამზადდეს.

❖ ადამიანების დაახლოებით 2/3 კოცნისას თავს მარჯვნივ ხრის.

❖ ადამიანების უმრავლესობას ქორწინებამდე 7-ჯერ უყვარდება.

❖ კოცნა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ხელის ჩამორთმევა.

❖ დედამიწაზე თვალის ყველაზე იშვიათ ფერად დღემდე მწვანეა მიჩნეული, რადგან ასეთი ფერის თვალები მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს აქვს.

❖ ავსტრალიელი მძღოლი ბიულ მორგანი კლინიკური სიკვდილიდან 14 წუთში „გაცოცხლდა“ და გადაწყვიტა, ლატარიის ბილეთი ეყიდა, რომელმაც მას 27.000 დოლარად ღირებული მანქანა მოაგებინა. ჟურნალისტმა ბილს სთხოვა, ეჩვენებინა, როგორ მოხდა ყველაფერი. ბილმა ახალი ბილეთი იყიდა და 250 ათასი დოლარი მოიგო.

❖ თურქეთში ცხოვრობს 5 კაციანი ოჯახი, რომლის ყოველი წევრი, გენეტიკური დარღვევის გამო, მხოლოდ ოთხით გადაადგილდება.

❖ ერთმა ჩინურმა კომპანიამ 30 სართულიანი სასტუმრო რეკორდულ ვადაში — 15 დღეში ააშენა. კომპანიის განცხადებით, შენობა 9 ბალიან მიწისძვრას გაუძლებს.

❖ ადამიანთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ დედამიწის ცენტრში ცარიელი სივრცეა. ამის დასამტკიცებლად ისინი ისტორიაში უდიდეს ექსპედიციას ამზადებენ.

❖ ესკიმოსები ვეშაპის ძვლებისგან სპეციალურ სათვალეს ამზადებენ, თოვლისგან არეკლილი შუქით რომ არ დაბრმავდნენ.

❖ დღეს იაპონიაში 100 წლის და მეტი ასაკის 50 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

❖ საქორწინო მოგზაურობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ძველად ქალის მოტაცების შემთხვევაში სიძე იძულებული იყო, გარკვეული პერიოდი მიუვალ ადგილზე დამალულიყო, რათა მომავალი ნათესავების რისხვას გადარჩენოდა.

❖ ჩინეთში პატარძლებს უმეტესწილად წითელი ფერის საქორწილო კაბა აცვიათ.

❖ ძველ იტალიურ პასპორტებში სხვადასხვა მონაცემთან ერთად მითითებული იყო პასპორტის მფლობელის ხმის ტემბრიც, რადგან ადამიანის ხმის ტემბრი უცვლელ მახასიათებლად იყო მიჩნეული.

❖ დიდმა ინგლისელმა მწერალმა ჩარლზ დიკენსმა 20 რომანით იმდენივე ჰონორარი გამოიმუშავა, რამდენიც ლექციების წაკითხვით.

❖ ესპანელი მხატვარი სალვადორ დალი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე საკუთარ თავს ხან მონარქისტად მიიჩნევდა, ხან— ანარქისტად და ხანაც — კომუნისტად. ესპანეთის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ მან ფრანკოს ავტორიტარულ რეჟიმს დაუჭირა მხარი. უფრო მეტიც, გენერალ ფრანკოს პატივსაცემად მისი შვილიშვილის პორტრეტიც კი დახატა.

❖ გენიალურ კომპოზიტორ ბეთჰოვენს ციფრების ერთმანეთზე გამრავლება არ შეეძლო.

❖ აშშ-ის პირველი მოქმედი პრეზიდენტი, რომელიც საპრეზიდენტო პოსტზე ყოფნისას გარდაიცვალა, უილიამ ჰენრი ჰარისონი გახლდათ (1773-1841 წლები).

❖ ლეგენდარულ ამერიკელ ბიზნესმენსა და „ფორდ მოტორ კომპანის“ დამაარსებელ ჰენრი ფორდს არასოდეს ჰქონია მართვის მოწმობა.



Cyan Magenta Yellow Black

# შამპუნის არჩევა არ შეგეშალოთ

**მშვენიერი თმა ნებისმიერი ქალის ოცნებაა, მაგრამ ის გულმოდგინე მოვლას საჭიროებს. შეგიძლიათ სხვადასხვა საშუალებით ისარგებლოთ. და მაინც, ყველაფერი შამპუნით იწყება.**



მაღაზიის თაროებზე შამპუნების დიდი არჩევანია. რომ არ დავიბნეთ, ხშირად ამოცანას ვიადვილებთ და რეკლამირებულ, მეგობრების მიერ აპრობირებულ ან უბრალოდ, სასიამოვნო სუნის საშუალებას ვირჩევთ. და სულ ტყუილუბრალოდ. თავისთვის შესატყვისი შამპუნის შერჩევა ადვილი არ არის. ამ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ, ხოლო აუცილებელ ინფორმაციას ჩვენ მოგაწვდით.

## ვკითხულობთ შემადგენლობას

შამპუნს ნუ აირჩევთ მხოლოდ ეტიკეტების მიხედვით, რომლებიც მბრწყინავ, მშვენიერ, სწორ თმას გპირდებიან. შემადგენლობის წაკითხვას ნუ დაიზარებთ.

ყველა თანამედროვე შამპუნის შემადგენლობაში ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები შედის. მათგან ყველაზე ხშირად ნატრიუმის სულფატი გამოიყენება. მან ძირითადი ნატურალური საპონი შეცვალა, რომელიც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გამოიყენებოდა. სწორედ ნატრიუმის სულფატის წყალობით შამპუნი მშვენივრად ქაფდება და თმას კარგად ასუფთავებს. მაგრამ გასუფთავება ხდებ იმის ხარჯზე, რომ ნივთიერება თმის შიგნით ღრმად შედის. თმის ქერცლი ამის შემდეგ არ იხურება, თმა ფოროვანი რჩება, ხოლო თავის კანი შრება. შედეგად, თმა სწრაფად ჭუჭყიანდება და საჭირო ხდება მისი ხშირად დაბანა, მაშასადამე, შამპუნის უფრო ხშირად გამოყენება.

ხშირად შამპუნს უმატებენ ნატურალურ ინგრედიენტებს: ბალახების ნაყენს, მცენარეთა ექსტრაქტებს, რძეს, თაფლს და სხვა სასარგებლო დანამატებს. გახსოვდეთ: ინგრედიენტების სია მკაცრი წესით არის შედგენილი: პირველად მოხსენიებულია ნივთიერება, რომელიც შამპუნში ყველაზე მეტია, ბოლოს — რომელიც ნაკლებია. ნატურალური ექსტრაქტები და ნივთიერებები ეძებეთ სიის ზედა ნაწილში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ეს შემადგენელი შამპუნში საჭირო რაოდენობითაა. თუ საჭირო ინგრედიენტი სიის ბოლოშია, მაშასადამე, იმდენად მცირეა, რომ დაპირებული ეფექტის იმედი არ უნდა გქონდეთ.

## თითოეულს თავისი შესატყვისი

თხელი, მოცულობას მოკლებული თმისთვის რეკომენდებულია შამპუნი გამაძლიერებელი კომპონენტებით.

ცხიმიანი და დაზიანებული თმისთვის შეარჩიეთ შამპუნი ანტიბაქტერიული ინგრედიენტებით, A, C და K ვიტამინებით, ბალახების ექსტრაქტებით.

მშრალი და ღია ფერის თმისთვის გამოიყენეთ ცილის ან ცხიმებით მდიდარი დამატენიანებელი შამპუნი, რომელიც თავის კანში უნდა შეიზილოთ ცხიმის გამოყოფის აღსადგენად.

შეღებილი თმისთვის აუცილებელია შამპუნი, რომელიც ძლიერ ანტიმჟანგავებსა და მცენარეულ ექსტრაქტებს შეიცავს თმის დასაცავად და ფერის შესანარჩუნებლად.

შამპუნის შერჩევისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თავის კანის ტიპი.

ცხიმიანი კანისთვის შამპუნში ბევრია გამწმენდი ნივთიერება, შეიძლება დუბილურ და მიკრობების საწინააღმდეგო ნივთიერებებს, ასევე B ვიტამინს შეიცავდეს. უკანასკნელი ცხიმის ჯირკვლების მუშაობის რეგულაციას ეხმარება. ასეთ საშუალებებში მცირეა მკვებავი კომპონენტები და ცხიმები. თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ თქვენი კანი ასეთ ტიპს მიეკუთვნება, მაშინ ამგვარ შამპუნს ნუ შეიძენთ, შეიძლება თმა გამოაშროს.

მშრალი კანისთვის შამპუნი ცოტა გამწმენდ კომპონენტებს შეიცავს, სამაგიეროდ გაზრდილია დამატენიანებლების რაოდენობა, რომელთა შორის შეიძლება იყოს პანტენოლი. ის თმას ტენის შენარჩუნებაში ეხმარება. ასევე შეიძლება არსებობდეს კოლაგენი, ვიტამინები, ზეთები, პროტეინი.

ნორმალური კანისთვის შამპუნში არ არის ბევრი დამატენიანებელი ან გამომშრობი ნივთიერება. საშუალება შეიძლება შეიცავდეს A და E ვიტამინებს, ასევე მცენარეულ ექსტრაქტებს.

## ტესტი

იმის განსაზღვრა, რომ არასწორ შამპუნს იყენებთ, ძალიან ადვილია, თუ სამივე კითხვას „დიახ“ უპასუხეთ.

1. დღის სინათლეზე თმა ჩამქრალი და უსიცოცხლოა, იბურდება?
2. ხელით შეხებისას თმა შარიშურობს ან დავარცხნის დროს იმტვრევა?
3. დაბანის შემდე კულულები ძალიან სწრაფად შრება ფენის გამოყენების გარეშე?

თქვენს თმას დაეხმარება შამპუნი ზრით (7 დონემდე), ასევე მცენარეული ექსტრაქტებისა და პროტეინის (კოლაგენი, კერატინი და ელასტინი) შემცველი შამპუნები. ისინი განსაკუთრებული სიფრთხილით ზრუნავენ თმაზე მისი ტიპის მიუხედავად.

## თმის მოვლის შინაური რეცეპტები

### შამპუნები

თმას კარგად ასუფთავებს და ატენიანებს კვერცხის შამპუნი. 2 მთლიანი კვერცხი (საშუალო სიგრძის თმისთვის) ჩანგლით ათქვიფეთ და გვირილის თბილი ნაყენი დაუმატეთ. მიღებული ნარევი თმაში ინტენსიურად შეიზილეთ. შემდეგ თბილი წყლით კარგად ჩამოიბანეთ. პროცედურის შემდეგ თმაზე გადაივლეთ ლიმონის წვენით ან ვაშლის ძმრით გაზავებული წყალი.

3 კვერცხის გული კარგად ათქვიფეთ, 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი (ან ვაშლის ძმარი, ან მჟავე კომბოსტოს წვენი) დაუმატეთ. ნარევი თმაზე დაიდეთ, ჯერ პოლიეთილენი დაიფარეთ, ზემოდან პირსახოცი. 10 წუთის შემდეგ თმა საპნის გარეშე ჩამოიბანეთ.

### ნიღბები

თმის აღსადგენად მოამზადეთ ეფექტური ნიღაბი. 1 ჩაის კოვზ ავოკადოს ზეთს და 1 ჩაის კოვზ გატარებულ გაღვივებულ ხორბალს 2 წვეთი გვირილის ეთერზეთი დაუმატეთ. დაბანის შემდეგ თმაზე დაიდეთ. პირსახოცით შეიხვიეთ. 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

თმის გასაძლიერებელი. დაგჭირდებათ 2 ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი, 2 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, 1 კვერცხის გული, 0,5 ჩაის კოვზი კონიაკი. კვერცხის გული ჩანგლით ათქვიფეთ. მიღებულ მასას ზეითუნის, აბუსალათინის ზეთი, კონიაკი და ლიმონის წვენი დაუმატეთ. ყველაფერი კარგად აურიეთ. ნარევი თმაზე დაიდეთ და ნელი მოძრაობით თავის კანში შეიზილეთ. 15-20 წუთი დაიტოვეთ, შემდეგ ჩამოიბანეთ.

მშრალი თმისთვის. 2 სუფრის კოვზი აბუსალათინის და 2 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი აურიეთ. ბამბის ტამპონით ნიღაბი დაიდეთ, თმაზე ცელოფანი დაიფარეთ, შემდეგ — პირსახოცი. 30 წუთი გაიჩერეთ. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ და თავი შამპუნით დაიბანეთ.

ნიღაბი ლამაზი და ჯანსაღი თმისთვის. თავის დაბანამდე ერთი საათით ადრე თავის კანში 1 კვერცხი შეიზილეთ (თმას კვებავს, ბრწყინვალებას მატებს და აძლიერებს). პოლიეთილენის პარკი დაიფარეთ, შემდეგ — პირსახოცი. 20-40 წუთი გაიჩერეთ. სანამ თმა მკვებავ ნივთიერებებს იღებს, მოამზადეთ ნახარში გადასავლებად. აიღეთ თითო ჭიქა დაქუცმაცებული ჭინჭარი და გვირილა, 3 ლიტრი ადუღებული წყალი დაასხით. ნიღბის დროის გასვლის შემდეგ ეს ბალახეული ნაყენი თმაზე აკურატულად გადაივლეთ. შემდეგ თავი შამპუნით დაიბანეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ვამარცხებთ მშობიარობის შემდგომ დეპრესიას

დღეს საკმაოდ აქტუალური თემაა მშობიარობის შემდგომი დეპრესია. საინტერესოა, რასთან არის დაკავშირებული მისი არსებობა და როგორ შეიძლება მდგომარეობის უმტკივნეულოდ გამოსწორება.

ყველა ორსულისათვის შვილის მოლოდინი ერთდროულად სასიხარულოცაა და გარკვეულ ნერვიულობასთან ასოცირებულიც. ახალნამშობიარევი ქალების 10-15% მშობიარობის შემდგომ დეპრესიას უჩივის, რომლის არსებობაც სხვადასხვა მიზეზთან და გარემოებასთანაა დაკავშირებული.

## მიზეზები

ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს პერიოდში იყო ეს საკითხი აქტუალური. დეპრესიის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ლაქტაცია, ცხოვრების არასწორი წესი, დაღლილობა, დაბნეულობა... მოკლედ, ეს პრობლემა საკმაოდ ძველია, მაგრამ რატომღაც ძველად ამაზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ.



მშობიარობის შემდგომი დეპრესია საკმაოდ სახიფათო შეიძლება იყოს, რადგან ახალბედა დედის ნევროზისაკენ მიდრეკილებას იწვევს. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ჩვილზე — ერღვევა ძილის რეჟიმი, უსუსტდება იმუნიტეტი და ჭირვეულობს.

## როგორ შევამსუბუქოთ მდგომარეობა

პირველ რიგში, საინტერესოა, შეიძლება თუ არა ამ მდგომარეობის თავიდან აცილება. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია, თუ ოთხ წესს გავითვალისწინებთ:

**1. ახლობლების დახმარება** — ახალბედა დედიკოს, პირველ რიგში, ახლობლების ყურადღება, სიყვარული და თანადგომა სჭირდება. ახალნამშობიარევი ქალისთვის აუცილებელია სიმშვიდე და დასვენება, ძალებისა და ენერგიის აღდგენა. სწორედ ამიტომ, თუ ოჯახის წევრები პატარას მოვლაში დახმარებას შემოგთავაზებენ, უარი არ თქვათ.

**2. გართობა** — მშობიარობის შემდეგ არაა საჭირო ოთხ კედელშუა გამოკეტვა და მხოლოდ ჩვილზე ზრუნვა. მნიშვნელოვანია, თუნდაც კვირაში ერთხელ მაინც მოახერხოთ სახლიდან გასვლა. გაისეირნეთ, შეხვდით მეგობრებს, იშოპინგეთ, მოკლედ, გაერთეთ და სხვა რამეზე გადაიტანეთ ყურადღება. ახალნამშობიარევი ქალისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია გარემოს შეცვლა, საკუთარ თავზე ზრუნვა. წადით სილამაზის სალონში და ახალი, ლამაზი ვარცხნილობა გაიკეთეთ, არც სპა პროცედურებზე თქვათ უარი.

**3. დრო ადაპტაციისთვის** — სამშობიაროდან ახალი გამოსული ხართ, მაგრამ დედობრივ ინსტინქტს, რომელზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ, ჯერ არ განიცდით?! არ ინერვიულოთ. გარკვეული დრო სჭირდება იმას, რომ მიეჩვიოთ, გაითავისოთ, რეალურად აღიქვათ თქვენი ახალი როლი და ახალი ცხოვრება.

**4. ძლიერი ჯანმრთელობა** — ახალნამშობიარევი ქალისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა. რაც უფრო ჯანსაღი, ენერგიული იქნება დედა, რაც უფრო კარგ განწყობაზე და ხალისიანი, მით უფრო შემცირდება მშობიარობის შემდგომი დეპრესიის ალბათობა.

ეცადეთ, საკუთარ თავზე თავად იმუშაოთ — აიმაღლეთ გუნება-განწყობა, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, მიიღეთ ორგანიზმის მოსაძლიერებელი ვიტამინების კომპლექსი.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

# როგორ დავიცვათ ბავშვები ტკიპებისგან

თუ თვლით, რომ ტკიპა კანზე მხოლოდ ბუნებაში სეირნობის დროს ეწებება, ძალიან ცდებით! ტკიპა ქალაქშიც შეიძლება ჩვენი სტუმარი აღმოჩნდეს — „მოგიყვანოთ“ კატამ, ძაღლმა, იყოს პარკებსა და სკვერებში, სავსებით შესაძლებელია, ტრანსპორტით მგზავრობისას მოგეწებოთ და ა.შ.



ტკიპების აქტივობის პიკი მაისი და ივნისია. ისინი იმალებიან ბალახებში, მორებთან ახლოს და მსხვერპლს მოთმინებით ელიან. უმეტესად მათი დისლოკაციის ადგილებია კისერი და თავის თმიანი ნაწილი. ტკიპას ნაკბენი არ არის სახიფათო ჯანმრთელობისთვის, მაგრამ აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ მოიქცეთ, რომ ბავშვს ეს პარაზიტი უმტკივნეულოდ მოაცალოთ.

მოცილებისას უნდა იყოთ ფრთხილები და თანმიმდევრულები, რათა პარაზიტი ჭრილობაში უფრო ღრმად არ შეიჭრას. დაინფიცირების ალბათობა მატულობს იმ შემთხვევაში, თუ ტკიპას მოცილებისას მისი თავი ნაკბენ ადგილზე ჩარჩება. როგორ მოიქცეთ, თუ ასე მოხდა?

ეცადეთ, ტკიპას გარშემო ძაფი შემოახვიოთ, შემდეგ ფრთხილად გაკვანძეთ და ეცადეთ, თქვენკენ მოქაჩოთ (ამ მოქმედების გამეორება შეიძლება რამდენჯერმე დაგჭირდეთ). როცა ბავშვს კანიდან ტკიპას მოაცილებთ, ნაკბენი ანტისეპტიკური საშუალებით უნდა დაამუშაოთ და ხელები საპნით დაიბანოთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ტკიპის მოცილების შემდეგ პატარასთვის სპეციალური ანალიზის ჩატარება, სხვადასხვა დაავადებისა და გართულებების ალბათობა რომ გამოირიცხოს. დაიმახსოვრეთ, ინკუბაციური პერიოდი კბენიდან 10 დღე გრძელდება. თუ ანალიზით დაინფიცირება დადგინდა, დროულად დაუწყეთ მკურნალობა და დაავადების სიმპტომების გამოვლენას არ დაელოდოთ.

პროფილაქტიკა — ბავშვების დაცვის საუკეთესო ვარიანტია ვაქცინაცია (განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ენცეფალიტურ რაიონებში ცხოვრობენ).

თუ პარკში, სკვერებსა და ბუნებაში სასეირნოდ დააპირებთ წასვლას, პროფილაქტიკური ღონისძიებები არ დაივიწყოთ. პირველ რიგში, პატარას დახურული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ჩააცვით, გამოიყენეთ რეპელენტები (ცუდი სუნის მქონე პრეპარატები), რომლებიც ტკიპებს აფრთხობენ. სახლში დაბრუნებისას ბავშვს ტანსაცმელი გახადეთ, აბანავეთ, თმა დავარცხნეთ და სხეული კარგად დაუთვალიერეთ.

თუ ამ მარტივ წესებს დაიცავთ, ტკიპების „სტუმრობის“ ალბათობას მინიმუმამდე შეამცირებთ.

# პატარა ქალი-ყაჩაღები

ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თუ მომავალი დედიკო გოგონაზეა ორსულად, ქალის ორგანიზმში მამაკაცური ჰორმონის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ გოგონას ხასიათს. თუ სისხლში ტესტოსტერონის დონე მაღალია, ნუ გაგიკვირდებათ, თქვენმა გოგონამ უპირატესობა მიანიჭოს ხმაურიან თამაშებს, თოჯინებს მანქანები ამჯობინოს და ა.შ. მოკლედ, პატარა ქალი-ყაჩაღი იქნება.



შედარებით მშვიდი და წყნარი ხასიათის ბავშვები იბადებიან მაშინ, თუ ორსულობის პერიოდში ტესტოსტერონის დონე დაბალია. აქვე საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ მამრობითი სქესის ნაყოფის ხასიათზე მომავალი დედის ორგანიზმში არსებული ტესტოსტერონის დონე აბსოლუტურად არ ახდენს გავლენას.



Cyan Magenta Yellow Black

# კახა კოჟორიძე: „საქართველოში სამართლიანობის მოთხოვნილება ქალებს უფრო აქვთ, ვიდრე კაცებს“

## „სიტყვა „მიყვარხარ" ჩემთვის არცთუ ისე ადვილი სათქმელია"



ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს, კახა კოჟორიძეს, მეორე ნახევრის საპოვნელად შორს წასვლა არ დასჭირდა, საია-ში შეხვდა. სტაჟირებაზე მისულმა თინათინ ჩანადირმა მაშინდელი იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორ კახა კოჟორიძესთან გამოცდა შესანიშნავად ჩააბარა. როგორც ჩანს, მაშინვე მოხიბლა კიდეც, რადგან მათ შორის რომანი მალევე დაიწყო. „თინი ძალიან ლამაზი და ამავდროულად ერთ-ერთი ჭკვიანი გოგოა, ვისაც ვიცნობ“, — აღნიშნა კახამ ჩვენთან საუბარში. მათ უკვე 5 თვის ალექსანდრე ჰყავთ. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ საია-ს თავმჯდომარეს 30-მდე ლექსი აქვს დაწერილი და მათი უმრავლესობა მის ცოლს ეძღვნება.

**— ბატონო კახა, მანდილოსნებზე უნდა ვისაუბროთ, ამიტომ თქვენი ცხოვრების თანამგზავრით დავიწყოთ. სად შეხვდით ერთმანეთს?**

— თინათინ ჩანადირი 2010 წლის 3 სექტემბერს საია-ში გავიცანი. ყოველ 6 თვეში სტაჟირების პროგრამა გვაქვს და ჩემი მომავალი მეუღლეც ამისთვის მოვიდა. მაშინ იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორი ვიყავი და თანაშემწეებთან ურთიერთობა მიწევდა. საშუალება მომეცა, თინი ახლოს გამეცნო და მინდა გითხრათ, რომ მალე მომხიბლა. რაც კაცს ქალში მოსწონს, პირველი ფიზიკური სილამაზეა, თინი კი ძალიან ლამაზია, მაგრამ ჩემთვის მხოლოდ გარეგნობა გადამწყვეტი არასოდეს ყოფილა. ძალიან მალე მივხვდი, რომ ჩემი მომავალი მეუღლე სხვა მხრივაც ძალიან მომწონდა — თვისებებით, ინტელექტით, რასაც ქალში აუცილებლად ვაფასებ. თანაშემწის ფუნქციებს დასაწყისშივე ძალიან კარგად გაართვა თავი. სიმართლე გითხრათ, ისე მაინტერესებდა, რას როგორ შეასრულებდა, ერთხელ სპეციალურად საკმაოდ რთული დავალებაც მივეცი, რაც ძალიან კარგად შეასრულა. მალე ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს დიდი ხნის განმავლობაში ვიცნობდი.

**— როდის გამოუტყდით სიყვარულში?**

— ერთ თვეში. სიტყვა „მიყვარხარ“ ჩემთვის არცთუ ისე ადვილი სათქმელია, ეს დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს. როცა ამ სიტყვას ამბობ, გარდა იმისა, რომ მისგან საპასუხო გრძნობას მოელი, ეუბნები, შენთვის ყველაფერს გავაკეთებო.

**— და თქვენ რა გააკეთეთ მისთვის?**

— ვერ ვიტყვი, რომ რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება დამჭირდა. იმავე დღეს არ მითხრა, რომ ჩემ მიმართ თვითონაც იმავეს გრძნობდა, მაგრამ სიმპათიები მისგანაც მალე ვიგრძენი. გაცნობიდან ორ თვეში ჩვენი გრძნობა ორმხრივი იყო. წელიწადნახევარი ვიყავით შეყვარებულები. ჩვენი ქორწილის დღე 2012 წლის 28 იანვარია.

**— ამ ხნის განმავლობაში რა თვისებები აღმოაჩინეთ ერთმანეთში?**

— ვერ გეტყვით, რომ დაოჯახების მერე მასში ისეთი რამ აღმოვაჩინე, რაც მანამდე არ ვიცოდი. თინათინი როგორიც გავიცანი, ისეთივე დარჩა. უკვე 5 თვის ალექსანდრეც გვყავს და ძალიან ბედნიერები ვართ. თითქოს ორივესთვის სულ ერთი იყო ბავშვის სქესი, მაგრამ გამოგიტყდებით,რომ ბიჭის დაბადება ძალიან გამიხარდა, გულის სიღრმეში მაინც ვაჟკაცი მინდოდა.

**— შვილისთვის მზად იყავით?**

— ჩემზე მეტად ორგანიზებული ჩემი ცოლია. ნამდვილად არ ვიცოდი, ბავშვს იმდენი რამ თუ სჭირდებოდა. რომ მცოდნოდა, ათჯერ მეტი სჭირდებოდა, შვილზე მაინც ვიფიქრებდი. ამჟამად თინის მშობლებთან ვცხოვრობთ, ბავშვის აღზრდაში ისინიც გვეხმარებიან და ძიძაც ავიყვანეთ. ჩემი ცოლი ძალიან კარგი, მოსიყვარულე დედაა. დედის შვილისადმი დამოკიდებულება პატარა ნიუანსებში იგრძნობა... არ ვარ ეჭვიანი და არ მაქვს იმის პრობლემა, თინის ალექსანდრე ჩემზე მეტად უყვარდეს.

**„საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ქალისა და კაცის უფლებები თანაბარი იყო და ეს იმ პერიოდისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი არ ხდებოდა. საქართველოში ქალის მიმართ ძალადობა არავაჟკაცურ საქციელად ითვლებოდა, რაც სწორ დამოკიდებულებად მიმაჩნია".**

**— ბავშვის აღზრდაში თქვენ თუ მონაწილეობთ?**

— სამწუხაროდ, დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ ვახერხებ. ბავშვთან თამაშისთვის ძალიან ცოტა დრო მაქვს. როცა სახლში ვბრუნდები, ალექსანდრეს ან სძინავს, ან ძილისპირული აქვს. ბოლო პერიოდში ადრე გაღვიძება დაიწყო და მასთან თამაშს ვასწრებ. საია-ში საკმაოდ დაძაბული სამუშაო რეჟიმია, განსაკუთრებით კი თავმჯდომარისთვის. მხოლოდ ჩემზე არ ვამბობ, ყველა თავმჯდომარე ამ დღეში იყო, ოჯახი ჩემსავით არავის ახსოვდა.

**— ეს ცოლქმრულ ურთიერთობებზე ცუდად არ აისახება?**

— თინი თითქმის ყოველდღე მებუზღუნება, მაგრამ კარგად ესმის, ეს რატომაც ხდება. შენიშვნას კი არ მაძლევს, ასე რატომ იქცევიო, უბრალოდ სურვილს გამოთქვამს, იქნებ დღეს ადრე მოხვიდე და რაღაც დავგეგმოთო. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც დეკრეტული შვებულება დაუმთავრდა და სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში შესყიდვების იურისტად მუშაობს. თინი ერთ-ერთი ჭკვიანი გოგოა, ვისაც ვიცნობ.

**— ინტელექტთან ერთად კიდევ რა არის ქალისთვის აუცილებელი?**

— მოსიყვარულეც უნდა იყოს და ქალური ხიბლის მატარებელიც. ღიმილი, ჩაცმის სტილი, ქცევის მანერა ქალზე ბევრს მეტყველებს. ლამაზმა გოგომ როხროხით რომ გადაიხარხაროს, შეიძლება აღარ მომეწონოს. ბევრი კომპონენტია, რაც კაცს იზიდავს. ორი გოგო რომ დავაყენოთ, შესახედად პირველი შეიძლება მეორეზე მეტად მოგეწონოს, მაგრამ ლაპარაკით, ქცევის მანერით და ქალურობით მეორემ უფრო მოგხიბლოს. სამწუხაროდ, ისიც უნდა ვაღიარო, რომ ქალი შეიძლება საუცხოო ადამიანი იყოს, ძალიან ვაფასებდე, მაგრამ თუ ფიზიკურად ლამაზი არ არის, მამაკაცური თვალით ვერ შევხედავ. ახლა სხვა ქალებზე აღარ ვფიქრობ, მაგრამ დაოჯახებამდე ასე ვიყავი. ვფიქრობ, რომ ფიზიკური სილამაზე მთავარია, რაც კაცს ქალში ხიბლავს.

**— საერთოდ რა ტიპის გარეგნობის ქალები მოგწონდათ მანამ, სანამ დაოჯახდებოდით?**

— ჩამოყალიბებული კრიტერიუმები არ მქონია. ქერა გოგოც შეიძლება მომწონებოდა და შავგვრემანიც. ცისფერთვალება გოგოები არასდროს ამომიჩემებია. მაგალითად, თვალის სილამაზეში ფერზე მეტად მის მოყვანილობას ვანიჭებ უპირატესობას. თინათინს ულამაზესი თვალები აქვს, წაბლისფერი თმა... ძალიან ლამაზია.

**— როგორი ქმარი ხართ?**

— დაკავებული, მოუცლელი. ვფიქრობ, ცუდი ქმარი არ ვარ. თავისუფალ დროს ოჯახთან ვატარებ, ვცდილობ, ცოლი ხშირად გავახარო. სიურპრიზებზე მეტად მისთვის სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია — რამდენად ყურადღებიანი, გულისხმიერი და გვერდში მდგომი ქმარი ვიქნები.

**— ეჭვიანი არ არის თქვენი ცოლი?**

— არა, რადგან მან კარგად იცის, რომ ცუდად არ მოვიქცევი.

**— რა ქმნის სტაბილურ ურთიერთობას ოჯახში?**

— სიყვარული მაშინ არის ძლიერი, როცა ურთიერთგაგებას, საერთო ხედვებსა და ღირებულებებს ეფუძნება. წყვილს შეიძლება ერთმანეთი ფიზიკურად ძალიანაც მოსწონდეს, მაგრამ თუ ერთმანეთის გაგება არ ექნებათ, ასეთ სიყვარულს ყოველთვის საფრთხე დაემუქრება. გარკვეული პერიოდის მერე გრძნობა ნელდება და შემდეგ ქრება. ურთიერთობაში მრავალფეროვნებაც საჭიროა.

**— თქვენ როგორ ცდილობთ ურთიერთობის გამრავალფეროვნებას?**

— ეს ძნელი სათქმელია, რადგან ახლა რა სიტუაციაშიც ვარ, სამწუხაროდ, ერთფეროვნება უფრო ჰქვია. ყოველ დილით ადრე უნდა ავდგე, სამსახურში წავიდე და სახლში გვიან ღამით დავბრუნდე. როცა მრავალფეროვნებასა და სიყვარულის გამოხატვაზეა საუბარი, არ არის აუცილებელი, ცოლს ძვირადღირებული საჩუქარი უყიდო. თუნდაც 10 წუთი რომ გამოყო ერთად სეირნობისთვის, შეიძლება ეს უფრო სასიამოვნო იყოს, ვიდრე ყველაზე მაგარ მაღაზიაში ძვირადღირებული სუნამოს, სამკაულის ან სხვა რამის ყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი და კინო ორივეს ძალიან გვიყვარს, წასვლას ხშირად ვერ ვახერხებთ და ორივეს კარგად გვესმის, რატომაც.

**„ქალმა არ უნდა იფიქროს, კაცი ერთხელ მოვხიბლე და ამით ყველაფერი დამთავრდაო. ყოველდღე ფორმაში უნდა იყოს, გამოიპრანჭოს, ფიზიკურ ფორმებზეც უნდა იზრუნოს".**

**— ბუნებით რომანტიკული ხართ?**

— შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკული ვარ. საკუთარ თავს პოეტს ალბათ ვერასოდეს ვუწოდებ, მაგრამ პოეზია ძალიან მიყვარს.

**— თქვენც ხომ არ წერთ ლექსებს?**

— ჩემი პირველი ლექსი არა — კონკრეტუ-



Cyan Magenta Yellow Black

ლი ქალის, უფრო სიტუაციის დამსახურება იყო. სტუდენტობის დროს მთაწმინდაზე ვცხოვრობდი ჩემს დასთან და სხვა სტუდენტებთან ერთად. ბევრ მათგანს პოეზია იმდენად უყვარდა, ხშირად ვიკრიბებოდით და ლექსებს ვკითხულობდით. ისე მოხდა, რომ ლექსი მეც „დამეწერინა“. 30-მდე ლექსი მაქვს დაწერილი და უმრავლესობა თინათინს ეძღვნება.

— **რა უნდა გააკეთოს ქალმა, რომ მამაკაცისთვის ყოველთვის სასურველი იყოს?**

— ქალი გათხოვდება, შვილები ეყოლება თუ სხვა საქმით იქნება დაკავებული, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა მიხედოს. არ უნდა იფიქროს, კაცი ერთხელ მოვხიბლე და ამით ყველაფერი დამთავრდაო. ყოველდღე ფორმაში უნდა იყოს, გამოიპრანჭოს, ფიზიკურ ფორმებზეც უნდა იზრუნოს.

— **გამხდარი უნდა იყოს?**

— საერთოდ ამის მომხრე ვარ, მაგრამ იმას არ ვამბობ, რომ ავადმყოფურად გამხდარი იყოს. ქალს თავისი სტილი უნდა გააჩნდეს, იცოდეს, რა უხდება და რა — არა.

— **როგორი ჩაცმულობა მოგწონთ ქალზე?**

— გარემოებას გააჩნია. ჩემს მეუღლეს ხშირად ვურჩევ სამოსს, მაგრამ აკრძალვა არ მჩვევია. თანაც,

**„ჩემს მეუღლეს ხშირად ვურჩევ სამოსს, მაგრამ აკრძალვა არ მჩვევია... მისთვის კაბაც შემირჩევია და სხვა ტანსაცმელიც. თვალის ზომით ვხვდები, რა როგორ მოერგება და მოუხდება".**

მან კარგად იცის, სად რა ჩაიცვას. როცა საზღვარგარეთ მიწევს წასვლა, მისთვის კაბაც შემირჩევია და სხვა ტანსაცმელიც ისე, რომ არც მიკითხავს, ესა თუ ის სამოსი მოეწონებოდა თუ არა. კარგად ვიცი, რა მოუხდება და რა მოეწონება. ბოლოს ამერიკაში ვიყავი, ორი კაბა ვუყიდე და ორივე მოეწონა. სიმართლე გითხრათ, ტანსაცმლის ზომებს არც ვაკვირდები, თვალის ზომით ვხვდები, რა როგორ მოერგება და მოუხდება. თინისთვის საჩუქრის შერჩევაში არასოდეს შევმცდარვარ.

— **როგორი ჩაცმულობის ქალმა შეიძლება თქვენში აგრესია გამოიწვიოს?**

— ქალების მიმართ აგრესიას არასდროს გამოვხატავ, მაგრამ როცა ქალი ძალიან მსუქანია და მოტკეცილი სამოსი აცვია, უნდა მიხვდეს, რომ არ უხდება. ალბათ არც ერთი მამაკაცისთვის იქნება კარგი შესახედი.

— **პლასტიკურ ქირურგიას არაერთი მანდილოსანი მიმართავს, ამაზე რა აზრის ხართ?**

— აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ თუ ეტყობა, რომ ტუჩი და მკერდი არაბუნებრივად გაზრდილი აქვს ან ცხვირი დაპატარავებული, ეს უკვე არ მომწონს. როცა პლასტიკური ქირურგია ქალის სხეულის ფორმებს ბუნებრიობას სძენს, ეს უკვე ყველასთვის მისაღებია. ჯანმრთელობა არ უნდა გადააყოლო სილამაზეს, მაგრამ როცა იცი, რომ ეს ყველაფერი უსაფრთხოა, ალბათ უნდა გარისკო.

— **როგორ ფიქრობთ, თუ ქალი ძლიერი პიროვნებაა, ყველა სფეროში მამაკაცის თანაბრად შეუძლია მუშაობა?**

— არსებობს გარკვეული სფერო, საკითხები, სადაც, როგორც წესი, მამაკაცი უფრო ძლიერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის ასეა. მაგალითად, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონები ქართველი ქალები ხდებოდნენ. საია-ში უმეტესად ქალები მუშაობენ. ერთი მხრივ, ეს შეიძლება იმითაც არის განპირობებული, რომ საქართველოში ქალები კაცებს ჭარბობენ, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის მოთხოვნილება ქალებს უფრო მეტად აქვთ, ვიდრე კაცებს. ამას ისიც მოწმობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებშიც ქალები ჭარბობენ.

— **ქართველ ქალებს ძირითადად რა პრობლემები აქვთ? ხშირად ამბობენ, რომ ოჯახში მათი დისკრიმინაცია ხდება.**

— არ ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალების დისკრიმინაციაა, თუმცა ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. ამ საკითხებზე ჩვენი ორგანიზაციაც მუშაობს და, სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები გვაქვს. მე მართლა არ მესმის იმ კაცის, ვინც ქალზე ძალას იხმარს. ოჯახურ ცხოვრებაში ქალი შეიძლება ცუდად მოიქცეს, მაგრამ კაცს უნდა შეეძლოს, საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე არ მივიდეს. ამას მხოლოდ ისე არ ვამბობ, როგორც იურისტი და უფლებადამცველი. ჩემთვის, როგორც მამაკაცისთვის, ქალზე ძალის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია. სამწუხაროდ, ეს საქციელი ყოველდღიური ცხოვრების წესად არაერთ კაცს ექცა, მაგრამ საპირისპიროსაც გეტყვით, როცა ქალებისაგან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი კაცები ხდებიან.

რაც შეეხება ქალების უფლებრივ მდგომარეობას, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ქალისა და კაცის უფლებები თანაბარი იყო და ეს იმ პერიოდისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი არ ხდებოდა. ჩვენს ადრინდელ ისტორიასაც თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქალისადმი ქართული ტრადიცია მოკრძალებულ დამოკიდებულებას იჩენს. ძველად საქართველოში ქალის მიმართ რაიმე ძალადობის გამოვლენა სირცხვილად, თავისმოჭრად და არავაჟკაცურ საქციელად ითვლებოდა, რაც მე აბსოლუტურად სწორ დამოკიდებულებად მიმაჩნია.

✓ სოფიო ბოჭორიძე

## გაუწონასწორებელი იბრაჰიმოვიჩი



■ ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ფრანგულ კლუბ „პსჟ“-ის თავდამსხმელმა, ცნობილმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, რომლის გუნდმაც გასულ კვირას „ლიონთან“ მატჩის შემდეგ (1:0) ვადაზე ადრე გაიფორმა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, გუნდის გასახდელში კლუბის სპორტულ დირექტორ ლეონარდოსთან იჩხუბა.

მატჩის საფინალო სასტვენისთანავე ფეხბურთელი დოპინგტესტის ჩასაბარებლად გამოიძახეს, რამაც მისი უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია, ვინაიდან გუნდის დანარჩენი წევრები იმ მომენტში ოქროს მედლების მოგებას ზეიმობდნენ. თვითმხილველთა თქმით, რომლებმაც ჩხუბი ვიდეოკამერით გადაიღეს, გუნდის გასახდელში დაბრუნებული იბრაჰიმოვიჩი მაშინვე თავს დაესხა ლეონარდოს.

— მე იქ 20 წუთი ვიჯექი და გამოსვლა არ შემეძლო! შენ ყოველთვის ყველაფერს აფუჭებ! — მიაძახა იბრაჰიმოვიჩმა კლუბის სპორტულ დირექტორს.

## მასიმო კარერას ავტოავარიისთვის პატიმრობა მიუსაჯეს

იტალიის ქალაქ ბერგამოს სასამართლომ არაწინასწარ განზრახვით მკვლელობისთვის 2,5 წლის პატიმრობა მიუსაჯა ტურინის საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე მასიმო კარერას. ამას იტყობინება იტალიური გამოცემა „ლა გაზეტა დელო სპორტის“ ვებგვერდი.



■ მასიმო კარერა

კარერა იმ ავტოავარიის გამო დაისაჯა, რომლის დროსაც ორი ქალი დაიღუპა. 2011 წლის 1 იანვარს „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწის ავტომობილი მეორე მანქანას შეეჯახა, რომელშიც 2 სტუდენტი გოგონა იმყოფებოდა. ერთი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა, ხოლო მეორე — მოგვიანებით საავადმყოფოში.

სასამართლოზე პროკურორმა დამნაშავე მწვრთნელისათვის 3 წელი და 4 თვე პატიმრობა მოითხოვა. პროკურორს განსაკუთრებით ის აღიზიანებდა, რომ კარერა სასამართლო სხდომებს არ ესწრებოდა. მოსამართლე დაეთანხმა ადვოკატების მტკიცებას, რომ „იუვენტუსის“ მწვრთნელი ვერაფრით მოახერხებდა მეორე მანქანასთან შეჯახების თავიდან აცილებას, მიუხედავად ამისა, კარერას გამამართლებელი განაჩენი მაინც არ გამოიტანა.

მასიმო კარერა 1982-დან 2008 წლამდე თამაშობდა ტურინის „იუვენტუსში“ და მის შემადგენლობაში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ტურინულ კლუბთან ერთად მოიგო ჩემპიონთა ლიგა, უეფა-ს თასი და სუპერთასი, ქვეყნის ჩემპიონატი, თასი და სუპერთასი.

2011 წელს კარერამ „იუვენტუსის“ ტექნიკური დირექტორის თანამდებობა დაიკავა, ხოლო 2012-13 წლების სეზონში გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობასაც ითავსებდა, სანამ კლუბის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე დისკვალიფიკაციას იხდიდა ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობისთვის. კარერას ხელმძღვანელობით ტურინელებმა იტალიის სუპერთასი მოიგეს.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black



# რატომ აითვალწუნეთ სამსახური?

თუ სამუშაოს აღიქვამთ, როგორც კატორღას, თუ ცინიზმში ხშირად გადანაშაულებენ, თუ კლიენტები და კოლეგები თქვენში გაღიზიანების მეტს არაფერს იწვევენ, მაშასადამე, ემოციურად გადაიწვით.

ტერმინით „გადაწვა“ ფსიქოლოგები აღნიშნავენ ემოციურ გამოფიტვას, რომელიც ყველაზე ხშირად სამუშაოსა და მოვალეობების მიმართ მზარდი გულგრილობით ვლინდება.

ფსიქოლოგებმა დაადგინეს: ემოციური გადაწვისკენ ყველაზე მეტად მიდრეკილები არიან ისინი, რომელთა მოვალეობებში შედის ადამიანებთან ურთიერთობა. ესენი არიან: ექიმები, მასწავლებლები, მომსახურების სფეროს მუშაკები. აგრეთვე ისეთი დადებითი თვისებები, როგორიცაა თანაგრძნობა, ლმობიერება, სამუშაოთი გატაცება, პროცესს უფრო აჩქარებს.

არსებობს სხვა რისკფაქტორებიც. ფინელი მკვლევრების თანახმად, ყველაზე ხშირად „იწვიან“ შრომისდამკვრელები, რომლებიც სამუშაო ადგილზე კვირაში 45 საათზე მეტს ატარებენ. აგრეთვე ისინი, რომელთა დამსახურებაც ხელმძღვანელობამ და კოლეგებმა დროულად არ შეაფასეს, მადლიერება არ გამოხატეს. თანამშრომლები თანდათან მაღალ თვითშეფასებას კარგავენ და თავიანთი მოვალეობების მიმართ უფრო გულგრილ, დაუდევარ დამოკიდებულებას იჩენენ. კიდევ ერთი რისკფაქტორი — ეს არის მონოტონური საქმიანობა, ერთფეროვანი, მოსაწყენი დავალებები, რომლებიც შემოქმედებით გადაწყვეტილებებს არ ითხოვს.

სპეციალისტები აფრთხილებენ კონსერვატორებს, რომ ერთსა და იმავე ადგილზე და ერთსა და იმავე კომპანიაში ხანგრძლივად მუშაობა თანამშრომლის „გადაწვას“ ხელს უწყობს. მოსამსახურეები, რომლებიც ერთ ადგილზე 15 წელზე მეტ ხანს მუშაობენ, 5-ჯერ უფრო მეტად მიდრეკილი არიან ემოციური გადაწვისკენ იმათთან შედარებით, ვინც ერთ ადგილზე არაუმეტეს 4 წლისა რჩება.

## ცინიზმი — „ავადმყოფობის" ნიშანი

ფსიქოლოგები ემოციური გადაწვის რამდენიმე სტადიას გამოყოფენ. პირველ სტადიაზე ძნელია ეჭვის მიტანა, რომ თანამშრომელი ეს-ეს არის „დაიწვება“. პირიქით, სამუშაოთი მეტად გატაცებული ჩანს — ხშირად სამსახურში გვიანობამდე რჩება, სადილზე უარს ამბობს, კოლეგებთან საუბრებში არ მონაწილეობს და ფულს საყვარელი საქმიანობით შოულობს. პირველ სტადიას მეორე მოჰყვება, რომელსაც თან ახლავს დაღლა, შფოთვის და ფიზიკური უქეიფობის მუდმივი შეგრძნება.

მესამე სტადიაზე ემოციური გადაწვის ნიშნები აშკარად იკვეთება. მაგალითად, ექიმი, რომელიც წინათ თითოეულ პაციენტს თანაუგრძნობდა, ახლა ავადმყოფებს აღიქვამს, როგორც უსულო საგნებს, უფრო ცინიკოსი ხდება. როგორც წესი, ამავე დროს აქცენტი მატერიალურ მხარეზე კეთდება: „თანაგრძნობისთვის არ მიხდიან! ვაკეთებ იმას, რაც ჩემს მოვალეობებში შედის. ნუ მოითხოვთ, რომ სამუშაოში სული ჩავდო“.

ბოლო სტადიაზე თანამშრომელს არამხოლოდ კლიენტები, კოლეგები და ხელმძღვანელობა აღიზიანებს, ასევე — საკუთარი თავიც. სამუშაოთი დაკმაყოფილების გრძნობა ქრება, თვითშეფასება ქვეითდება, საკუთარი ძალის რწმენა იკარგება.

## ხანძარს ვაქრობთ

როგორ მოიქცეთ, თუ თქვენში ემოციური გადაწვის სიმპტომები აღმოაჩინეთ? არსებობს თავის დახმარების რამდენიმე მეთოდი.

განსაზღვრეთ მიზანი. რატომ მუშაობთ, თუ სიხარული არ მოაქვს? მიზანი შეიძლება იყოს გრძელვადიანი, მაგალითად, დაწინაურების მოლოდინი ან მოკლევადიანი — შეკრებაზე წარმატებით გამოხვიდეთ. სპეციალისტები გირჩევთ, მოკლევადიანი მიზნები არ უგულებელყოთ. ნებისმიერი წარმატება საბაბია, თავით იამაყოთ და თვითშეფასება განიმტკიცოთ.

**დაისვენეთ.** თუ გრძნობთ, რომ დაიღალეთ, შვებულება აიღეთ! როგორც ცნობილია, ვინც კარგად ისვენებს, კარგად მუშაობს!

**ისწავლეთ.** სპეციალისტები თვლიან, რომ ახალი ცოდნის შეძენა და პროფესიული გამოცდილების გაცვლა ემოციური გადაწვის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ასე რომ, უარს ნუ იტყვით კონფერენციებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობებზე.

**არ შეეჯიბროთ.** პერფექციონისტები სამუშაოზე სხვებზე უფრო სწრაფად იწვიან. სურვილი, ყოველთვის საუკეთესო იყო — მძიმე შრომაა, რომლის ხანგრძლივად ატანას იშვიათად თუ ვინმე შეძლებს. ამიტომ არ ღირს, თავი დაადანაშაულოთ იმისთვის, რომ ვიღაცას კონკურენტულ ბრძოლაში პირველობა დაუთმეთ.

**სამუშაო შეიცვალეთ.** ზოგჯერ ეს თავის, როგორც პროფესიონალის, გადარჩენა-შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა.

დაბოლოს, გერმანელი მეცნიერები თვლიან, რომ ფიზიკური აქტივობა ემოციური გადაწვის თავიდან აცილებას ეხმარება. მათი აზრით, სპორტული წვრთნები თანამშრომლების ფსიქიკას დაზიანებისგან იცავს. ვინც კვირაში 4 საათის განმავლობაში ვარჯიშობს, მათთვის გადაწვის ან დეპრესიის ალბათობა 2-ჯერ უფრო ნაკლებია იმათთან შედარებით, ვინც სპორტს საერთოდ არ მისდევს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## უარყოფითი ემოციები — დარტყმა ღვიძლზე

დადგენილია, რომ ჭარბი ნეგატიური ემოციები ღვიძლის მუშაობაში უთანხმოებას იწვევს. ირღვევა საჭმლის მონელება, გვერდში სიმძიმე შეიგრძნობა, მაშინაც კი, თუ ადამიანი არ სვამს, ცდილობს, სწორად იკვებოს, ძლიერ პრეპარატებს არ იღებს.



ღვიძლის ფსიქოსომატური დაავადებები დამახასიათებელია ადამიანებისთვის, რომლებიც მუდამ განიცდიან შიშს, ზიზღს, სიძულვილს, ბრაზს, ღვარძლს, გულისწყრომას. ენერგეტიკის დონეზე ღვიძლს შეიძლება ვუწოდოთ უარყოფითი ემოციების „საცავი“. როდესაც მსგავსი ემოციების ზეგავლენის ქვეშ ხანგრძლივად ვიმყოფებით, თავს უფლებას არ ვაძლევთ ან უბრალოდ, მათი ამოფრქვევის შესაძლებლობა არ გვაქვს, ჯანმრთელობა უდაოდ უარესდება და პირველი ღვიძლი იტანჯება. როგორ დავეხმაროთ თავს?

ყველა შეკავებული ემოცია დაწერეთ და ისიც, მათ გამომწვევ მიზეზებზე რას ფიქრობთ. მაგალითად, ჩანაწერი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: „ვბრაზობ შეფზე იმის გამო, რომ უსამართლო და უხეშია“. ან ასე: „ვბრაზობ იმის გამო, რომ სხვებთან შედარებით, ნაკლებად იღბლიანი და წარმატებული ვარ“. შემდეგ იფიქრეთ იმაზე, სიტუაციის შესაცვლელად რა უნდა მოიმოქმედოთ. მაშინაც კი, თუ პრობლემების გადაჭრის გზების პოვნა ჯერჯერობით შეუძლებელია, ეცადეთ, თქვენი გრძნობები ზოგჯერ მაინც ამოაფრქვიოთ. მასზე ისაუბრეთ, დაწერეთ, დღიური აწარმოეთ.

ყოველი ჩანაწერი აუცილებლად პოზიტიური მტკიცებულებებით დაამთავრეთ. მაგალითად: „ვმუშაობ მეგობრულ კოლექტივში. კარგი ანაზღაურება და მოსახერხებელი გრაფიკი მაქვს“.

მაშინაც კი, თუ პოზიტიური მტკიცებულებები არცთუ სრულად შეესატყვისება სინამდვილეს, ასეთი განწყობის წყალობით, სიტუაცია აუცილებლად შეიცვლება უკეთესობისკენ და ჯანმრთელობაც გაუმჯობესდება.



Cyan Magenta Yellow Black

# მომღერალი ექიმები



**გაზაფხული-ზაფხული სწორედ რომ შესაფერისი დროა მკურნალობის ისეთი ეგზოტიკური სახეობისთვის, როგორიცაა ორნიტოთერაპია. ალბათ ცოტა მოიძებნება ადამიანი, ვისაც ფრინველთა გალობა არ მოსწონს, მაგრამ ფრთოსანთა „კრიმანჭული" გარდა იმისა, რომ სმენას ატკბობს, სხეულისთვისაც სასარგებლოა.**

## ჯადოსნური ხმები

რა განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა ჩიტების ჭიკჭიკი?

თუ ადამიანს ხმის გამოსაცემად სახმო სიმები და ბგერის მხოლოდ ერთი წყარო (ზედა ხორხი) გააჩნია, ფრთოსნებს ბევრად უფრო რთული სახმო აპარატი აქვთ, რომელიც ხშირად სხეულის ორ მესამედს წარმოადგენს. სხვადასხვა ბგერები ერთბაშად და ერთდროულად სხვადასხვა ადგილებში, თანაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიქმნება. გამოდის, ყოველი ჩიტი პირობითად, თავისთავად წარმოადგენს მინი-ორკესტრს, რომლის დახმარებით ფრინველი თავის ვირტუოზულ მუსიკალურ ნაწარმოებს ასრულებს. ჩიტების გალობა თავის ტვინის ქერქის სასმენი ზონის მომატებულ აქტივობას იწვევს. ეს, თავის მხრივ, თავის ტვინზე სასიკეთოდ ზემოქმედებს, რომელზეც დამოკიდებულია მთელი ჩვენი ორგანიზმის საქმიანობა. ამგვარი სინქრონიზაციის წყალობით, ყველა ორგანო უფრო აქტიურად, აწყობილად და ჰარმონიულად იწყებს მუშაობას.

## სასარგებლო ზემოქმედება

ფრინველთა გალობა სამყაროს ბუნებრივ ბგერებს მიეკუთვნება, რომლებთანაც გენეტიკურად ვართ დაკავშირებულნი. ის გვესმის ჯერ კიდევ მუცლადყოფნის დროს, ადრეულ ბავშვობაში და მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე. მათში თითქოს ჩადებულია ინფორმაციები იმაზე, ჩვენმა ორგანიზმმა სწორად როგორ უნდა იმუშაოს. ორნიტოთერაპიის შემდეგ ყველა ადამიანი თავს უკეთესად გრძნობს.

## როგორ ვიმკურნალოთ?

უმჯობესია, ეს ყოველდღიურად გააკეთოთ. თუ ძალა გამოგელიათ და ენერგია არ გყოფნით, ორნიტოთერაპიის კურსი დილიდან ჩაიტარეთ. თუ პირიქით, დღის პირველ ნახევარში მხნე და აქტიური ხართ, ხოლო საღამოსკენ ძლიერ იღლებით, უმჯობესია, დღის მეორე ნახევარში იმკურნალოთ, უკეთესია ძილის წინ. ჩიტების ჭიკჭიკით მკურნალობის მეთოდიკა შესამჩნევად განსხვავდება იმის მიხედვით, გამოჯანმრთელებას სად ეცდებით — სახლში თუ ქუჩაში.

ბუნებაში მკურნალობისთვის გამოდგება ტყე, პარკი ან სკვერი, სადაც ჩიტები მგზნებარედ გალობენ. ამავდროულად არ ისმის ქალაქის გუგუნი და არც ხალხმრავლობაა.

სამკურნალო სეანსი მჯდომარე მდგომარეობაში სჯობს. ტყეში თან წაიღეთ გასაშლელი სკამი, დაჯექით, მოდუნდით, თვალები დახუჭეთ და ჩიტების გალობისას რაიმე სასიამოვნოზე იფიქრეთ. ფანტაზიებში თავს ნუ შეზღუდავთ. პოზიტიური განწყობა აუცილებელია. სეანსის ხანგრძლივობა არანაკლებ 10-15 წუთია.

გამოჯანმრთელებას ეხმარება ფრინველებზე დაკვირვებაც. მაგალითად, გედებისა და იხვების გუბურაში გამოკვება 20 წუთის განმავლობაში წნევას ნორმალურს ხდის, თავბრუს ხვევისგან იცავს.

სახლში ეცადეთ, ფრთოსანმა ექიმმა (რა თქმა უნდა, თუ თუთიყუში არ არის), რაც შეიძლება ხშირად იგალობოს. ამის გაკეთება შეიძლება სხვადასხვა ბგერითი სტიმულატორების (კლასიკური მუსიკის ან ხალხური სიმღერების) დახმარებით. სხვათა შორის, ონკანიდან წყლის რაკრაკზე საყვარელი ფრთოსანი სიმღერით რეაგირებს.

## რომელ ფრინველებს მოვუსმინოთ?

ორნიტოთერაპევტები გირჩევენ, კონკრეტული დაავადების დროს რომელ ფრინველს მოუსმინოთ.

ბულბული — დეპრესია, თავის ტკივილი, სისუსტე, ქრონიკული დაღლა; შაშვი — გულის დაავადებები, ქრონიკული ჰიპერტონია, ტაქიკარდია; გულწითელა — შაკიკი, სპაზმები და ტკივილი ღვიძლსა და კუჭში; უსიამოვნო შეგრძნებები კლიმაქსის დროს; ბეღურა — შფოთვა, სტრესის შემდეგ სისუსტე; ტოროლა — მაღალი არტერიული წნევა, ბრონქიტი; კანარის ჩიტი — ძლიერი თავის ტკივილი, მაღალი წნევა, დეპრესია, ტკივილი კუჭ-ნაწლავში; ჩიტბატონა — სხვადასხვანაირი წარმოშობის ტკივილი; წივწივა — უძილობა, შფოთვა.

## სატაცური — მკურნალიც და კოსმეტოლოგიც



მსოფლიოს გურმანები ირწმუნებიან, რომ სატაცური არაჩვეულებრივი მცენარეა. სატაცური (იგივე ასპარაგუს) ხახვისა და ნივრის ახლო ნათესავია. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ამ მცენარეს მაღალ შეფასებას აძლევდნენ, რასაც მოწმობს პირამიდების კედლებსა და სარკოფაგებზე აღბეჭდილი მისი გამოსახულებები. მრავალ ქვეყანაში სატაცური სპეციალურად სამკურნალო მიზნით მოჰყავთ.

სატაცური შესანიშნავი წყაროა საკვები უჯრედისების, K, A, C, E და B ჯგუფის ვიტამინების, ასევე ფოლის მჟავის, სელენის, თუთიის, მანგანუმის, კალიუმის, კალციუმის, რკინის. ამავდროულად დაბალკალორიული ბოსტნეულია. ხალხური მედიცინა ამ მცენარეს გახშირებული გულისცემის, გულის უკმარისობის, შარდვის გაძნელების დროს იყენებს. გარდა ამისა, სატაცური შესანიშნავი აფროდიზიაკია.

არსებობს სატაცურის სამი სახეობა: მწვანე, თეთრი და იისფერი. თეთრს მოტკბო, ოდნავ ცხარე გემო აქვს, მწვანესა და იისფერს — გაჯერებული.

კულინარები სატაცურს დელიკატესად მიიჩნევენ. ყლორტები შეგიძლიათ მოხარშოთ, მოშუშოთ, დააკონსერვოთ, სხვადასხვა სალათების, წვნიანებისა და გარნირის მოსამზადებლად გამოიყენოთ. ამ ბოსტნეულს ძალიან უხდება კოჭა, გამხმარი ქინძი, ყველა სახის წიწაკა, ასევე ლიმონის წვენი.

სატაცურმა კოსმეტიკაშიც ჰპოვა გამოყენება. ის შეიცავს ნივთიერებას, რომელიც კანს ათეთრებს. მშრალი და პრობლემური კანისთვის სატაცური უბრალოდ ხსნაა.

ქორფა სატაცურისა და რძისგან პიურე გააკეთეთ. შემდეგ ცოტა თაფლი და ზეითუნის ზეთის 1-2 წვეთი დაუმატეთ, ყველაფერი კარგად აურიეთ და სახეზე 15 წუთი დაიდეთ. შემდეგ ოთახის ტემპერატურის წყლით ჩამოიბანეთ.

## ცოლებს ქმრებთან ჩხუბი აბერებთ

ანდაზა „ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო" — ჭეშმარიტებას ყოველთვის არ შეესაბამება. ამერიკელმა მეცნიერებმა 30-40 წელი ქორწინებაში მყოფი 50 წყვილი გამოიკვლიეს. სისხლის იმუნოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ცოლ-ქმარში, რომლებიც ურთიერთობებს კვირაში რამდენჯერმე არჩევენ ნეგატიური ენერგიის ამოფრქვევით, ორგანიზმის წინააღმდეგობს უნარი ქვეითდება. ეს ინფექციების შეძენის, კიბოთი დაავადების რისკს ზრდის და დაბერების პროცესს აჩქარებს. სტრესისგან განსაკუთრებით ქალები იტანჯებიან — მათი იმუნური სისტემა უფრო სუსტია.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

## ლატარიაში 590 მილიონი გათამაშდა

ამერიკული ლატარია „ფაუერბოლის“ ბილეთმა რეკორდული თანხა — 590 მილიონი დოლარი მოიგო. 19 მაისის დილას ლატარიის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მომგებიანი ბილეთი ფლორიდის შტატში გათამაშდა, იღბლიანის ვინაობა კი ჯერ არ არის ცნობილი.



აღნიშნულ გათამაშებაში მოგების შანსი 175 მილიონიდან 1 იყო, ჯეკპოტის თანხა კი 2 თვის განმავლობაში გროვდებოდა. წინა რეკორდული თანხა 2012 წლის ნოემბერში გათამაშდა და მაშინ მოგება სამმა ადამიანმა გაიყო, რომლებსაც ბილეთებზე ერთი და იგივე ციფრები ჰქონდათ მონიშნული.

შეგახსენებთ, რომ ლატარია „ფაუერბოლი“ ამერიკის შეერთებული შტატების 43 შტატში თამაშდება.

## ესპანეთში უფასო რესტორანი გაიხსნა

ესპანეთის ქალაქ ტერასაში გაიხსნა რესტორანი, სადაც შეგიძლიათ ისე ისადილოთ, რომ არ გადაიხადოთ. სადილის საფასურად რესტორნის სამზარეულოში ჭურჭელს დარეცხავთ ან ოფიციანტის მოვალეობას შეითავსებთ. ყოველდღიურად აქ 70-მდე ადამიანი სადილობს. ეს ადგილი განსაკუთრებით პოპულარულია ბავშვებში და უმუშევრებში.

როგორც ცნობილია, ესპანეთში ეკონომიკური კრიზისია. უმუშევრობის დონემ კი ქვეყანაში უკვე 27%-ს გადააჭარბა.

## აგურების კოლექცია

78 წლის ბრიტანელი ნეილ ბრიტელბენქი 1990 წლიდან მოყოლებული აგურების შეგროვებითაა დაკავებული. მისი ქალიშვილი გეილიც კი საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს მამისთვის იშვიათი ფორმისა და ზომის აგურებს აგროვებს. ნეილის კოლექციაში უკვე 1000 აგურია, რომელთაგან ყველაზე ძველი 1892 წლით თარიღდება.





როგორც კოლექციონერი ამბობს, ყველა მათგანს თავისი ისტორია აქვს. „თითოეული აგური ჩვენი ისტორიის ნაწილია“, — აცხადებს ნეილი.

## ჩინეთში სიამის ტყუპები დაიბადნენ



ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში სიამის ტყუპები დაიბადნენ. გოგონებს ორი თავი, ორი ხერხემალი და ორი გული აქვთ, მაგრამ მარცხენა ხელი მხოლოდ ერთისთვის მუშაობს, მარჯვენა კი — ორივესთვის. დანარჩენი ორგანოები საერთო აქვთ, რის გამოც მათი განცალკევება შეუძლებელია.

ექიმების განცხადებით, გოგონები თავს კარგად გრძნობენ და ისინი სიცოცხლეს ჩვეულებრივად შეძლებენ.

## თავში ისარგაყრილი კატა ცოცხალი გადარჩა



2 წლის კატას, სახელად ბისის, მეზობლად მცხოვრები ბიჭის ნასროლი ისარი თავში საკმაოდ ღრმად შეერჭო. მიუხედავად ამისა, კატა სიარულსა და კნავილს მაინც აგრძელებდა. პატრონმა, რენდოლფ ჰენდერსონმა, ბისი ახლომდებარე ვეტერინარულ კლინიკაში წაიყვანა. ვეტექიმის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თავში ისარგაყრილი ცოცხალი კატა დაინახა.

გადაუდებელი ოპერაციის შედეგად ბისი ისრისაგან გაათავისუფლეს და ამჟამად მას სახლში მკურნალობენ.

## ბარბის სახლი დიდებისათვის






მაისის ბოლოს ბერლინში საზეიმოდ გაიხსნა ბარბის სახლი. ჩვეულებრივი ზომის სახლი, რომელიც ვარდისფრადაა შეღებილი და მოწყობილი, დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევს, საკუთარ თავზე მოირგონ ნებისმიერი სახის და დანიშნულების ნივთი. მომხმარებელს შეუძლია, ყველა იმ ფუნქციით ისარგებლოს, რომლითაც თოჯინა ბარბი სარგებლობს.

ბარბის სახლს „ფეისბუქის“ გვერდიც აქვს და უკვე 2.000 ლაიქიც დააგროვა. სურვილის შემთხვევაში, დამთვალიერებლებს გიდი მოემსახურებათ.



Cyan Magenta Yellow Black

## 7 წლის გოგონას საკუთარი „ფერარი" ჰყავს

7 წლის სკარლეტ ჰარი სკოლაში საკუთარი მინი „ფერარით“ დადის. მანქანების ხელოსანმა მამამ, სტიუარტმა, ერთადერთ ქალიშვილს 1962 წლის „ფერარის“ მინი ვერსია საკუთარი ხელით აუწყო. მანქანა საათში 15 კილომეტრს ავითარებს.



ქალთა რალის კლუბის წევრი სკარლეტი იმედოვნებს, რომ მომავალ წელს საკუთარი მანქანით მამაკაცთა რალიში მიიღებს მონაწილეობას. მამამისი სწორედ ამ რალისათვის აპირებს „მერსედეს კუპის“SLR 300-ის მინი ვერსიის შექმნას.

## გოლიათი მამალი



ესექსში ფრინველების ფერმის მფლობელი ჯერემი გოლდსმიტი აცხადებს, რომ მის ფერმაში ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე დიდი მამალი, სახელად პატარა ჯონი. მამალი 1 წლისაა და მისი სიმაღლე 66 სანტიმეტრს აღწევს. თავისი გარეგნობის წყალობით, პატარა ჯონი დანარჩენ ფრინველებს შიშის ზარს სცემს. ის ძირითადად პოპკორნით იკვებება, გარდა ამისა, მის სანახავად მისული სტუმრების მიერ შეთავაზე-



ბულ სენდვიჩებსაც სიამოვნებით მიირთმევს.

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე დიდი მამლის ტიტულის მფლობელი 60 სანტიმეტრი სიმაღლის დეივონია. გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლის განცხადებით, უახლოეს მომავალში პატარა ჯონის სახით მსოფლიოს გინესის ახალი რეკორდსმენი ეყოლება.

## პორტრეტი ყავის ქაფზე

ნიუ იორკში მცხოვრებმა მხატვარმა მაიკ ბრიჩმა თავისი ხელოვნებისთვის ორიგინალური გზა აირჩია და ყავის ქაფზე დაიწყო ხატვა. ის სხვადასხვა პორტრეტებს ერთ-ერთი სახეობის ყავის ქაფზე, კერძოდ კი „ლატეზე“ ხატავს. ლამაზი პორტრეტების შესაქმნელად ფუნჯის ნაცვლად კბილის საწმენდ ჩხირს იყენებს.



მაიკმა ალბერტ აინშტაინიდან დაწყებული და ჯეი ზით დამთავრებული თითქმის ყველა ცნობილი პიროვნების პორტრეტი შექმნა.

## დალაქი, რომელიც გასამრჯელოს ნაცვლად სითბოს ითხოვს




კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰარტფორდში მცხოვრები 82 წლის ენტონი ქიმერისი დალაქია და ბოლო 25 წელია ხელმოკლე კლიენტებს სრულიად უფასოდ ემსახურება. ის მათგან მხოლოდ ჩახუტებას და თბილ მოპყრობას ითხოვს.

1988 წელს ენტონი სამსახურიდან დაითხოვეს, ამიტომ მხოლოდ ნათესავებს სჭრიდა თმას. მალე კი გადაწყვიტა, გაჭირვებულებს დახმარებოდა, დაჯდა ჰარტფორდის პარკში და კლიენტების მიღება დაიწყო. ადრე თუ თავად ელოდებოდა მათ, ახლა ენტონი ყველამ გაიცნო და მის გამოჩენას მოუთმენლად უცდიან.

## კითხვის და ქსოვის ხარჯზე ბრაზილიელ პატიმრებს პატიმრობის ვადა უმცირდებათ



ბრაზილიის ციხეებში მსჯავრდებულებს პატიმრობის ვადის შემცირების სხვადასხვა მეთოდი შესთავაზეს. ზოგნი ერთ წიგნს კითხულობენ პატიმრობის 4 დღით შემცირების სანაცვლოდ, მავანს კი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში 3 დღიანი ჩართვის შედეგად პატიმობის ვადა 1 დღით უმცირდება.

საოცარია, მაგრამ პატიმრების უმრავლეოსობამ ქსოვის შესწავლა არჩია. აღსანიშნავია, რომ მათი ნაქსოვი საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და აშშ-სა და ევროპის სხვა ქვეყნებში იგზავნება საექსპორტოდ. გარდა ამისა, პატიმრები ბრაზილიაში დაწესებული მინიმალური ხელფასის 75 პროცენტს იღებენ.



Cyan Magenta Yellow Black

# რა დოზით გაქვთ ემოციები?



**1. რა გრძნობა დაგეუფლებათ, თუ თქვენი მეგობარი ქალი სხვების ყურადღების ცენტრში მოექცა?**

ა) გამიხარდება — 2

ბ) არ მესიამოვნება — 4

გ) დავაკვირდები, როგორ მოიქცევა — 3

**2. როგორ იქცევით, როცა გაქილიკებენ?**

ა) არაფერს ვაკეთებ, შეიძლება ამას ვიმსახურებდე კიდეც — 1

ბ) საკმაოდ უხეშად ვპასუხობ — 4

გ) ადამიანს, რომელიც დამცინის, საკუთარ ნაკლზე მივუთითებ — 3

**3. როგორ იქცევით, როცა პარტნიორი ინტიმზე უარს გეუბნებათ?**

ა) ეჭვი შემიპყრობს, რომ აღარ ვუყვარვარ — 1

ბ) არა უშავს, შესაძლოა უქეიფოდაა — 2

გ) საშინელ სკანდალს ავტეხ — 4

**4. როცა უსიამოვნებები გაქვთ...**

ა) ვინც მოითმენს, ის მოიგებს — 2

ბ) ბუზღუნს ვიწყებ და გარშემომყოფებს ვაწუხებ — 4

გ) საშინლად განვიცდი და ვნერვიულობ — 1

**5. შემთხვევით უცნობ ქალს შეეჯახეთ, მან კი უხეშად მოგმართათ, როგორ მოიქცევით?**

ა) ვალში არ დავრჩები და საკადრის პასუხს გავცემ — 4

ბ) ვიფიქრებ, რომ უზრდელია და ჩუმად გავეცლები — 3

გ) შევეცდები, სიტუაცია განვუმარტო და დავამშვიდო — 2

**6. რესტორანში შესულმა მეგობარი ქალი მამაკაცის გვერდით დაინახეთ...**

ა) საშინლად არ მესიამოვნება, მაგრამ ჩუმად გამოვბრუნდები უკან — 1

ბ) მივალ და გავარკვევ, ის მამაკაცი ვინ არის — 4

გ) უჩუმრად მივუჯდები მეზობელ მაგიდას და თვალთვალს დავუწყებ — 2

**7. მეგობარ ქალს ტელეფონზე დაურეკეთ სამსახურში, ის კი თქვენთან ერთად კოლეგასაც ესაუბრება, რას იზამთ?**

ა) არ მესიამოვნება და ყურმილს დავუკიდებ — 4

ბ) ვეტყვი, რომ ეს კულტურული საქციელი არაა — 3

გ) შევეკითხები, ვის ესაუბრება და რაზე — 2

**შედეგები:**

**24 ქულაზე მეტი** — ჯიუტი ბრძანდებით. მუდმივად შემტევ პოზიციაში დგახართ. გირჩევთ, ემოციები ცოტათი მაინც მოთოკოთ, ასე საყვარელი ქალისა და გარშემომყოფებისთვისაც უფრო სასურველი ადამიანი იქნებით.

**18-24 ქულა** —ზომიერად ემოციური ბრძანდებით. სხვების აზრი ნაკლებად გაინტერესებთ, ეს კი სასიყვარულო ამბებში შესაძლოა ხელისშემშლელი აღმოჩნდეს. გირჩევთ, უფრო გახსნილი გახდეთ.

**18 ქულაზე ნაკლები** — ემოციები თქვენთვის უცხო ხილია, მათგან დაცლილი ხართ. ეს კარგს არაფერს გიქადით. გირჩევთ, ცოტა გაბრაზდეთ, რამე გატეხოთ ან ბალიშს მუშტები ურტყათ, რათა თქვენი ემოციები გამოხატოთ.

# წინდახედულობა ხომ არ გღალატობთ?

1. ჩვევად გაქვთ, სათადარიგო ავტოკალამი ატაროთ?

2. შეგიძლიათ, სამოგზაუროდ წახვიდეთ და რამდენიმე ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელი ან სათადარიგო ნივთები არ წაიღოთ?

3. სახლში კატა (ძაღლი) გყავთ?

4. სიცოცხლე დაზღვეული გაქვთ?

5. ხშირად მოხვედრილხართ წვიმაში მოუმზადებელი, ქოლგისა და საწვიმარის გარეშე?

6. საოჯახო აფთიაქი გაქვთ?

7. თვლით, რომ ჯობია, რამდენიმე სპეციალობას ფლობდეთ, ვიდრე ერთს და ძალიან კარგად?

8. ფულს სხვადასხვა ადგილას ინახავთ, რომ ნაწილის დაკარგვის შემთხვევაში ხელცარიელი არ დარჩეთ?



9. მაცივარში ყოველთვის გაქვთ მომარაგებული პროდუქტები?

10. თვლით, რომ აუცილებლად უნდა გარისკოთ, რათა წარმატებას მიაღწიოთ?

11. მიგაჩნიათ, რომ აუცილებლად რამდენიმე მეგობარი უნდა გყავდეთ, რათა მარტო არასოდეს დარჩეთ?

12. თქვენთვის იდეალური ვარიანტია, სამსახურში ყველასთან კარგი ურთიერთობა გქონდეთ?

**ქულები ასე დაიწერეთ: 1, 2, 3, 6, 7, 8, 9, 12 კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში და 4, 5, 10, 11 კითხვებზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში თითო ქულა დაიწერეთ.**

**შედეგები:**

**9 ქულაზე მეტი** — გიყვართ თავის დაზღვევა და არასოდეს დგამთ დაუფიქრებელ ნაბიჯს. სანამ რამეს მოიმოქმედებთ, კარგა ხანს ფიქრობთ. არ გიყვართ ძველი ნივთების გადაყრა, თვლით, რომ ისინი შესაძლოა ოდესმე კიდევ გამოგადგეთ. თუ გსურთ, თქვენი ცხოვრება საინტერესო და სასიამოვნო გახდეს, ხანდახან დაუფიქრებელი საქციელისაც ნუ შეგეშინდებათ.

**3-9 ქულა** —საკმაოდ წინდახედული ბრძანდებით, მაგრამ არც ისეთი, ყველაფერს სიფრთხილით რომ ეკიდება. ზომიერება კარგია, რადგან ცხოვრება ბევრ მოულოდნელობას გვიმზადებს.

**3 ქულაზე ნაკლები** — დიდი წინდაუხედავი ვინმე ბრძანდებით. ხშირად დაუფიქრებლად იქცევით. ამის წყალობით ბევრი თავგადასავალი და მოულოდნელობა გელით.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

# სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 5 | 1 | | | | 9 |
| | | 8 | | | | 7 | | |
| 4 | | | | | | | 6 | |
| | 7 | | 4 | 2 | 8 | | | |
| | | 3 | | | 9 | | | |
| 6 | | | | | | 8 | 1 | |
| | | 5 | | | | 2 | 4 | |
| | 9 | | 6 | 7 | | | | 3 |
| 1 | | | | 8 | | | | 7 |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | 4 | | 3 | |
| | 7 | | 9 | | | | 6 | |
| 1 | | | | | 2 | | | 9 |
| | | 2 | | 4 | | 9 | | 1 |
| 6 | | | 5 | | | | 8 | |
| | 3 | | 7 | | | | | |
| | | 5 | | 9 | | 6 | | |
| 2 | | | | | 8 | | 7 | |
| | | | 1 | | 3 | 2 | | 4 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# სმენა ხომ არ დაგაკლდათ?



1. თანამოსაუბრეს ნათქვამის გამეორებას ხშირად სთხოვთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
2. ჩურჩულით ნათქვამს ძნელად არჩევთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
3. ტელევიზორს ხმამაღლა აწეულს უსმენთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
4. გქონიათ შემთხვევა, როდესაც კარის ან ტელეფონის ზარი ვერ გაიგონეთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
5. გთხოვენ, ხმადაბლა ისაუბროთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
6. ლექციებზე, კონფერენციებსა და კრებებზე ცდილობთ, მომხსენებელთან ახლოს დაჯდეთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
7. პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ იმის გამო, რომ თანამოსაუბრის სიტყვები არასწორად გაიგონეთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
8. ანგარიშის გადახდის დროს მოლარისკენ თავს ხრით?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
9. ქალებისა და ბავშვების მეტყველებას უფრო ცუდად არჩევთ, ვიდრე მამაკაცისას?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
10. ცივ ამინდში გაქვთ შეგრძნება, თითქოს ყური საცობით დაგეხშოთ?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
11. გამყიდველისთვის გითხოვიათ, ნავაჭრის თანხა გაემეორებინა?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0
12. თვლით, რომ ადამიანთა უმეტესობა გაურკვევლად ბუტბუტებს?
ა) დიახ — 4
ბ) ზოგჯერ — 2
გ) არა — 0

**შედეგები:**

**0-12 ქულა** — ნორმალური სმენა გაქვთ.

**13-32 ქულა** — ხანდახან გრძნობთ, რომ ცუდად გესმით. საგანგაშო არაფერია, თუმცა სპეციალისტთან ვიზიტი არ გაწყენდათ. ჩვეულებრივი გოგირდის საცობი შეიძლება ხშირად სმენის დროებითი გაუარესების მიზეზი გახდეს.

**33 ქულა და მეტი** — თქვენი სმენა სპეციალისტის გულმოდგინე გამოკვლევას საჭიროებს. აუცილებლად მიაკითხეთ ოტორინოლარინგოლოგს. სპეციალური აპარატით თქვენი სმენის დაქვეითების ხარისხს განსაზღვრავს და შესატყვის მკურნალობას დაგინიშნავთ.

# როგორი დაქალი ხართ?



**1. თქვენი საუკეთესო მეგობარი სხვა ქალაქში გადადის საცხოვრებლად. რამდენად ხშირად მოინახულებთ მას?**
ა) წელიწადში ერთხელ მის სანახავად სპეციალურად წავალ.
ბ) ყოველ ორ წელიწადში აუცილებლად ვესტუმრები.
გ) შევეუვლი, თუ სამსახურიდან მივლინებაში გამგზავნიან იმ ქალაქში, სადაც ის ცხოვრობს.
დ) იშვიათად, მაგრამ ტელეფონით და ელექტრონული ფოსტით პერიოდულად შევეხმიანები.

**2. თქვენი დაქალის შეყვარებულთან ან მის ქმართან ფლირტი გაქვთ?**
ა) დიახ.
ბ) არა.

**3. მეგობარი შეცდომას უშვებს სასიყვარულო ურთიერთობაში, მაგრამ ვერ იტანს შენიშვნებს, თქვენ...**
ა) ჩუმად ხართ, არ გინდათ, თქვენ შორის რაიმე გაუგებრობა მოხდეს.
ბ) სხვის პრობლემებზე იწყებთ ლაპარაკს და რჩევას ირიბად სთავაზობთ.
გ) იწყებთ რჩევების მიცემას, მაგრამ, როგორც კი ამჩნევთ, რომ დაქალი წინააღმდეგობას გიწევთ, ჩუმდებით.
დ) თქვენს აზრს გულახდილად ეუბნებით, გირჩევნიათ, მეგობარი დაკარგოთ, ვიდრე ის უსიამოვნებებში გაეხვეს.

**4. უახლოესმა ადამიანმა გითხრათ, რომ თქვენი დაქალი თქვენზე არცთუ სასიამოვნო სიტყვებს ამბობს, თქვენ...**
ა) პასუხს სთხოვთ ენაჭარტალა დაქალს. თუ მითქმა-მოთქმა გამართლდა, მასთან ურთიერთობას წყვეტთ.
ბ) პასუხს აუცილებლად მოსთხოვთ. მეგობრებად დარჩებით, მაგრამ ურთიერთობა უწინდებური აღარ იქნება.
გ) გაუმხელთ, რაც გაიგეთ. თუ მართალია, დაელაპარაკებით, შეეცდებით გაარკვიოთ, რატომ თქვა ეს და ისევე იმეგობრებთ, როგორც ადრე.
დ) დაივიწყებთ ამის შესახებ.

**5. მაღაზიაში ნივთი ნახეთ, რომლის ყიდვაც დიდი ხანია გინდათ. შეიძინეთ კიდეც, მაგრამ დაქალს ძალიან მოეწონა, შეგიძლიათ დაუფიქრებლად აჩუქოთ?**
ა) დიახ.
ბ) არა.

**6. მნიშვნელოვან სტუმრებს ელოდებით, დაქალსაც სურს მოსვლა, მაგრამ ის ცოტა უცნაური ტიპია, სადილზე კი მართლაც სოლიდურ პიროვნებებს ელოდებით, თქვენ...**
ა) პირდაპირ ეტყვით, რომ არაფრით შეგიძლიათ მისი მიწვევა.
ბ) სადილზე — არა, მაგრამ კოქტეილის წვეულებაზე დაპატიჟებთ.
გ) სადილზე იწვევთ, მაგრამ მკაცრად გააფრთხილებთ, როგორ უნდა მოიქცეს.
დ) შეახსენებთ, როგორი მნიშვნელოვანია ეს წვეულება. იცით, რომ მისი მოსვლა სარისკოა, მაგრამ უარს ვერ ეუბნებით.

**7. დაქალი გთხოვთ, რეკომენდაცია გაუწიოთ კომპანიაში, სადაც თქვენ მუშაობთ. თქვენ კი არა ხართ დარწმუნებული, რომ ამას შეძლებს და არ შეგარცხვენთ. რას მოიმოქმედებთ?**
ა) დაუწერთ საუკეთესო სარეკომენდაციო წერილს.
ბ) ღიად ეტყვით, რომ ეს სამსახური მისთვის შესაფერისი არ არის.
გ) რეკომენდაციას დაუწერთ, მაგრამ გააფრთხილებთ, რომ გსურთ, თქვენი იმედები გაამართლოს.
დ) დაწერთ ნეიტრალურსა და მეტისმეტად ოფიციალურ სარეკომენდაციო წერილს. არ გინდათ, თქვენი პატიოსნება კითხვის ქვეშ დადგეს, თუ ის ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას.

**ქულები ასე გადაანაწილეთ: 1 ქულა პასუხებში: 1) ა, 2) ბ, 3) დ, 4) გ, 5) ა, 6) დ, 7) ა, დანარჩენებში — 0.**

შედეგები:

## 0-2 ქულა — ცვალებადი მეგობარი

უკვე დროა, მეგობრებთან ურთიერთობა სერიოზულად გადაახალისოთ. მართალია, თქვენ არც ისეთი კეთილი ხართ, არც ლოიალური, როგორც თავი გგონიათ, მაგრამ იმედები მაინც არის, რომ უკეთესი მეგობარი გახდებით.

## 3-5 ქულა — კომპანიონი, ორმაგი ნდობაც შეიძლება

გულისხმიერი და მზრუნველი მეგობარი ხართ, თუმცა ზოგჯერ წინ მეგობრის კი არა, თქვენს ინტერესებს აყენებთ. საკუთარ თავს ასეთი შეკითხვა დაუსვით — ყოველთვის ხართ მეგობრის გვერდით მაშინ, როდესაც მას სჭირდებით?

## 6-7 ქულა — ნამდვილი მეგობარი

თბილი, კეთილი და მზრუნველი მეგობარი ბრძანდებით. საბედნიეროდ, თქვენი მეგობრები ნამდვილად აფასებენ იმას, რომ თქვენ მათ ინტერესებს ყოველთვის წინ აყენებთ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბედმა გაუღიმათ. მხოლოდ ერთი უნდა გააკეთოთ — დარწმუნდეთ, რომ გვერდით ისეთი მეგობრები გყავთ, რომლებიც თქვენი ღირსნი არიან.



Cyan Magenta Yellow Black

# „სოკო“ ყურში — რატომ აღმოცენდება და როგორ ვებრძოლოთ



ყურის სოკოვანი ანთება ანუ ოტომიკოზი უკანასკნელ დროს მეტად გავრცელებულია. სტატისტიკის თანახმად, ყოველი მეოთხე ადამიანი, რომელიც ყელ-ყურ-ცხვირის ქრონიკული დაავადებებით იტანჯება, სოკოს ინფექციის მატარებელია.

### სიმპტომები

ოტომიკოზით შეწუხებული ადამიანები, ჩვეულებრივ, უჩივიან ყურში ქავილს და უსიამოვნო გამონადენს. ზოგიერთ შემთხვევაში სიმპტომებს შეიძლება თან დაერთოს თავის ტკივილი, თავბრუ, სმენის დაქვეითება. ყველა ამ უსიამოვნების მიზეზი ყურში ზოგიერთი სახის მიკროორგანიზმების — ობის სოკოს ან კანდიდას სოკოს გამრავლებაა.

### მიზეზები

გარეთა სასმენი მილი კომფორტული საცხოვრებელი ადგილია: აქ თბილა, ტენია, ჰაერი მუდმივად შედის. მიუხედავად ამისა, ადამიანთა უმეტესობაში მუშაობს დამცველი მექანიზმი: მოცემულ ადგილას კანი გამოიმუშავებს განსაკუთრებულ საცხს, რომელიც სოკოებისთვის გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს. პრობლემები აღმოცენდება მაშინ, როდესაც ეს წინაღობა რომელიმე ადგილას ირღვევა, მაგალითად, ანთების ან კანის მიკროტრავმების დროს. „დაცვის ხაზი“ ასევე ირღვევა ალერგიის, საერთო იმუნიტეტის დაქვეითების, ნივთიერებათა ცვლის მოშლის, სახელდობრ, შაქრიანი დიაბეტის დროს.

და მაინც ოტომიკოზის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი — ეს არის ანტიბიოტიკებისა და ჰორმონული პრეპარატების ბოროტად გამოყენება. ბევრი მათ უსისტემოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე, ზოგჯერ კი აუცილებლობის არარსებობის შემთხვევაში მოიხმარს. ეს მიკროფლორას არღვევს არამხოლოდ ნაწლავში, ასევე კანზე, მათ რიცხვში სასმენ მილში. სოკოები აქ თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ და აქტიურად მრავლდებიან.

### მკურნალობა

ოტომიკოზის სამკურნალოდ გამოიყენება როგორც ადგილობრივი პრეპარატები, ასევე შიგნით მისაღები საშუალებები. ამას ექიმი წყვეტს, მაგრამ ბევრია დამოკიდებული თვითონ პაციენტის ქცევაზეც. მან უნდა მიმართოს არამხოლოდ ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს, ასევე სხვა სპეციალისტებს. დაავადებები, რომლებიც ყურთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი ხდება, აუცილებლად უნდა განიკურნოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, კონტროლზე იქნეს აყვანილი. ამაში შეიძლება საჭირო გახდეს ენდოკრინოლოგის, იმუნოლოგის დახმარება.

ოტომიკოზის მკურნალობა კურსობით ტარდება. მისი შეწყვეტა არ შეიძლება, როგორც კი ყურში ქავილი მიწყნარდება ან გამონადენი შემცირდება.

თერაპიის კურსის შემდეგ, მაშინაც კი, თუ თავს კარგად გრძნობთ, საჭიროა ექიმთან მისვლა და მიკროფლორაზე საკონტროლო ანალიზი. მხოლოდ ასე გავიგებთ, რომ დაავადება დამარცხდა. თუ სოკოს ნაწილი აქტიური დარჩა, საჭიროა მკურნალობის გაგრძელება, თორემ ყურის სოკოვანი დაავადება ქრონიკულში გადავა.

მკურნალობის დროს აუცილებლად დაიცავით ყური მასში წყლის მოხვედრისგან. ტენი სოკოებისთვის კარგ პირობებს ქმნის. სხვათა შორის, საუნის, აუზის, ბუნებრივ წყალსაცავებში ცურვის სიყვარული დაავადების დამატებითი რისკფაქტორია.

## ნაკრები დისბაქტერიოზის დროს

დისბაქტერიოზი ხშირად ვითარდება მწვავე ნაწლავური ინფექციების ანტიბიოტიკებით ინტენსიური მკურნალობისას, ნაწლავებში სასარგებლო მიკროფლორასა და პათოგენურს შორის ბალანსის დარღვევისას. სასარგებლო ბიფიდო და ლაქტობაქტერიების მკვეთრად შემცირება პათოგენური ფლორის მძაფრ ზრდას იწვევს, რასაც შედეგად მოჰყვება მუცლის შებერილობა, მუცელში ტკივილი, საკვების ცუდად გადამუშავება, დიარეა ან ყაბზობა. დისბაქტერიოზის ფონზე შეიძლება განვითარდეს ქრონიკული კოლიტი, გასტრიტი, პანკრეატიტი და სხვა დაავადებები.

დისბაქტერიოზის დროს ბალახებით მკურნალობა კარგ შედეგს იძლევა. ზოგიერთი მცენარე ეფექტურად ანადგურებს პათოგენურ მიკროორგანიზმებს და ნაწლავების ნორმალური მიკროფლორის აღდგენას ეხმარება. ერთდროულად საჭიროა მიიღოთ ლაქტო და ბიფიდობაქტერიების სამკურნალო სააფთიაქო პრეპარატები. გთავაზობთ ხალხური მედიცინის რეცეპტებს.

მოამზადეთ ასეთი ნაკრები: კალენდულა 3 წილი, კრაზანის ბალახი 3 წილი, ბეგქონდარას ბალახი 2 წილი, არყის ხის ფოთლები 2 წილი, მრავალძარღვა 1 წილი. 2 სუფრის კოვზ ნაკრებს 0,5 ლიტრი ადუღებული წყალი დაასხით, 1 საათი დადგით., გაწურეთ. დღის განმავლობაში დალიეთ. მკურნალობის კურსი 5-7 დღე.

აიღეთ გვირილის ყვავილები 3 წილი, ტუხტის ფესვები 2 წილი, დიდი კამის ფესვები 2 წილი, მრავალძარღვა 1 წილი. ნაყენი მოამზადეთ პირველი რეცეპტის მსგავსად.

აიღეთ ფარსმანდუკის ყვავილები 3 წილი, თავშავა 2 წილი, ტყის მარწყვის ფოთლები 2 წილი, ასფურცელას ყვავილები 1 წილი. 1 სუფრის კოვზ ნაკრებს 300 მლ მდუღარე დაასხით, გაწურეთ. 3-4 მიღებაზე დალიეთ. კურსი 7-10 დღე.

# დღე-ღამეში 10 ათასი ნაბიჯი ქრონიკული დაავადებების წინააღმდეგ

სადღეისოდასე ბევრი ადამიანი რატომ იღუპება კიბოთი, გულის პრობლემებით? ამ დაავადებების სიხშირის მიზეზი სიცოცხლის გახანგრძლივებაა. ანტიბიოტიკების აღმოჩენამდე ადამიანები ძირითადად ინფექციური დაავადებებით იღუპებოდნენ. ამჟამად მათ უმეტესობას ვაკონტროლებთ, ამიტომ პირველობა არაინფექციურ დაავადებებზე გადავიდა. მსოფლიოში სიკვდილიანობის 80% გამოწვეულია გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ფილტვების ქრონიკული დაავადებებითა და შაქრიანი დაიბეტით. წარსულში ადამიანთა უმეტესობა კიბომდე და ინსულტამდე ვერ ცოცხლობდა. ჩვენ ვცოცხლობთ, მაგრამ დაავადებების განვითარებაში ძირითადი წილი ჩვენი ცხოვრების წესს შეაქვს.

### ძირითადი რისკფაქტორები

**არაჯანსაღი კვება.** უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საკვებში მავნე კომპონენტები შესამჩნევად გაიზარდა. გარდა ამისა, ადამიანები ბევრად მეტს მიირთმევენ, ვიდრე წინათ. აქედან წარმოდგება ასეთი დიდი მიდრეკილება პოდაგრის, სიმსუქნის, გულის პრობლემების მიმართ.

**თამბაქო.** მოწევა გულისა და სისხლძარღვების მდგომარეობას აუარესებს, ახალწარმონაქმნების გაჩენას ხელს უწყობს, ფილტვებზე მისი უარყოფითი გავლენა თვალსაჩინოა. თუ დიდხანს სიცოცხლე გსურთ, არ მოსწიოთ!

**ფიზიკური აქტივობის დაქვეითება.** მუდამ ვზივართ ოფისში, სახლში, ავტომობილში. ადამიანი კი ბუნების მიერ დაპროგრამებულია მოძრაობისთვის. დღე-ღამეში 10 ათასი ნაბიჯი (ე.ი. 4-6 კმ.) უნდა გააკეთოს. სიარული სასურველია საშუალო ან ოდნავ აჩქარებულ ტემპში. ეს საკვებით მიღებული კალორიების დახარჯვას, კუნთებში წვრილი სისხლძარღვების გაშლა-გახსნას დაეხმარება, რაც ჰიპერტონიის პროფილაქტიკისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

**ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება.** მისი გავლენა გულზე, ისევე როგორც ღვიძლზე, უკიდურესად ნეგატიურია. ჭარბი სპირტი ნივთიერებათა ცვლას არღვევს, თავის ტვინში ბიოქიმიური პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას ცვლის.

**მომატებული სტრესის დონე.** ასი წლის განმავლობაში აჩქარებულ და დაძაბულ ტემპში ვცხოვრობთ. გაიზარდა ინფორმაციის ნაკადი. ყველაფერი ეს უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ისწავლეთ მოდუნება, ყველაფერს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, ისაუბრეთ იმაზე, რაც გაწუხებთ. ეს პრაქტიკულად ყველა ქრონიკული დაავადების პროფილაქტიკაში თავის წვლილს შეიტანს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— მაქვს ნევროზი, მაწუხებს აკვიატებული აზრები. ადამიანს, რომელსაც მუდმივად დაბალი წნევა აქვს 100/70. შეიძლება, რომ ინფარქტი დაემართოს? ვარ 36 წლის.**

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფარქტის დროს ყოველთვის არ ფიქსირდება მაღალი არტერიული წნევა. თუ ეს თქვენ გეხებათ, გეტყვით, რომ ინფარქტი ნამდვილად არ დაგემართებათ, რადგან შიშის მიზეზი უკვე ნაპოვნი გაქვთ, გაქვთ ნევროზი, რომლის დროსაც ჩნდება უფრო მძაფრი შიშები, რაც ხშირად უსაფუძვლოა. გირჩევთ, მიმართოთ ნევროპათოლოგს და მკურნალობა ამ მხრივ დაიწყოთ.

**— მოულოდნელად დამეწყო თმის ცვენა. მაინტერესებს, რა იწვევს თმის ცვენას.ზამთარში მქონდა ფილტვების ანთება, ვიმკურნალე. მეუბნებიან, შეიძლება წამლებმა გამოიწვიაო.**

— ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცვივა თმა და ამოსდის ახალი. ეს თმის ზრდის ნორმალურ ციკლს შეესაბამება. დღე-ღამეში ადამიანი 50-დან 150 ღერამდე თმას კარგავს. არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად დაკარგული თმისა და ამოსული თმის რაოდენობა ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. თმის ცვენას ხელს უწყობს ზოგიერთი წამალი. მაგალითად, ანტიკოაგულანტები, ანტითირეოიდები. ქიმიოთერაპიის დროს გამოყენებული ციტოსტატიკები სწრაფ და სრულ გამელოტებას იწვევენ, მაგრამ ეს პროცესი სავსებით შექცევადია. თმის ცვენა მრავალმა სხვა ფაქტორმაც შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, მაღალმა ტემპერატურამ, ხანგრძლივმა დიეტამ, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქციამ, ინფექციურმა დაავადებებმა, მემკვიდრეობითმა მიდრეკილებამ, ნივთიერებათა ცვლის მოშლამ. თმის ცვენა სტრესმაც შეიძლება გამოიწვიოს. ზოგჯერ მიზეზი არასწორი მოვლაა. ერთი შეხედვით, პნევმონიის დროს მიღებული წამლები არ შეიძლება გამხდარიყო თმის ცვენის მიზეზი, პრობლემა სხვა მხრივ არის მოსაძებნი. პირველ რიგში, მიმართეთ დერმატოლოგს, რომელიც თმის ფოლიკულებს დააკვირდება და შეამოწმებს, შეიძლება ლაბორატორიული გამოკვლევაც გახდეს საჭირო.

**— ვარ 98 კილოგრამი. სიმაღლე 165 სმ, წონაში დაკლება ჩემი პრობლემაა. მყავს 2 წლის შვილი. ფეხმძიმობის შემდეგ გავსუქდი ძალიან, ვაპირებ ბავშვის გაჩენას. დაფეხმძიმებას და ნაყოფს ავნებს ჩემი ზედმეტი კილოგრამები?**

— სიმსუქნე არის ცხიმოვანი და ენერგეტიკული ბალანსის დროს განვითარებული დაავადება. მიღებული კალორიები აჭარბებს მათ წვას. შედეგად ორგანიზმში გროვდება ცხიმი, რაც სიმსუქნეს იწვევს. მიზეზი ხშირად არასწორი კვებაა, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა ან ენდოკრინული დარღვევები. ქალთა უმეტესობისათვის სიმსუქნის პრობლემა აქტუალური ხდება მშობიარობის შემდეგ. ორსულობის პერიოდში ქალის ნივთიერებათა ცვლა გადადის ენერგიის დაგროვების რეჟიმში. ახალგაზრდა ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ზრდასრულის ორგანიზმში. სიმსუქნის მიზეზი შეიძლება იყოს გენოტიპი, მაგრამ ეს უმცირეს შემთხვევაში, რადგანაც სიმსუქნე მულტიფაქტორული დაავადებაა და მხოლოდ გენოტიპის თავისებურება ვერ იქნება მისი გამომწვევი მიზეზი. სიმსუქნეს მცირე ფიზიკური აქტივობაც იწვევს. რაც უნდა გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, სიმსუქნე არის საშიში დაავადება, ზოგ შემთხვევაში მეტისმეტად საშიშიც კი. იგი შეიძლება იქცეს შაქრიანი დიაბეტის, ქოლესტერინის მომატების, ჰიპერტონიული დაავადების, გულის უკმარისობის, უნაყოფობის და უამრავი სხვა დაავადების მიზეზად. ასთმიანი ადამიანისთვის, ისევე როგორც ჩიყვით დაავადებულთათვის, სასტიკად არ შეიძლება სიმსუქნე, რადგანაც იგი ამძიმებს ისედაც რთულ დაავადებებს. მსუქან ადამიანს შეიძლება ძალიან დიდი პრობლემები შეექმნას მშობიარობის დროს, რაც უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ნაყოფზე. ამიტომ, როცა დაფეხმძიმებას გადაწყვეტთ, პირველ რიგში, მიმართეთ ენდოკრინოლოგს და, თუ საჭიროდ ჩათვლის ექიმი, ჩაიტარეთ შესაბამისი გამოკვლევა და მკურნალობა.

**— რა არის კბილის ქვები?**

— ადამიანთა 80%-ს აქვთ კბილის ნადები — კბილის ქვა. ყველაზე ხშირად კბილის ქვა ვითარდება იმ კბილებზე, რომლებიც ნაკლებად მონაწილეობენ ღეჭვით პროცესში, რის გამოც ბუნებრივი თვითწმენდა გართულებულია. კბილის ქვის წარმოშობის მიზეზებია: პირის ღრუს ჰიგიენის დარღვევა, მხოლოდ რბილი საკვების მიღება, ერთ მხარეს ღეჭვა. ნივთიერებათა ცვლის დარღვევა ხელს უწყობს ასევე ღრძილზედა და ღრძილქვეშა ქვების წარმოქმნას. ასევე კბილების ქვების წარმოშობის ფაქტორებია არასწორი თანკბილვა და უხარისხო პასტებისა და ჯაგრისების გამოყენება. კბილის ქვები ახდენენ ზეწოლას ღრძილებზე და სისხლდენას ღრძილებიდან. ასევე აღინიშნება უსიამოვნო სუნი პირის ღრუში. თუკი დროულად არ იქნება მოცილებული კბილის ქვა, მას შეუძლია გამოიწვიოს ღრძილების ისეთი მძიმე დაავადება, როგორიცაა პაროდონტიტი.

**— ვარ გათხოვილი, შვილი არ მყავს. ფოლიკული სკდება, ენდომეტრიუმიც ნორმალური მაქვს. ტემპერატურა ვერ ავიწიე. ექიმის დანიშნულებით ვსვამ უტროჟესტანს.**

— უტროჟესტანი ჰორმონ პროგესტერონის ნაკლებობის დროს ინიშნება, ეს უკანასკნელი კი ჩანასახის საშვილოსნოს კედელზე მიმაგრებისთვის არის საჭირო. თუ ტემპერატურა მაღლა არ იწევს, ეს ნიშანია, რომ ფოლიკული არ სკდება, მაგრამ არის იშვიათი შემთხვევები, როცა ფოლიკული სკდება, მაგრამ ტემპერატურა ისევ დაბალია. თუ ექოსკოპიურად დაგიდგინდათ, რომ ფოლიკული სკდება, მაშინ პრობლემის მოგვარება სხვა ჰორმონების შემოწმებით უნდა დაიწყოთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უტროჟესტანის მიღებისას შეიძლება ფეხმძიმობა არ დადგეს.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**

## ეს იცოდით?

❖ ასტრონომთა ცნობით, მთვარე დედამიწას ყოველწლიურად 3,8 სანტიმეტრით შორდება.

❖ პლანეტა მარსზე საშუალო ტემპერატურა -60 გრადუს ცელსიუსს უტოლდება.

❖ იაპონიაში მზარეულები საკმაოდ ხანგრძლივ კურსს გადიან სუშის მომზადების წესების შესასწავლად. ისინი 2 წელი ბრინჯის მომზადებას სწავლობენ, 3 წელი კი — თევზისას.

❖ მე-18 საუკუნის ინგლისში აკრძალული გახლდათ აზარტული თამაშები, ამიტომ იატაკქვეშა კაზინოებში სპეციალურად ქირაობდნენ ადამიანებს, რომლებიც პოლიციის უცაბედი რეიდის დროს ძვლისაგან დამზადებულ კამათლებს ყლაპავდნენ.

❖ პირველი უცხოური კომპანია, რომელმაც საბჭოთა კავშირში, კერძოდ, მის დედაქალაქ მოსკოვში რეკლამა განათავსა, კოკა-კოლა გახლდათ. ეს 1989 წელს მოხდა.

## თევზის ქონი წნევას დაბლა სწევს



თევზის ქონს ბევრ სიკეთესთან ერთად, ერთი კარგი თვისებაც გააჩნია — წნევას დაბლა სწევს. რის ხარჯზე ახდენს ასეთ დადებით ზეგავლენას სისხლძარღვებზე ჰიპერტონიის დროს? საქმე ისაა, რომ ის ძალიან მდიდარია ცხიმმჟავა ომეგა 3-ით. ეს ნივთიერება სისხლში მავნე ქოლესტერინის რაოდენობას ამცირებს. შედეგად, სისხლძარღვების კედლები სუფთა და უფრო ელასტიკური ხდება. გარდა ამისა, თევზის ქონი სისხლში შაქრის ნორმალური დონის შენარჩუნებას ეხმარება. შენიშვნა: სწორედ წნევის დაწევის თვისების გამო, ჰიპოტონიკებმა ზედმეტი თევზის ქონი არ უნდა მიიღონ. და კიდევ, თევზის ქონის მიღება რძის პროდუქტებთან ერთად რეკომენდებული არ არის.

თევზის ქონი შეგიძლიათ ნებისმიერი სახით, სამკვირიანი კურსობით, წელიწადში 2-ჯერ, შემოდგომასა და გაზაფხულზე მიიღოთ.



Cyan Magenta Yellow Black

1. კერძო ვაჭრობის ან რეწვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა; 2. სატურნის თანამგზავრი; 3. ახალი ბერძნულად; 4. წყლის საღებავებით შესრულებული ნახატი ახლად შელესილ კედელზე ან ჭერზე; 5. ხის ქოჩორი, ვარჯი; 6. ჰერას ქურუმი ქალი; 7. ... ქროუ; 8. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი შამილის საიმამოში; 9. ნარკოტიკი; 10. ომისშემდგომი ნადავლი; 11. ტროპიკული შხამიანი მცენარე; 12. ქალაქი ესპანეთში; 13. ქალიშვილო ინგლისურად; 14. ზღვის დიდი კიბო; 15. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი; 16. სამსტრიქონიანი სტროფი; 17. ურიგო, უხამსი; 18. თბილი ყელსახვევი; 19. ულაგამო ალვირი; 20. ... მორჩილაძე; 21. საოკეანო გემი; 22. ცვარი; 23. ნომრის გამეორების თხოვნის შეძახილი კონცერტზე; 24. რუსული ავტომარკა; 25. დაცლილი ვაზნა; 26. აეროპორტი პარიზში; 27. ინგლისური ლუდი; 28. მაგარი ალკოჰოლური სასმელი; 29. ნაწილაკი; 30. ერთგვარი პისტოლეტი; 31. ძველი ბერძნების საერთო სამწერლო ენა; 32. დაუმტკიცებლად მიღებული თეორემა; 33. სპორტული ცურვის სტილი; 34. ... ხაიამი; 35. სურათი ზღვის ხედით; 36. იგივეა, რაც ულელტეხილი; 37. მთის ბალზამი; 38. ჯუჯა კამეჩი; 39. წითელი; 40. ... ფიცჯერალდი; 41. საწერი ქაღალდის რაოდენობის საზომი ერთეული; 42. შუქფარი; 43. მედიცინის დარგი; 44. ფართოქუდიანი წვრილფეხა საჭმელი სოკო; 45. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 46. შინაური ცხოველი; 47. ... ბოლდუინი; 48. რისამე მოგონება ვისიმე მოტყუების მიზნით; 49. ... მაკფერსონი; 50. ბაქტერიების დამშლელი ცილოვანი ნივთიერება; 51. პერიოდი; ეპოქა; 52. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 53. შინაური ცხოველების დაკონსერვებული საკვები; 54. ტროპიკულიპალმა მოკლე ტანითა და გიგანტური ფოთლებით; 55. ასო უ-ს სახელი; 56. ცხელი ქარი; 57. დაქირავებული გემით გადაზიდული ტვირთი; 58. „... ფიცისა"; 59. ბანქოს ერთგვარი თამაში; 60. მუქარა მეფეზე ჭადრაკში; 61. ბერძნული ანბანის ასო; 62. გარეული ვირი; 63. ჩინური მსუბუქი იალქნიანი გემი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ერგი; 2. არვე; 3. აგორა; 4. აგა; 5. ერა; 6. პი; 7. ნერგი; 8. ნაშვილი; 9. მანავი; 10. ავიზო; 11. ორე; 12. პრემია; 13. ამოი; 14. ფრისტაილი; 15. პრიზმა; 16. ბურკინა; 17. ბია; 18. ვაზი; 19. ვილისი; 20. გორან; 21. კიი; 22. ბოა; 23. ვიგვამი; 24. გალათეა; 25. გავაზი; 26. მის; 27. მასივი; 28. ჭკვიანი; 29. ინა; 30. რეი; 31. პასტორი; 32. ტრიოდი; 33. პლატინა; 34. ნოსირი; 35. ალა; 36. მანია; 37. ინდიგო; 38. ორთი; 39. ლელო; 40. მსტოვარი; 41. სია; 42. ისი; 43. სიდრი; 44. ილინოსი; 45. ტარიელი; 46. ისტორია; 47. ორგია; 48. პირკატა; 49. მელორ; 50. აბრა; 51. იან; 52. გამბია; 53. უთო; 54. ნაივი; 55. თავლა; 56. ლიმანი; 57. ხმა; 58. თართი; 59. ანათემა; 60. ავია; 61. ნიანგი. **სურათებზე:** სალომე ზურაბიშვილი; გიორგი მარგველაშვილი; შალვა ნათელაშვილი; დავით ბაქრაძე.

ჯოლი იონიკა



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. სამიანი ნარდში
2. ნოტი
3. ამონი
4. პარმენ ლორიას რომანი
5. თაღედი
6. უარყოფითი ნაწილაკი
7. წყლის ორმო
8. სოფელი ლეჩხუმში
9. ყველაზე სწრაფი
10. მუსლიმანთა პოეტი-მომღერალი
11. თევზის წვნიანი
12. ფინური აბანო
13. სტალონეს კინოროლი
14. საჭმელ-სასმელის სია
15. „... ნახტომი“
16. სარწყავი არხი
17. შლამის თევზი
18. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმის მიხედვით
19. ყვავილი
20. ბუნებრივი სალებავი
21. კაპასი
22. ... მატისი
23. სოფელი რაჭაში
24. გარიჟრაჟი
25. ჭადრაკის ფიგურა
26. მტკვრის შენაკადი
27. მაღალი მცენარე





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

პასუხები: 1. პა; 2. ლა; 3. პარალელური; 4. რიკარდო; 5. იარა; 6. არტერია; 7. ტრაპი; 8. ლახტი. 9. ლეკი. 10. ხი; 11. ავაზა; 12. კია; 13. ენკე; 14. იგლუ; 15. გურია; 16. ვეტო; 17. აიაზმა; 18. ავლა; 19. ამინ; 20. ალღო; 21. ასორტი; 22. ართურო; 23, არ; 24. ივ.**სურათებზე:** სასახლე; ტახტი; სკიპტრა; გვირგვინი.



Cyan Magenta Yellow Black



# რა ვჭამოთ, წონაში რომ დავიკლოთ და ახალგაზრდა დავრჩეთ?

## ნაცნობ-უცნობი პროდუქტების ახალი სასარგებლო თვისებები

უახლესი გამოკვლევებით ჩვეულებრივ და ეგზოტიკურ პროდუქტებში სულ უფრო მეტი გამაახალგაზრდავებელი ნივთიერებებია აღმოჩენილი. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

1. **კურკუმა** — ინდური სამზარეულოს ერთ-ერთი საყვარელი სანელებელია. ცხარე გემოთი შავ წიწაკას ჩამოჰგავს, მაგრამ უფრო მდიდარი და ნაზია. კურკუმა თავის ყვითელ ფერს გადასცემს ბრინჯს, საწებელს, პარკოსნებს. კარგია ხორცთან და ბოსტნეულთან. მას ყვითელ ფერს აძლევს კურკუმინი — სწორედ ის არის „გამაახალგაზრდავებელი ნივთიერება“. გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ კურკუმინი ნივთიერებათა ცვლას აჩქარებს და ცხიმის დეპოდან ცხიმების გამოსვლას აუმჯობესებს. შესაბამისად, საკვებში მისი რეგულარულად გამოყენება ნებისმიერ ფიზიკურ დატვირთვას უფრო ეფექტურს ხდის, საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, სისხლში შაქრის დონის შემცირებას ხელს უწყობს, გლუკოზის მიმართ უჯრედების მგრძნობელობას ამაღლებს. ფაქტობრივად, ეს ნივთიერება შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკაა.

2. **ინოზითოლი**. ის საკმაოდ დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მეცნიერებმა ვერ შეძლეს ორგანიზმში მისი როლი გაერკვიათ. ვერც ის განსაზღვრეს, რომელი ჯგუფის ნივთიერებებისთვის მიეკუთვნებიან. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ეს არის B ჯგუფის ვიტამინი — $B_8$. გაირკვა, რომ ინოზითოლი ორგანიზმისთვის იმდენად აუცილებელია, რომ პირველივე შესაძლებლობისას ჩვენი სხეული (შავი დღისთვის) მის მომარაგებას იწყებს ზურგისა და თავის ტვინში, ასევე ტვინის ირგვლივ სითხეში. ეს საოცარი მოვლენაა, ვინაიდან ჩვენს ორგანიზმს ძალიან ცუდად შეუძლია ვიტამინების მომარაგება, განსაკუთრებით წყალში ცუდად ხსნადი ვიტამინების, ე.ი. სწორედ B ჯგუფის ვიტამინებისა.

რით არის სასარგებლო ინოზითოლი, რომ ბუნება მას ტვინთან ახლოს ინახავს? ის აუცილებელია ხარისხიანი ძილისთვის. შეგახსენებთ, უძილობა არამხოლოდ ასაკის, ასევე ორგანიზმში ჰორმონების დონის კლების ნიშანია. შესატყვისად, სრულყოფილი ძილი ჰორმონების რაოდენობის ნორმამდე ამაღლებას ეხმარება. ინოზითოლი მონაწილეობს სისხლის წნევის დაწევის პროცესში და ნერვულ სისტემას სტრესისგან იცავს. ამასთან ერთად, აუცილებელია ნორმალური მხედველობისა და თვალის წნევისთვის, ხოლო მისი უკმარისობა თმის ცვენის ერთ-ერთი მიზეზია.

ინოზითოლის მიღება შეიძლება საკმაოდ გავრცელებული პროდუქტებიდან. პირველ რიგში, მას შეიცავს ზოგიერთი პარკოსანი — ლობიო, ცერცვი, ბარდა, არაქისი, სოია. ბევრია თხილეულში, ხორბლის მარცვლებში (მაგრამ არა ფქვილში) და ნესვში.

3. **ალფა-ლინოლევის მჟავა** ხელს უწყობს ზრდის ფაქტორების გამომუშავებას, რომელთა გარეშე ორგანიზმი თანდათან ქრება — უჯრედები არ განახლდება, კანი მოშვებულ-მოჩვარული ხდება, ძვლები და კუნთები სუსტდება. ამ ნივთიერების საუკეთესო წყაროა სელის ზეთი.

4. **მეთიონინი** მნიშვნელოვანი ამინომჟავაა, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ ანტიმჟანგავად ითვლება, ქსოვილებსა და უჯრედებს თავისუფალი რადიკალების დაზიანებისგან იცავს. მისი ქრონიკული უკმარისობა კანზე, თმასა და ფრჩხილებზე ცუდად აისახება, ნივთიერებათა ცვლა ნელდება, ორგანიზმი გაციებასა და ვირუსებს ცუდად უმკლავდება. მეთიონინს შეიცავს კვერცხი, რძის პროდუქტები, თევზი, საქონლისა და ფრინველის ხორცი.

## აბაზანა თითისთვის

მანიკიურის დროს ნუნის გაჭრის ან თითში ხიწვის შესობის შედეგად თითი გასივდა, გაწითლდა და დაჩირქდა? პრობლემის გადაჭრაში ცხელი მარილიანი წყლის აბაზანა დაგეხმარებათ.



სუფთა ჭიქაში ცხელი წყალი ჩაასხით და მარილი დაუმატეთ. 200 მლ წყალზე მარილი არანაკლებ 2 სუფრის კოვზისა დაგჭირდებათ. გამოიყენეთ ჩვეულებრივი სუფრის ან ზღვის მარილი. მტკივნეული თითი ცხელ წყალში ჩადეთ, სანამ გაუძლებთ. როდესაც წყალი ოდნავ გაგრილდება, თითი წყალში მეტ ხანს გააჩერეთ. მთელი პროცედურა, ჩვეულებრივ, 5-7 წუთს წაიღებს. მნიშვნელოვანია, რომ წყლის ტემპერატურა საკმაოდ მაღალი იყოს. თუ დღეში ასეთ პროცედურას არანაკლებ 2-ჯერ გაიკეთებთ, მეორე დღეს ტკივილისა და სიწითლისგან კვალიც არ დარჩება.

## რითი გვეხმარება მაყვალი

ბრონქიტის, ლარინგიტის (ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება), ტრაქეიტის (ტრაქეის, სასულის ლორწოვანი გარსის ანთება) დროს გამოიყენება მაყვლის ნაყენი: 2 სუფრის კოვზ გამხმარ ფოთლებს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით, თავდახურულ ჭურჭელში მოათავსეთ და რამდენიმე საათი დადგით. გაწურეთ. დღეში 3-ჯერ, თბილი სახით, 0,5 ჭიქა მიიღეთ.



მაყვალი ასევე სასარგებლოა ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადებების დროს. 2 სუფრის კოვზ გამხმარ ფოთლებს ერთნახევარი ჭიქა მდუღარე დაასხით. გააგრილეთ. 0,3 ჭიქა დღეში 4-5-ჯერ, საკვების მიღების შუალედებში დალიეთ.

კლიმაქტერული ნევროზის დროს მაყვლის ფოთლებისა და ნაყოფის ჩაი ეხმარება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



— მიხოვ, თბილისში რო იყავ, რა ნახე?

— ბალეტი.

— ეგ რაა, რო?

— ეგა ხელოვნებაა, შე რეგვენო, შენა! კაცებ ქალები ხაშლამასავით გამააქვთ სცენაზედა!

— ჩამომისხი ერთი ჭიქა ვოტკა კიდო, კუკურა ბიძია, — დახლზე ფულს დებს ქუთაისელი, — დავლევ ახლა და ვლეწავ თავს ლოგინში.

— მერე და მიაგნებ ლოგინს?

— ფეხით ვარ დღეს, კუკურა ბიძია, რა პრობლემაა!

❖ ❖ ❖

გურული მაგარი გაბრაზებულია:

— კაი, მე გურული ვარ და ვარ, მარა იმდენად პატარა პენსიები გვაქვს, რომ ჩემი მძახალი რაჭველია და ისიც კი ორ დღეში ხარჯავს...

❖ ❖ ❖

საავადმყოფოში ზარია.

— როგორაა ჩემი სიდედრი?

— უნდა გაგახაროთ, უკვე გამოჯანმრთელდა.

— ისე გეიხარე შენ შენს სიდედრთან, რავარც მე გამახარე...

❖ ❖ ❖

— ალო, სასწრაფოა?

## ქართული ანეკდოტები

— დიახ.

— სასწრაფოდ წამოდით, ქმარი მყავს ცუდად!

— მოვდივართ!

— არ დაკიდოთ ყურმილი, მისამართი არ გინდათ?

— დროს ნუ დავკარგავთ ქალბატონო, რომ მოვალთ, მერე გვითხარით.

❖ ❖ ❖

— რა ღირს, მეგობარო, ქლიბი?



— გერვასირ, გაფიცებ ყველაფერს, ძაღლი ხომ არ გიყიდია?

— კი.

— ქე გამიკვირდა. შენს სიდედრს სულ სხვანაირი ხმა აქ...

— 20 ლარი.

— რა ამბავია, შე დალოცვილო, ციხეში კი არ ვარ!

❖ ❖ ❖

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

— ადე, შე მუცელგასახეთქელო, შუადღე წამავიდა. გახედე, შაქრომა და ზაქრომა უკვე ვენახი დაბარეს, შენ კი ჯერ ბოსტანიც არ დაგიბარნია!

— ვაა, რა გინდა, ქალო, მაინცდამაინც უნდა მაცემინო ეგ დეგენერატები?!

❖ ❖ ❖

— მიფრინავს ორი ყვავი. ერთი ძალიან შავია, მეორე მთისკენ. ამოცანა გვეკითხება, რამდენი წლის ვარ მე? — ეკითხება მასწავლებელი ბავშვებს.

— 24 წლის, მასწ! — წამოხტა ერთი.

— საიდან მიხვდი?

— ეგეთ სულელურ კითხვებს რომ ვსვამ, მამაჩემი მეუბნება, ნახევრად იდიოტი ხარო... მე 12 წლის ვარ.

❖ ❖ ❖

— ლიკა, გინდა, მაგარი შაბათ-კვირა მოგიწყო? — ეუბნება ქმარი ცოლს.

— აუ, რა კარგია!

— აბა, ორშაბათამდე!

❖ ❖ ❖

— გიყვარს მშრალი ღვინო?

— ძალიან. ყრია სადმე?

❖ ❖ ❖

— რას იზამ, ქმარმა რომ გიღალატოს?

— მე ორჯერ ვუღალატებ.

— ორჯერ რომ გიღალატოს?

— მე ოთხჯერ ვუღალატებ.

— ოთხჯერ რომ გიღალატოს?

— გავეყრები. რად მინდა ისეთი ქმარი, ბოზობისკენ რომ მიბიძგებს?!

❖ ❖ ❖

პირველ ღამეს გაწბილებული ქმარი ცოლს ეკითხება:

— შენ ხომ ამბობდი, ქალიშვილი ვარო?

— მართალს ვამბობდი. შენს ძმაკაცებს ჰკითხე, თუ არ გჯერა.

❖ ❖ ❖

ოზურგეთში ავტობუსის გაჩერებაზე აქოშინებული გურული მივარდა და იქვე მდგომ მეორე გურულს ეკითხება:

— აქანე ავტობუსს ხომ არ ჩოუვლია?

— კი, ახლა გეიარა.

— პატარა იყო თუ დიდი?

— შენ ქე ჩიეტეოდი.

❖ ❖ ❖

— გოგო, მართალია, რომ შენი კოტიკოს ნათესავები ვერ გიტანენ?

— კი, მართალია. გუშინ მისი ცოლი მომივარდა სამსახურში და კომპიუტერი თავზე გადამამტვრია.

❖ ❖ ❖

მარო პარიზშია და ზაქროს მობილურით ურეკავს თელავში:

— ზაქროვ, ახლა ეიფელის კოშკზე ვარ.

— მანდ რამ აგიყვანა, დედაკაცო?

— როგორ თუ რამ?! აი, გაიხედამ მარცხნივ, სილამაზეა, გაიხედამ მარჯვნივ, სილამაზეა... მაიცა, რა გატირებს, ზაქროვ?

— სილამაზემ გული ამიჩუყა, განა!



— მიხოვ.

— ჰაა!

— კოო, რა გჭირს, შლანგი ერთი ბოლო რო პადვალში გაქ და მეორე ბოლო ჭიშკართან?!

— პირველი ბოლო ღვინის კასრში მაქ და იმიტო.

— რათა?

— ექიმმა მითხრა, სასმელისგან თავი შორ დაიჭირეო და ჭიშკართანა ვქაჩამ.



გამოცდაზე:

— ქალიშვილო, აბა თუ გახსოვთ, რა ერქვა პირველ მამაკაცს?

— მაგას რა დამავიწყებს, ბატონო პროფესორო, კობა ერქვა მაგ საზიზღარს!



„ძვირფასო რადიომსმენელებო, ახლა გთავაზობთ ნაწყვეტებს სერგეი პროკოფიევის ოპერიდან", — აცხადებს დიქტორი.

— ეთერიე, კაცო, ზეზე და შენც ქენი რამე! — უკივის ცოლი ნამთვრალევ კოტიკოს, — შენს ძმაკაცებს სერგოს და პროკოფის ოპერა დოუწერიათ.

შეკრიბა ჟურმან მერკვილიშვილმა,

ქეთი ხარატიშვილის ნახატები

## დონალდ ჰენიგი

# ბუმერანგი



კარლ, დროა, ნამდვილ საქმეზე გამოგცადოთ!

ეს სიტყვები ახლაც, ერთი საათის შემდეგ, საზეიმო ჰიმნად ჩაესმოდა ყურებში კარლს. ახდა ბოლოს და ბოლოს! მას კი, უნდა ვაღიაროთ, იმედი გადაწურული ჰქონდა. ახლა მთავარია, შეცდომა არ დაუშვას.

— ხომ არ დავაგვიანებთ? — შეეკითხა ტაქსის მძღოლს, რომელიც არც ცდილობდა მანქანების საცობიდან გაღწევას და აეროპორტისკენ მიმავალ შოსეზე გასვლას.

— ნუ ღელავთ, — მოწყალედ გაუღიმა ტაქსისტმა, — დროზე მივალთ. ყავის დალევასაც კი მოასწრებთ.

კარლს ყავა არ უნდოდა. მხოლოდ კოკა კოლას თუ დალევდა ცოტას, თორემ ყელი სულ გაუშრა. ალბათ შიშისგან.

მან გვერდით დადებულ პატარა ჩემოდანს გადახედა ალმაცერად და იგრძნო, როგორ წამოუვიდა ზურგზე ცივი ოფლი ნაკადად. კარლმა ცხვირსახოცი ამოიღო და ასევე გაოფლილი ხელისგულები შეიმშრალა.

ბედნიერებაა, ადამიანის თვალს რომ გამჭოლი ჭვრეტა არ ძალუძს. კარლი ვერ ხედავდა, საკმაოდ ტევადი კეისის ფიბერგლასის თხელ კედლებს მიღმა რა იმალებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას აქვე გაკოჭავდნენ, ხელბორკილებს დაადებდნენ, პოლიციის მანქანაში შეაგდებდნენ და უახლოეს უბანში მიაბრძანებდნენ. მერე კი ციხე. კარლმა არ იცოდა ზუსტად, კილოგრამი ჰეროინის გადაზიდვაში რამდენს იძლეოდნენ, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბევრს. ასე, ათ წელს.

მძღოლმა რადიოს მოდურ მოტივს სტვენაააყოლა, მერე საჭე ოდნავ მოაბრუნა, გაზის პედალს დააწვა და ტაქსი საცობიდან გამოვარდა.

— თქვენ კი ღელავდით, — შეახსენა მგზავრს.

კარლმა არაფერი უპასუხა და ფანჯრისკენ შებრუნდა. აეროპორტამდე ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ საათს დასცქეროდა წამდაუწუმ.

ტაქსისტს არ მოუტყუებია, დროზე მიიყვანა, მანქანა გააჩერა, მრიცხველი გამორთო, შემოტრიალდა და თქვა:

— 27 დოლარი.

კარლმა ზუსტად გადაუხადა — არც ერთი ცენტით მეტი, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო. სამგზავრო ხარჯებისათვის ფული კი მისცეს, მაგრამ თავმოწონებას არ აპირებდა — რამე რომ ყოფილიყო, ტაქსისტი გულუხვ მგზავრს ნამდვილად გაიხსენებდა.

კარლმა კეისი აიღო, მანქანიდან გადავიდა და აეროპორტის შენობისკენ გაემართა. იქ მანათობელი ტაბლოს ჩვენებას არ დასჯერდა და, იმის დასაზუსტებლად, რეისი ხომ არ იგვიანებდა, ცნობათა ბიუროსთან მივიდა.

— არა, — მიუგო ლურჯფორმიანმა ლამაზმანმა, — გაფრენა განრიგის მიხედვით მოხდება.

ამის შემდეგ საბარგო განყოფილებას მიაშურა და თავისი პატარა ჩემოდანი უკვე არა ლურჯ, არამედ ნარინჯისფერ უნიფორმიან ახალგაზრდას პირდაპირ ხელში ჩააბარა. პრინციპში, კარლს კეისი, როგორც ხელის ბარგი, შეეძლო, თან დაეტოვებინა, მაგრამ შეფის ინსტრუქცია ასეთი იყო და ვერ გადაუხვევდა.

საერთოდ, ის პედანტი ადამიანი იყო. ერთი მხრივ, ეს შეცდომებისგან იცავდა, მეორე მხრივ კი, ბევრი მის დისციპლინიანობას უპრინციპობად თვლიდა, რაც კარიერულ სვლაში ხელს უშლიდა, არადა, თავის სამსახურებრივ მოვალეობას მთელი გულისყურით ეკიდებოდა. კარლს მაინც სჯეროდა, რომ ოდესმე ბედი გაუღიმებდა და აჰა, მგონი, ეს დღეც დადგა. ის შეძლებს, თავი გაართვას დავალებას, რაც არ უნდა საშიში იყოს ის...

„ისე, რატომ მგონია, რომ საშიშია?“ — გაიფიქრა უცებ კარლმა. შეფის დაგზავნილი კურიერები მთელ ამერიკას სერავენ, მისი დავალება კი მარტივია: ჩიკაგოში მას ორი ყვითელშლაპიანი მამაკაცი დახვდება, რომლებსაც ჰეროინს გადასცემს, თავად კი პირველივე რეისით უკან დაბრუნდება. სულ ეს არის!

მთავარია, არ ჩაავლონ! მაგრამ რა მიზეზით? რით განსხვავდება ის თუნდაც ამ ჩასქელებული ტიპისაგან, სახე რომ გასწითლებია და საფრენ მინდორზე გასასვლელ კართან ცმუკავს? ცხადია, არაფრით. ისეთივე კანონმორჩილი მოქალაქეა, ჩიკაგოში გაფრენა რომ სურს.

უეცრად დარბაზში პოლიციელები შემოცვივდნენ. კარლმა კინაღამ გაქცევა დააპირა, მაგრამ, საბედნიეროდ, შიშმა პარალიზება უყო.

წესრიგის გუშაგებმა შეკრული ჯგუფით სწრაფად გადაჭრეს დარბაზი. სტიუარდესამ მათ წინასწარ გაუღო კარი. ცოტაც და, პოლიციელები, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ორ სამოქალაქო პირს ახლდნენ, თვითმფრინავის ტრაპთან იყვნენ.

ჯერი დანარჩენ მგზავრებზე მიდგა. წითელსახიანი სქელუას ზურგს ამოფარებულმა კარლმა ტყვიასავით დამძიმებული ფეხები ძლივს მიათრია თვითმფრინავამდე, მერე გამბედაობა მოიკრიბა და მათ თანმხლებ სტიუარდესას შეეკითხა:

— რა ხდება?

— როგორ? ვერ იცანით? ეს ხომ პრემიერმინისტრია!

კარლს მაშინვე გაახსენდა დილის გაზეთის სათაური. შეერთებულ შტატებში ახლო აღმოსავლეთის რომელიღაცა სახელმწიფოს პრემიერმინისტრი ჩამოფრინდა ეკონომიკური დახმარების სათხოვნელად და რაკი ეს ქვეყანა პატარა იყო, პრემიერი ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავით სარგებლობდა და არა სპეციალურით.

კარლმა შვებით ამოისუნთქა. კიდევ კარგი, აქედან არ მოკურცხლა, თორემ მოეჭრებოდა თავი. ისე, როცა დაბრუნდება, ამ სახალისო ეპიზოდს შეფს აუცილებლად უამბობს.

— მოიცადეთ, თუ შეიძლება, — თქვა სტიუარდესამ.

მგზავრები მორჩილად შეჩერდნენ, საიდანღაც გამოცვენილმა ფოტორეპორტიორებმა კი ზღვისიქითურ სტუმარს ათობით აპარატი მიუშვირეს.

— მე მჯერა ამერიკელების დიდსულოვნების! — ხმამაღლა თქვა პრემიერმინისტრმა და ხელის გამოსამშვიდობებელი ქნევით ნელა აუყვა ტრაპს.

— ყელში ამოვიდა ამდენი მათხოვარი! — ჩაილაპარაკა სქელუამ და კარლს გადახედა მხარდაჭერის იმედით.

იმანაც არ დააყოვნა:

— ჰო, ძალიან მოუხშირეს. თითქოს საკუთარი პრობლემები არ გვქონდეს.

სტიუარდესა გვერდზე გაიწია და შემცივნული მგზავრები თვითმფრინავისკენ დაიძრნენ.

სალონში კარლმა სწრაფად იპოვა თავისი ადგილი, დაჯდა და ქამარი შეიკრა. მორჩა! შეიძლება ავფრინდეთ! მან მიმოიხედა, მსუქანა ორი რიგით წინ იჯდა, პრემიერმინისტრი კი უფრო წინ,VIP ადგილას. კარლმა საათზე დაიხედა. ოჰო! შლაპიანებს ლოდინი მოუწევთ, მაგრამ ამაში დამნაშავე კარლი არ არის, ბედოვლათი პრემიერმინისტრის ბრალია!

კარლმა ფანჯარაში გაიხედა და შიშმა შეიპყრო: მან დაინახა, როგორ მორბოდნენ თვითმფრინავისკენ პოლიციელები.

— ო, ღმერთო! — ჩაიჩურჩულა შეშინებულმა, — ნამდვილად გავები! არადა, ყველაფერს ინსტრუქციით ვაკეთებდი.

ტურბინების გუგუნი შეწყდა. ტრაპი უკან მოაგორეს.

— რა მოხდა? — თავებს ატრიალებდნენ მგზავრები.

— არაფერი. გთხოვთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, — აწყნარებდა მათ სტიუარდესა.

კარი გაიღო. ორ ზორბა პოლიციელს თავისი კაბინიდან გამოსული პილოტი მიუახლოვდა, რამდენიმე გაცვლითი ფრაზის შემდეგ სტიუარდესას უხმო და რაღაცა ჩასჩურჩულა. ამ უკანასკნელმა თავი დაუკრა, მიკროფონი მოიმარჯვა და მომხიბვლელი ღიმილით წარმოთქვა:

— ბატონებო და ქალბატონებო! სამწუხაროდ, გაფრენა ყოვნდება. გთხოვთ, აეროპორტის შენობაში მიბრძანდეთ.

როგორ აღმოჩნდა საფრენ მინდორზე, კარლს აღარ ახსოვდა. გონებაზე ტრაპთან მდგარი ორი პოლიციელის საუბარმა მოიყვანა. კარლი დარწმუნებული იყო, რომ საცაა მას დააპატიმრებდნენ, უცებ კი მოესმა:

— ვიღაცას აეროდრომის უშიშროების სამსახურში დაურეკავს და უთქვამს, თვითმფრინავში ბომბია დამალულიო.

— გგონია, იხუმრეს? — შეეკითხა მეორე პოლიციელი.

— რასაკვირველია, მაგრამ შემოწმება მაინც საჭიროა.

— ამაზე რა დრო წავა?

— მაქსიმუმი, ერთი საათი.

კარლს სიხარულისაგან დასცხა, ბედნიერებისაგან კი სიმღერა მოუნდა. ბომბი! მხოლოდ ბომბი! ჰეროინი მათ არ აინტერესებთ, მხოლოდ ბომბი!

მისმა სიცილმა გაკვირვებული პოლიციელები გააჩუმა, თავად კი მათ თვალი ჩაუკრა და ყოჩაღად თავაწეულმა მოსაცდელ დარბაზს მიაშურა, კართან შემოტრიალდა და ისევ ცუდად გახდა: თვითმფრინავიდან ბაგაჟს ტვირთავდნენ.

მან თვალი ვერ მოაცილა ურიკას, რომელზეც ბარგი უწესრიგოდ ეყარა და რომელიც ნელა უახლოვდებოდა აეროპორტის შენობას. მას გვერდზე ჩაუარეს პრემიერმინისტრმა თანმხლები პოლიციელებით, ლაყლაყა მსუქანამ, სტიუარდესამ და სხვა მგზავრებმა, მაგრამ კარლი ისევ გაუნძრევლად იდგა, თითქოს დააჭედესო.

— რაღას უცდით? — შეეხო იდაყვზე ბოლოში მომავალი პილოტი, — დარბაზში შედით.

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, — ჩაიბუტბუტა კარლმა.

ფიქრები ერთმანეთში არეოდა. აითესოს, სანამ გვიანი არ არის? მაშინ ჩემოდანს უნდა დაემშვიდობოს, რასაც შეფი არ აპატიებს და საიქიოში გაისტუმრებს. ეს აქამდეც ბევრისთვის უქნია გაცილებით ნაკლები ფულადი ზარალისთვის, ახლა კი ბევრი ფულია, გაცილებით ბევრი ფული!

იქნებ... იქნებ ჰეროინი ვერც იპოვონ? ბოლო დროს პოლიციაში





Cyan Magenta Yellow Black

ბევრი ხუმარა რეკავს ბომბის არსებობასა და მოსალოდნელი აფეთქების შესახებ, რაც ბლეფი გამომდგარა, ამიტომ ასეთ ზომებს უკვე მიეჩვივნენ და სერიოზულად აღარ აღიქვამენ. ცრუ განგაშები უკვე ყველას ყელში ამოუვიდა, ამიტომ ბაგაჟს მხოლოდ მეტალოდეტექტორით შეამოწმებენ, გააშუქებენ და ამით შემოიფარგლებიან. კარლის კეისში მეტალი საერთოდ არ არის, ამიტომ საშიშიც არაფერია.

ეს დამაიმედებელი აზრი მაშინვე უარყო, როგორც კი პრემიერი გაახსენდა — ბარგს ისე დეტალურად გაჩხრეკენ, ერთ კუთხე-კუნჭულსაც არ დატოვებენ შეუმოწმებელს, ამიტომ მხოლოდ ერთი რამ რჩება: კეისი მის შემოწმებამდე უნდა აიღოს და მაშინვე აორთქლდეს აქედან!

კარლი ცნობათა ბიუროსთან მივიდა:

— მაპატიეთ... ბაგაჟს სად ამოწმებენ? თქვენ იცით, თუ ბომბი აფეთქდა...

— ნუ გეშინიათ, — გაუღიმა ქალიშვილმა, — ასეთ დროს ბაგაჟს პილოტების ოთახში სინჯავენ. ის კი საკმაოდ შორსაა, აი, იმ ბოლოში.

— გმადლობთ... თქვენ მე დამამშვიდეთ...

კარლი იმ ადგილს მოსცილდა და ქალიშვილის მითითებულისკენ დაიძრა. შორიდანვე შენიშნა წარწერა: „უცხო პირთათვის შესვლა აკრძალულია".

— აბა, წინ! — უბრძანა თავს.

კარი შეაღო, შევიდა და მიმოიხედა. არავინ იყო ორი მონტიორის გარდა, რაღაცას რომ ჩალიჩობდნენ ძლივს მბჟუტავი ლამპის შუქზე. ის იყო, კარლმა თავისი კეისი შენიშნა, რომ ლამპა ჩაქრა.

— ახლავე, ჯონ, — თქვა ერთ-ერთმა მონტიორმა, — ახალს მოვიტან.

მეორე სკამზე დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და... მიუხედავად სიბნელისა, უცნობი შენიშნა.



კარლმა მხრები გაშალა, მას მიუახლოვდა და გაბრაზებული ხმით შეეკითხა:

— სერჟანტი რენდოლი სადაა? ამ ბარგს ვინმემ ხომ უნდა უყარაულოს? რამე რომ დაიკარგოს, პასუხს ვინ აგებს? თქვენ?

— არ მინდა, — მშვიდად მიუგო მონტიორმა და ზანტად წამოდგა.

— მაშინ წადით და რენდოლი მოიყვანეთ. გადაეცით, რომ მე ველოდები.

— არანაირ რენდოლს არ ვიცნობ, — მხრები აიჩეჩა მონტიორმა.

— მაღალი, მოსული ტიპია, ნიკაპზე იარით. გეცნოთ?

— როცა დავინახავ, ვიცნობ, — მონტიორი კვლავ უშფოთველი იყო.

ის კარისკენ წაბაჯბაჯდა და მალე თვალს მიეფარა. კარლი მაშინვე ბაგაჟს ეცა, თავის კეისს ხელი დასტაცა, დარბაზში გავიდა და სწრაფი ნაბიჯით დატოვა აეროპორტის შენობა.

ის კანკალებდა. გულიც აჩქარებით უცემდა, ოღონდ არა შიშის გამო, არამედ გადატანილი მღელვარებისა და სიამაყისაგან. მან ეს გააკეთა! მან ეს შეძლო!

კარლმა ტაქსი გააჩერა, უკანა სავარძელში მოკალათდა და მძღოლს მისამართი უთხრა.

რადიოში მუსიკა ისმოდა. კარლს მოეჩვენა, რომ ეს იგივე მელოდია იყო, აქეთობას რომ ესმოდა და სტვენაცააყოლა. „მელოდია იგივეა, მე კი სულ სხვა", — გაიფიქრა და მუხლებზე დადებულ კეისს ნაზად გადაუსვა ხელი. ნებები ამჯერად მშრალი ჰქონდა.

ისინი ისევ საცობში მოხვდნენ... და მაინც, ნახევარი საათის შემდეგ კარლი უკვე ადგილზე იყო.

ჩქაროსნულმა ლიფტმა ის ცათამბჯენის ბოლოში აიყვანა, კარი გაიღო და კარლმა ის დაინახა, ვის დანახვასაც ელოდა — შეფის მცველი, რომლის პიჯაკის მარცხენა ჯიბე პისტოლეტის ბუდეს ძლივს ფარავდა და გამობზეკილი იყო.

— შენ საით?

კარლმა დაკუნთულხელებიან აყლაყუდას თამამად პირველად შეხედა ანუ თვალი არ აურიდებია, არ შეშინებულა, რაც ადრე სჭირდა. პირიქით, სასაცილოდაც კი ეჩვენა. ასეთი ვიწრო შუბლი? ან ასე გაბრტყელებული ცხვირი? ანდა მოგრეხილი ნიკაპი? არა, ეს ტიპი ნამდვილად მახინჯი იყო და ბალაგანში თუ გამოდგებოდა საპატიო პუბლიკის გასამხიარულებლად.

— შეფი მინდა, — ისე მიუგო კარლმა, სიცილი ძლივს შეიკავა.

აყლაყუდა არ განძრეულა:

— დაკავებულია.

— ძალიან მეჩქარება.

— თათბირი აქვს.

— ეს მეტად მნიშვნელოვანია!

— რაა მნიშვნელოვანი? — თვალებით გაბურღა ახმახმა.

— აი, ეს, — კარლმა კეისი დაანახვა, — შეფს უნდა დავუბრუნო, ახლავე, სასწრაფოდ.

— დატოვე, გადავცემ.

— ჰო, მაგრამ...

წონწოლა შეუვალი იყო.

— არავითარი მაგრამ. ან დატოვე და აქედან აიბარგე, ან მაგასთან ერთად დაახვიე.

კარლი მიხვდა, გამოუვალ მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა. ძალადობით ვერაფერს გახდებოდა, არადა ხომ უნდა გაეგო შეფს, ოპერაცია რომ დასრულდა, რომელიც ფაქტობრივად, არც დაწყებულა?! ჯობს, შეფმა ოპერაციის წარუმატებლობის შესახებ თავისი მცველისგან ახლავე შეიტყოს, ვიდრე კარლისგან, მაგრამ მერე. თუ შეფს დეტალები დააინტერესებს, კარლს ისედაც დაიბარებს, ეს უკანასკნელი კი თავის კარგად წარმოჩენას შეეცდება.

— აჰა, აიღე, — კარლმა მცველს კეისი გაუწოდა, — ოღონდ ფრთხილად. შიგ ქვები არ გეგონოს.

— ოკეი, — შეაგება აყლაყუდამ, — შეფს გადავცემ, შენ კი აქედან მოუსვი. წუთი წუთზე სოლიდური კლიენტები უნდა მოვიდნენ, მათ კი არ უყვართ, როცა ფეხებში ვიღაცეები ებლანდებიან.

კარლს აღარაფერი უთქვამს, ლიფტს მიაშურა და პირველი სართულის ღილაკს თითი დააჭირა.

ნიუ იორკის მაფიოზური ოჯახებიდან ყველაზე ძლევამოსილის თავკაცის კაბინეტი თავისი დიდებულებით განცვიფრებას იწვევდა. მის ჭეშმარიტ მშვენებას, სურათების ორიგინალებთან და ოქროს სტატუეტებთან ერთად, ძვირფასი ქვებით ინკრუსტირებული უზარმაზარი მრგვალი მაგიდა წარმოადგენდა. დონ ვინსენტე კარგი გემოვნებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ საკმაო საშუალებებს ფლობდა, გარშემომყოფნი რომ მისი გემოვნებით აღფრთოვანებულიყვნენ.

მაგიდას სამი ადამიანი უჯდა — თავად დონ ვინსენტე და მისი უახლოესი თანაშემწენი.

— მაშფოთებს ის, რომ ხელი სხვა საქმეს მოვკიდეთ, — სიტყვების შერჩევით თქვა მათგან უფროსმა, — ნარკოტიკები უფრო ჩვეული იყო.

— მაპატიეთ, დონ ვინსენტე, — აჰყვა მეორე თანაშემწე, — მაგრამ... არც მე მესმის, ეს პრემიერმინისტრი რაში გვჭირდება?

დონ ვინსენტემ ჩაიცინა და თქვა:

— ჩვენი შეთავაზებული სერვისის სპექტრი მუდმივად უნდა გაფართოვდეს. ადამიანები, ვისაც პრემიერი ხელს უშლის, კარგად გვიხდიან. დათქმული თანხის ნახევარი უკვე მივიღეთ, დანარჩენს კი შეკვეთის შესრულების შემდეგ გადმოგვირიცხავენ. ასეთ სარფიან გარიგებაზე უარი არ გვეთქმის.

კარი უხმაუროდ გაიღო და კაბინეტში შეფის მცველი შემოიძურწა კეისით ხელში. მან ცოტა შეიცადა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, სამეულის თათბირში ჩართულიყო თუ არა, მერე კეისი იატაკზე დადგა და ასევე უხმაუროდ დატოვა კაბინეტი.

— ბომბი თვითმფრინავში ვინ შეიტანა? — იკითხა უფრო ასაკოვანმა თანაშემწემ.

დონ ვინსენტემ სიგარა გააბოლა და მხოლოდ ამის შემდეგ მიუგო:

— არის ერთი, კარლ ლუკა. ეს საქმე რომ დავავალე, უნდა გენახათ, თვალები როგორ გაუბრწყინდა. ცოტა მოსულელოა. რომ სცოდნოდა, კეისში ბომბი იდო და არა ჰეროინი, ალბათ ჩაისვრიდა, — შეფმა უშნოდ ჩაიქირქილა.

— როდის აფეთქდება? — დაინტერესდა უფრო ახალგაზრდა თანაშემწე.

დონ ვინსენტემ საათზე დაიხედა:

— ორ წუთში.

შეფი არ ტყუოდა: ბომბი მართლა აფეთქდა ორ წუთში, ოღონდ არა ზემოხსენებულ თვითმფრინავში, არამედ დონ ვინსენტეს ასევე ზემოხსენებულ კაბინეტში, თან ისეთი ძალით, რომ მთელი სართული გაანადგურა.

მომხდარმა უკვე ქუჩაში მიმავალი კარლ ლუკას გაოცება და იმავდროულად გახარებაც გამოიწვია, იმ დღეს კიდევ ერთხელ რომ გადარჩა.

**დასასრული**

✓ *თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი*

# ეიფორია

თინათინ ბონი

www.facebook.com/Tinatinbonney

მესამე ნაწილი

დასაწყისი №7-21

## მასაჟი ოთხ ხელში

დავმშვიდდი. რაც იქნება, იქნება. ორი დღე დამრჩა სანდროსთან ერთად და მერე სახლში ვბრუნდები, ორშაბათს კი სამსახურში გავალ. იმედია, დოდო ბევრ შეკითხვას არ დამისვამს. ვზივარ და ვსვამ ყავას. ძალიან თბილი ამინდია. სანდრო ბანაობს. ვათვალიერებ ჟურნალს. ყველგან ერთი და იგივე. ვინ, ვის, როდის და რატომ. რა მოსაბეზრებელია. მესმის მუსიკა, ეტყობა, სანდრომ ჩართო. „Lana Del Rey — Young and Beautiful“. მეღიმება. პირსახოცშემოხვეული სველი სანდრო სამზარეულოში შემოდის. ვტკბები მისი სხეულით.

— რას აკეთებ?

— რა ვი, ვზივარ, — ვეუბნები კმაყოფილი სახით.

— რაღაც ცუდად მიყურებ, — სანდრო თვალს მიკრავს.

— მე შენ მუდამ ცუდად გიყურებ, — მეც ვუკრავ თვალს.

— დღეს ძალიან მაგარი დღე გელის, — სანდრო თავს აქანქარებს და წყლის შხეფები მესხმება.

— მზად ვარ ყველაფრისთვის.

— ჩაიცვი, გავდივართ.

— სად მიგყავარ?

— ჩაიცვი, — სანდრო ლოყაზე მკოცნის.

შევდივართ სალონში აბაშიძეზე. სასიამოვნო ქალბატონი გვეგებება.

— სანდრო, როგორ ბრძანდებით?

— კარგად, თქვენ?

— მეც, გმადლობთ.

— ქალბატონო, თქვენ აქეთ მობრძანდით.

მივყვები მორჩილად. შევდივარ ქვის ოთახში, ვიხდი და ვთავსდები სამასაჟე ტახტზე. შემოდის ორი ქალბატონი და იწყება საოცრება. არასდროს გამიკეთებია მასაჟი ოთხ ხელში და ვერც კი გადმოვცემ, რა საოცრებაა. ვითიშები.

გამოვდივარ გათიშული. ალბათ ერთი თვე მეყოფა ეს რელაქსაცია. სანდრო ზის მოსაცდელში, ყავას მიირთმევს და ქალბატონებს ესაუბრება. ვუღიმი ბედნიერი და სანდრო დგება.

— მოგეწონა?

— ვაიმე, ეს იყო რაღაც! ძალიან დიდი მადლობა.

სანდრო ტუჩებში მკოცნის და მივდივართ.

ვსხედვართ მანქანაში, ვუსმენთ ერიკ კლაპტონს და მივქრივართ გაურკვეველი მიმართულებით. არ მინდა, რომ ეს კვირა დასრულდეს. მინდა, სულ ასე სიურპრიზებში ვცხოვრობდე. ჩავდივართ საგურამოში და სანდრო მანქანას აჩერებს ლურჯ ღობესთან. გადავდივართ. იღება კარი და გვეგებება სამი ბიჭი.

— სანდრიკ, რადგან შენ განახეთ, ბიჭო! — იძახის ერთი და ეხვევა სანდროს.

— ხო იცით ჩემი ამბავი, სულ დაკავებული ვარ, — სანდრო დანარჩენ ორსაც ესალმება.

— გაიცანით ლენა, — სანდრო წელზე მხვევს ხელს.

— სასიამოვნოა, — ვუღიმი ბიჭებს.

ისინიც მესალმებიან, ერთი გულიანად მკოცნის ლოყაზე. შევდივართ ეზოში. ძალიან ჩვეულებრივი სახლი დგას. მაგიდა გაშლილია და მწვადაობა მიმდინარეობს. ასეთ უბრალო ვითარებაში ჯერ არ მინახავს სანდრო. სულ მაინტერესებდა, ჰყავდა თუ არა ძმაკაცები საერთოდ. ვატარებთ სამ საათს სმა-ჭამა-ღადაობაში. სანდრო არ სვამს, რადგან საჭესთან ზის. მე ცოტა დავლიე. ძალიან ბევრი ვიცინე. ვემშვიდობებით ბიჭებს და ხვევნა-კოცნის შემდეგ ვტოვებთ ადგილს.

— სანდრო, რა კაი ხალხია!

— ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან, ლენ.

— და აქამდე რატომ არ ვიცნობდი?

— იმიტომ, რომ ჩემს წრეში არ ტრიალებენ და უბრალოდ ვერ მოვასწარი.

ვიწევი და ვკოცნი სანდროს ლოყაზე. კმაყოფილს ეღიმება. მოკლედ, დღეს ლოყაზე კოცნის საერთაშორისო დღეა. ვუსმენთ „Brainstorm — Mayde“ და მივქრივართ. დღეს ძალიან მაგარი დღეა!

— სახლში მივდივართ?

— ჯერ არა, — სანდრო თვალს მიკრავს.

— კაი, რაღა უნდა იყოს აწი?

— მაცალე და ნახავ.

ვისუსები. აღარ ვიცი, კიდევ რა შეიძლება გამიხარდეს, მაგრამ რადგან სანდრო ამბობს, რომ დავიცადო, უნდა დავიცადო. მოსაღამოვდა და ბუნებამ თითქოს მიიძინა. ავდივართ სანდროსთან წავკისში. იმ შემთხვევის მერე არც ვყოფილვარ. სანდრო ეზოში აყენებს მანქანას, ხელს მკიდებს და სახლისკენ მივყავარ. შევდივართ შიგნით. საოცარი სიჩუმეა.

— საძინებელში შედი, — კარზე მიმითითებს.

მეც ცხვარივით შევდივარ. ამ სახლში მოხვედრა ბევრ ემოციას აღვიძებს ჩემში. ის დღე, საბურავს რომ ვცვლიდით, თვალწინ მიდგება. შევდივარ საძინებელში და ვხედავ საწოლზე მოთავსებულ აბრეშუმის ხალათს. ლოგიკურად უნდა ჩავიცვა, მაგრამ ქვეშ, რა, შიშველი უნდა ვიყო? ნუ, თუ ჩავთვლით ჩემი და სანდროს საერთო ფანტაზიებს, სულ უნდა გავშიშვლდე. ვიხდი ტანსაცმელს და ვიცვამ ხალათს. ძალიან სასიამოვნო და გრილი მატერიაა. ნეტა, სანდრო სად წავიდა? გავდივარ ოთახიდან. სიბნელეა.

— სანდრო, აქ ხარ?

საიდანღაც მესმის „Queen — You Don,t Fool Me“ და მივყვები ხმას. ვხედავ, რომ სახლის უკანა კარი შეღებულია და ეზოში ცისფერი შუქი ანათებს. გავდივარ გარეთ და ვხედავ უზარმაზარ აუზს, რომელიც შიგნიდანაა განათებული. სანდრო წყალში და რატომღაც მგონია, რომ შიშველია. სახე მებადრება.

— ჩამო, — სანდრო ჩემკენ მოცურავს.

ვნებიანად ვიხსნი ხალათს და ძირს ვაგდებ. სანდროს გამომეტყველებით ვხვდები, რომ ხალათის შიშველზე მოცმა სწორი გადაწყვეტილება იყო. ვხტები აუზში. თბილი და სასიამოვნო წყალია.

— ძალიან მაგარია, — ვამბობ და ვცდილობ, სახიდან გადავიწიო თმა.

— მიხარია, რომ მოგწონს, — სანდრო ზურგზე წვება და თვალებს ხუჭავს.

ვბაძავ მას და მეც ზურგზე ვწვები. წყალი შიშველ სხეულზე მეფერება, მე კი ვარსკვლავებით ვტკბები. ირთვება „Jeremih & 50 cent — Down on me“ და რატომღაც ძალიან მისწორდება ეს სიმღერა. ვტივტივებ და ძალიან მინდა ცეკვა. დრო გაჩერდა. „Usher & Rick Ross — Lemme See“ იწყება და წყლის შხეფებს ვგრძნობ. სანდრო წელზე მეხება და უნებლიეთ ვსწორდები. ხელიდან ვუსხლტები და აუზის კიდესთან მივცურავ. სანდრო უკან მომყვება. ვეყუდები კიდეს ზურგით და თვალებში ვუყურებ სანდროს. მიახლოვდება და ამოსუნთქვასაც ვერ ვასწრებ, ისე მაქცევს თავის მკლავებში. მის სხეულს ვგრძნობ და წყალთან შეხამებაში ეს რაღაც არაამქვეყნიური სიამოვნებაა.

ვწევართ ბალახზე. სანდროს მკერდზე მიდევს თავი. მე ვარ ძალიან ბედნიერი და მინდა, რომ ყოველი წამი დამამახსოვრდეს.

— რაზე ფიქრობ? — უეცრად მეკითხება სანდრო.

— იმაზე, რომ ხვალ ბოლო დღე გვაქვს.

— შენზეა ეგ დამოკიდებული.

თან მსიამოვნებს მისი პასუხი და თან მეშინია, რომ აგვერიოს ისევ?

— სანდრო, ეს დღე იყო საოცარი ისევე, როგორც მთელი ეს კვირა. შენ იყავი ისეთი, როგორც არასდროს და ამისთვის უფრო მიყვარხარ.

— და პრობლემა რაშია?

— იმაში, რომ ეს არ არის რეალობა. ყოველდღიური ცხოვრება მაინც მოსაბეზრებელი გახდება, შენ ეს იცი.

— ლენ, თანაცხოვრება ნებისმიერ ადამიანთან შეიძლება გახდეს მოსაბეზრებელი. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ჩემთან ამისი შანსი ყველაზე დაბალია?

— ვხვდები, სანდრო და მინდა კიდევაც, რომ გამოვიდეს ყველაფერი.

— ხოდა, მორჩი ამ უაზრო ნერვიულობას. ოთახი გამზადებულია. შეგვიძლია გადავივლოთ და დავწვეთ.

ვკოცნი სანდროს ტუჩებში.

— დავწვეთ და დავიძინოთ? — ვეკითხები კეკლუცად.

— ვინ ახსენა ძილი? — სანდროს ეცინება.

— როგორ ფიქრობ, სიბერეშიც ასე ვიქნებით?

— ნუ, შენი ფორიაქების შედეგად თუ ნაადრევად არ დავიღუპეთ, მაშინ კი.

ვეხუტები სანდროს და ტუჩებში ვკოცნი.

დაქანცული ვარ. სანდროს სძინავს. რამდენის თავი აქვს ამ ბიჭს და თანაც ყოველ ჯერზე უკეთესად გამოსდის. და მე მაკლია



Cyan Magenta Yellow Black

ამაზე ფიქრის გამო. ძილი ნებისა, ლენა!

ძალიან კარგ ხასიათზე ვიღვიძებ. სანდროს ღვიძავს და ჭერში იყურება.

— დილა მშვიდობის, — ვეუბნები და ვიზმორები.

— დილა მშვიდობის, — ცოტა ცივი მეჩვენება სანდრო.

— რა გჭირს? — ვეკითხები შეშინებული.

— რა ვი, თავი მტკივა.

თავი? დაწყნარდი, ლენა, იქნებ მართლაც ასეა.

— იცი, აქ დიდი ხანია არ დავრჩენილვარ, — ამბობს სანდრო.

— რატომ?

— ბევრი მოგონება მაკავშირებს ამ სახლთან, უმეტესობა არცთუ ისე სასიამოვნო.

— მომიყევი.

— სხვა დროს, — სანდრო შუბლზე მკოცნის და ლოგინიდან დგება, — ადგ, გაემზადე. თბილისში წავიდეთ.

— სად გვეჩქარება?

— საქმეები მაქვს.

— მე მეგონა, ეს დღეც ერთად უნდა გაგვეტარებინა, — ვიღუშები.

— გავატარებთ, ლენა, ოღონდ ადექი.

უკმაყოფილო ვდგები საწოლიდან და მივიზლაზნები სააბაზანოში. რაღაცაშია საქმე. ვეღარ მიტანს. ერთი კვირა ძლივს გამიძლო. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს ჩვენი ერთად ყოფნის ბოლო დღეა. ცრემლები მაწვება. მესმის, რომ სანდროს მობილური რეკავს და რაღაცას ჩურჩულებს. ნატალია დაუბრუნდა ალბათ. გული გამისკდება ახლა. აღარ გამოვალ ამ სააბაზანოდან საერთოდ. აქ უნდა დავრჩე საცხოვრებლად. ვიქნები აბაზანის სირინოზი. ვუშვებ წყალს და ვდგები შხაპის ქვეშ. ერთი ყველაფრის კარგიც! აღარ მაქვს ნერვები.

— ლენაა, — სანდრო კარზე მიკაკუნებს.

— რაა?

— რომ გადაივლებ, გარეთ გამოდი პირდაპირ, რა, მანქანაში ვიქნები მე.

— კარგი, — ვამბობ და ცრემლებს ვყლაპავ.

ვეღარ ითმენს, რომ გამისტუმროს აქედან. ნეტა რა მიკვირს? არ ვარ ღირსი თუ?! ვდგავარ წყლის ქვეშ და ვბღავი. მე არავის ვჭირდები! საერთოდ არავის!



გამოვდივარ და ვიცვამ ტანსაცმელს. სანდრო გარეთაა. ჩავალ ახლა, წამიყვანს სახლში და ამით დასრულდება ყველაფერი. ნუ, ერთი ბედნიერი კვირა ხომ მქონდა, რაღა მინდა მეტი? ჩავდივარ გარეთ და ვხედავ სანდროს, რომელიც ახალთახალ თეთრMercedes ML-ს არის მიყუდებული.

— ძლივს! — მეუბნება სიცილით.

გაოცებული ვდგავარ. სანდრო გასაღებს მაწვდის.

— შენს სახელზეა გაფორმებული, რომ ვერავის ვაჩუქო, — მეუბნება ღიმილით და ატყობს, რომ თვალები მაქვს დასიებული, — შენ, რა, ბღაოდი, გოგო? — მეკითხება გაოცებული.

ხმას არ ვიღებ. შოკში ვარ. სანდრო გულში მიკრავს.

— სულელო, რა გატირებდა? ვინერვიულე დილას, აგვიანებდნენ მანქანის მოყვანას და მე კიდე სიურპრიზის გაკეთება მინდოდა.

— მადლობაა, — ვამბობ და ვცდილობ, არ ვიტირო.

— ლენა, შემომხედე! მე არასდროს მიგატოვებ, რომ გინდოდეს, მაინც.

— არც მე, სანდრო.

— წამო, ჩაჯექი, ნახე.

მივყვები სანდროს მანქანისკენ და ვსხდებით. ძალიან მაგარი მანქანაა, თუმცა გონზე არ ვარ, რატომ, პროსტა მაგარია. სანდრო ქოქავს და ეზოდან გავდივართ.

— ლენ, კარგად ხარ?

— კი, სანდრო, ძალიან დიდი მადლობა. არ იყო საჭირო.

— იყო და გეხვეწები, ნუ ტირი ყველაფერზე, — სანდრო ხელზე მკოცნის.

ეჰ, სანდრო, არც მე მინდა უაზროდ ტირილი. უბრალოდ ავირიე ამ ცხოვრებაში და ვერაფერს ვეღარ ვიგებ.

შევდივართ სანდროსთან სახლში. ახალი მანქანა მყავს. ძალიან მიხარია, უბრალოდ რატომღაც ვერ გამოვხატავ. სანდრო ტახტზე ჯდება.

— დღესაც დარჩები? — მეკითხება მშვიდად.

— რა ვი, — ვამბობ და მის გვერდით ვჯდები.

— ვაიმე, შენ ვინ ხარ მოკლედ! — მეუბნება სიცილით.

— ასეთი აუტანელი ვარ? — ვეკითხები ტრაგიკული სახით.

— იცი, რას გეტყვი, ლენა დვალი? — სანდრო ტახტიდან დგება, საძინებელში გადის და მალევე უკან ბრუნდება.

— ვიცი, რომ ნერვებს გიშლი, სანდრო, ამის შეხსენება არ მჭირდება.

— ყველაფერი როგორ უნდა აურიო ადამიანს? საიდან ეს ამდენი ემოცია? ახლა მაინც ხომ ყველაფერი კარგად არის.

— დილას რომ ცუდ ხასიათზე იყავი, მეგონა, რომ გადაიფიქრე და შემეშინდა, — ვპასუხობ ალალად.

— და რატომ მოგდის ასეთი აზრები საერთოდ?

— არ ვიცი, — თვალებს ვხრი.

— ძალიან მინდოდა, მანქანა მოგწონებოდა, მაგრამ, მგონი, ვერც მაგით გაგახარე, — სანდრო ჩემ წინ დგება.

— ძალიან გამახარე. უბრალოდ მანამდე ისე ვინერვიულე, რომ ვერ გამოვხატე. რა ვქნა, აი, ასეთი დარტყმული ვარ.

— შენ დარტყმული არ ხარ, შენ არაჩვეულებრივი ხარ!

— როგორ მიხარია, თუ მართლა ასე ფიქრობ.

— გამაგიჟე! გეფიცები, გამაგიჟე!

— ბოდიში.

— აი, ახლაც ვფიქრობდი, იქნებ გადაგორდეს-მეთქი, მაგრამ ხომ არ აცლი შენ ადამიანს.

— რაზე მეუბნები?

— იცი, ვაპირებდი, ჩვენთვის პარიზის ბილეთები მეყიდა და ეს ყველაფერი სულ სხვანაირად გამეკეთებინა, მაგრამ შენი პანიკების კიდევ ერთ დღესაც ვეღარ გავუძლებ!

წარბს ვწევ. ვერ გავიგე. სანდრო ცალ მუხლზე ეშვება და ჯიბიდან ბეჭედს იღებს. თვალები მიფართოვდება. ძალიან ლამაზი ბეჭედია და საოცრად ბზინავს.

— ლენა დვალი, მე შენ მიყვარხარ. მე ეს დიდი ხანია ვიცი და ძალიან ვნანობ, რომ აქამდე ყველაფერი სწორად არ გავაკეთე, თუმცა ახლა ამის დრო არაა. მე შენ სიგიჟემდე მიყვარხარ. შენი ღიმილი ჩემთვის ჰაერივითაა. მე მინდა, რომ ჩემი ცხოვრების ბოლომდე გაღვიძებისას შენ ლამაზ სახეს ვხედავდე. ლენა, გახდები ჩემი ცოლი?

— კი, — ვამბობ დაუყოვნებლივ და ჩემი თავის მიკვირს.

სანდრო დგება, ბეჭედს მიკეთებს და ჩემ გვერდით ჯდება. მუხლებზე ვუჯდები და ტუჩებში ვკოცნი.

— ახლა მაინც დამშვიდდები? — მეკითხება ღიმილით.

— კი, — ვკოცნი და ბეჭედს ვათვალიერებ.

ენდის ბეჭედზე ბევრად ძვირფასი და ლამაზია. არ მიკვირს, ეს ხომ სანდროა.

— ლენა მარანძანა უნდა გავხდე? — ვეკითხები სიცილით.

— როგორც შენ გაგიხარდება.

— მაშინ გავხდები.

ვატყობ, რომ სანდრო იბადრება.

— ძალიან უხდება შენს სახელს ჩემი გვარი.

ვეხუტები სანდროს და კისერში ვკოცნი. ლენა მარანძანა. ძალიან კარგად ჟღერს. ლენა მარანძანა ლენა დვალივით ისტერიკული და აბდაუბდა არ იქნება. ლენა დვალი მომავალი „Donna Mafia"-ა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# ნდობა

— დე, ჩემი ჯინსი გარეცხე? მომიტანე, რა!

— დე, ჩემი მაისური სადაა?

— თეთრი პერანგი გააუთოვე?

— თავის ტკივილი ამყვა, წამალი მომეცი!

— ჩემი მობილური არ გინახავს?

— ყავა მომიდუღე, რა!

— ჩაი დასხმულია უკვე?

— და-მა-ნე-ბეთ თა-ვი! და-მა-ნე-ბეთ! გაიგეთ? — დაიყვირა.

სინამდვილეში არ დაუყვირია: გარეცხლი ჯინსი გამოიღო, მაისურიც, გაუთოებული პერანგიც ჩამოხსნა საკიდიდან, მობილური მოძებნა, წამალიც, ყავა მოადუღა, ჩაი დაასხა... და როცა სახლის კარი საბოლოოდ გაჯახუნდა, თათა საძინებელში შევიდა, ჩამოჯდა და სარკეს მიაშტერდა.

— და-მა-ნე-ბეთ თა-ვი! — ახლა კი დაიყვირა.

არავინ უსმენდა, სახლში უკვე მარტო იყო.

— რა დღეში გაქვს ნერვები? — ჰკითხა მერე ორეულს და ჭკუაც დაარიგა, — დაწყნარდი, დამშვიდდი და განიტვირთე.

დღეს თავისუფალია, ადგება და ნინოსთან წავა. არა, ჯობია, დაურეკოს, შეხვდეს და კაფეში დასხდნენ. ცოტას ეს ეტყვის, ბევრს — ნინო. ბევრს ეს ეტყვის, ცოტას — ნინო და მეტი რა უნდა? ჩადგება ქარივით, ჩაწყნარდება.

— ეს ლიდა მაინც სად გამექცა? — ჰკითხა ორეულს, — თუმცა გაქცევის თავი სადღა ჰქონდა, საწყალს, ძლივს დაღოღავდა ოთახიდან ოთახში და მე მიწევდა ისევ დალაგება.

ლიდა კვირაში ორჯერ მოდიოდა და სახლს ულაგებდა. თათა კი იჯდა და მუშაობდა. სამეცნიერო სტატიების თარგმნას სახლის დალაგებას ვერ უთანხმებდა. უნდა იჯდე, სპეციფიკურ ტერმინოლოგიაზე იფიქრო და არა, ვთქვათ, ცხრაფოთლიანი „გორკის“ გადაწმენდაზე.

— არა, რას გადამაყოლა ამ თავის მზითევს, თითქოს ცხრა ფოთოლი კი არა, მთელი ტყე მოჰყვება ამ „გორკას“, — გაბრაზდა უცებ.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, იმ „გორკას“ ტყე და ფოთლების შრიალი — არა, მაგრამ ანტიკვარები კი მოჰყვება: კუზნეცოვის ლაჟვარდისფერი სიფრიფანა ფინჯნები, კობალტის ლურჯად შემღვრეული ლამბაქები, ფრანგული ფაიფურის მექანიკური სათამაშო, ჩინური ფაიფურის რძისფერი სარძევეები და სუნამოს დასაყენებელი, გამჭვირვალე ფლაკონები... სულო და გულო, გულო და სულო...

ეს „გორკა“ დედამთილის მზითევია, ოჯახის ყველაზე საპატიო წევრი, სასტუმრო ოთახში დგას და ანტიკვარებთან ერთად მოვლის ინსტრუქცია მოჰყვება. და სად შეუძლია თათას ამ ინსტრუქციით ხელმძღვანელობა? თავად მერიკომ გადაწმინდოს, თუ კარგია! მაგრამ არა, მერიკო ქანდაკებასავით დგას „გორკის“ გვერდით და მითითებებს იძლევა.

— ფრთხილად, ფრთხილად, არ გაკაწრო!

— გასაღები ფრთხილად გადაატრიალე, არ ჩატყდეს.

— ფოთლები კარგად ამოუწმინდე, აქედანაც კი ვხედავ მტვერს...

თათას კიდევ ცხრის კი არა, ხანდახან ერთი ფოთლის გაწმენდაც არ შეუძლია, შეუძლია კი არა, შიშით არც ეკარება, ერთი ფოთოლიც რომ ჩამოვარდეს, სახლში გაჩერება აუტანელი იქნება...

„გორკის“ გახსენებაზე ო,ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“ გაახსენდა და სიცილი აუტყდა:

„აი, ეს არის ამ „გორკისა“ და მერიკოს ამბავი. სანამ „გორკას“ უკანასკნელი ფოთოლი არ ჩამოვარდება, მანამდე მერიკოც ცოცხალი იქნება. ეჰ, ხვალ ახალ სათარგმნს მომცემენ, ერთ კვირაში უნდა დავამთავრო და მე მერიკოზე და „გორკაზე“ ვფიქრობ. არ ვთარგმნი, ფული არ იქნება, ფული არ იქნება, საჭმელი არ იქნება, საჭმელი არ იქნება, მე შემჭამენ ქმარი, შვილები, დედამთილი და მაზლი. აი, ეგ ხომ გამოცანასავითაა: მიდის, მოდის ადგილზე დგას. ხან რომელ ქალთანაა, ხან — რომელთან. მივა, დაარქმევს ცოლს, იცხოვრებს, მოსწყინდება, წამოვა. ცოტა ხანში სხვა ქალთან გადავა, დაარქმევს იმასაც ცოლს, იცხოვრებს, მოსწყინდება, წამოვა... ბოლო გაჩერება ყოველთვის სახლში აქვს. ახლაც აქაა ჯერჯერობით, მორიგი ცოლის პოვნამდე“.

„მოკლედ, — წამოდგა უცებ, — რაც უნდათ, ის უქნიათ. „უბორკაო“, რომ გამომიცხადა გუშინ მერიკომ დიდი ამბით, დადგეს და დაალაგოს, მე მაგის თავი არ მაქვს. არ მაქვს და მორჩა! ოჰ, ლიდა, რაღა ახლა მოგინდა დაბერება და „არ შემიძლია“, ეს „უბორკაც“ ჩაგემთავრებინა და მერე რაღაცას მოვიფიქრებდი“.

თათამ ფანჯარა გამოაღო. ნაწვიმარი ჰაერი ღრმად შეისუნთქა. უყვარდა ასეთი ამინდი, ოდნავ მოქუფრული და გრილი, გარეთ იტყუებდა, ექაჩებოდა.

— ჰოდა, გადი, გარეთ გადი, თათა, გეყოფა სახლში ჯდომა! გეყოფა იმაზე ფიქრი, ვის რა სჭირდება ჯერ დილას, მერე საღამოს, — შეუძახა თავს, მერე ნინოსთან დარეკა და შეხვედრაზე შეუთანხმდა.

კაფეში რომ შევიდა, ნინო უკვე მაგიდას უჯდა.

— რა კარგი ქენი, რომ გამომიყვანე, — გადაკოცნა თათა, — აზრადაც არ მომივიდოდა ახლა ქუჩაში გამოსვლა. არადა სახლში ჯდომაც არ მინდოდა.

— ხვალ ახალ სათარგმნს ვიწყებ და, ცოტა თუ არ განვიტვირთე, ვერ მოვერევი. დიდი წიგნია, — თათა მოწყვეტით დაჯდა სავარძელზე, — ლატე შეუკვეთე, არა?

— როგორც ყოველთვის, — გაუღიმა ნინომ.

ეს კაფე უყვარდათ. რაღაცნაირად მყუდრო, პატარა, წყნარი. სულ ხუთიოდე მაგიდა იდგა. ყველა მაგიდას სხვადასხვა ფერის ხელნაკეთი სუფრა ეფარა: ლურჯი, აგურისფერი, ჭაობისფერი, ფორთოხლისფერი, ჩამწიფებული შინდისფერი. სუფრებზე ჭრელი ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ორნამენტის ბუდეებს წნავდნენ. პატარა თიხის ქოთნებში ცოცხალი ყვავილები ყვაოდნენ. ერთ კედელზე ნაკუწებისგან აწყობილი ქვილთი ეკიდა: ჩითის ეზოთი და ჩითის პატარა სახლით, მეორეზე ვინტაჟი — ღია ბარათებით, კონვერტებით, მაჯის საათით. კუთხეში გრამაფონი იდგა, სპილენძისფერი რუპორი ბალბის ყვავილივით გამოეშალა. როგორ არ უნდა ჰყვარებოდათ აქ შემოსვლა? ჰოდა, უყვარდათ, ხშირად მოდიოდნენ, ყოველდღიური პრობლემებისგან იცლებოდნენ, თავისუფლდებოდნენ და მერე ისევ ყოველდღიურობას უბრუნდებოდნენ.

აქ ყველაზე კარგ ლატეს აკეთებდნენ, ყოველ შემთხვევაში, თათას და ნინოს ძალიან მოსწონდათ აქაური ლატე — თეთრ ფინჯნებში ღრუბელივით ამობურცული, ვანილით და შოკოლადით.

— ეს თუ მომათქმევინებს სულს, — თათამ ფინჯანს დახედა, ქაფს ხის წკირი მოუსვა, ქაფზე ყავისფერი სპირალი ამოიკვეთა და თათამ გულმოდგინედ დაატრიალა.

— რამე მოხდა? — ჰკითხა ნინომ.

— პირიქით, არაფერი ხდება და ამ ერთფეროვნებამ გამაგიჟა, — ქაფს თავი მიანება თათამ.

— ნუ, ეგ ხომ ძველი ამბავია, — იმედი გაუცრუვდა ნინოს.

— ჰოდა, მაგას ვამბობ, — გაეცინა თათას, — ძველიც და ახალიც, არაფერი იცვლება, აი, სულ არაფერი. აი, წარმოიდგინე: დილას ვდგები, გამარჯობათ, მეგობარო ოჯახის წევრებო, აბა, თქვენ რა გნებავთ, ან თქვენ რას ინებებთ, ყავას თუ ჩაის? თეთრ პერანგს თუ ნაცრისფერ მაისურს, ჯინსი გნებავთ თუ შავი შარვალი... წნევის წამალი მოგიტანოთ თუ საწამლავი, რძლის ხელით მორთმეულს, რომ იცოდეთ, რა დაუვიწყარი გემო აქვს... თქვენ რაღა გნებავთ, ჩემო პატარა სტუდენტო ბავშვებო? სად მოვძებნო თქვენი მობილური, საწერი მაგიდის უკან თუ საწოლქვეშ შევძვრე სასწრაფოდ, ძეხვის ბუტერბროდები გაგიმზადოთ თუ ხაჭო მაწვნით, ან იქნებ სენდვიჩს დაელოდოთ, ოღონდ ჭამეთ და ახლავე პურსაც გაგიხუხავთ... — თათამ ღრმად ამოისუნთქა, — ასე მხიარულად ვიწყებ დილიდან, ყველას ვემსახურები...

— და რატომ ემსახურები? — მხრები აიჩეჩა ნინომ, — შენ გგონია, უშენოდ ვერაფერს მოაბამენ თავს?

— არა, — იუარა თათამ, — მე მგონი, უჩემოდ უკეთესადაც იცხოვრებენ, მაგრამ ასეთი ვარ და ახლა რა შემცვლის? ერთადერთი, გამოვტყდები და ვაღიარებ, რომ სახლის დალაგება არ მიყვარს, მაგ დროს მერიკოს „გორკასავით“ სულ ფოთლებად მაყრის, სამაგიეროდ დალაგებულ სახლში ყვავილივით ვიფურჩქნები.

— მერე, დაალაგოს მერიკომ, — ურჩია ნინომ.

— ისე ამბობ, თითქოს მერიკოს არ იცნობდე, — გაეცინა თათას, — მაგას მარტო შენიშვნების მოცემა უყვარს და კიდევ კურსის მიცემა გემის კაპიტანივით. დანარჩენები მეზღვაურები ვართ, მე საერთოდაც იუნგა და კოკი — ყველას ვემსახურები და თან კულინარიულ შედევრებს ვქმნი მაგათთვის.

— კარგი ახლა, ნუ ამუქებ ყველაფერს, — ნინომ ყავა მოსვა, — შენ შენს საქმეს მიხედე.

— ეგ საქმეც მომბეზრდა. ისეთ სისულელეებს ვთარგმნი, ნეტავ, ვინ წერს ან ვინ კითხულობს. აი, იცი, რა მინდა? სადმე წასვლა, მარტოს, ერთი კვირით. არა, ერთი თვით. უტელეფონოდ, უინტერნეტოდ, უსაქმოდ. წავიდე და ისე ვიცხოვრო, არავინ



Cyan Magenta Yellow Black

გამახსენდეს — არც ბავშვები, არც ბესო.

— რას შვრება ბესო? — მოიკითხა ნინომ.

— ვაიმე, ბესო არ მიხსენო, — წამოიძახა თათამ.

— მე არც მიხსენებია, შენ ახსენე, — გაეცინა ნინოს.

— რას შვრება და უსაქმურობს. ერთი პროექტი დაამთავრა და ახლა გამოაცხადა, ვისვენებო, — დაიწყო თათამ, — არა, გეკითხები, დასვენების დროა ახლა?! ამხელა ოჯახი მე შევინახო, სანამ ბესო დაისვენებს?! თან ყოველ დილას ისე გადის სახლიდან, თითქოს სამსახურში მიდიოდეს. თეთრი პერანგით, გამოწკეპილი...

— და სად მიდის? — დაეჭვდა ნინო.

— არა, მაგაზე არც ვფიქრობ, — მიუხვდა თათა, — საყვარელი არ ჰყავს.

— დარწმუნებული ხარ? — ისევ დაეჭვდა ნინო.

— კარგი, რა, ნინ, ბოლომდე დარწმუნებული ბესოში კი არა, ვთქვათ, ჩემს თავში არ ვარ. ისე, რა დარწმუნება მინდა. ოცდაოთხი საათი მეგობრის საბილიარდოშია. ხან თამაშობენ, ხან ფეხბურთს უყურებენ, ერთობიან ბიჭები. რა ენაღვლებათ, მოდის მერე ნასვამი. არა, ნასვამი რომ მოდიოდეს, რაღა მიჭირს. გუშინ, მაგალითად, ისეთი მთვრალი იყო, კარი რომ გავუღე, უკაცრავად, სხვაგან მოვხვდიო და უკან გაბრუნდა. არც მოვაბრუნებდი, მაგრამ მერიკო გამოენთო, სად უშვებ ამ ბიჭს, რამე არ მოიწიოს, ვაჟიკო ნასვამი რომ მოდიოდა, პატარა ბავშვივით ვუვლიდიო, მამამთილზე მითხრა. მეტი საქმე არ მაქვს, ხომ იცი, ბესოს ვუარო პატარა ბავშვივით!

— მე ვუვლი, — ხმაში სიამაყე შეეპარა ნინოს, — კარგად იქცევა და იმიტომ. იმსახურებს ჩემი პატარა ბიჭი. არც სვამს, არც ეწევა, არც საბილიარდოში ზის უსაქმოდ და უაზროდ. დღეს და ღამეს ასწორებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმდენს მუშაობს. ჰო, თან ამ ბოლო დროს აღარ იცის, რით მასიამოვნოს.

— რაო? — გაუკვირდა თათას, — მოიცადე, გიაზე ამბობ თუ მეორედ გათხოვდი და არ ვიცი?

— მეორედ — არა, მაგრამ ჩვენს სიყვარულს კი გაეხსნა მეორე სუნთქვა, — მზერა გაუთბა ნინოს.



— ჰო, ღრმად ასუნთქე, ღრმად, არ ჩაიძიროს, — ჩაიფხუკუნა თათამ, — მოიცა, გეყოფა ხუმრობა.

— რა ხუმრობა? მართლა ვამბობ, ოღონდ წარმოდგენა არ მაქვს, ასე რამ შეცვალა, — სერიოზულად უთხრა ნინომ, — თუმცა არ მიკვირს, მასში ყოველთვის იყო მოსიყვარულე მეუღლე, უბრალოდ ხელი არ ეწყობოდა მატერიალურად და ამან დააკომპლექსა. ახლა კი რა კომპლექსი, რის კომპლექსი, დადის მხარგაშლილი და ამდენი წლის მოთმინებას ყვავილებით და საჩუქრებით მიფასებს. ვერ გავაგებინე, რომ ყვავილები არ მიყვარს. რაც მოაქვს, თითქმის ყველაფერს ერთ ქალს ვატან, სახლს რომ გვილაგებს, მაგრამ ამას მაინც მოაქვს...

— არიქა, მიშველე! — წამოიძახა თათამ, პატარა ბავშვივით გამოუწვია ყელი ნინოს, — მიშველე, თორემ ხვალ მნახავ ან „დუხოვკაში“ თავშეყოფილს ან მერიკოს ჩეხურ ჭაღზე ჩამოკიდებულს.

— რა იყო, ყვავილები გინდა?

— რა ყვავილები, ხომ არ გაგიჟდი, ჰერბარიუმს კი არ ვაკეთებ! — შეიცხადა თათამ, — იმ გოგოს მობილური მინდა. სახლი მაქვს საფუძვლიანად დასალაგებელი და ერთი ენერგიული ქალი მჭირდება. საწყალი ჩემი ლიდა, სანამ წაიქცეოდა, მანამდე გაიქცა.

— ანუ სახლის დალაგება გინდა, ხომ? — მიხვდა, მაგრამ მაინც ჩაეძია ნინო.

— გოგო, სახლის დალაგება მინდა, ხო, აბა, სხვა რა? ვეძებ კარგ, ჯან-ღონით სავსე ქალს, აი, ისეთს, სოფელში რომ უყვართ. სუსტი და მიკნავლებული ჩემი თავიც მეყოფა. სასწრაფოდ მჭირდება. აი, მართლა, რა!

— კარგი, რა პრობლემაა, ზუსტად ეგეთია, ენერგიული და ჯან-ღონით სავსე, სპორტული, მაღალი, — ნინომ მაშინვე გადარეკა, მერე თათას მიუტრიალდა, — გათიშული აქვს, მერე დავურეკავ.

— კარგი, ჰო, ოღონდ არ დაგავიწყდეს, კარგი? — შეეხვეწა თათა, — რაც უფრო სწრაფად გამიკეთებს, უკეთესია. სანდო არის თუ არა, ამას აღარ გეკითხები.

— არც მკითხო, გამოვცადე და სანდოა ნამდვილად. ჩვენში დარჩეს და მაგაზე არც ვეჭვიანობ. ამას წინათ მირჩიეს ერთი — ვაი, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა! ხომ იცი, მონადირე ქალები რომ არიან და სახეზე აწერიათ: „ვანგრევ ოჯახებს იაფად და ხარისხიანად“. ზუსტად ეგ იყო. ჰოდა, როგორ გავიკარებდი?! ეს კი ძალიან თბილი ქალია, ლამის ოჯახის წევრად ვიღებ. ამას წინათ ჩემს სტილისტთანაც წავიყვანე, თმა ქერად გადაუღება და დაუხვია... მოკლედ, ამას იმიტომ გეუბნები, რომ მიხვდე, როგორ ვენდობი, — დაამშვიდა ნინომ.

— ვაიმე, როგორ გამახარე! სახლის დალაგების თავი ნამდვილად არ მაქვს ახლა, არადა მერიკო უკვე აფუსფუსდა. ოღონდ ხომ იცი, როგორ? გაივლის, დატოვებს შენიშვნას, გამოივლის, დატოვებს შენიშვნას.

— აი, ნახავ, რა კარგი ქალია, — ისევ დაამშვიდა ნინომ, მერე საათზე დაიხედა, — თათ, გავდივარ ახლა, კბილის ექიმთან ვარ ჩაწერილი.

— კარგი, მე ვიქნები ცოტა ხნით, კიდევ ერთ ლატეს დავლევ, — გაუღიმა თათამ.

მერე იჯდა და ათას რამეზე ფიქრობდა: ხან ერთ შვილზე, ხან მეორე შვილზე, ხან სათარგმნზე, ხან — უკვე გადათარგმნილზე. ერთი-ორჯერ მერიკოც გაახსენდა, მერიკოზე — მისი შენიშვნები, შენიშვნებზე — დალაგება, დალაგებაზე — ის ქალი, ნინოს რომ ულაგებდა სახლს, იმ ქალზე — ბესო...

— არა, მაინცდამაინც იმ ქალთან რატომ გამახსენდა ბესო? — თათამ ახლა ქმარზე დაიწყო ფიქრი, — ესე იგი ქვეცნობიერად ვეჭვიანობ. აბა, ლოგიკით, ბესო დედამისთან უნდა გამხსენებოდა.

„ოოო! — მოიშორა აბეზარი ფიქრები, — არა, დარწმუნებული ვარ, ბესო არავისთან გააბამს რომანს, მათ შორის — არც დამლაგებელთან. სად სცალია ახლა ვინმესთვის? ბილიარდს თამაშობს და სვამს, — დაიმშვიდა გული, — თან იმ დამლაგებელს ნინო ენდობა და მორჩა! ეს იმას ნიშნავს, რომ ათასნაირად ეყოლება შემოწმებული, თანაც ჩუმად“.

კაფე დატოვა და ქუჩაში გავიდა.

კარგი ამინდი იყო. უყვარდა ეს ამინდი, გრილი და ნაწვიმარი. ღრმად შეისუნთქა ჰაერი, ირგვლივ მიმოიხედა, ტროტუარზე ხალხი დადიოდა, ტრასაზე — მანქანები, იქვე პარკინგზე ვიღაცამ მანქანა გააჩერა.

— ვაიმე! — თათას თვალები გაუფართოვდა.

მანქანიდან გია გადმოვიდა, ნინოს ქმარი. მერე გვერდითა კარი გამოაღო და იქიდან გადმოსულ ახალგაზრდა ქერა ქალს ხელი შეაშველა. ქალი მაღალი იყო, სპორტული, ქერა, ხვეული თმა ჰქონდა და თათას მოეჩვენა, რომ ეს ქალი ჩვეულებრივ ნაცნობზე ბევრად მეტი იყო გიასთვის.

„ვაიმე, ეს გია არ არის?! — ლამის ხმამაღლა წამოიძახა, — ცოლს რომ თან ჰყვება, ის ვაჟბატონი?! და ეს ალბათ ოჯახის ის ერთგული დამლაგებელია, არა? ჰო, ის იქნება, დარწმუნებული ვარ, მაღალი, ქერა, ხვეული თმით, ენერგიული... — უცებ გაბრაზდა, — არა, თან როგორ ნილბავს, ცოლს საჩუქრები და ყვავილები, სამაგიეროდ თავად — საყვარელი. ჰმ, ენდე ახლა ქალებს! კაცებს ხომ — საერთოდ. მაგათი ნდობა არ შეიძლება... ვაიმე, რა მშვიდად ღალატობენ ცოლებს!“

და უცებ ბესო გაახსენდა. სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში, ადგილს მოწყვიტა და საბილიარდოში გავარდა ქმრის შესამოწმებლად. უკვე აღარ ენდობოდა.

# გავიცნობ, ვეძებ

## გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ 36 წლამდე ნორმალურ გოგოს, ველოდები თქვენს სმს-ს. 598755530

2. ვარ თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, მყავს მანქანა, მაქვს ბინა, გავიცნობ 37 წლამდე, მიმზიდველ, უკომპლექსო გოგონას მეგობრული ურთიერთობისთვის. 557509711. დათო

3. გავიცნობ 30-დან 40 წლამდე კარგი გარეგნობის ქალს. ვარ 27 წლის, სიმპათიური და ძალიან ერთგული. 593346144

4. ვარ 35 წლის, სიმპათიური, დაოჯახებული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ სანდო და სასიამოვნო გარეგნობის თბილისელ გოგოს. მყავს საკუთარი ავტომანქანა. 555507831. გიო

5. ვარ 45 წლის, თბილისელი მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, უფროსი ასაკის ქალს. 595976976

6. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 599797934

7. გავიცნობ 45 წლამდე, სიმპათიურ, არამსუქან და თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. 595102101. იკა

8. გავიცნობ სამტრედიელ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 23 წლის, პატიოსანი ბიჭი, მომწონს უფროსი ქალი. 555513821

9. ვარ 31 წლის მამაკაცი, გავიცნობ სიმპათიურ, ალერსიან ქალს. 555148894

10. გავიცნობ 35 წლამდე, ბათუმელ, ქობულეთელ ან იმერელ, მხოლოდ ქვრივ ქალს. ვარ 39 წლის, ქუთაისიდან. 557994113. ჯონი

11. ვარ 30 წლის, ვცხოვრობ თბილისში, შეხვედრებისთვის გავიცნობ ასევე თბილისში მცხოვრებ, 38 წლამდე სიმპათიურ ქალს. 555488044. თემური

12. გავიცნობ თბილისელ 30 წლამდე ლამაზ გოგოს. 598892109. გიორგი

13. გავიცნობ 25-დან 35 წლამდე ქალს ლამაზი ურთიერთობისთვის. 555186807

14. სამეგობროდ გავიცნობ სულით ლამაზ ქალს. ვარ 190/90/40, ვცხოვრობ თბილისში მარტო. 557647577. ჯაბა

15. გავიცნობ 37 წლამდე, თბილისელ ქალს, ვისაც გული ატკინეს. ვარ 38 წლის. 555519283

16. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქუთაისელ, მიმზიდველ გოგოს. ვარ 30 წლის, ახლო მდებარე რეგიონიდან. 593493496. დათო

17. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 37 წლამდე ქალს. 557595207

18. ვარ 42/178/75, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, სერიოზული მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, რომელსაც სურს შეიძინოს ერთგული და სანდო მეგობარი მამაკაცი. 593638594

19. სამეგობროდ გავიცნობ კარგ გოგოს. 558284451

20. ვარ 30 წლის, თბილისელი მამაკაცი, დასაქმებული, დასაოჯახებელი და ფინანსურად უზრუნველყოფილი. გავიცნობ 30-40 წლამდე გათხოვილ ქალს სამეგობროდ, სასურველია თიბილისელ და ცოტა პუტკუნა. 557758816. ნიკა

21. გავიცნობ ქალს შეხვერებისთვის, ვისაც საღამოობით შეეძლება შეხვედრა თბილისში. ვარ 28 წლის. 555195062. იკა

22. გავიცნობ დედისერთა, აჭარელ გოგოს, წესიერს, პატიოსანს. ვარ 20 წლის. 555438917. ნიკა

23. ვარ 185/75, ცისფერთვალება, სიმპათიური მამაკაცი, პროფესიონალი ექიმი-მასაჟისტი. გავიცნობ მასაჟის მსურველ თბილისელ, უკომპლექსო, ლამაზ გოგონას. 557412499

24. გავიცნობ 35 წლამდე, თბილისელ, ლამაზ გოგოს, თუნდაც გათხოვილს. ვარ ძალიან თბილი, შეხვედრებისთვის მაქვს ბინა. 593050806

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 1 ივნისი 17 საათი.

2017

25. ვარ 35/180/80, კარგი აღნაგობის, სიმპათიური, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე, სადა გარეგნობის, თბილისელ ქალს. 557704587

26. გავიცნობ 35 წლამდე ქალს ახლო ურთიერთობისთვის, მხოლოდ თბილისში მცხოვრებს. 593622326. გიორგი

27. სამეგობროდ და ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ გავიცნობ 26 წლამდე გოგოს. ვარ თბილისელი, 28 წლის ბიჭი. 555372334. გოჩა

28. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, თბილისელ, თავისუფალ გოგოს ახლო ურთიერთობისთვის. ვარ 31/190/90. 577437727

29. გავიცნობ სიმპათიურ ქალს 30-დან 38 წლამდე. დამიკავშირდით საღამოს საათებში. 555148603

30. ვარ 30 წლის, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის ბიჭი, დააქმებული, სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ გოგოს. 593134059. გიგა

31. ვარ 30 წლის, სიმპათიური მამაკაცი, ყველაფრით უზრუნველყოფილი, ახლო ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ 20-40 წლამდე საინტერესო ქალს. 599977827. სანდრო

32. ვარ თბილისელი, ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭი, სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ ქალს. 555948545

33. ვარ 26/185/76 მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 599801018

34. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, თუნდაც პუტკუნას. ვარ თბილისელი, ახალგაზრდა ბიჭი, მაქვს ბინა და სამსახური. 557760643. დემე

35. ვარ თბილისელი, 32 წლის მამაკაცი, ცოლშვილიანი, გავიცნობ 35 წლამდე ქალს სამეგობროდ. 557544027

36. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, თბილი და მოსიყვარულე. 598007242

37. ვარ სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

38. გავიცნობ გათხოვილ ან განათხოვარ ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 32 წლის მამაკაცი. 557580019

## გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 48 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ კახეთში, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე, კარგი გარეგნობის ქალს. 557753503

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, სუსტი აღნაგობის 30-დან 38 წლამდე თბილისელ ქალს. დამიკავშირდით საღამოს საათებში. 555340648

3. გავიცნობ 35-დან 37 წლამდე, შეძლებულ ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 35 წლის. 593324790

4. ოჯახის შექმნის მიზნის გავიცნობ ნორმალურ ადამიანს. ვარ 36 წლის. 593259751

5. ვარ 175/65/1976, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალს. 555170980. ალეკო

## გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ აზრიან, ჩამოყალიბებულ 35-დან 40 წლამდე თბილისელ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად. 5552329671

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე მამაკაცს. 555354360

## გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ ლამაზი და მიმზიდველი, 30 წლის ქალს. გავიცნობ 40-50 წლამდე სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს სამეგობროდ. 558522007

2. ვარ 45 წლის ქალი, სამეგობროდ გავიცნობ უზრუნველყოფილ მამაკაცს, რომელიც ეკონომიურად დამეხმარება. 555629927

3. გავიცნობ მოწესრიგებულ 50-55 წლამდე მამაკაცს. ვარ 47 წლის ქალი, 557645445

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რაიმე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 1 ივნისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი ადრესატისადმი მიწერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

←10 მოშვებას ვესწრებოდი.

**— ეს ძალიან რთული სისტემაა. როდემდე აპირებთ იქ მუშაობას?**

— რა თქმა უნდა, ციხეში არ ხვდებიან საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. იქ კრიმინალები სხედან და მჯერა, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ეს მართლაც ასეა. სისტემა მეტნაკლებად დალაგდა და კმაყოფილი ვარ, რომ ამაში ჩემი წვლილიც არის. მე ის ადამიანი ვარ, რომელიც ერთ ადგილას ვერ ძლებს. უფრო კრეატიული სამსახური მინდა. ჩემი აზრით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა აღდგება და მინდა, საკუთარი თავი ამ სფეროში ვიხილო, მოლაპარაკების პროცესში სერიოზული როლი შევასრულო.

**— სისტემა დალაგდაო, ამბობთ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ციხეში პატიმარი ცემით მოკლეს. ამბობენ, რომ ეს ზედამხედველებმა ჩაიდინეს. რა ინფორმაცია გაქვთ ამ სამწუხარო შემთხვევის შესახებ?**

— არ ვიცი, ის ადამიანი ვინ სცემა, ამას გამოძიება დაადგენს. როგორც უნდა ცდილობდე, გამჭვირვალე გახადო, მაინც მძიმე და ჩაკეტილი სისტემაა. ბევრი კადრი შეიცვალა. თუ კიდევ დარჩნენ ასეთები, მათ სხვანაირად მოეპყრობიან. გაუპატიურებული მამაკაცები რომ გვყავს, ეს ის ცოდვაა, რომელსაც საქართველო ალბათ ვერასოდეს ჩამოიბანს. ამის გამო ამ რეჟიმის გასამართლებას ვითხოვ! ის ადამიანები მხოლოდ სიკვდილსა და შურისძიებაზე ოცნებობენ. ზუსტად ვიცი, მათი ცხოვრების არსი ისაა, რომ შური იძიონ იმ ადამიანებზე, ვინც მათ პატივი და ღირსება აჰყარა. ეს ისეთი მძიმე წნეხია, არ იციან, როგორ გააგრძელონ ცხოვრება. გაუპატიურებული კაცი კი არა, ქალი აიღეთ... ამ თემაზე ბევრი მიმუშავია და ვიცი, რომ გაუპატიურებული ქალი ვერასოდეს იაზროვნებს ისე, როგორც იმ დღემდე აზროვნებდა. ის აუცილებლად შურისმაძიებელი ხდება. კაცზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**— თქვენი პირადი ცხოვრება საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებდა და არც თქვენ აკლებდით „მასალას“. ახლა რა ხდება ამ მხრივ?**

— არაფერი. საშინელი სამუშაო გრაფიკი მაქვს, რომელმაც ძალიან გადამღალა. ახლა მაქვს ის მომენტი, როცა უნდა გავიხსენო, რომ

**„უფრო კრეატიული სამსახური მინდა. ჩემი აზრით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა აღდგება და მინდა, საკუთარი თავი ამ სფეროში ვიხილო, მოლაპარაკების პროცესში სერიოზული როლი შევასრულო".**

ქალი ვარ. გარდამავალ პერიოდში ვარ.

**— ციხეში კი მოახდენდით ნუნუ ქემის ეფექტს.**

— კი, ვახდენდი და ეს კარგიც არის. პირად გრძნობებზე კი, როგორც გითხარით, ხვალიდან ვიფიქრებ.

■

ტელეპროდიუსერი მაია სტეფნაძე, როგორც აღმოჩნდა, მობოდიშებას ელოდებოდა, არათუ პირიქით შეტევას. ახლა თავად აქვს სანანებელი, რომ ლალი მოროშკინას გადაცემაში მისვლა შესთავაზა.

**მაია სტეფნაძე:** ველოდი, რომ ლალის შერცხვებოდა ჩემი და ბოდიშს მომიხდიდა. დადიოდა და ჩემზე ამბობდა, პოლიციაში მივიდა და ჩემზე ჩვენება მისცაო. ეს აბსოლუტური ტყუილია. წლების განმავლობაში მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. ინგა გრიგოლიას პროდიუსერიც ვიყავი და ლალი ხშირად ყოფილა ჩვენი რესპონდენტი. ახლა კი ხმამაღლა ვამბობ, რომ მას ცილისწამებაში ვდებ ბრალს! გაზეთებში წერდა ამის შესახებ. მეგონა, შეწუხდებოდა მაინც, რომ აღელვებულმა დამდო ბრალი და ბოდიშს მომიხდიდა. წავიდეს, მოძებნოს ჩემი ჩვენება და, თუ ვერ იპოვის, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან ბოდიში მომიხადოს! სირცხვილი კი არ არის ჩვენების მიცემა, მაგრამ როცა ეს არ გამიკეთებია, ამხელა ქალი დარწმუნებით იძახდა, რომ მე დავწერე ჩვენება მის წინააღმდეგ.

**— „ნანუკას შოუში“ რატომ გადაწყვიტეთ მისი მიპატიჟება?**

— მისი მეგობარი ლიკა ყაზბეგი გვყავდა ჩაწერაზე, რომელმაც რამდენჯერმე ახსენა ლალი მოროშკინა და ჩვენ თვალწინაც რამდენჯერმე დაელაპარაკა. ლიკა პატიმარზე დაქორწინდა და ყვებოდა, თუ როგორ დაეხმარა მოროშკინა. ვგეგმავდით თემას და ლალის დავურეკეთ, გადაცემაში მოსვლა ვთხოვეთ, ვიფიქრეთ, რომ თვითონაც ადამიანურ ნაბიჯს გადმოდგამდა. თუ ლალი ახლა ამით ტრაბახობს, ეს ჩემი დიდი შეცდომაა. ჩავთვალე, რომ ეს გოგო ადამიანურად მოიქცეოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ შევცდი.

**— ისე, რატომ გეგონათ, რომ იმ სკანდალის და ციხეში ჯდომის მერე კიდევ მოვიდოდა თქვენს გადაცემაში?**

— მაპატიეთ, მაგრამ ნანუკას ბრალი იყო თუ მაია სტეფნაძის, რომ ციხეში იჯდა?! პირობა მივეცით, რომ ეს ჩხუბი ამოიჭრებოდა. თაკო ფხაკაძემაც კი, რომელიც დაზარალებული იყო, თქვა, კარგი, დავივიწყებ ყველაფერს და ხმას არ ამოვიღებო. ქალი წავიდა, „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში დაჯდა და სისხლი მისვია ხელებზეო, თქვა. თვითონ მისცა თავის წინააღმდეგ ჩვენება და ახლა ვის ემართლება?! ჩვენ არ გამოგვიძახია პოლიცია. როცა პირდაპირ ეთერში ილაპარაკა, მაშინ გაიგო ყველამ და პოლიციაც მერე მოვიდა. მე და ნანუკას რას გვერჩის?!

✓ **რუსუდან ადვაძე**


# ტექნიკის მაღაზიათა ქსელი „სმაილი“ ქსელს აფართოებს და „წარმოუდგენელი ფასების“ აქციას იწყებს

ტექნიკის მაღაზიათა ქსელი „სმაილი“ სრულიად ახალი კონცეფციის მქონე 3 ახალ მაღაზიას ხსნის და მომხმარებლებს ელოდება აქციით „წარმოუდგენელი ფასები“. ახალი ობიექტები რუსთავში, ბათუმსა და „თბილისი მოლში“ 4000 კვადრატულ მეტრზე განთავსდა, სადაც კომპანიამ 50-ზე მეტი ახალი კადრი დაასაქმა. ამასთან დაკავშირებით „სმაილის“ მენეჯმენტი 30 მაისს, 13:00 საათზე „თბილისი მოლში“ (მე-3 სართული) პრესკონფერენციას გამართავს.

კომპანიის ინფორმაციით, ახალი ობიექტების კონცეფცია სრულიად განსხვავებული მოდელით არის შექმნილი და არ ჰგავს „სმაილის“ ან ტექნიკის ბაზარზე არსებული სხვა კომპანიების მაღაზიებს. განსხვავებაში იგულისხმება დიზაინი, პროდუქტის განლაგება და ინტერიერი, რომელიც მომხმარებლისთვის მაქსიმალურად კომფორტულად მოეწყო, რათა ყიდვის პროცესი გაცილებით მარტივი და სასიამოვნო გამხდარიყო.




— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკის ბაზარზე პიონერები ვართ, ერთდროულად მსგავსი მოცულობის ობიექტი ჯერ არასდროს გახსნილა. ეს არის მარკეტის ტიპის სავაჭრო ცენტრები, რომელშიც ღია სალაროა განთავსებული. ასევე ღია დახლებზე გვაქვს წარმოდგენილი მობილური ტელეფონები, ფოტო-ვიდეოაპარატურა, კომპიუტერები და პირადი მოხმარების ტექნიკა. მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა და ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სასურველი ტექნიკა თავად შეამოწმოს, — აცხადებს კომპანიის კომერციული დირექტორი ტარიელ მაჭავარიანი.

კომპანია ახალ ობიექტებში მისულ მომხმარებლებს უამრავ სიახლეს შესთავაზებს. „თბილისი მოლში“ „სმაილის“ მაღაზია საზოგადოებისთვის 31 მაისიდან გაიღება. მოგვიანებით (2 კვირის განმავლობაში) კი ახალი ობიექტები მომხმარებლებს სპეციალური აქციებითა და უამრავი სიურპრიზით რუსთავსა და ბათუმში უმასპინძლებს.

— „თბილისი მოლში“ „სმაილის“ ახალი ობიექტის გახსნის დღეს, მხოლოდ 31 მაისს თითოეულ მომხმარებელს ნებისმიერ შენაძენზე საყოფაცხოვრებო ტექნიკას გადავცემთ საჩუქრად. ასევე გახსნიდან 5 დღის განმავლობაში რამდენიმე ყველაზე გაყიდვად მოდელს უპრეცედენტო ფასად წარმოვადგენთ. მხოლოდ „თბილისი მოლის“ მაღაზიაში 5 ივნისამდე გაიმართება აქცია სახელწოდებით „წარმოუდგენელი ფასები“, რომლის ფარგლებშიც LCD ტელევიზორები 299 ლარად, გაზქურები და სარეცხი მანქანები 399 ლარად, ხოლო ორკამერიანი მაცივრები 499 ლარად იქნება წარმოდგენილი. გარდა ამისა, ფასდაკლებები გავრცელდება სხვა პროდუქტებზე, — ამბობს ტარიელ მაჭავარიანი.

პრესკონფერენციაზე „სმაილის“ მენეჯმენტი ახალ განსხვავებულ კამპანიაზეც ისაუბრებს. პარტნიორ ბანკებთან ერთად კომპანია მთელ ქსელში ექსკლუზიურ აქციას იწყებს. „მხოლოდ ივნისის თვეში მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ უპრეცედენტო შეთავაზებით. კერძოდ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა 3-წლიანი უპროცენტო განვადებით. აღნიშნული აქცია ტექნიკის ბაზარზე უპრეცედენტოა და მხოლოდ „სმაილის“ მაღაზიათა ქსელში იმართება. მომხმარებლებისთვის ეს მართლაც უნიკალური შესაძლებლობაა, მთელი სახლი სასურველი ტექნიკით მოაწყონ და საოცნებო კომფორტი შეიქმნან თვეში მინიმალური შენატანით“, — აცხადებს ტარიელ მაჭავარიანი.

• • •

*„სმაილის“ საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საოჯახო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის, აუდიო-ვიდეო, ასევე კომპიუტერული ტექნიკისა და მობილურების საცალო ვაჭრობა. კომპანია ოფიციალური დისტრიბუტორია ისეთი ცნობილი ბრენდების, როგორიცაა:* Samsung, Panasonic, Indesit, Hotpoint-Ariston. *ამ დროისთვის საქართველოს მასშტაბით „სმაილი“ 10 მაღაზიას აერთიანებს. საუკეთესო ფასები, ფართო და მუდმივად განახლებული ასორტიმენტი, მომსახურების მაღალი დონე და ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ მომხმარებელთან „სმაილის“ დღევანდელ სახელსა და ადგილს განაპირობებს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.*




Cyan Magenta Yellow Black

# თუ ღმერთი უსმენს ჩვენს თხოვნას, მაშინ აღარაფრის უნდა გვეშინოდეს

## ხსენება წმინდათა მოციქულთა იასონისა და სოსიპატრესი და მათთანა წამებულთა სხვათა მოწამეთა



უკვე რამდენჯერ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ურთულესი საქმეა მოციქულებზე მასალის მოძიება, მაგრამ, ამასთანავე, ამაში დიდი აზარტიც დევს. დღეს სასაუბრო თემაც ისეთივე რთული აღმოჩნდა, როგორც სხვა დანარჩენები, მაგრამ სურვილმა თავისი გაიტანა და გადავწყვიტეთ, მოგვეთხრო ორ თვალსაჩინო მოღვაწეზე — მოციქულ იასონზე და სოსიპატრეზე, რომლებიც მოღვაწეობდნენ პირველი საუკუნის მეორე ნახევარსა და მეორე საუკუნის დასაწყისში.

ორივენი წმინდა მოციქულთა თავის პავლეს მოსწავლეები ყოფილან, რაც ალბათ უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. როგორც ქრისტიანთა უმრავლესობამ, წმინდანებმა იასონმა და სოსიპატრემაც უამრავი შეურაცხყოფა და დევნა გადაიტანეს. მათი მოღვაწეობა კუნძულ კერკირაზე მეფე კერკილინოსის მეფობის ჟამს დაემთხვა. ამას უბრალოდ როდი ვამბობთ, რადგან ეს ყოველივე პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან.

ჩვენთვის წმინდანთა იასონის და სოსიპატრე მოციქულების ცხოვრების და მოღვაწეობის აღმწერელი ორი ავტორია ცნობილი. ერთი ასეთია ღვთისმოსავი ქრისტიანი, სახელად თეოდოსი, რომელმაც მოგვითხრო წმინდანთა შესახებ და მეორე არის კუნძულ კერკირას ეპისკოპოსი წმინდა არსენი, რომლის ხსენებასაც ეკლესია დღესასწაულობს ახალი სტილით 1 თებერვალს. მან შეკრიბა წმინდანთა იასონის და სოსიპატრეს მოწამეობის ფაქტები და ყველაზე დეტალურად გადმოგვცა მათი ცხოვრება.

ჯერ იასონი და მოგვიანებით სოსიპატრე აღმოჩენა იყვნენ პავლე მოციქულის, რომელიც იყო მუშაკი სამკალისა. რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს კიდეც: „გიკითხვენ თქუენ, იასონ და სოსიპატროს, ნათესავნი ჩემნი“ (რომ. 16,21). აქ ხორციელი ნათესაობა არ იგულისხმება, არამედ ის დიდი სიყვარული და ერთგულება, რაც ჰქონდათ პავლეს მიმართ წმინდანებს იასონს და სოსიპატრეს.

იასონი განაგებდა ტარსეს ეკლესიას, სოსიპატრე კი იკონიაში აგროვებდა ქრისტიანებს. ღვთის განგებით მათი გზები რომიდან მოგზაურობის შემდეგ კუნძულ კერკირაზე გადაიკვეთა, სადაც ადგილობრივები კერპების გაღმერთებით იყვნენ დაკავებულნი. იასონი და სოსიპატრე გალავნის გარეთ დასახლდნენ და უამბობდნენ კუნძულელებს იესო ქრისტეს განკაცებაზე, იმაზე, რომ ის არის სამყაროს შემოქმედი და თვინიერ მისა, სხვა ღმერთი არ არსებობს.

თავდაპირველად მაინცდამაინც იოლი არ აღმოჩნდა ადგილობრივების დარწმუნება, მაგრამ მადლმოსილმა წმინდანებმა იმდენად შეაყვარეს კერკირელებს თავი, რომ უკვე ინათლებოდნენ კიდეც ქრისტეს სახელით. რამდენიმე წელიწადში იმდენი იყო ქრისტიანთა რიცხვი, თითქმის კუნძულის მესამედს წარმოადგენდნენ.

ამაზე უარყოფითი რეაქცია ჰქონდა მეფე კერკილინოსს და წუხდა კუნძულზე ქრისტიანთა მომრავლებით. გაუგზავნა წმინდანებს თავისი მსახურები და მოსთხოვა იმის აღიარება, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ და რა იყო ის, რასაც კუნძულის მოსახლეობას უქადაგებდნენ. წმინდანთა პასუხი იყო, რომ არიან ქრისტიანები, მათი სახელები არის იასონი და სოსიპატრე და ადგილობრივებს ცრუ ღმერთების ნაცვლად ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ მოუთხრობენ, რომელიც არის სამყაროს შემოქმედი და ცისა და ქვეყნის განმგებელი.

ამის გამგონე კერკილინოსმა ლამის ტანსაცმელი შემოიხია განრისხებულმა და შეუთვალა წმინდანებს, თუ არ დაანებებთ თავს ამ სისულელეებს და არ დაუბრუნდებით ძველ სარწმუნოებას თქვენც და ის ადამიანებიც, რომლებიც უკვე მოგინათლავთ იუდეველი იესოს სახელით, ისეთი სასჯელით დაგსჯით, რომ ადამიანის არც ყურს სმენოდეს დღემდე და არც თვალს ენახოსო. ამაზე წმინდანებმა უპასუხეს, მეფეო, შენ ჩვენს სხეულზე შეგიძლია იძალადო, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ სულზე, რომელიც უკვდავია, არც ძალადობის ნება გაქვთ და არც შესაძლებლობა, ამიტომ ნუ გვემუქრები, რადგან არაფერი ძალგიძს, თუ ღვთისგან არ იქნება დაშვებაო.

ამის შემდეგ ბრძანა კერკილინოსმა, შეეპყროთ და დილეგში დაემწყვდიათ წმინდანები, ვიდრე მოიფიქრებდა, რა ფორმით დაესაჯა ისინი. იმ საპატიმროში, რომელშიც იასონი და სოსიპატრე მოათავსეს, სასჯელს იხდიდა შვიდი ავაზაკი. მათი მეთაური, სახელად სატორნინოსი, ყველაზე საშიში იყო. ვიდრე წმინდანებს მიიყვანდნენ, მან საპყრობილეში ხილვა იხილა და ვერავინ აუხსნა, თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე. წმინდა მამებმა კი მიუგეს, ღვთის ანგელოზი გინახავს, ისღა დაგრჩენია, მოეშვა ავაზაკურ საქმეებს და ირწმუნო ადამიანთა მოდგმისთვის ჯვარცმული იესო ქრისტე, რომელსაც ძალუძს ჩვენი პატიებაც და ცხონებაცო.

ვინც სატორნინოსთან ერთად ისხდნენ — იაკისხოლოსმა, ფავსტინოსმა, იანვარიოსმა, მარსალიოსმა, ევფრასიოსმა და მამოსმა, მიუგეს მოციქულებს, თუ მართლაც ცოცხალი ღმერთის მიმდევრები ხართ, იქნებ ილოცოთ ჩვენთვის, რადგან რვა დღეა, ლუკმა არ შეგვიჭამიაო. წმინდანებმა მუხლი მოიყარეს და უთხრეს ავაზაკებს: „თუ ირწმუნებთ მთელი სულით და მთელი გულით უფალ იესო ქრისტეს, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ, იცოდეთ, რომ ვერავითარი საფრთხე თქვენ ვერ შეგაშინებთ“. ავაზაკებმა სატორნინესთან ერთად ერთხმად მიუგეს იასონს და სოსიპატრეს: „გვწამს მართლაც, რადგან თვინიერ მისა, არ არსებობს სხვა ხსნა, მხოლოდ მას ძალუძს, როგორც ცოცხალ ღმერთს, შეწევნაც და მფარველობაც“.

მოციქულებმა ისევ ილოცეს და როგორც კი მორჩნენ, მთელი საპყრობილე კეთილსურნელებით აივსო, ყველა პატიმარს ეგონა, რომ სამოთხეში იმყოფებოდა. უზომოდ გაიხარეს მოციქულებმა, რადგან მათ ლოცვას გამოეხმაურა თვით უფალი და ეს დიდი ბედნიერება იყო მათთვის. მცველს, სახელად ანტონიოსს, რომელიც იზიარებდა მოციქულების ქადაგებას, გაეღვიძა სურნელების შეგრძნებაზე და მაშინვე მიაშურა საპყრობილეს. შუაღამე იყო და თავისი თვალით იხილა თეთრებში ჩაცმულების გარემოცვაში მყოფი მოციქულები, ესმოდა მათი სასიამოვნო გალობა.

ამის შესახებ მოახსენეს კერკილინოსს, რომელმაც ბრძანა ანტონიოსის მოყვანა, რათა მოესმინა, თუ რა ნახა საპატიმროში. როცა მივიდნენ ანტონიოსის წამოსაყვანად, მეფის მსახურებმაც საკუთარი თვალით იხილეს სასწაული. საპყრობილის შესასვლელში თეთრებში ჩაცმული ანგელოზი იჯდა, რომელსაც მარჯვენა ხელში ჯვარი ეჭირა, მარცხენაში კი ფარი, ხოლო ანგელოზის ფერხთით იდგნენ ათი მამაკაცი, თავზე გვირგვინშემოსილები და სასიამოვნო ხმით გალობდნენ: „წმინდაო, წმინდაო, წმინდაო უფალო საბაოთ, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“.

ამის მნახველმა მსახურებმა ვეღარ გაბედეს საპყრობილეში შესვლა და გაბრუნდნენ, რათა მოეხსენებინათ მეფისთვის, რაც იხილეს. მეფე გაკვირვებული უსმენდა მსახურებს და ფიქრობდა, რას შეიძლება ნიშნავდეს ის ყოველივე, რაც მათ იხილეს და მოახსენეს. მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იასონის და სოსიპატრეს მაგიურ შესაძლებლობებთან ჰქონდა საქმე. მეორე დღესვე მოიხმო თავისთან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქურუმი და დაავალა, ღმერთი დიას ძალით გასწორებოდა და დაესაჯა მათი ჯადოქრობა.

ქურუმმა უთხრა, თქვენო აღმატებულებავ, თქვენ ბრძანეთ და ამ ყველაფრის აღსრულება მე მომანდეთო. მაშინ მიუგო ხელმწიფემ, აბა, გვიჩვენე, რა შეგიძლია მოიმოქმედო შენი ღმერთების სახელითო. მოითხოვა ქურუმმა, მოეყვანათ მისთვის ერთი წყვილი ხარებისა და სათესლე ხორბალი მიეცათ. ხალხის თვალწინ დახნა მიწა, დათესა ხორბალი, იმავე დღეს მიიღო მოსავალი, მიღებული მოსავალი დაფქვა და ფქვილით გამომცხვარი პური მიართვეს მეფეს, რომელიც ნანახით გაკვირვებული და უზომოდ ბედნიერი ადიდებდა უსულო ღმერთებს და ხალხს მოუწოდებდა, მომხდარის შესახებ ყველასთვის ეცნობებინათ.

ამის შემდეგ გადაწყვიტა, მასთან მიეყვანათ საპყრობილის მცველი ანტონიოსი, რომელმაც იასონის და სოსიპატრეს მეცადინეობით ქრისტიანობა მიიღო და ადიდებდა იესო ქრისტეს. როცა წარუდგინეს მეფეს, მან ჰკითხა, შენ და შენს ღმერთს თუ შეგიძლიათ, ამგვარი სასწაული მოახდინოთ, როგორიც ჩვენი ღმერთების ქურუმმა მოახდინაო. ანტონიოსმა უპასუხა, ჩემს ღმერთს ასეთი და კიდევ უფრო მეტი სასწაულის მოხდენა შეუძლიაო.

განრისხებულმა კერკილინოსმა ბრძანა, მარჯვენა ხელი მოჰკვეთეთ, რომლითაც ჯვარს ისახავს და ვნახოთ, თუ შეუძლია თავისი ღმერთი დაეხმაროსო. მართლაც, მოჰკვეთეს მარჯვენა ხელი, რისთვისაც მადლობა შესწირა ანტონიოსმა უფალს, ხელმწიფის მხილება კი არ შეუწყვეტია და ყველას გასაგონად აუგად მოიხსენიებდა წარმართულ, უსულო ღმერთებს. ახლა მარცხენა ხელის და ორივე ფეხის მოჭრით დაემუქრა მეფე ანტონიოსს, რაზეც მხოლოდ დაცინვა და შეურაცხყოფა მიიღო.

მოჰკვეთეს ანტონიოსს მარცხენა ხელიც და ფეხებიც და მაინც ჰმადლობდა უფალს. ამ დროს მას გამოეცხადა უფლის ანგელოზი და მხნეობა შეჰმატა. დაპირდა, რომ სანაცვლოდ უფრო დიდ სიხარულს მიანიჭებდა, ოღონდ ეს არ იქნებოდა მხოლოდ სამოთხეში, არამედ აქვე, დედამიწაზეც. „ყველა იხილავს უფლის



Cyan Magenta Yellow Black

სასწაულს შენი მოთმინების გამო, ანტონიოს“, — მიმართა უფლის ანგელოზმა.

არ გასულა დიდი დრო და მოისმა ჭექა-ქუხილი ზეციდან, მეხი დაეცა მეფის სასახლეს და ნაცრად იქცა მისი ოჯახი, ცოლი და ორი ვაჟი. ამ ამბავმა უზომოდ დაამწუხრა კერკილინოსი. ამის მნახველმა ხალხმა კი შიშის გამო ერთხმად აღიარა იესო ქრისტე ღმერთად და იწყეს ლოცვა ანტონიოსის ღმერთის სახელით.

თავზარდაცემულმა და შეშინებულმა კერკილინოსმა მიატოვა დანახშირებული სასახლე და იმის ნაცვლად, რომ სინანული გასჩენოდა და პატიება ეთხოვა ნამოქმედარის გამო, ისევ იხმო ანტონიოსი თავისთან და ჰკითხა, რომელი მაგიური ძალით მოქმედებ ამგვარ სასწაულებსო, რაზეც პასუხად მიიღო: „არა მე, არამედ ამ სასწაულებზე მეფობს თვით ჩემი ღმერთი იესო ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთის“. მაშინ გაცეცხლებულმა ტირანმა მოინდომა, თვითონ გასწორებოდა ანტონიოსს და მაშინვე წაერთვა ძალა ორივე ხელში. დამბლადაცემულმა ბრძანა, ქალაქის გარეთ გაეყვანათ და თავი მოეკვეთათ მისთვის, რათა აღარასდროს გაეგონა მისი ხმა.

ვიდრე ბრძანებას აღასრულებდნენ, ღმერთშემოსილი ანტონიოსი ასე ლოცულობდა: „უფალო ღმერთო, შენი მონებისაო იასონის და სოსიპატრესო, მიირქვი სული ჩემი ხელთა შენთა და ღირსმყავ წიალთა შენთა“. მაშინ მოესმა ხმა ზეცით: „გიხაროდეს, ანტონიოს მებრძოლო, ღვთის ნების კეთილად აღმსრულებელო, ნეტარი ხარ ადამიანთა შორის, დადგა დრო, როცა დაიმკვიდრებ დიდებას და პატივს უფლის სამეფოში“. ნეტარმა ანტონიოსმა გალობა განაგრძო: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ამის შემდეგ მიაბარა სული თვისი უფალს.

წმინდა ანტონიოსის ცხოვრება აღწერა და შემოგვინახა მეფის მსახურმა, სახელად თეოდოსიმ, რომელმაც შეიყვარა ქრისტე მომხდარი სასწაულების შემდეგ. წმინდანის სხეული კი მალულად, რომ არავის გაეგო, პირველმოწამე და მთავარდიაკონის წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარში დაკრძალეს.

შეურაცხყოფილმა და გაბოროტებულმა მეფე კერკილინოსმა ახლა იასონის და სოსიპატრეს მოყვანა ბრძანა. როცა წარუდგინეს, მიუგო მათ: „ნუ ფიქრობთ, რომ თქვენი აღსასრულიც ისეთივე იქნება, როგორიც ურჯულო ანტონიოსის. ჩემი ტკბილი საუბარი და მოპყრობა თქვენდამი უკვე დამთავრდა, ვინაიდან თქვენ ხართ მიზეზი ქაოსის და აზრთა სხვადასხვაობის ჩვენს ქალაქში. ვიდრე სისრულეში მოვიყვანდე ჩემს დანაპირებს, გიბრძანებთ, უარყოთ თქვენი ცრუ სწავლება და გირჩევთ, მსხვერპლი შესწიროთ ჩვენი მამების ღმერთებს“.

მოციქულებს ამ სიტყვებზე გაეღიმათ და ღიმილითვე მიუგეს: „ჩვენ, მეფეო, არ ძალგვიძს, უარი ვთქვათ იმ სარწმუნოებაზე, რომელიც ვისწავლეთ თვით უფლის მოწაფეებისაგან და სინათლიდან დავბრუნდეთ სიბნელეში, რომელშიც იმყოფებით და ჯიუტად არ გინდათ მაგ სიბნელის დატოვება. ჩვენ ერთი ღმერთი ვცანით სამი იპოსტასით და მხოლოდ მას ვეთაყვანებით, ვაღიარებთ, განვადიდებთ და ვმადლობთ. ეს არის მამა, ძე და წმინდა სული ერთი ღვთაება, ერთი არსით, მხოლოდ მისთვის არის შესაძლებელი თავგანწირვა“.

მოუსმინა მეფემ მათ აღიარებას და მიმართა: „მისმინეთ, თუ გონზე არ მოხვალთ, ის სასჯელი და ტანჯვა, რაც საკუთარ თავზე გამოსცადა ციხის მცველმა ანტონიოსმა, რომელმაც უღალატა მამა-პაპათა ღმერთებს, მონაგონი იქნება, ისეთი სისასტიკე მოგელით“.

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## კითხვები მოძღვარს

# „ლოცვისას უმჯობესია, უფალს ფეხზე წამოვუდგეთ“

მორწმუნე ყოველდღიურად უნდა ცდილობდეს უფალთან დაახლოებას. ღმერთისკენ მიმავალი გზა სიძნელეებით და განსაცდელებით არის მოფენილი. ადამიანები ხშირად მარტივი მიზეზის გამო ბრკოლდებიან, ათასგვარი კითხვა უჩნდებათ, რომლებზეც პასუხს ვერ პოულობენ. მათი დაბნეულობით კი ბოროტი სარგებლობს და უფალს აშორებს. კითხვებზე, რომლებიც ხშირად უჩნდება მრევლს, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვპასუხობს.


მამა გიორგი

— **მამაო, ცოდვა, რომელსაც მთელი გულით ვინანიებთ, მაგრამ მოძღვარს სირცხვილის გამო ვერ ვეუბნებით, მთელი სიმკაცრით მოგვეთხოვება?**

— აღსარების ჟამს მოძღვარი თავისთვის კითხულობს ლოცვას, სადაც წერია: „თუ რაიმე დაფარო ჩემგან, სანაცვლოდ გიქმნების მრჩობლი ცოდვა“. მრჩობლი არის ორმაგი. ადამიანი, რომელიც დაფარავს ცოდვას, ის ორმაგად დააწვება კისერზე. გასაგებია, რომ ნანობს, მაგრამ, ჯობს, საკუთარი ამპარტავნება გადალახოს და აუცილებლად უთხრას მოძღვარს. უფრო სირცხვილი არ იქნება, უფლის წინაშე რომ წარდგება?

— **თუ ადამიანმა იცის, რომ ნივთი მოპარულია, მაგრამ მაინც შეიძენს, თავადაც ხდება ქურდობის მონაწილე?**

— რა თქმა უნდა, მონაწილე ვხდებით ქურდობის, ამიტომ აღსარებაშიც უნდა ვთქვათ.

— **შეიძლება, რომ უფალს ან რომელიმე წმინდანს ჩვენს კითხვაზე პასუხის მინიშნება შევთხოვოთ? თუ ეს ცოდვაა?**

— ეს მცირედმორწმუნეობის ნიშანია და ძალიან ჰგავს უფლის გამოცდას. გარდა ამისა, ამგვარი აზრები დამწყებ, არასერიოზულ და სარწმუნოებაში არამყარ ადამიანებს მოსდით.

— **შეიძლება თუ არა, ჯადომ იმოქმედოს ნაზიარებ პიროვნებაზე და როგორ შეიძლება ჯადოს მოხსნა მართლმადიდებლური წესით?**

— ადამიანზე, რომელიც ეკლესიურად ცხოვრობს, აღსარებას ამბობს და ეზიარება, ჯადო არ მოქმედებს. თავისთავად ჯადოს არსებობას ეკლესია არ უარყოფს. ეს არის ეშმაკის განგებით მიყენებული ვნება. ურწმუნოზე მას უარყოფითი გავლენა აქვს. ჯადოს მოხსნისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება, კონკრეტულად კი ეს ხდება სათანადო ლოცვების მეოხებით, რომლებსაც ეპისკოპოსი ან რომელიმე მღვდელმსახური კითხულობს მისი კურთხევით.

— **რატომ არ შეიძლება, მართლმადიდებლურ ტაძრებში ვილოცოთ დამსხდრებმა ისევე, როგორც ქრისტიანობის სხვა კონფესიებშია?**

— მართლმადიდებლობა არ კრძალავს დამჯდარ მდგომარეობაში ლოცვას. მართლმადიდებლურ ტაძრებშიც არის სკამები, რომლებზეც შეიძლება დაჯდომა ღვთისმსახურების დროს, მაგრამ მართლმადიდებლური რელიგიური ცხოვრებისათვის უცხოა დასავლურ კონფესიური კომფორტი. მართლმადიდებლობა ქრისტეს მოწაფეობა, მისი მიმდევრობა, მისი ცხოვრებით ცხოვრებაა. ნამდვილი რელიგიური ცხოვრება მორწმუნეს ქრისტესადმი სიყვარულს უნდა ასწავლიდეს, ხოლო სიყვარული ღვაწლისა და თავგანწირვის გარეშე არ არსებობს. ამიტომაც არ გვეთმობა მართლმადიდებლებს საუკუნეებში გამოტარებული ტრადიციებით გადმოცემული ღვთისმსახურების და საერთოდ, რელიგიური ცხოვრების სიმკაცრე. მარხვით, ხანგრძლივი საეკლესიო ღვთისმსახურებით, ლიტურღიაზე (რომელიც ქრისტეს ცხოვრებაა) დგომით და დაღლით საშუალება გვეძლევა, ქრისტესადმი ერთგულება და სიყვარული გამოვხატოთ. ჯდომა და საორღანო მუსიკის მოსმენა კი დარბაზებშიც შეგვიძლია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტაძარში ლოცვა (არამარტო ტაძარში) ღმერთთან საუბარია და რატომ გვიკვირს, რომ უმჯობესია, უფალს ფეხზე წამოვუდგეთ? როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც დაჯდომა (განსაკუთრებით უძლურების შემთხვევაში) ეკრძალება ვინმეს.

— **ბედისწერა არ არსებობს, რადგან ჩვენ თავისუფალი ნება გვაქვს მონიჭებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა „არ იცის“ წინასწარ, ვინ ცხონდება და ვინ — არა?**

— რა თქმა უნდა, უფალმა იცის, ვინ ცხონდება და ვინ — არა, მაგრამ ღმერთი არ განიზრახავს, ანუ უფალი გვაძლევს თავისუფალ ნებას და ჩვენზეა დამოკიდებული, რომელგზას ავირჩევთ, სულის მაცხონებელს თუ დამღუპველს. ადამიანი თვითონ არის საკუთარი ბედის მჭედელი. მას აქვს უფლისაგან ნაბოძები თავისუფლება, უფალს ყველანი ვუყვარვართ და სურს, რომ ყველანი ვცხონდეთ, სწორედ ამისათვის ევნო ჯვარზე. უფალი არასოდეს ტოვებს ადამიანს, ეს თვითონ ადამიანი განეშორება ხოლმე ღმერთს.

— **როგორ უნდა მოვექცეთ ძველ ხატებს, რომელიც წაშლილია ან აქერცლილი?**

— ძველი ხატები ეკლესიაში მიიტანეთ და მოძღვრის კურთხევითა და რჩევით შესაბამისად მოიქეცით.

— **შეიძლება თუ არა, ადამიანი დაკავდეს იოგით, თუ ის ქრისტიანია? შეუძლია ასეთ ვარჯიშებს ადამიანის სულისთვის რაიმე ზიანის მიყენება?**

— თუ ჩვეულებრივ ჯანმრთელობის ვარჯიშებს შეასრულებთ, ძალიან კარგია, აქ უარსაყოფი არაფერია, მაგრამ თუ მედიტაციაში გადავარდებით, ეს სულსაც ვნებს და ხორცსაც.

— **როგორ ვებრძოლოთ ფარისევლობას საკუთარ თავში?**

— ქრისტიანობა საკუთარ თავზე მუშაობის პროცესია. სინანული უნდა გვქონდეს, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. მეზვერესავით უნდა დავიმდაბლოთ თავი, შევეცადოთ, ნაკლებად წარმოვაჩინოთ ჩვენი ცოდნა, განათლება, ნიჭი, სულ ბოლოს გამოვხატოთ საკუთარი აზრი. უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ცოდვილები და უღირსები ვართ. მეზვერის ლოცვა გაითავისეთ და შინაგანად შეიგრძენით მისი სულიერი მდგომარეობა.

— **ამბობენ, ღმერთმა ჩვენი ცოდვები რომ დაფაროს, კეთილი საქმის შესახებ სხვას არ უნდა განვუცხადოთო.**

— მეორედმოსვლის დროს უფალი ყველას მისი საქმეების მიხედვით განიკითხავს, სადაც ხილული იქნება როგორც კეთილი, ასევე ბოროტი ქმედება. ადამიანმა სიკეთე ფარულად უნდა აკეთოს, მას საიდუმლო ვაჭრობის სახე არ უნდა მიეცეს.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

← 8 მხოლოდ ტურისტების მოსანახულებელ და ფოტოაპარატების ჩასაჩხაკუნებელ ადგილებად, ნუ ჩავაბარებთ მოხუც მშობლებს თავშესაფრებში, ნუ დავიწყებთ სქესობრივ ცხოვრებას 12 წლის ასაკში... მგონი, ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე ერი იღებს სხვა ერისგან იმას, რაც მას წაადგება. ამაზეა აგებული დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობებიც, თორემ ნათქვამია, სულელი თავის შეცდომებზე სწავლობს ცხოვრებას და ჭკვიანი სხვისაზეო. ეს გამოთქმა, როგორც ცალკეულ ადამიანზე, ისე სახელმწიფოზეც შეიძლება გავრცელდეს.

— **არაერთ ევროპულ ქვეყანაში გიცხოვრიათ და ალბათ ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული აქციებიც და გეიაღლუმებიც გინახავთ. იქ გამოხატვის რა საშუალებებით, რა ფორმით ხდება ეს ყველაფერი?**

— გეიაღლუმებს რამდენჯერმე შევსწრებივარ. მინდა, მჯეროდეს, რომ საქართველოში მსგავსი რამ არ მოხდება. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია თეატრალიზებული დადგმა მამაკაცის უზარმაზარი ფალოსის ფიგურებით, შიშველი, წინ თითქმის ფოთოლაფარებული მამაკაცების გამომწვევი სექსუალური მოძრაობებით, ერთმანეთის ფერებით და ორალური კოცნებით. ამ აღლუმებში ტრანსსექსუალებიც მონაწილეობენ, რომლებსაც უფრო ღირსეულად უჭირავთ თავი და მხოლოდ ცეკვით მოდიან. ყველაზე „შთამბეჭდავები“ იყვნენ მსუქანი, ლიპგადმოგდებული და ბანჯგვლიანი მამაკაცები ქალების საცურაო კოსტიუმებში და ლიფებში. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, არ ტარდება ქალაქის ცენტრში. როგორც გითხარით, მათ თავიანთი რაიონები აქვთ. მობილიზებულია სასწრაფო და პოლიცია. ხალხის მხრიდან რეპლიკები და შეურაცხმყოფელი შეძახილები იქაც არის, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, იქ იმდენად მრავალეროვანი, მრავალრელიგიური თუ ყველანაირად სხვადასხვა შეხედულების, ორიენტაციის და ტრადიციის ხალხი ცხოვრობს, რომ ასეთ დროს საქმე მთლად დარბევამდე არ მიდის. კათოლიკური ეკლესიაც რატომღაც არ ერევა ასეთ აქციებში. ამას თავიანთ ტერიტორიაზე აკეთებენ და არა — ქალაქის მთავარი ტაძრის და ტურისტების წინ.

ჩემს მეგობარ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს ჩემთან საუბარში უთქვამთ, რომ ასეთი აღლუმები მათთვისაც სრულიად მიუღებელია, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ევროპაში მენტალიტეტიც სხვანაირია და სიტუაციაც... არ არის ტერიტორიული და დემოგრაფიული პრობლემები, შიდაომები და არ სხედან მუდმივად დენთის კასრზე. იქ იმაზე ფიქრით არ იმძიმებენ თავს, ევროპის გვერდით იდგნენ თუ რუსეთის. თუ პენსიის ან ხელფასის შემცირებაზე მივა საქმე, მაშინ, იცოცხლე, შეიძლება ხოცვა-ჟლეტვა დაიწყოს! ისეც მომხდარა, რომ ბასტილიის თეატრამდე სულ მოლოტოვის კოქტეილების, კოკა-კოლას ბოთლებისა და წყლის ჭავლების „ესკორტით“ მივსულვარ.

— **თქვენი წერილის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოში ბევრი დაგემუქრათ, რომ მას თარგმნიდნენ და ევროპის ოპერის თეატრებს გაუგზავნიდნენ.**

— დიახ და უკვე გაუგზავნეს კიდეც. მეცინება, რომ ჩემი სტატუსის გამოქვეყნების შემდეგ ატყდა მისი გადათარგმნა და გაგზავნა ევროპის გარკვეულ თეატრებში — არიქა, თამარ ივერი ჰომოფობია და დაბლოკეთ, როგორც მომღერალიო! ევროპული კარიერა თითქმის 15 წელია მაქვს. ყველა თეატრმა, აგენტურამ თუ ჩემმა კოლეგებმა იციან, როგორი „ჰომოფობი“ ვარ. საოპერო სამყაროში საკმაოდ ბევრი ცნობილი სახეა სექსუალური უმცირესობიდან. ვინ ვინ და, პირველ რიგში, მათ იციან, როგორ ვეპყრობი მათ წარმომადგენლებს. მე იმდენად კარგი კოლეგა და მეგობარი ვარ და ვიყავი მათთვის, რომ ერთი არასწორი კუთხით გაპიარებული სტატუსით



თამარი ქმართან ერთად

„ჩემი ქმარი მორწმუნე კაცია, სიმართლის მთქმელი. მიუხედავად იმისა, რომ მასაც ბევრი მეგობარი ჰყავს სექსუალური უმცირესობიდან, მისთვისაც მიუღებელი იყო ასეთი აქცია ქალაქის ისტორიულ ცენტრში, მით უმეტეს, რომ ავღანეთში გარდაცვლილი ერთ-ერთი მეომარი მისი ახლო მეგობარი იყო და ძალიან განიცდიდა ამ ამბავს".

ნამდვილად არ შეიცვლიან ჩემზე წარმოდგენას. მით უმეტეს, მათ შორის ბევრია ისეთი, ვისაც კარიერულ წინსვლაში დავეხმარე. როგორც წესი, ჰომოფობი ადამიანისგან ასეთი ნაბიჯები გამორიცხულია.

— **კონკრეტულად ვინ დაგზავნა თქვენი წერილი ევროპის ოპერებში, იცით?**

— არ მინდა, დავკონკრეტდე, თუ ვისგან მოდის ეს ყოველივე. ფაქტი ერთია, რომ უბრალო მოქალაქეებისგან კი არა, უფრო მაღალი ეშელონებიდან. ზოგი მათგანი ალბათ ამ მისიით არის მოვლენილი საქართველოში. მიმხვედრი ისედაც მიხვდება. ჩემი ღირსების შელახვად მიმაჩნია, ამ „კლავიატურის ვაჟკაცებს“ ვეპაექრო. ჯერ ჩემი საქმის ნახევარი გააკეთოს და მერე შემიძლია დებატებში მოვიხმო. უბრალოდ, ერთი რამ გამკვირვებია: თითქოს აღიარებენ და ღაღადებენ, რომ ქვეყანაში დემოკრატია და სიტყვის თავისუფლებაა და, თუ თავისუფალი სიტყვა თქვი, მზად არიან, ჩაგქოლონ. ასეთი ფსევდოღირებულებებით ვერ ვიცხოვრებთ.

— **ამაზე გიპასუხებენ, რომ სწორედ თავისუფალი სიტყვისთვის, თავისუფალი აზროვნებისთვის მოხდა ის დაპირისპირება 17 მაისს.**

— ძალიან აიტაცა ბომონდმა — ეს საშინელი ძალადობა იყო, დასაგმობია ეს რელიგიური დესპოტიო. გასაგებია, მეც ვეთანხმები, რომ ასეთი ძალადობა არ უნდა მომხდარიყო. ზოგი ყარაბას-ბარაბასივით მღვდელი მართლაც სამარცხვინოდ იქცეოდა და ამას მეც ხმამაღლა ვიტყვი. მღვდელი, პირველ რიგში, ჩვენ, ცოდვილ ადამიანებს, სულის დასამშვიდებლად და ცოდვების მიმტევებლად გვჭირდება, თუმცა იმაზეც ვიფიქროთ, რომ ბევრი პარტია 5 ათას კაცს ვერ კრებს და ეს 15 ათასი კაცი მხოლოდ მღვდლებმა გამოიყვანეს თავიანთი გავლენით. ამ ადამიანების სულშიც ხომ ვიღაცამ უნდა ჩაიხედოს, მედალს ხომ ყოველთვის ორი მხარე აქვს?

— **ბევრი გვსმენია ამსტერდამის წითელ კვარტალზე, რომლებიც თქვენს წერილში პრეზიდენტს შეახსენეთ — ალბათ ბევრჯერ გინახავთ. რა ხდება იმ ქუჩაზე?**

— წითელი ფანრების ქუჩა — ეს არის აბსოლუტურად ყველანაირი უფლების მქონე „თავაშვებული“ კვარტლები. იქ ნარკოტიკის ყიდვა-გაყიდვა ნორმალური ამბავია. დიდ ფანჯრებში სხედან ან დგანან საცურაო კოსტიუმებში ჩაცმული ან წელზემოთ შიშველი მეძავი ქალები და პოზირებენ გამვლელების წინაშე, ასევე — შიშველი ბიჭებიც. ისინი ამ ვიტრინებს ქირაობენ და სახელმწიფოს ფულს უხდიან. ტურისტებს დღისით იქ ჩავლა შეუძლიათ, ოღონდ საღამოს ამას არავის ურჩევენ, რადგან ან გაგქურდავენ, ან მთელი ვერ მიხვალთ სახლში. საღამოობით იქ ქუჩაში, პირდაპირ სკამებზე სექსიც ნორმალური მოვლენაა და, მით უმეტეს, ყველანაირი აღლუმი.

— **თქვენს წერილთან დაკავშირებით ჩაიკოვსკის სექსუალური ორიენტაცია გაიხსენეს და ბევრმა დასვა კითხვა თქვენი მისამართით, ჩაიკოვსკის არიები თუ უმღერიათ.**

— ჩაიკოვსკის არიებს ვმღერი და კიდევ ვიმღერებ. ასეთ სულელურ შედარებაზე კი კომენტარს არ გავაკეთებ. ეგრე, ეს 15 წელი არც გეი დირიჟორის დაკრულ ორკესტრთან უნდა მემღერა, არც გეი კოლეგასთან ერთად ვმდგარიყავი სცენაზე. საბედნიეროდ, თამარ ივერი არ არის ბნელეთის პრინცესა, როგორადაც ჩემს წარმოჩენას შეეცადნენ. ავსტრიიდან თუ ოსტერრეიხიდან დეპორტზე რა მოგახსენოთ, მაგრამ პირიქით, საკმაოდ ბევრი ამაყობს იმით, რომ ერთადერთი ქართველი მომღერალი ვარ, ვინც ოდესმე ზალცბურგში მოცარტის სახელობის გრან პრი აიღო და უკვე წლებია, იქ მუშაობს! თუ სადმე მართლაა სიტყვის დემოკრატია, ეს ალბათ ევროპაა. მთავარია, შენს საქმეში იყავი ძლიერი და შემოსავალი მოუტანე და, რაზეც გინდა, იმაზე ილაპარაკე.

საქართველოში ძირითადად პაატა ბურჭულაძის მიერ გამართულ „ივანანას“ საქველმოქმედო კონცერტებზე თუ მიმღერია. მიხარია, რომ ამხელა საქმეს აკეთებს და ყოველთვის ვცდილობ, არ დავაღალატო. სამწუხაროდ, ბოლოს პარიზში პატრიარქის საღამოზე არ მეცალა — ავსტრალიაში ვიყავი და ძალიან დამწყდა გული.

წლები გავა, ხელისუფლებები შეიცვლება, ჩვენ კი ჩვენი საქმით ხალხისთვის საყვარელ პიროვნებებად უნდა დავრჩეთ. ჩვენი საქმით ვართ ცნობილნი, ამით შეგვიყვარა საზოგადოებამ და არა — იმ თემებით, რაზეც ახლა ჩვენი ინტერვიუ შედგა. მინდა, ისეთ საქართველოში ვიცხოვრო, სადაც მომღერალ ქალს ასეთი ინტერვიუების მიცემა აღარ დამჭირდება და უფრო ლაღ და ამაღლებულ თემებზე ვისაუბრებ. აწი ალბათ უფრო ფრთხილად მოვეკიდები

„კარგი იქნება, თუ იმას გადმოვიღებთ დასავლეთიდან, რაც აღგვაფრთოვანებს და ნუ გადმოვიღებთ გარყვნილ აღლუმებს. ნუ გადავაქცევთ ეკლესიებს მხოლოდ ტურისტების მოსანახულებელ ადგილებად, ნუ ჩავაბარებთ მოხუც მშობლებს თავშესაფრებში, ნუ დავიწყებთ სქესობრივ ცხოვრებას 12 წლის ასაკში...".

ამ ამბავს, რადგან დავინახე, რომ განსხვავებული აზრის მთქმელს ცხენი უნდა ჰყავდეს შეკაზმული ან, უფრო თანამედროვე ენით თუ ვიტყვით, ხელში თვითმფრინავის ბილეთი უნდა ეჭიროს. მიუხედავად ამისა, რაც მომწონს ან არ მომწონს, იმაზე კვლავაც სიმართლეს ვიტყვი, ისე, როგორც აქამდე ვაკეთებდი.

— **ქმარიც გიერთდებათ თქვენს მოსაზრებებში?**

— კი, რაულის აზრი ემთხვევა ჩემსას. ჩემი ქმარი მორწმუნე კაცია, სიმართლის მთქმელი. მიუხედავად იმისა, რომ მასაც ბევრი მეგობარი ჰყავს სექსუალური უმცირესობიდან, მისთვისაც მიუღებელი იყო ასეთი აქცია ქალაქის ისტორიულ ცენტრში, ასე ჯიუტი წინააღმდეგობით გამართული, მით უმეტეს, რომ ავღანეთში გარდაცვლილი ერთ-ერთი მეომარი მისი ახლო მეგობარი იყო და ძალიან განიცდიდა ამ ამბავს.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black

# რატომ გაიხადეს მღვდლებმა ანაფორები 24 მაისის აქციაზე

## „საქართველოში თეოკრატიაზე მეტად ლგბტ–კრატიის საშიშროება დგას!“

17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის დღიდან დაწყებული სკანდალი და დაპირისპირება ქართველ საზოგადოებაში გრძელდება. იმ დღეს გამართული აქციისა და ანტიაქციის დროს მომხდარი ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირებისთვის სამართალდამცავებს არავინ დაუკავებიათ. მავანმა იფიქრა, რომ ქვეყანაში კონსტიტუციურ მმართველობას საფრთხე შეექმნა, რომ საქართველო „სიბნელისკენ“, ანუ ირანიზაციისკენ მიექანება და საბოლოოდ თეოკრატიის „საშინელი საფრთხე“ გვემუქრება. 24 მაისს დედაენის ბაღში გაიმართა კიდეც ამ ყველაფრის საწინააღმდეგო აქცია, ლოზუნგით „არა თეოკრატიას!“ ისე, რომ მონაწილეთა უმრავლესობას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა არის თეოკრატია. აქციაზე, სადაც გეების მხარდამჭერებს სასულიერო პირთა კარიკატურებიანი პლაკატები ეჭირათ, საზოგადოების რამდენიმე ცნობილი სახეც იმყოფებოდა. ამგვარად,



■ მამა ზაქარია

**„მამა ანთიმოზი გუშინდელი მოძღვარი არ არის. ეს გახლავთ მეუდაბნოე მამა, არქიმანდრიტი. მრავალი წელი დავითგარეჯის ლავრის წინამძღვარი იყო და ამ ადგილს თავისი ლოცვით და მუხლჩაუხრელი შრომით იცავდა. არ მჯერა, რომ ეს კაცი იგინება!“.**

საქართველოში თეოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით რეალურად მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო.

გულხელდაკრეფილი არც ჰომოსექსუალიზმის მოწინააღმდეგენი და ეკლესიის მხარდამჭერნი დარჩენილან, მათაც დაგეგმეს აქცია, მაგრამ პოლიციამ თადარიგი დაიჭირა და დედაენის ძეგლთან მისასვლელი გზა მანამდე გადაკეტა, სანამ მომიტინგეები იქ მივიდოდნენ. ასე რომ, ამჯერად ორივე მხარე პოლიციელების მიერ კორდონშემორტყმული აღმოჩნდა.

■

17 მაისის აქციაში მონაწილეობისა და იქ განხორციელებული ქმედებებისთვის სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ ბიჩინაშვილსა და იოანე თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ ბასილაიას ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. შსს-მ მათ სისხლის სამართლის ის მუხლი წაუყენა, რომელიც მანიფესტაციაში მონაწილეობის უფლების განხორციელებისთვის უკანონოდ ხელისშეშლას ითვალისწინებს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ამ მუხლის შესაბამისად, მოძღვრებს ან 2 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ, ან ჯარიმა, ან გამოსასწორებელი სამუშაოები ვადით ერთ წლამდე, ან კიდევ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლამდე ვადით. მღვდლები არ დაუკავებიათ. შესაბამისად, პროკურატურას უფლება აქვს, სასამართლოს არ მიმართოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით.

საპატრიარქოში აცხადებენ, რომ 17 მაისის ყველა გადაცდომაზე ზომებს მიიღებს და მოძღვრების მიმართ კანონიკური სასჯელი იქნება გამოყენებული. სასჯელი სხვადასხვაგვარია. არსებობს მცირე და დიდი განკვეთა, დაცადება. დაცადება ძველი ქართული ტერმინია, რაც საეკლესიო ღვთისმსახურების დროებით შეჩერებას ნიშნავს. „თუ ვინმე ძალადობაში იქნება გამოვლენილი, კანონიკური წესით დაისჯება“, — ამბობს სასულიერო აკადემიის რექტორი, მამა გიორგი ზვიადაძე.

■

„არა თეოკრატიის“ აქციაზე მყოფმა ერთმა პოლიციელმა გვითხრა, აქ ყველა კი არ არის ჰომოსექსუალი, სტუდენტები ილიას უნივერსიტეტიდან მოიყვანეს ძალითო. იმავე უნივერსიტეტის პროფესორ სიმონ ჯანაშიას თავისი მოსაზრებები და მოთხოვნები აქვს გამოქვეყნებული, სადაც ის ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანას ითხოვს, რითიც სკოლა და რელიგია ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს, სამხედრო ბაზების ტერიტორიებზე ეკლესიები უნდა გაუქმდეს და ოცმეთაურების თუ ასმეთაურების ბრძანების სა-


■ მამა ნიკოლოზი

**„თეოკრატიული მმართველობა ძველი აღთქმის მმართველობა იყო, როდესაც უფალი თავის რჩეულ ერს წინასწარმეტყველების და მსაჯულების პირით მართავდა. ჩვენს ქვეყანაში თეოკრატიული მმართველობა ვერ დამყარდება, რადგან ჩვენ შორის არც წინასწარმეტყველია და არც მსაჯული“.**

ფუძველზე დღეში სამჯერ ჭამის წინ ლოცვა უნდა აიკრძალოს.

■

ეკლესიის მხარდამჭერ აქციაზე ისმოდა შეძახილები: „ერი გადაგვიგვარეს!“, „წავიდნენ ქალაქგარეთ, სადაც არ არის მოსახლეობა, არ არიან ბავშვები, არ არის სკოლები“, „თუ გვიშლიან საზოგადოებრივ ადგილებში სიგარეტის მოწევას, ლუდის დალევას, ამ გარყვნილებმა რატომ უნდა გამართონ ასეთი თავყრილობა?!“, „ხალხმა ახალი ხელისუფლება იმიტომ აირჩია, რომ სამართლიანობა უნდა დამყარდეს. ესაა სამართლიანობა, რომ გარყვნილებაზე გადავიდა მთელი ქართველობა?!“, „ესენი რომ გარყვნილობას ზეიმობენ, ეს დანარჩენი მოსახლეობის, 99%-ის უფლებების დარღვევა არ არის?!“, „დღეს დედაენის ძეგლთან მოვიდნენ, ცოტა ხანში ალბათ სკოლებში შევლენ!“, „გიგი თევზაძის, ილიას უნივერსიტეტის მოწყობილია ეს უმსგავსობა!“, „ძირს ბოკერია და მისი უზნეო ცოლი!“, „სამშობლოს გამყიდველი ბოკერია!“, „ჩვენ არ დავდგებით კუთხეში და ჩვენს სათქმელს ბოლომდე ვიტყვით“.

ამ აქციაზე ისტორიკოსი დავით გოგაძეც იმყოფებოდა, რომელმაც „სარკესთან“ თეოკ-

**„იქ რომ მამები არ ყოფილიყვნენ, სისხლი აუცილებლად დაიღვრებოდა. პატარა ბიჭები გაიძახოდნენ, ყველა დავხოცოთო. მამა დავით ისაკაძე ეუბნებოდა, რას შვრებით, შვილებო, გაატარეთ, გაუშვითო. მარგინალურად წარმოაჩინეს ყველაფერი, ვითომ ჩვენი მამები შავრაზმელები არიან“.**

რატიის მნიშვნელობასა და სასულიერო პირთა მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე ისაუბრა.

**დავით გოგაძე:** თეოკრატიული მმართველობა ძველი აღთქმის მმართველობა იყო, როდესაც უფალი თავის რჩეულ ერს წინასწარმეტყველების და მსაჯულების პირით მართავდა. ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ჩვენს ქვეყანაში თეოკრატიული მმართველობა ვერ დამყარდება, რადგან ჩვენ შორის არც წინასწარმეტყველია და არც მსაჯული. მათი დღევანდელი პროტესტი ეხება მათ უფლებას, რომ აღლუმით იარონ ქუჩაში. აღლუმი ზეიმია. რას ზეიმობენ, თავიანთ ცოდვას და თავზე მახვევენ?! ამას არ დავუშვებთ! არ დავუშვებთ, რომ ამ ადამიანებმა აღლუმებით იარონ ქუჩაში!

სასაცილოა მოძღვრების მიცემა პასუხისგებაში. ის კადრები მრავალჯერ ვნახე. გინება ისმის მაშინ, როცა ათასობით კაცი ჩანს კადრებში. იმავე კადრებში ცოტა ხნის მერე ისმის იგივე სიმძაფრით გინება სხვა მხრიდან და ისე ჩანს, ვითომ მოძღვარი იგინება. მამა ანთიმოზი გუშინდელი მოძღვარი არ არის. ეს გახლავთ მეუდაბნოე მამა, არქიმანდრიტი. მრავალი წელი დავითგარეჯის ლავრის წინამძღვარი იყო და ამ ადგილს თავისი ლოცვით და მუხლჩაუხრელი შრომით იცავდა. არ მჯერა, რომ ეს კაცი იგინება! დავუშვათ, მართლა იგინება ვიღაც. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია?! თუ ის არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომ მოძღვარს სკამი ეჭიროს ხელში?!

17 მაისის ღამეს, აქციამდე, ღამისთევაზე გახლდით. რუსთაველის გამზირზე დაახლოებით 150-მა კაცმა გავათენეთ და 30-მდე მოძღვარი იყო ჩვენთან ერთად. →76



Cyan Magenta Yellow Black

გადახდილ იქნა პარაკლისები და დაუჯდომელები წავიკითხეთ. მოძღვრებს სკამები ჰქონდათ მოტანილი, რადგან ზოგი შეუძლოდ არის, ზოგი ხანშიშესულია და არ შეუძლია მთელი ღამე ფეხზე დგომა.

ის, რაც ხდება, დღევანდელი ხელისუფლების უხერხემლობის ბრალია. მათ უნდათ, მწვადი შეწვან და შამფური არ დაეწვათ. კოჭს უგორებენ იქით დასავლეთს მამათმავლობის პრომოუშენით, აქეთკენ — ჩვენ. მეუფე იაკობმა ნათლად თქვა, ეს არის კრედიტი, რაც ამ ხელისუფლებას ჩვენგან მიეცა, მოვაშორეთ ერთი, მაგრამ მეორე არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანაში მდგომარეობა გაუმჯობესდეს, არჩევნები ახლოვდება და ცოტა გონს მოეგეთო. პატრიარქმა მიმართა მათ, ნუ დაუშვებთ ამასო. ბიძინა ივანიშვილს შეეძლო, იმ აქციის გამართვის ნება არ მიეცა. 50 გარყვნილი ადამიანი აღლუმით არ გამოვიდოდა. იქ რომ მამები არ ყოფილიყვნენ, სისხლი აუცილებლად დაიღვრებოდა. ჩემი თვალით ვუყურებდი, პატარა ბიჭები რომ გაიძახოდნენ, ყველა დავხოცოთ, ცოცხალი არც ერთი გავუშვათო. მამა დავით ისაკაძე ეუბნებოდა, რას შვრებით, შვილებო, პირიქით, გაატარეთ, გაუშვითო. მარგინალურად წარმოაჩინეს ყველაფერი, ვითომ ჩვენი მამები შავრაზმელები არიან, დადიან და ხალხს ავარჯიშებენ იმაში, რომ ვინმე სცემონ.

ამ ორიენტაციის ადამიანებს ვუყურებ, როგორც ავადმყოფებს, რომლებმაც ადამიანური სახე დაკარგეს და პირუტყვებს დაემსგავსნენ. თუ კაცი ამბობს, რომ უცხოპლანეტელია, სამკურნალოა და თუ კაცი ამბობს,

**„სოდომში, გომორში არსებობდა ამათი „კრატია" და ის ქალაქები როგორ გადაშენდნენ, იცით".**

რომ ქალია, მისი უფლებები უნდა დავიცვათ?! რის გაკეთებასაც ჩვენთან აპირებენ, გარყვნილების აპოგეაა. სექსუალურობა ქართულად, იცით, რას ნიშნავს?! ეს არის ლტოლვა ქალსა და კაცს შორის. უფალს კაცსა და კაცს ან ქალსა და ქალს შორის ლტოლვა არ დაუწესებია. ეს გადახრა, უკიდურესი გარყვნილებაა.

■

„მსოფლიოში დედაენის ერთადერთი ძეგლია და იმას აყენებენ შეურაცხყოფას. ნახეთ, რა გააკეთეს, წმინდა ნინოს შეურაცხყოფა მიაყენეს, დასცინეს — ქაშუეთის ტაძარზე მისი კარიკატურა დახატეს საღებავებით. ახლა კი დედაენის ძეგლს აყენებენ შეურაცხყოფას! ახლა თეოკრატიაზე ლაპარაკობენ. თეოკრატია ღმერთის მმართველობას ნიშნავს. რატომ არ უნდა იყოს ღმერთის მმართველობა?! არასამთავრობოები ამერიკიდან ფინანსდებიან, მილიონერები გახდნენ! იმიტომ აფინანსებენ





ასეთ აქციებს, რომ მართლმადიდებლობა მოსპონ!" — აღფოთებას ვერ მალავდა „პირაქეთა" აქციის ერთი მონაწილე, რომელიც ალბათ ყველა იქ მყოფის აზრსაც გამოხატავდა.

არ ვცემ, არც შეურაცხყოფას მივაყენებ, უბრალოდ დაველაპარაკები, შემიშვითო, იხვეწებოდა შუახნის ქალბატონი და ლგბტ-ებთან, დედაენის ძეგლამდე მიღწევას ცდილობდა. მრევლს შორის ერთადერთი ანაფორიანი მღვდელი შევნიშნეთ, რომელიც პოლიციის კორდონის წინ მიწაზე დაჯდა და თავისი პროტესტი ამგვარად გამოხატა. მან გვითხრა, რომ აქციაზე სხვა მღვდლებიც იმყოფებოდნენ, ოღონდ საერო პირად გადაცმულნი.

**მამა ზაქარია:** მარტო მე არ ვარ აქ მღვდელი, ზოგი საერო ფორმაშია ჩაცმული და ისე მოვიდა.

— **რატომ?**

— გვაიძულებენ და იმიტომ! აქ ისეთი სიტუაციაა, ცოტა უნდა შევნიღბოთ ჩვენი მდგომარეობა.

— **ისტორიულად მღვდელი ანაფორას მაშინ იხდიდა, როცა საბრძოლველად მიდიოდა.**

— ჩვენ საბრძოლველად არ ვართ აქ მოსული. ჩვენს თავს ვიცავთ და ჩვენს საქართველოს. ყველა სიბილწეს მივცეთ არსებობის უფლება? სჯულის კანონში წერია, რომ უხამსობის მხოლოდ ჩამდენი კი არა, მაყურებელიც კი ისეთივე სასჯელით ისჯება. არავის ვებრძვით, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ვიცავთ. ბრძოლა ანაფორითაც შეიძლება და უანაფოროდაც. 28 კაცია დაზარალებულიო და მამაოებს წაუყენეს ბრალი. იმ 28 კაციდან ერთმა მაინც დაადოს ხელი მოძღვარს, ამან დამაზარალაო.

■

ცოტა ხანში აქციას კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი შემოუერთდა.

**მამა ნიკოლოზ გობეჯიშვილი:** ესენი თეოკრატიის კი არა, სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებენ. ვერ განვსჯი ვერც სასულიერო პირების და ვერც იმ სამართალდამცავი პირების საქციელს, ვინც მათ ბრალი წაუყენეს. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ყველაფერი წესრიგის დამყარებით დასრულდება. თამარ მეფესაც ჰყავდა პირველი ქმარი, გიორგი რუსი, ამათი მიმდევარი და საზოგადოებამ გასცა პასუხი. მე აქ სამშობლოს დასაცავად მოვედი! ვთვლი, რომ თეოკრატიაზე მეტად ლგბტ-კრატიის საშიშროება დგას საქართველოში. ეს უფრო საშიშია, ვიდრე თეოკრატია. სოდომში, გომორში არსებობდა ამათი „კრატია" და ის ქალაქები როგორ გადაშენდნენ, იცით.

■

„შეწყდეს მოძალადე მღვდლების პარპაში!", „არა სიბნელეს, არა თეოკრატიას!", „მღვდლები აშენებენ ეკლესიებს მაშინ, როცა მრევლი შიმშილით კვდება" — ასეთი პლაკატები ჰქონდათ გამოფენილი გეებს, მამათმავლებსა და მათ ქომაგებს დედაენის ძეგლთან. სხვათა შორის, ამ პლაკატების უმრავლესობა ხელში მოზარდებს ეჭირათ. აქა-იქ უწმაწური, უცენზურო შინაარსის ლოზუნგებსაც დაინახავდით. ამ საზოგადოების მხარდასაჭერად მომღერალი **ქეთათო ჩარკვიანიც** იყო მოსული.

— ვაპროტესტებ ყველა სახის ძალადობას. ახლაც, აქციაზე შემოსვლისას, ცუდი რეპლიკები მოვისმინე, რაც მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო. ცხოველებო, არაადამიანებოო, ყვიროდნენ. ყველას მისამართით იწევენ. არ უნდა იქოლებოდეს სხვისი განსხვავებული აზრი! ისლამისტურ ირანს არ უნდა დავემსგავსოთ, სადაც გადამწყვეტ სიტყვას სასულიერო პირი ამბობს, — გვითხრა მან.

ეკლესიის გავლენისა და ავტორიტეტის გაძლიერების წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად იყო მოსული აქციაზე ფილოსოფოს-პოლიტოლოგი **გია ნოდიაც:**

— 17 მაისს პირდაპირი ტექსტით გაცხადდა ის პრეტენზია, რომ ეკლესია კონსტიტუციაზე მაღლა უნდა იდგეს და სამართალდამცავები ჩაანაცვლოს, დასაჯოს ის, ვისაც დასასჯელად თვლის და სახელმწიფომ ეს უნდა აიტანოს. ეკლესიის მსახურები რომ გადადიან ძალადობაზე და ამ ძალადობას ლეგიტიმურად თვლიან, ეს სახელმწიფოს საფუძვლების მორყევაა. თუ მოძღვარს ბრალი წაუყენეს, შესანიშნავია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საზოგადოებამ

**„თუ მოძღვარს ბრალი წაუყენეს, შესანიშნავია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საზოგადოებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს ნებისმიერი ტენდენცია თეოკრატიის მიმართულებით და ეს ძალით უნდა გააკეთოს".**

თავისი სიტყვა უნდა თქვას. ხელისუფლებამ უნდა აღკვეთოს ნებისმიერი ტენდენცია თეოკრატიის მიმართულებით და ეს ძალით უნდა გააკეთოს. მოძღვარმა ძალაუფლება იგრძნო. მან ჩათვალა, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში მოიყვანა და დივიდენდი ეკუთვნის — მე უნდა ვიყო უფროსიო. ადამიანებს ხომ უყვართ, სხვისი უფროსები იყვნენ. ივანიშვილმა კი ვერ დაანახვა, ვინ არის უფროსი. ვნახოთ, დაანახვებს თუ არა.

■

„დასაცინი ერი უნდა გავხდეთ მთელ კავკასიასა და მსოფლიოში! ეს რა ვნახე! ბიჭი ბიჭს ყელში კოცნიდა!" — მომესმა პოლიციელის აღშფოთებული ხმა, როცა დედაენის ძეგლის ტერიტორიას ვტოვებდი.

✓ რუსუდან ადვაძე



Cyan Magenta Yellow Black

## კანფეტი „ირისი"

**მასალა:**
**რძე — 500 მლ**
**შაქარი — 3 ჭიქა**
**რძის ფხვნილი — 1 ჭიქა**
**კარაქი — 100 გ**

**მომზადება:** რძე, შაქარი და რძის



ფხვნილი აურიეთ, მოათავსეთ ქვაბში და მოხარშეთ, სანამ მასა არ მიიღებს მოყავისფრო ფერს. შემდეგ დაუმატეთ კარაქი და ხარშეთ, სანამ არ შესქელდება. გადაიტანეთ პატარა ფორმებში, გააცივეთ და კანფეტიც მზადაა.

## სალათა ძროხის ენით

**მასალა:**
**ძროხის ენა (მოხარშული) — 100 გ**
**ღორის მჭლე ხორცი ( მოხარშული) — 100 გ**
**კიტრი — 1 ცალი**
**პომიდორი — 2 ცალი**
**ვაშლი — 1 ცალი**
**ლიმონის წვენი — 2 ს.კ.**
**სალათის ფურცელი — 4 ცალი**
**მაიონეზი — 4 ს.კ.**
**მარილი, პილპილი — გემოვნებით**
**მწვანილი — გასაფორმებლად**



**მომზადება:** მოხარშული ენა, ღორის ხორცი, კიტრი და პომიდორი გრძელ ნაჭრებად დაჭერით. ცალკე დაჭერით ვაშლი და მოასხით ლიმონის წვენი.

სალათის ფურცლები ჩააწყვეთ გამჭირვალე ჭურჭელში. ზემოდან ფენა-ფენა მოაწყვეთ დაჭრილი ინგრედიენტები, მოაყარეთ პილპილი, მარილი და მოასხით მაიონეზი. სალათა გააფორმეთ მწვანილით.

## კურდღელი ბერძნულად



**მასალა:**
**კურდღლის ხორცი — 2 კგ**
**ხახვი — 1-2 თავი**
**თეთრი მშრალი ღვინო — 1 ჭიქა**
**ზეითუნის ზეთი — 6 ს.კ.**
**დაკონსერვებული პომიდორი — 1 ქილა**
**ბეგქონდარა და თავშავა — 100 გ**
**ყველი — 200 გ**
**მარილი, წიწაკა, შაქარი — გემოვნებით**

**მომზადება:** თუჯის ქვაბში ზეთის ნახევარი გააცხელეთ. კურდღელი 10 ნაწილად გაჭერით, მოაყარეთ მარილი და წიწაკა. ჩადეთ ცხიმიან ქვაბში და შებრაწეთ. შემწვარი კურდღლის ნაჭრები ამოიღეთ, ქვაბში დარჩენილ ზეთში კი ხახვი მოხრაკეთ. ჩააბრუნეთ კურდღელი, დაასხით ღვინო და წამოადუღეთ. შემდეგ ალს დაუწიეთ და თავდახურული 30 წუთი შუშეთ. დაუმატეთ დაჭყლეტილი პომიდორი, ცოტა შაქარი და დაჭრილი მწვანილი. ბოლოს მოაყარეთ გახეხილი ყველი, ქვაბს სახურავი მოხადეთ და 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში 10 წუთით შედგით.

## კეტჩუპი „ოჯახური"



**მასალა:**
**პომიდორი — 2 კგ**
**ვაშლი — 500 გ**
**მარილი — 1 ს.კ.**
**შაქარი — 0,3 ჭიქა**
**დაფქული წითელი წიწაკა და პილპილი — თითო ჩ.კ.**
**დარიჩინი — 0,5 ჩ.კ.**
**დაფქული ჯავზი — დანის წვერით**

**მომზადება:** ვაშლს ამოაცალეთ თესლები და პომიდორთან ერთად ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. პიურე მოათავსეთ ქვაბში, დააყარეთ შაქარი, მარილი და წამოადუღეთ. როდესაც ადუღდება, ალს დაუწიეთ (დორდადრო ამოურიეთ). დაახლოებით 2 საათის შემდეგ კეტჩუპი მზად იქნება, დააყარეთ სანელებლები და ცეცხლიდან გადმოდგით.

შეგრილებული მასა საცერში გაატარეთ, გადაიტანეთ ქილებში ან ბოთლებში, დაახურეთ სახურავი და გრილ ადგილზე შეინახეთ.

## ბანანის ცხელი კოქტეილი შოკოლადით

**მასალა:**
**რძე — 500 მლ**
**ბანანი — 1 ცალი**
**შოკოლადი — 1 ფილა**
**ვანილი და დარიჩინი — გემოვნებით**



**მომზადება:** ბლენდერში ბანანი გათქვიფეთ, შეურიეთ შემთბარი რძე, დადგით ნელ ცეცხლზე, ჩააყარეთ დამტვრეული შოკოლადის ნატეხები და ურიეთ, ვიდრე მთლიანად არ გადნება. როცა ერთგვაროვან მასად იქცევა, შეურიეთ ვანილი. გადაანაწილეთ ჭიქებში და მოაყარეთ დარიჩინის ფხვნილი.

ხელსაქმე

# სამაჯურის გაწყობა

წვრილი სამაჯურები შეიძლება გავაწყოთ ფერადი ლენტებითა თუ ორგანზას თასმებით. ამის გაკეთება ძალიან ადვილია და დარწმუნებული ვარ, შეძლებთ და მოგეწონებათ.

დაგვჭირდება ხუთი წვრილი სამაჯური და ფერადი ლენტი. ავიღოთ ხუთივე სამაჯური და გავატაროთ ლენტი თითო სამაჯურის გამოტოვებით. ბოლო სამაჯურს შემოვატაროთ ლენტი და ახლა უკან წამოვიღოთ ირიბად. ამოვატრიალოთ სამაჯურები ისე, რომ ბოლო სამაჯური მოექცეს ზევით და ისევ დავიწყოთ ლენტის გატარება იმავე თანმიმდევრობით. ასე გავაგრძელოთ ბოლომდე.

როცა ლენტის თავი და ბოლო ერთმანეთს მიუახლოვდება, შევკრათ და გამოვბანტოთ. შეგვიძლია იმავე სამაჯურებს სხვა ფერის ლენტიც გავუკეთოთ.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე




### წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 2 | 3 | 4 | 6 | 9 | 5 | 1 |
| 6 | 9 | 4 | 5 | 2 | 1 | 3 | 8 | 7 |
| 5 | 3 | 1 | 7 | 8 | 9 | 4 | 2 | 6 |
| 3 | 4 | 5 | 2 | 9 | 7 | 6 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 8 | 5 | 7 | 3 |
| 8 | 6 | 7 | 1 | 5 | 3 | 2 | 9 | 4 |
| 1 | 5 | 6 | 8 | 3 | 2 | 7 | 4 | 9 |
| 9 | 2 | 8 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 5 |
| 4 | 7 | 3 | 9 | 1 | 5 | 8 | 6 | 2 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 1 | 4 | 2 | 8 | 9 | 3 | 6 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 6 | 9 | 5 | 7 | 4 |
| 6 | 4 | 9 | 7 | 5 | 3 | 8 | 1 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 9 | 3 | 1 | 2 | 4 | 8 |
| 8 | 9 | 2 | 6 | 7 | 4 | 1 | 5 | 3 |
| 1 | 3 | 4 | 2 | 8 | 5 | 6 | 9 | 7 |
| 4 | 1 | 7 | 8 | 9 | 2 | 3 | 6 | 5 |
| 3 | 2 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 8 | 9 |
| 9 | 5 | 2 | 3 | 4 | 6 | 7 | 2 | 1 |

## მითები სარძევე კბილების ირგვლივ



**პირველი მითი — ბავშვებისათვის დილით კბილების გახეხვა სრულებით საკმარისია.**

სტომატოლოგები კი ირწმუნებიან, რომ კბილების გამოხეხვა პატარებისთვისაც დღეში 2-ჯერაა აუცილებელი — დილით და საღამოს, ძილის წინ.

**მეორე მითი — თუ ბავშვს კბილის პასტა გადაეყლაპა, ეს სახიფათოა და შეიძლება მოიწამლოს.**

რა თქმა უნდა, არ არის რეკომენდებული კბილის პასტის გადაყლაპვა, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდა, პატარა ნამდვილად არ მოიწამლება. მნიშვნელოვანია, რომ მის ასაკს მიაქციოთ ყურადღება და პატარასთვის აუცილებლად საბავშვო კბილის პასტა შეიძინოთ.

**მესამე მითი — სარძევე კბილების მკურნალობა არ არის საჭირო, რადგან ისინი მაინც უნდა მოიცვალოს!**

სარძევე კბილების მკურნალობა ყველა შემთხვევაში აუცილებელია!

**მეოთხე მითი — კარიესი მხოლოდ სტომატოლოგიური პრობლემა.**

სინამდვილეში ეს ორგანიზმის ზოგადი დაავადებაა და ბავშვებს მაშინ უჩნდებათ, როცა იმუნიტეტი ქვეითდება.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# კანის კინოფესტივალმა კრიმინალისტებს საქმე გაუჩინა



ოდრი ტატუ

კანში 66-ე კინოფესტივალი პომპეზურად დაიხურა. ბოლო 11 დღის განმავლობაში ლაჟვარდოვან სანაპიროს ყველაზე მეტი ვარსკვლავი სტუმრობდა, წვეულებები კი დილამდე გრძელდებოდა. ევროპული და ამერიკული ცხოვრება ერთ კურორტზე ჩქეფდა. 11 დღიან ფესტივალს სკანდალების გარეშე არ ჩაუვლია, პრემიერებისა და ძვირფასი წვეულებების მიღმა იყო ქურდობაც და სროლაც, მაგრამ, ამის მიუხედავად, დახურვის ცერემონიალი იდეალური იყო.

ფესტივალის ფავორიტი, ოქროს პალმის რტოს მფლობელი აღმოჩნდა ტუნისელი წარმოშობის ფრანგი რეჟისორის აბდელატიფა კეშიშის ფილმი „ადელის ცხოვრება“. ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა იაპონურ მელოდრამას „როგორიც მამაა, ისეთია შვილი“. საუკეთესო რეჟისორად მექსიკელი ამატა ესკალანტე დასახელდა ფილმისათვის „ელი“. საუკეთესო მსახიობ მამაკაცად ბრიუს დერნი აღიარეს, რომელმაც მთავარი როლი ითამაშა ფილმში „ნებრასკა“, ხოლო საუკეთესო მსახიობი ქალი ბერენის ბეჟო გახდა ფილმისათვის „წარსული“.



მარინ ლორფელინი და ალენ დელონი



ნიკოლ კიდმანი

რა თქმა უნდა, ჯილდოების გარდა, კანის კინოფესტივალზე აქტუალური იყო წითელი ხალიჩა. 45 წლის ნიკოლ კიდმანმა საზეიმო საღამოსათვის არმანის თეთრი კაბა აირჩია. 43 წლის უმა თურმანმა, რომელსაც გვერდს ქმარი უმშვენებდა, ვერსაჩეს ვერცხლისფერი ატლასის კაბა ჩაიცვა. ყველაზე პროვოკაციული 37 წლის იტალიელი მსახიობი, ორი შვილის დედა აზია არჯენტო იყო, რომელმაც წითელ ხალიჩაზე პოზირებისას პაპარაცებს შუა თითი დაანახვა.



ბერენის ბეჟო

ორიგინალური ჩაცმულობით 35 წლის ფრანგი მომღერალი და მოდელი ლეტიცია კასტა გამოირჩეოდა. მას დიორის კაბა ეცვა, რომელსაც გედის ფრთების იმიტაცია ჰქონდა. ოდრი ტატუმ საღამოსათვის დიდი წითელი კაბა აირჩია. 77 წლის ფრანგი კინოლეგენდა ალენ დელონი დახურვის ცერემონიალზე 20 წლის მარინ ლორფელინთან ერთად მოვიდა, რომელიც 2013 წლის „მის საფრანგეთია“.

ფესტივალი დასრულდა, კრიმინალისტები კი მუშაობას აგრძელებენ — ისინი ფესტივალზე ძვირფასი სამკაულების დაკარგვის საქმეს იძიებენ, რომელთა ღირებულება 2 მილიონს აჭარბებს.



ლეტიცია კასტა



უმა თურმანი





# აირჩიე თემატური პაკეტი

## დაიმატე პირდაპირ ტელევიზორიდან

პლიუსი + / სპორტი / კინო

საბავშვო / ჰობი / HD / 18+




**2 100 100**

**www.silknet.com**

Find us on: facebook